ლადრგი – სათიბ-სამოვარი, ს. ჟიბიანის ჩრდ-აღმ., ენგურის მარჯვენა კალთა, ფერდობი რელიეფით. *პველე ნიკოს ძე ჩაჟაში, 43 წ., მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

ლადრგი (2) – სათიბ-სამოვარი (ხალდე, ჟიბიანი), ს. ხალდეს ჩრდ-აღმ., მდ. ჯალდე ჭალას მარჯვენა კალთაზე. *ზურაბ აბრამის ძე ჯოხაძე, 68 წ., პენს., ს. ხალდე, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

ლადრგილარი სიკუტ – ქედი (მესტია), ს. ზეგანის სამხ-დასავლ. მდ. ლასილის მარცხენა

მხარეზე, ტყიანია – შერეული. *ალექსანდრე ბიასლანის ძე გულბანი, 80 წ., პენს., იფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

ლადუბაში – სამოვარი (ხევრა), ჯელღერას მარჯვენა მხარეზე; ჩანს, ძველად საკულტო ადგილი უნდა ყოფილიყო. *ვ. მ. ჭკადუა, 30 წ., ლახამულას ს.ს., 1973.*

ლადუბაშილ – სამოვარი, გორა (ცალერი), ს. ცალერის აღმ., მდ. მატლშამდე აღწევს. ლასოტლამდე (კლდე, ლამზერ ადგი დემეგლი. აქ ადრე სახნავი ყოფილა, ახლა არაა. ეკლესიის აღმ. (ლამზერ ადგი ლი). *ვლადიმერ სეითბეს ძე გვარამიანი, 57 წ., კოლმ., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

ლადუბაშილშ გორაგ (იხ. ლადუბაშილ).

ლაზარეშ ნაშიხუ – სახნავი, სამოვრები (შეედი), ს. შეედის სამხ. ირგვლივ ლულტმერ ხარ. კარტოფილის ყანებია და სამოვრები. ლაზარე ჭკადუას ყოფილი კუთვნილი. *შუმანა ოთარის ასული იოსელიანი, 50 წ., პედაგოგი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1970 წ. ნოემბ.*

ლაზარულშიერ – უბანი (მახაში), ს. მახაშის ერთ-ერთი თემის უბანი, ჭელიძეების საგვარეულო. *ლნტხ. რ., ჩიხარემის ს.ს., რ. მ. ჭელიძე, 1976.*

ლაზგა – ტყე (ლობი, მარგვიში), ს. ლობში, ნასახლარებია ჩიხარემის ს.ს.

ლაზ-ლაჩად ღარ – სამოვარი, ბილიკი (ბავარი), სამოვარი, მთა ზავალაშისკენა გადასასვლელი. ს. ბავარის მთა თეკრაშიდან ზავალაშში მიმავალი ბილიკი. ხელედის ს.ს., ლენტეხის რ. *მ. ი. ბენდელიანი, 40 წ., ვ. ს. ჩანქსელიანი 44 წ., 1976.*

ლაზმეხი ღარილდ – ღარი (ლალხორალი), ს. ხაიშიდან მდ. ენგურის გაყოლებით 2,5 კმ-ზე, მდ. ენგურის მარცხენა კალთაზე, დემზახიშ კოჯარის ქვემოთ. შერეული ტყით და აჭარბებს „მმერხლი“. „სამარხილე ღარი“. *რევაზ პლატონის ძე გელოვანი, 39 წ., სტუდენტი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1970 წ. ნოემბ.*

ლაზრეშ – სათიბი (ნესგუნი), ს. ლენჯერის ჩრდ-დასავლ., ფუშყურის მარჯვენა კალთაზე, ალპურ ზონაში, მთაში. *ელგუჯა ვლადიმერის ძე გულედანი, 36 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.*

ლაზრეშტი – სამოვარი მთა (ლახამულა), ენგურის მარცხენა კალთაზე, კაკელანშ ნენჩას თავზე (თხუმეი). მთა ჰაკუტურის ჩრდ-აღმ. ადრე საკარვე მთა იყო, გზაჯვარედინია –

ჰაპკვირიდან, მჭელიდან, ლათოფ ლარედან...
ზორ – (ლან-ზორ-ალ, ლი-ზრ-ეტი). *კოწი იოსეს ძე კვანჭიანი, 55 წ., კოლმ., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

ლაზრალ – სამოვარი (ქაბეში), ს. ქაბეშის ჩრდ-აღმ., ლამწრია სუიფის ჩრდ-აღმ. ფერდობია, ტყეა, ნაძვნარ-არყნარი, ნეკერჩხალიც. *ჭიჭიკო ივანეს ძე კახიანი, 44 წ., პედაგოგი, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

ლაზქარ – ტყე (ფარი), ს. ფარი, მესტიის რ-ნი. *ვახტანგ ჟემუზას ძე ნარსავიძე, 1965.*

ლაზქარ – ტყე, სათიბი (სოლი), ს. სოლის ჩრდ., შერეული ტყეა და შიგადაშიგ სამოვარი. *რ. ა. ხაფთანი, 52 წ., მოსამსახ., მესტიის რ-ნი. 1972, IX.*

ლაზტა (იხ. ლასთა) – შურო (ხევრა), ჯეჭრაშია, სეთის გასაწყობი იყო, ხე-ტყის ჩამოსაყრე-ლიცაა ამჟამად. *ვ. მ. ჭკადუა, 30 წ., ლახამულას ს.ს., 1973.*

ლაზტინარ – სამოვარი (ლეკუმბასტი), უბან ლეკუმბასტშია, მთისკენ. ადრე ითიბებოდა. *ქახუნდერის ს.ს., ლენტეხის რ. ზ. ს. გულბი-ანი, 22 წ., მოსამსახურე ს. ჩუკულიდან. 1976.*

ლაზტრალდ – სათიბი (ფალედი), მდ. ლემდრგლას მარცხენა კალთაზე, სამოვარ ლატუბას აღმ. მდ. ლემდრგლამდე (?) ჭალთეჩუ. კარგი სათიბია. *მამურზა ივანეს ძე ჩხვიმიანი, 69 წ., პენს., ს. ლემდერი, ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტ.*

ლათალდამ – სათიბები (მებეცი), ს. მებეცის სათიბები მთაში.

ლათამ – სამოვარი მთა (ნაკი), მდ. ნაკრას მარჯვენა მხარეზე, მთა შდატლერის სამხ. კალთა, კარგი საზაფხულო სამოვარი მთაა. *ვასილ ბურნაყის ძე ქალდანი, 57 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

ლათაშერი ლუმირ – შესასვენებელი ადგილი (ლეზგარა, ტვიბერი), მთა ... სკენა გზაზე მიმავალნი მთიდან ან მთაში ისვენებდნენ ერთ „საკულტო“ ნაძვთან, ამოიღებენ ყველს, მიირთმევენ მგზავრნიც და იქაც ტოვებენ ლუკმისოდენას, აქედან ლათაშერი „საყველე“. „საყველე ნაძვი“. *მგვა ამაიზის ძე ქალდანი, 61 წ., პენსიონერი, ს. ტუბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლათათუნტარ – სამოვარი (საყდარი), ს. საყდრის დასაწყისში, წყაროცაა და დიმიტრი ბენდელიან თესდა თუთუნს. *ლენტეხის რ. მ. ა.*

ბენდელიანი, 68 წ., 1978.

ლათათუნტარ – სამოვარი (ქაშვეთ-ლაშთხვერი), ჭალაშ მარჯვენა მხარეზე. ადრე თუთუნით ითესებოდა. *ვახტანგ გრამიტონის ძე ჯაჯვანი, 37 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.*

ლათათუნინილ – შესასვენებელი (იფრარი), ს. იფრარის ჩრდ., წიწვნარი ტყის ზემოთ. მომუშავეთათვის დასასვენებელი ადგილი, თამბაქოს მოსაწევი. *გემა ანდრიას ძე მარგვლიანი, 61 წ., პენს., ს. ივარი, კალის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

ლათაწში ნაკ – სათიბები (კერი, ლემსია), ს. კერისა და ს. ლემსიას მთის სათიბები. *დ. გ. მერლანი, 23 წ., ლენჯერი. 1973.*

ლათოფ ლარე – სამოვარი (ლახამულა), ენგურის მარცხენა კალთაზე, მთა ჰაპკვირიშ ზაგარს ქვემოთ (ჩრდ.), რომლის ქვემოთ კარვებია, წყაროც – სარაგ. მთაში მიმავალთა და მეკარვეების სამიზნე ადგილიაო. *გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

ლათოფარ – სამოვარი (დურაში), მთა მაღდან-ში, ალპური ზონაა, ქაჭტარ, თეკრა, წიფრა. *ლენტეხის რ. ბენდელიანი კ. 1978.*

ლათოფარიშ ზენ – სათიბი (ზ. ვედი), ზედა ვედშია, ჩანს თოფრა („დიდგულა“ ?). *არჩილ კოსდას ძე ჭკადუა, 40 წ., კოლმ., ს. ზედა ვედი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. IX.*

ლათოფარიშ ნაჩელ – ლეღე (ზ. ვედი), დასახლების აღმ., ნაღვარეცა. *არჩილ კოსდას ძე ჭკადუა, 40 წ., კოლმ., ს. ზედა ვედი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. IX.*

ლათრალდში წაფ – სამოვარი (მესტია). *ირინე მელიქიშვილი, 1961 წ.*

ლათრალდში – სამოვარი (სპარდიში), მესტია ჭალაშ-ს მარცხენა მხარეზე, აეროპორტის ჩრდ. ნესგა ლახულდს თავზე. მის ქვემოთ მოედინება წყალი. რელიეფურად ჩიბუხს წააგავს – აქედანო. 1: 200000-ის მიხედვით ლათრალდში მწვერვალის სიმაღლეა 3369 მ. (შეცდომითაა г. Татраль-даш). *ავთანდილ ანდრიას ძე რატანი, 37 წ., სპარდიში, მესტიის რ-ნი. 1972.*

ლათქელდში – სათიბი (ზ. ჭველიერი), ზედა ჭველიერში. ლათაქელ // ლიყარიელ. *ჩოლურის ს.ს., გ. ნ. ზურაბიანი, 46 წ., ს. ს. მუკბანიანი, 45 წ., 1976.*

ლათშინიელ – საბალახო (ლაღამი). *დ. ს.*

გვიდიანი, 27 წ., მოსამსახ., 1972 წ. VIII

- ლათმეღლ** – სამოვარი (ქვ. ლუჰა), სამოვარი მთა ქართლდსა და ბაჯის ქედს შორის; გზაზე შგერის მეტი არაფერია, არის დასასვენებელი მიმავალ-მომავალთათვის. მთიდან მომავალი დაისვენებდა, ყველს (თაშს) ხმარობდნენ საჭმელად. თაშ – ლა-თმაშმეღლ. *იმმაგ სორთმანის ძე დადემქელიანი, 88 წ., ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- ლათხარ** – სათიბი (დოლასვიფი), მდ. დოლრას მარჯვენა მხარე, სათიბი ღელე ჭკიდანარ-სა და ნაკს შუა. *ყვრემ პეტრეს ძე უშვანი, 54 წ., ტყის მცველი, ს. დილაშტიფ, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტ.*
- ლათხარაშ** – ყანები (ზ. ჭველიერი), ზედა ჭველიერშია. ჩოლურის ს.ს., გ. ნ. ზურაბიანი, 46 წ., ს. ს. მუკბანიანი, 45 წ., 1976.
- ლათხტიარ** – სათიბები (ჩუკული), ჩუკულის მთაში, მინდორია იყოფა ჩუბე და ჟიბე ლათხტიარ-ად. ჟახუნდერის ს.ს., ლენტეხის რ. ნ. დ. გულბიანი, 26 წ., 1976.
- ლათხტიარი თხუმ** – სათიბი (ჩუკული), ჩუკულშია, მთა ლათხტიარის ზემო ნაწილი, (ბოლო). ჟახუნდერის ს.ს., ლენტეხის ს.ს., ნ. დ. გულბიანი, 26 წ., 1976.
- ლათხტიარი ნიც** – წყარო (ჩუკული), ჩუკულის მთაშია, წყაროს მაგვარია. ჟახუნდერის ს.ს., ლენტეხის რ. ნ. დ. გულბიანი, 26 წ., 1976.
- ლათხტიმღლ** – სათიბ-სამოვარი (ჟაბეში, ცალდაში), ს. ჟაბეშის სამხ., ზაგარის ჩრდ-ის ფერდობი, სოფლისკენა მხარე, დასახლების სამხ.-ზემოთ ზაგარის მიმართულებით. სათიბ მეთხინის ქვემოთ. *ივანე ბედის ძე კახიანი, 83 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- ლათვრ** – სამოვარია (შტვილი), ს. შტვილშია, ტყეში, სათხეა, კარვები იყო, ყანებიც. ლენტეხის რ., ჩოლურის ს.ს., თ. დ. ხაბულიანი, 48 წ., 1978.
- ლათვლ დაშ** – სამოვარი (მაცხვარიში), მთა აურაში სამხ-ით. თხების სამოვარია მხოლოდ. *გ. გ. გირგვლიანი, 35 წ., ლატალი. 1973.*
- ლათაღდაშ** – სათიბი (სასაში), სასაშის ჩრდ.-დასავლ. მთაში. ლათაღ „გასანაწილებელი“. ლენტეხის რ. მ. ვ. ონიანი, 41 წ., 1974.
- ლათაღდაშ (2)** – სათიბი (სასაში, ლუჯი), ს. ლუჯის მთა უჟალის გზაზე, ხემკურის მარჯვენა მხარეზე.
- ლათორაშ** – სამოვარი (ჭველიერი), ზედა ჭველიერში, ვაკე ადგილი, ფერმის მიდამოები. ლათორაშ „სამოსწავლო?“. ჩოლურის ს.ს., გ. ნ. ზურაბიანი, 46 წ., ს. ს. მუკბანიანი, 45 წ., 1976.
- ლათუნა** – ყანა, სათიბ-სამოვრები (ჩაჟაში), მდ. ენგურის მარჯვენა კალთაზე, ს. ჩაჟაშის პირდაპირ ჩრდ-დასავლ. მოედინება პატარა წყარო. იქითკენ საქონლის დასალევი წყალია, მოხერხებული გზაზე მიმავალთათვის. „სალევი“. *ილია ერმალოს ძე ნიჟარაძე, 31 წ., მოსამსახურე, ს. ჩაჟაში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*
- ლათუნა ზენ** – საბალახო (თოთანი), ს. თოთანშია, ამჟამად საბალახო, ადრე სათიბი ყოფილა, ვაკე ადგილია. მხოლოდ მდ. ენგურის მარცხენა სანაპირო რიყესთან. საქონელს იქ ასმევენ წყალს ენგურის სანაპიროზე. ლათუნა ზენ „წყლის დასალევი ზენი“. *გაიოზ თაისავის ძე ჭკადუა, 76 წ., ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1970 წ. ნოემბერი.*
- ლათუნაშ** – წყარო (გულიდა), ს. გულიდში. სოფლის სასმელი წყალი. გადმოყვანილია. *თ. ბ. ქურასბედიანი, 30 წ., 1974.*
- ლათუნაშ ღარ** – ღელე (თოთანი), თოთანიდან ხაიშისკენა გზაზე, მდ. ენგურის მარცხენა კალთაზე. ქვემო ნაწილში პატარა წყალი მოედინება, ზემოთ მშრალი ღელეა, ტყე ბლომადაა და კლდეებიც, ბლომადაა წყეუ, სამოვარ ლათუნა ზენ-ის სამხ.-აღმ. *ვალო გაიოზის ძე ჭკადუა, 36 წ., კოლმ., ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1970 წ. ნოემბ.*
- ლათუნარ** – წყარო (ზ. ჭველიერი), ზედა ჭველიერში, საქონლის წყლის დასალევი ადგილი. ბინილ „ბინოლი“ წყარო. ს. ჭველიერი, ჩოლურის ს.ს., გ. ნ. ზურაბიანი, 46 წ., ს. ს. მუკბანიანი, 45 წ., 1976.
- ლათურაშ** – სათიბი (ლამფალაში), ს. ლამფალაშში, მოედინება წყალი. ჟახუნდერის ს.ს., რამაზ ომეხის ძე ონიანი, 16 წ., 1981.
- ლათურაშშიელ** – სამოვარი (ჩაჟაში), მდ. ქვიშირის მარჯვენა მხარეზე, ფერმების იქითა მინდორი, ადრე სახნავი იყო. მოდის წყალიც. ლათურაშ „სასმელისა“. *ილია ერმალოს ძე ნიჟარაძე, 31 წ., მოსამსახურე, ს. ჩაჟაში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*
- ლაკუნაშ** – სამოვარი (მაცხვარიში), ლაჰლა ჭალადს მარჯვენა კალთაზე, თეთრი კენჭნარი, კაჟივითაა. კაჭ „თეთრი კენჭი, კაჟისმაგვარი“. *გურამ*

გ-ძე გირგვლიანი, 35 წ., ლატალი. 1973.

ლაკა – სათიბები (ლახუშდი), ს. ლახუშდის სამხ.-აღმ. მდ. ენგურის მარჯვენა კალთაზე,

ლაკამ – კლდიანი ადგილი, ს. ლუჯში, ფიქალნარევი კლდეებია.

ლაკამ – სამოვრები, ს. მახაშის მთის. ლნტხ. რ., ჩიხარემის ს.ს., რ. მ. ჭელიძე, 1976.

ლაკამ (3) – სათიბ-სამოვარი (სასაში, მახაში), კლდე (ლუჯი), ს. სასაშის საზაფხულო მთა ფიქალნარევი.

ლაკამლარ – სამოვრები (შკედი), ს. შკედის სამოვ. მთაში. არის ფიქალი ქვა. კა „ფიქალი“, „დიდი ბრტყელი ქვა“. ს. შკედი, ჩიხარემის ს.ს., ლნტხ. რ. ე. ს. ონიანი, 34 წ., 1976.

ლაკამრლა – სამოვარი (შკედი), ს. შკედშია, ლაპეჟუ ლახუში, კლდიანი კია. ს. შკედი, ლნტხ. რ., ე. მ. გაბიანი, 49 წ., 1976.

ლაკაჟრლ – ტყე, სათიბი (ლემზაგორი), ს. ლემზაგორში, წიწვნარია კაჟი ამჟამად არაა. *ჯოჯია მიტუმას ძე ლობჟანიძე 29 წ. პედაგოგი (ფიზიკოსი).*

ლაკაჟრლარ – სამოვარი (სასაში), ს. სასაშში, ტყიან ზონაშია, კაჟი არის, ბაჯის ზემოთ. ლნტხ. რ. მ. ვ. ონიანი, 41 წ., 1974.

ლაკარა – კლდე, ს. ფალედის ჩრდ-დასავლ. ფიქალეებიანი კლდეა (ბაჩ ლი ხოჩა ლაკარა), კარგად ხსნადი ქვებიაო. მდ. ლემდრგლას მარჯვენა კალთაზე. *დანიელ ჩიჩოს ძე წულუკიანი, 33 წ., პედაგოგი, ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლაკარა – სათიბი (მესტია), ს. გულს აღმ., ლაკარაშ ლალგნარს ზემოთ, დამრეცი რელიეფით, სათიბიცაა. ლაკარა „გასახსნელი (?) ადგილი ფიქალისა“. *ანთუყ ნასავის ძე ხორგუანი, 80 წ., პენსიონერი, ს. ბაგუტდანარ, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტ.*

ლაკარა – ფიქალქვიანი ადგილი, სამანქანო გზის ზემოთ, შავდელეს (11 ნაჩუღარის) თავზე, ფიქალქვიანი ადგილია. კა „ფიქალი“ – ლაკარ-ა „საფიქლე“. *ზაგამბე სამსონის ძე ფარჯველანი, 39 წ., პედაგოგი, ს. ჰებუდი, მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლაკარა (4) – ტყე (თავრარი), სათიბი (ბაგვდანარი), კლდე (ფალედი), ფიქლიანა (ჰებუდი). ს. თავრარის აღმ. სათიბ სკიზანის სამხ.-აღმ. ფიქალქვიანი ყოფილა, ამჟამად შერეული ტყეა. *უშანგი ბარდღუს ძე ცინდელიანი, 32 წ., კოლმ., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

ლაკარა ტუბი – ხევი (დევრა), მდ. დეჟრულას მარჯვენა შენაკადი. შერეული ტყეა წყლის ორივე მხარეზე, წყალი პატარაა. საწისქვილ-ესოდენა. კაიქ ბაჩ წუანდ. საფიქლე დეღე, ხევი. *გერასიმე ნიკოლოზის ძე გადრანი, 50 წ., დაცურების კადრი, მუშა, ს. დევრა, ჭუბერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 11.9.1970 წ.*

ლაკარაუთალა – სამოვარი (ჭველიერი), ს. ჭველიერში, მთაშია ნაკარვები. *ფ. ი. მუკბანიანი, 27 წ., 1974.*

ლაკარი – ტყე (გულიდა), ს. გულიდ-შია, ფოთლოვანია უფრო. ფიქალი არაა შემას იქიდან ეზიდებიან. *თ. ბ. ქურასბედიანი, 30 წ., 1974.*

ლაკარჩხ – გზა (ყაზაყი), სგრმილდშიმ ტუბიზეა, ციცაბო გზაა მონადირეთათვის, კლდეა. მდ. ენგურის მარჯვენა მხარეზე. *ვეროსი უმარის ასული ჭკადუა, 75 წ., პენსიონერი, ლახამულას ს.ს., მესტიის რ-ნი. 12.10.70 წ.*

ლაკარაშ ლალგნარ – სამოვარი (ბაგვდანარი), ს. გულს აღმ., მდებარეობს მემხე ლიცსა და ქუანგლდშ ლიც-ს შუა. დგას 3 კარავი, სუბალპური ზონაა, ჩრდ.-აღმ. შიშველი, სამხ-აღმ. ესაზღვრება ტყიანი ქედი. ლალგენ „სადგომი“ – ლაკარაშ ლალგნარ „ლაკარას სადგომი“ (კა „ფიქალი“ < კარ ?). *ანთუყ ნასავის ძე ხორგუანი, 80 წ., პენსიონერი, ს. ბაგუტდანარ, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტ.*

ლაკარაშ ლიც (იხ. მემხე ლიც).

ლაკარ – ყანები (ყახუნდერი), ს. ყახუნდერში, ფერდობებია.

ლაკარჩხარ – ტყე, კლდე (ტვიბი), ს. ტვიბისკება გზა, მდინარის მარჯვენა მხარეზე, სადაც საცალფეხო ბილიკი გადიოდა. ლენტეხის რ. ჩოლურის ს.ს., *ჯ. გ. ზურაბიანი, 40 წ., 1978.*

ლაკაც რობ – სათიბ-სამოვარი (სოლი), ს. სოლის საზაფხულო სამოვარი მთა შიხულდშშია, არყნარი ჩავარდნილი ადგილია. *რ. ა. ხაფთანი, 52 წ., მოსამსახ., მესტიის რ-ნი. 1972, IX.*

ლაკდაზან – სათიბი (ხალდე), მდ. ჯალდე ჭალას მარცხენა კალთაზე, ს. ჯალდეს სამხ-დასავლ. ტყით მოცული ვაკე ადგილები. *ზურაბ აბრამის ძე ჯოხაძე, 68 წ., პენს., ს. ხალდე, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

ლაკელდარ – სათიბი (მესტია – ირ. მელიქ.). *ირინე მელიქიშვილი, 1961 წელი.*

ლაკელაშ – სათიბი (ჩოლური), მთის გზაზე, ტყეშია.

ლენტეხის რ. თ. დ. ხაბულიანი, 48 წ. 1978.

ლაკობჭირილ – ტუბი – ხევი (უშგული), ს. უშგულის ჩრდ-აღმ., მდ. ენგურის მარცხენა კალთაზე, პატარა შენაკადი ენგურისა. „კუთხოვანი ქვა“. *მერაბ ანტონის ძე ნიჭარაძე, 60 წ., პენს., უშგულის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

ლაკირ – ტყე (ბულეში), ს. ბულეში, შერეული ტყე, კირის საწვავი თუ იქნებოდაო. ჩოლურის ს.ს., *ქ. ა. მუკბანიანი, 41 წ., 1978.*

ლაკოჯილ – ყანა (წანაში), ს. წანაშია, ფლატიანია. ს. წანაში, ხელედის ს.ს., *ნ. გ. ლიპარტელიანი, 27 წ., 1974.*

ლაკრანკილ – სათიბ-სახნავი (გვალდერი), სოფლის დასავლეთით, სახნავ ნანყურაშს ესაზღვრება ზემოდან. კალშიმ ტუბის მოსაზღვრედ. „საგორავებელი“. *ემუზა დავითის ძე ჩხეტიანი, 91 წ., პენსიონერი, ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლაკულიდარ – ტყე (ლანტელი), მდ. დავშარისა და ენგურის შესართავთან, წიფლან-რცხილნარი და თხმელნარი (შერეულიც) ადგილია. კუილ (მდრ. მეგრ. კუილა), ტყე ყოფილა უწინ კარგი, იქ, ალბათ, ხის (წიფლის)-აგან ჭრიდნენ დასაჯდომად კუილარს. *კოჩია ბეჭერზას ძე პაკელიანი, 72 წ., კოლმ., პენს., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. X.*

ლაკუმურა – სამოვარი მთა (ზ. ვედი), მდებარეობს მთა ლაკუმურამ დუდის ჩრდ. კალთაზე, ქედზეა, დგას ერთი ყავარკედლებიანი კარავი. ზღვის დონიდან 2212,3 მ. შიშველი რელიეფით. პატარ-პატარა მინდვრებით. კარავთან (და საერთოდ, საქონლის ნადგომზე) ბლომდაა კუმუნთხური (ტელეფი) და ახშარა. დასავლეთის მხარეზეა: წაქაწყარიში ტომბა, მისი მომიჯნავე ციცაბოკალთებიანი კლდეები, ღარებითა და ღელეებით. სამხ-აღმ. ბლომდაა შქეროსებრთა მცენარე – ხვამცა. *ლადი ზოსიმეს ძე მიქავა, 72 წ., მწყემსი, ს. ჯგალი, წალენჯიხის რ-ნი. 22.9.1970 წ.*

ლაკუმურა წყარი – ღელე (ზ. ვედი), მოედინება მთა ლაკუმურას მარცხენა კალთებიდან. საზაფხულო სამოვარ მთას, სადაც კარავი დგას და ფოქას (საკარვე) შუა, უერთდება მდ. მანჩხავიშ ლიცს მარჯვენა მხრიდან საზაფხულო სამოვარი მთა ნამსგალებთან. პატარა ღელეა, ზემო წელი ალპურია, შესართავთან – სუბალპური. მდ. წაქაწყარის

მარჯვენა მხარეზე. ხაიში. *ვარლამ მიხას ძე მიქავა, 54 წ., მწყემსი, ს. ჯგალი, წალენჯიხის რ-ნი. 23.9-1970 წ.*

ლაკუმურამ დუდი – მწვერვალი (ზ. ვედი), თვაზონიმ დუდსა და ლაკუმურამ დუდს შორის მწვერვალი, შიშველი, სუბნივალური, ხრამიანი, ციცაბოკალთებიანი, მისი სიმაღლე ≈ 2700-მდეა. მისი ძირიდან მოედინება ლაკუმურაწყარი – თოვლისაგან იკვებება. რუქაზე ლაკუმურამ დუდი, მაგრამ მას სხვა სახელი ჰქვია – წაქაწყარიშ ტომბამ დუდი 3264, 4 (1: 100000). *მეგონა კონსტანტინეს ძე მიქენაია, 60 წ., მუშნი ბევის ძე მიქენაია, 46 წ., უშანგი მიხას ძე მიქავა, 50 წ., 1970 წ.*

ლაკურზში – სათიბ-სამოვარი (გული), ესაზღვრება ლობარს სამხ., ს. გულის აღმ. ფერდობი ადგილია, არის პანტა მსხალი და ვაშლი. გამოყენებულია სათიბადაც და სამოვრადაც. *სოფრომ იასონის ძე ხორგუანი, 43 წ., მასწავლებელი, ს. ტებში, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტემბერი.*

ლაკჩიმ (იხ. ლაკჩ – გული).

ლაკჩირ (იხ. ლაკჩ – ღვებრა).

ლაკჩხალდ (იხ. ლაკჩხალდ).

ლაკჩარ – გზა, ენგურის მარცხენა კალთაზეა, გზა მთა ლეშნიერისკენა. *იონა ვისიბის ძე სამსიანი, 77 წ., პენს., ივარის ს.ს., 1972, VII.*

ლაკჩარ – სათიბი, ს. ღუბალდში სათიბ ლამჭა-ს აკრავს. *მიშა ილოს ძე გერლიანი, 39 წ., კოლმეურნე, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლაკჩარ – ყანები, ს. ლემსიაშია, სამანქანო გზის ქვემოთ, დამრეცი ადგილი. ს. ლემსია. *შ. ა. შუკვანი, 28 წ., მოსამს., მესტიის რ-ნი. 1972, IX.*

ლაკჩარ (4) – სათიბები (ლახამულა, ღვებალდი), ყანა (ლემსია), გზა (იელი), საცხოვრის ნოდანის ჩრდ-დასავლ. ვარლამის დაბ-ის ზემოთ (კაჩი ზიხ). *გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

ლაკჩარ – უბანი (იენაში), ს. იენაშის ერთ-ერთი დასახლებული უბანი. ოდნავ დამრეცი სწორი ადგილით. *ილიკო გ-ძე ფარჯიანი, 49 წ., 1973.*

ლაკჩრლარ – ყანები (არცხელი), ს. არცხელის დასავლ. მდებარე მოფერდო ყანები. იქ ამჟამად დასახლდა ილარიონ დადვანი. *ნოდარ ნიკოლოზის ძე მარგიანი, 33 წ., მოსამსახ., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

ლაკვლდ – სათიბი (ჟაბეში), ს. ჟაბეშის სამხ-დასავლ., ზაგორის სამხ. ჰადიშის მდინარისკენ. ჭოლაშელების სათიბია. კვც (მდრ. ტკიც). *ივანე ბედის ძე კახიანი, 83 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

ლაკვრლდ – სათიბ-სადოვარი (ჰადიში), ს. ჰადიშის დასავლ., ჰადიშერას მარჯვენა კალთაზე. არის კიც (ერთგვარი ბალახია). *სოფრომ გიორგის ძე აველიანი, 60 წ., პენს., ივარის ს.ს., ს. ჰადიში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

ლაკვლდამიშ ბჳჩ – სასაფლაო (ბაგვდანარი), ამაღლებული ადგილია, სადაც ეს ქვა დგას ირგვლივ დასახლებული პუნქტია. მის ძირას სასაფლაოა. აქ კვირაობით სოფლის კაცები ჯდებიან, ამ ქვის სავარძელზე ისვენებენ. ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი ძალიან ღონიერი დაბალი ტანის ჯმუხი კაცი. მას ეს ქვა და კიდევ ქვის პატარა სკამი ერთი კმ-ის სიშორიდან მოუტანია და სოფლის შუაგულში დაუდგამს. სიკვდილის წინ დაუბარებია, ამ ქვის სავარძელთან დამმარხეთო. მართლაც, აქ დაუმარხავთ. ამ ქვას 15 კაციც ვერ ასწევს. პატარას კი ერთი ღონიერი კაციც კი კოჭებს ზევით ვერ ასწევს. *მესტიის რ-ნი. ცუცა აბდელიანი, 1970 წ.*

ლაკვლმახზარ – საძოვრები (ჟამუში), ს. ჟამუშის სამხ. მულხურას მარჯვენა მხარეზე. მოედინება წყალი ლაკვლმახზარი ლიც, რომლის მიდამო საძოვრებს ეწოდება ლაკვლმახზარ. *ვლადიმერ გიორგის ძე ნავერიანი, 40 წ., მოსამს., ს. ჟამუში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

ლაკვლმახზარი ლიც – დეღე (ჟამუში), ს. ჟამუშის დასახლების ქვემოთ, მომდინარეობს ტბა პილლათუფარიდან. მულხურას მარჯვენა შენაკადი. *გიორგი გაბრიელის ძე ნავერიანი, 76 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

ლაკვლმახზიშ ტუბრა – დეღე, მდ. ენგურის მარჯვენა კალთის პატარა შენაკადი, საკალმახეა, კალმახი იცის. ს. ბოგრეშის სამხ-აღმ. *კატო მიხეილის ასული გულბანი, 26 წ., მოსამს, ს. ბოგრეში, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

ლაკვლმახზიშ ტუბრა – დეღე, საზღვარი იელისა და ლენჯერისა ენგურის მარცხენა მხარეზე. საკალმახე დეღეა. ენგურის მარცხენა მხარეზე შენაკადი, მოზრდილია. ს. იელი. *იონა ვისი-ბის ძე სამსიანი, 77 წ., პენს., ივარის ს.ს., 1972,*

VII.

ლაკვლმახზიშ ტუბრა (3) – დეღე (ვიჩნაში, ბოგრეში, იელი), ს. ივარისა და კალას საზღვარი მდ. ენგურის მარჯვენა მხრიდან. *ახმათ მელიტონის ძე ხარძიანი, 43 წ., მოსამსახ., კალის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

ლაკვლმახი – ს. ლაკვლმახის ჩამოუღის პატარა წყალი. ადრე ბევრი კალმახი სცოდნია, ამჟამად ამოწყდაო, უერთდება მდ. ჭუბრულას მარცხენა მხრიდან ს. ლაკვლმახის ბოლოს, ლექუერთან. „საკალმახე“. *ვასიკო მუზას ძე ჩხეტანი, 40 წ., მესტიის რ-ნი, ს. ჭუბერი. 1970 წ. სექტ.*

ლაკვლმახი – სოფელი, მდ. ნაკრას მარჯვენა მხარეზე, ჟაბე ნაკ-სა და ჩუზბე ნაკს შორის. ადრე კარგი საკალმახე ყოფილა ნაკში. *არსენა სიმონის ძე გვარამიანი, 57 წ., პედაგოგი, ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

ლაკვლმახი (3) – სოფელი, დეღე (ჭუბერი, ნაკი), მდებარეობს მდ. ჭუბრულას მარცხენა ჭალის ზემოთ, ცენტრის ქვემოთ. ხეხილიანია კარგი, სათიბ-სახნავებით. ცხოვრობს 12 ოჯახი. ჩამოედინება წყალი ლაკვლმახი. „საკალმახე“ – სახელწოდება სოფლისა მიღებულია წყლის სახელისგან. *ვასიკო მუზას ძე ჩხეტანი, 40 წ., მესტიის რ-ნი. ს. ჭუბერი. 1970 წ. სექტ.*

ლაკვლმახი ლიც – დეღე (სგურიში), მდ. ჭუბრულას მარჯვენა შენაკადი, მოედინება მთა ხარამის აღმ. კალთის ძირიდან, ს. სგურიშის ბოლოს. ვაკე ადგილია, დგას წისქვილი. კალმახი იცის საკმაოდ. ლმჰარ-ს უწოდებენ საწისქვილე წყალს „ლექუერთე ლგჰანე ლიცს ხუაყლედ“. *თამაზ დიმიტრის ძე ნარსავიძე, 18 წ., საშ. სკოლადამთავრებული, ს. ყარ, ჭუბერის სს, მესტიის რ-ნი. 10.9.1970 წ.*

ლაკვლმახიშ ყაფარ – სათიბი-სადოვარი (ლაკულმახი), ს. ლაკვლმახის სამხ.-აღმ. ქედნაშ გორაგამდე ტყეშია აქა-იქ მოლიანი სათიბები დამრეცი (წაფხ ლი) რელიეფით. *ვასიკო მუზას ძე ჩხეტანი, 40 წ., მესტიის რ-ნი, ს. ჭუბერი. 1970 წ. სექტ.*

ლაკვლმახიშ ჭუედ – საძოვარი (ლაკულმახი), სოფელ ლაკვლმახის ჩრდ.-აღმ. მხარე, დაქანებული ფერდი, დამრეცი კალთებით. გამოყენებულია საქონლის გასარეკად, საძოვრებად. „საკალმახეს კედელი“. *ვასიკო მუზას ძე ჩხეტანი, 40 წ., მესტიის რ-ნი. ს. ჭუბერი. 1970 წ. სექტ.*

- ლაკვრტენა** – გზა (იელი), ს. იელის სამხ.-დასავლეთითაა, სამანქანო გზა მესტიიდან მომავალი სოფლამდე, სოფლის ახლოსაა. *რ. ვ. ხვიბლიანი, 38 წ., მოსამსახ., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1972, VII.*
- ლაკვც კარაუ** – საბალახო (ლანჩვალის), მესტია ჭალაშს მარცხენა კალთაზე, აეროპორტის ჩრდ. კივ (ბქვ. ტკიც). *პირიბე ქელეზბის ძე ნიგურანი, 33 წ., კოლმ., ს. ლანჩვალი. 1972.*
- ლაკვამ აყბა** – სათიბი (ახალშენი), მთა დადიაშშია, მაშენამსგოჯუარ-ის აღმ. ფიქალსახდელი კლდეა. რელიეფურად ყბასავითაა. *მ. ლ. ნემსაძე, 40 წ., 1974.*
- ლაკვარჩხ** – კლდე (აგრაი), ს. აგრის აღმ. კლდიანი ადგილია. *ნასო დიმიტრის ძე გულბანი, 55 წ., მოს., კოლმ. თავმჯდომარე, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*
- ლაკვად** – რიყე (ლახამულა), ჩვ. ლახამულისა და მდ. ენგურს შორის, მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროს რიყე, ეკლესიის აღმ. მორნიშის სათიბის დასავლ. მორევი, სადაც საშემე მასალას იჭერენ. ლაკვად „ზექიმ ლაკვადი“. (იტხეხ, ირმისგხ). *გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- ლაკვალ** – სამოვარი (ლადრერი), სოფლის ჩრდ.-დასავლ. სამანქანო გზის ზემო და ქვემო ნაწილები, ხრიოკი ადგილია, წიწვიანი ტყე აკრავს დასავლ. მხრიდან. „უნაყოფო, მწირი“ (?). *გერმან ბიმურზას ძე აფრასიძე, 58 წ., კოლმ., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტომბერი.*
- ლაკვამ** – სათიბები, ბარბალ ზაგარის აღმ. სათიბები. ფიქალნარევი. ს. ბაბილი. *ნ. ბ. ქურასბედიანი, 33 წ., 1974.*
- ლაკვამ (2)** – სათიბი (მელურა, ბაბილი), მდ. ჩოლშურას მარცხენა მხარეზე ფიქლიანი არაა, ქვემოთ – კი მოედინება ღელე. კა „ფიქალი“. *ვ. მ. მუსელიანი, 57 წ., 1974.*
- ლაკვამ ტუბრა** – ღელე (ყაბეში), მდ. ტუბერგლას მარჯვენა შენაკადი, ჩამომდინარე მთა ლელაშხას შუა ნაწილიდან. ღელეს ფიქალ-ქვა აქვს ბლომად. *მესა იასონის ძე კახიანი, 77 წ., სექტ., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- ლაკვამლო** – თხილნარი (ცანა), ს. ცანას ბოლოში, დავაკებაა, დევს დიდი ლოდები, თხილნარიცაა.
- ლაკვამ** – სათიბი, მდ. ხუირზიმ ჭალას მარცხენა კალთა, ფერდი, სათიბ ლაშხალდის ჩრდ.-აღმ. ს. ლამხერი. *მახამეთ პეტრეს ძე დევდარიანი, 49 წ., 1969 წ. ოქტ.*
- ლაკვამ** – სათიბი, ს. ლანხურის ქვემოთ, სამანქანო გზის ქვემოთ, დაღმართი (კაჩ) ადგილია. ლაკვამ „მარხილის გრძლივი თოკი“. *აკაკი ანდრიას ძე გაბულდანი, 57 წ., კოლმეურნე, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტ.*
- ლაკვამ** – ყანა, ს. ლანტელის სამხ.-დასავლ. ყანა ჯოდიშს დასავლ. ფორმის მიხედვით (ჯოდი თაკუშმალ ლაკვამ როქტ ლი. ლაკვამ სატუშ ლათლგრა კაჩთემ). *კოჩია ბეჭერზას ძე პაკელიანი, 72 წ., 1969 წ. X.*
- ლაკვამ** – ყანა, ს. ჟიბე გულ, ჩრდ. ესზღვრება მარხილანი (სათიბი), მარხილანისა და ლაკვამ-ს შუა გადის სამარხილე გზა, ეკუთვნის გომუხანთ. კაჩ „აღმართი“, ლაკვამ, „აღმართი ადგილი, დამრეცი“. *ანთუყ ნასავის ძე ხორგუანი, 80 წ., პენსიონერი, ს. ბაგუდანარ, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტ.*
- ლაკვამ (7)** – ყანა (ლემსია, ლანტელი, გული, ღვებრა, მურშველი), სათიბი (ლამხერი, ლანხერი), ს. ლემსიაშია, სამანქანო გზის ქვემოთ, დამრეცი რელიეფით. *შადურ ადილარის ძე შუკვანი, 28 წ., მოსამსახ., მესტიის რ-ნი. 1972, IX.*
- ლაკვამ 11 ლაკვიერ** – ყანა (ები) (მესტია), ს. მურშველის დასახლების ჩრდ.-დასავლ. დამრეცი ყანებია. *გურამ ალექსანდრეს ძე ქურდიანი, 34 წ., მოსამსახურე, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- ლაკვამ 11 ლაკვიერ** – ყანა, ს. ღვებრას დასახლების დასავლ. ფერდობია. *ალექსანდრე მახარობლის ძე მარგანი, 83 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- ლაკვამი დაბ (იხ. ლაკვამ).**
- ლაკვამილშ** – სამოვარი (ლენტეხი, ქვ. ბავარი), ს. ქვ. ბავარის მთა ბავალაშში. ხელედის ს.ს., ლენტეხის რ. *შ. ი. ბენდელიანი, 40 წ., კოლმეურნე, ვ. ს. ჩანქსელიანი, 44 წ., კოლმეურნე, 1976.*
- ლაკვამ ბოგ** – ხიდი (ლახუშდი), ხიდია მდ. ენგურზე, წყალგალმა გასასვლელი, სამანქანო ხიდია. სათიბ ლაკვა-სა და შგედ-ს აერთებს. *გიორგი ანდრიას ძე ფირცხელიანი, 65 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1972, IX.*
- ლაკვამ ლატუბ** – ღელე (ქაშვეთ-ლაშთხვერი), ჭალაშს მარცხენა კალთაზე, მოედინება წყალი, ფიქალქვიანიცაა. *ვახტანგ გრამიტონის ძე ჯაჯვანი, 37 წ., ლენჯერის ს.ს., 1972 წ.*

ლაკალ – სათიბი, ტყე (ქაშვეთ-ლაშთხვერი).

ლაკალ (2) – სათიბი (იელი), სათიბი, ტყე (ქაშვეთ-ლაშთხვერი), ენგურის მარჯვენა კალთაზეა, ფიქლები არაა, დასახლების ქვემოთ. ს. იელი, ივარის ს.ს., *რ. ვ. ხვიბლიანი, 38 წ., კოლმ., მესტიის რ-ნი. VII. 72 წ.*

ლაკრჯილარ – სათიბ-სამოვრები (სასაში, მებეცი), ს. სასაში, კლდიანი ქვემოთაა.

ლაკრჯილარ – სახნავი, სათიბი (სასაში), ს. სასაშის დასავლ. ტყენარევია, ასასვლელშია კლდე. *ლენტეხის რ. მ. ვ. ონიანი, 41 წ., 1974.*

ლაკტარამ – სამოვარი (კახურა), ს. კახურას ჩრდ-დასავლ. ტყეშია. *ჯ. ა. ლიპარტელიანი, 37 წ. 1974.*

ლაკუმდინალ (2) – გზა (მესტია, ტვიბერი), ტყე (სვიფი, ფარი), ტყე ლაქუარის ჩრდ. (ქვემოთ). გზა ზიგზაგებიანი ს. ტუბიბერისკენ. ლაკუმდინალ „საკეცი (გზები)“. *ბორის ბესარიონის ძე ქალდანი, 43 წ., ეკონომისტი, ს. ტუბიბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლაკუმდინალ II ლაკუმდიაწარ – გზა, ტყე, სამოვარ ლაქარაწარზე გადის გზა, მიხვეულ-მოხვეული. წიწვნარი ტყეც მის სახელს ატარებს (ლაკუმდინალ შუკუარ ლიხ). კუმედ (< კუმეთ) „კეცა“ (იკეცება). სტიფ, ფარის ს.ს., *ტარიელ ქემუზას ძე გადრანი, 57 წ., კოლმ., პარტორგი, ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლაკუმდინალწარ (იხ. **ლაკუმდინალ** – ტვიბერი).

ლაკუინ – სამოვარი (ლეზგარა), არყნარი ადგილია, დგას დიდი ქვა, საჯდომად ვარგისი. *გიორგი სათგერის ძე ქალდანი, 78 წ., პენსიონერი, ს.ტუბიბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლაკუიც – ლწროლ- სათიბები (ახალშენი), ს. ახალშენის ჩრდ-აღმ. გადმოცემით: ცხენს კვიცი მოუგიაო (?). *მ. ლ. ნემსაძე, 40 წ., 1974.*

ლაკუიც ლარლ – სათიბები (ახალშენი), ს. ჩიხარეშის ჩრდ-აღმ. ახალშენში. კუტიცი-ი (?). ჩიხარეშის ს.ს., *ა. ქ ნემსაძე, 52 წ., 1981.*

ლაკუმაშწარ – სათიბები (ზ. ბავარი), ს. ზედა ბავარის მთა მაცხვარიშია. ხელედის ს.ს., *ლენტეხის რ. შ. ი. ბენდელიანი, 40 წ., კ. ს. ჩანქსელიანი, 44 წ. 1976.*

ლაკურემ – კლდე (მამი).

ლაკურემ – სათიბი (ჩუკული), კლდე (მამი), ჩუკულის მთაში. ჟახუნდერის ს.ს., *ლენტეხის რ. ნ. დ. გულბიანი, 26 წ., 1976.*

ლაკურემაშ – სამოვარ-სახნავი (მამი), მამში, საქონლის შესაყრელი ადგილია. წყარო მოედინება, დაჭაობება არაა. *ჩოლურის ს.ს., ლენტეხის რ. ბ. გ. ბაბლუანი, 73 წ., 1978.*

ლაკურემილ – სამოვარი (ლახამულა), დასახლ. გემწარის სამხ-დასავლ. მინდორია, მწკერვალი, მიჟ მოლე გარ ხერკენი, მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროსკენ. *გელა ფუთეს ძე ჭკადუა, 64 წ., პენსიონერი, მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

ლაკურწფხ – ტყე (არცხელი), ს. არცხელის სამხ-აღმ., მულხურას მარცხენა მხარის ფოთლოვანი ტყე. ლაკურწფხ (კურწფხ „ნორჩი ყლორტი“). *ნოდარ ნიკოლოზის ძე მარგიანი, 33 წ., მოსამს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

ლაკურწფხი ბოგ – (ჟამუში, არცხელი), ს. ჟამუშის დასახლების სამხ. მდ. მულხურაზეა სამანქანო ხიდი. სამოვარ ლაკურწფხის მიდამოებში. *გიორგი გაბრიელის ძე ნავერიანი, 76 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

ლაკუმდიაწარ (იხ. **ლაკუმდინალ** – სვიფი, ფარი).

ლაკუცამ – უბანი (თეკალი), ს. თეკალში, გზის ზემოთ. ლაკუცამ „საჯიხვე“ ? ლიკვორე „ქვის შეროვება ყანაში“. *ლენტეხის რ. ი. გ. გარდაფხაძე, 62 წ., ნ. მ. ბაბლუანი, 66 წ., 1978.*

ლაკუციერ სგიმ (იხ. **ლწთხარაწ სგიმ**).

ლაკუნწა – სათიბ-სამოვარი (ჟიბიანი), ს. ჟიბიანის ჩრდ-აღმ. მდ. ენგურის (ჭალას) მარჯვენა კალთაზე, სათიბ-სამოვარ შყაბწწის თავზე. შეკრულ თივას ყრიდნენ იქიდანო. „სასროლი“. *სოსო სემლარის ძე ნიჟარაძე, 19 წ., სამ. სკოლადამთავრებული, ს. უშგული, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

ლაკურემიალ – ღელე (ლენტეხი), მდ. ჩოლმურას მარჯვ. იყინება. მოედინება ლაკურემიალე კოჯ-იდან.

ლაკურემიალე კოჯ – კლდე (ლენტეხი), მდ. ჩოლმურას მარჯვენა კალთაზე. წყალი მოედინება და იყინება. *ე. გ. ლიპარტელიანი, 62 წ., 1974.*

ლალაბ – სათიბი (ნასახლ. ლაშხრაში), ჯუხტლწწისა და ლწმწრწმს შორის მდებარე ქელიმ-ის სათიბშია, სათიბ ფწრცმწწის ჩრდ. ნოტიო ადგილია. ლწმწრწმიდან ქვემოთ ≈ 400 მ-ზე არაყის გამოსახდელი იქა მარტო. კასრებიდან საარაყეს ქვაბებში გადასხმას „ლილა“ბი“ ჭქვია (?). *ვასილ ბურნაყის ძე ქალდანი, 57 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

- ლალაგენი** – სამოვარი (ბულეში), მთის სამოვარია, საქონლის სადგომი, კარვებიცაა. ჩოლურის ს.ს., *ქ. ა. მუკბანიანი, 41 წ., 1978.*
- ლალაგენი ლიცნო** – წყარო (ბულეში), ს. ბულეშის მთაში, ლალაგენში. ჩოლურის ს.ს., *ქ. ა. მუკბანიანი, 41 წ., 1978.*
- ლალაგენი ტეტრ** – ტყე (ბულეში), ფიჭვნარი ტყე ბულეშის მთაში. ჩოლურის ს.ს., *ქ. ა. მუკბანიანი, 41 წ., 1978.*
- ლალაგენოლ** – სათიბ-სამოვარი (ქვ. ჭველიერი), ს. ქვედა ჭველიერშია, საკარვე ადგილიცაა. *ფ. ი. მუკბანიანი, 27 წ., 1974.*
- ლალაზ დარა/ იმ ლაქმოლ** – სათიბი (ზ. ვედი). *არჩილ კოსდას ძე ჭკადუა, 40 წ., ს. ზედა ვედი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. IX.*
- ლალაზ დარა/ იმ ნენჩა** – წიწვნარი (ზ. ვედი). *არჩილ კოსდას ძე ჭკადუა, 40 წ., კოლმ., ს. ზედა ვედი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. IX.*
- ლალაზ დარ** – ღელე (ზ. ვედი), ბოგელის ხევში, მარჯვენა მხარეზე. *არჩილ კოსდას ძე ჭკადუა, 40 წ., კოლმ., ს. ზედა ვედი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. IX.*
- ლალაზ დარიმ ნაკვლდარ** – ტყე, სამოვარი (ზ. ვედი). *არჩილ კოსდას ძე ჭკადუა, 40 წ., კოლმ., ს. ზედა ვედი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. IX.*
- ლალაპარ** – გზა (მაზაში), ს. მაზაში, მთისკენა გზაზე. ლალაპარ „მისაპარებელი ადგილი“. ლენტეხის რ. *შ. მ. ლიპარტელიანი, 29 წ., მუშა. 1976.*
- ლალასგიდროლ** – სამოვარი (ჩუკული), უბან ლეკუ-მზასტში, მალლობი, გადასახედი (ს. ჩუკული). ჟახუნდერის ს.ს., ლენტეხის რ. *ზ. ს. გულ-ბიანი, 22 წ., მოსამსახურე ს. ჩუკულიდან. 1976.*
- ლალასიპოლარ** – გზა (ახალშენი), სამარხილო გზა მურყვამისკენ გზათა გასაყარია, ერთი მიდის ლაშხარამისკენ, მეორე – ახალშენისკენ. *მ. ლ. ნემსაძე, 40 წ., 1974.*
- ლალაჭუ** – სამოვარი (ლახამულა), ენგურის მარცხენა კალთაზე, სამოვარ წანის დასავლ. მენაკ ადგი ლი, ხილნარი. ნამგემ ლი ი გვრკდიშენ ცხეკ ხარ – უფრო წიწვიანი ტყეა. (რანჭუ ამჟამად არაა). *გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- ლალახა დაბ** – სათიბი (მაცხვარიში), მაცხვარიშის მთის დასაწყისში, ეკლესია მის ზემოთაა. დამრეცი რელიეფით. ხელედის ს.ს., *შ. მ. ჩანქსელიანი, 46 წ., 1974.*
- ლალაკად** – სახნავი (ყვედრეში), ს. ყვედრეშია, ტყის გამოსასვლელის შემდეგ მდებარეობს, მალლობზე. „გამოსასვლელი“. *ქ. პ. ლიპარტელიანი, 30 წ., 1974.*
- ლალბაშ ლიც** – წყარო (მესტია, ნასახლ. ჯუხვლანი), ნასახლარ ჯუხვლანისა და ნასახლარ ლაშხარაშ შორის, სათიბ ქელიშია, ჭაობიანი ადგილი. ნაკის ს.ს., ლაშხარაში. *ვასილ ბურნაყის ძე ქალდანი, 57 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- ლალბაში** – სამოვარი (წიფლაკაკია), ს. წიფლაკაკიაში. დგას დიდი ცაცხვი საკულტო ადგილი. ლილბაშ აპრილის თვეში ამინდის შესახებაა ლოცვა. ლენტეხის რ. *მ. გ. ლიპარტელიანი, 42 წ., 1976.*
- ლალგენ** – სამოვარი მთა (მაგარდელი), ს. მაგარდელთან სამოვარი მთა, დგას კარვები. ლალგენ „სადგომი“ (?). *ივანე ბექას ძე მილდიანი, 99 წ., პენსიონერი, ს. მაგარდელი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- ლალგენ (2)** – მთა (შვედი, მაგარდელი), ს. შვედში. ვაკე ადგილია, საქონლის სადგომი. კუმში ლალგენ ლემარ. ს. შვედი, ჩიხარემის ს.ს., *ქ. ს. ონიანი, 34 წ., 1976.*
- ლალგენარ** – სამოვარი მთა (ისკარი), მთა დეცილის სამხ., სამოვარ მთა ლუჩაქელის დასავლ. ნაკისკენ. დგას 2 კარავი, ადრე 10-მდე ყოფილა. *ლა-ლა-გენ-არ „სადგომი“. *ფურჩე ფურჩე ძე გერლიანი, 87 წ., პენს., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. X.*
- ლალგუჭერლა** – ქვიშნარი (კაერი), ს. კაერის სამხ. მდ. მესტია ჭალაშ მარჯვენა, ნაპირთან. არის ძველი ნახიდარ-ნაწისქვილარი. *დ. გ. მერლანი, 23 წ., ლენტეხი. 1973.*
- ლალგერა** – ღელე (მაზაში), ს. მაზაშია. ლნტხ. რ., ჩიხარემის ს.ს., *რ. მ. ჭელიძე, 1976.*
- ლალგუჭერა ტუბი** – ხევი (ზესხო), ს. ზესხოში, ადრე წისქვილები იყო. ცანის ს.ს., ლნტხ. რ.
- ლალგუჭერა** – სამოვრები (ლუჯი), ს. ლუჯში, მდ. ხემკურის მარცხენა მხარეზე. წისქვილები არის. ლეგუჭერ.
- ლალდეგალრიმ სარაგ** – წყარო (ტვიბერი, ლეზგარა), თერგის წყლის შენაკადი, წყარო წყლისოდენაა. სამოვარ ლალდეგალარ-თან. ჰიდრონიმის მიხედვით. *ლოლა მგვას ასული ქალდანი, 24 წ., კოლმეურნე. ს. ტუბიბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლალდესგალზ – სამოვარი (ტვიბერი, ლეზგარა), ლჭბიდალრიშ ტობ-ის დასავლ. ჩამოუდის თერგის წყლის შენაკადი – ლალდესგალრიშ სარზგ. წყაროსთან დასავენებელი ადგილია, ფეხზე იხდიან, იბანენ და ისვენებენ, სახელიც აქედანაა – „ფეხს ჩასაცმელი“. *ლოლა მგვას ასული ქალდანი, 24 წ., კოლმეურნე. ს. ტუიბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლალდლიზ – საბალახო (ჰოლაში), ს. ჰოლაშის სამხ., მდ. მულხურას მარცხენა კალთის ფერდობები. *ნიკოლოზ კონტანტინეს ძე შერვაშიძე, 61 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

ლალდლიზი ლეფხანჭუ – მსხალნარი (არცხელი), ს. არცხელის სამხ-დასავლ. მულხურას მარცხენა მხარეზე. სამოვარ ლალდლიზი-შია საადრეო პანტა მსხლებია, რომელიც გაირჩევა სხვა მსხლებისაგან. ლეფხანჭუ „საადრეო პანტა მსხალი“. *ნოდარ ნიკოლოზის ძე მარგიანი, 33 წ., მოსამს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

ლალდლიზი ლარე – სათიბი (არცხელი), ს. არცხელის სამხ-დასავლ. მდ. მულხურას მარცხენა კალთაზე. სამოვრები იქნებოდაო. *ერმალო ციოყის ძე ჟორჟოლიანი, 85 წ., პენს., ს. არცხელი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

ლალდღარ – სამოვრები (გული), ს. გულის ჩრდ-აღმ. სათიბ-სამოვარ ჯურუჯარ-ის აღმ., შიშველი ალპური ზონა, საერთო სამოვარია მთელი ბეროს ზედა სოფლებისათვის. ლალდღარ „სამოვრები“. *ანთუყ ნასავის ძე ხორგუანი, 80 წ., პენსიონერი, ს. ბაგუდანარ, ბეროს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტ.*

ლალდღარ ზენარ – სამოვრები (ლაკულმახი), ს. ლაკულმახისა და ცენტრს შორის მდებარე მდ. ჭუბრულას მარცხენა რიყის ვაკე ადგილი. გორვებიანი რელიეფითა და თხემელნარით. „სამწყემსაო ზენები“ (ვაკეები). *ჭუბერის ს.ს., ვასიკო მუზას ძე ჩხეტიანი, 40 წ., მუშა. მესტიის რ-ნი, ს. ლაკულმახი. 10.9.70 წ.*

ლალედ – ყანა (გულიდა), ს. გულიდაშია. ლალ-ედ ? მ. ბ. *ქურასბედიანი, 46 წ., 1974.*

ლალენჭყარ – სათიბი (შკედი), ს შკედში ჭაობნარი. ჩიხარემის ს.ს., ლნტხ. რ. *ჟ. ს. ონიანი, 34 წ., 1976.*

ლალთერ – სამოვრები (ფალედი), მდ. ლემდრგლას მარჯვენა კალთაზე, სამოვარ ჰანშარის

დასავლ. მოედინება წყალი. ლალთერ „სასმელი“ (?) *მამურზა ივანეს ძე ჩხვიმიანი, 69 წ., პენს., ს. ლემდერი, ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლალთორლდამ – სათიბი (მამი), მამის ჩრდ. ჩოლურის ს.ს., ლენტეხის რ. *ი. ნ. ჯამბურიძე, 59 წ., 1978.*

ლალკირალ – სათიბი (სასაში), ს. სასაში, კირიცაა.

ლალკოშნა – ყანა (ახალშენი), ახალშენის აღმ., ჩიხარემის ერთ-ერთ უბანში. *ა. ქ. ნემსაძე, 52 წ., 1981.*

ლალმესგორ – სათიბი (ნაცული), ნაცულის მთაში, ალპური ზონა.

ლალოკა – კლდე (ციცხვარი), ს. ციცხვარის სამხ., ტყიან ადგილას კლდეა, პატარა გამოქვაბულიც, სადაც ჟონავს, ასველებს წყალი, იცის მრავლად გარეული თხა (ჰერსკენარ). *ვალო გაიოზის ძე ჭკადუა, 36 წ., კოლმ., ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1970 წ. ნოემბერი.*

ლალოკა (2) – კლდე (ხევრა, ციცხვარი), *ვ. მ. ჭკადუა, 30 წ., ლახამულა. 1973.*

ლალსგურა – გზა (ლემსია), ს. ლემსიიდან მთა ლწლიწმისკენ მიმავალ გზაზეა, კარგი სახედი ადგილია მწყემსთათვის. *შადურ ადილარის ძე შუკვანი, 28 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.*

ლალსგურა – ტყე, ლემსიის ჩრდ-დასავლ. ტყეშია პატარა მაღლობი. *შადურ ადილარის ძე შუკვანი, 28 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.*

ლალსგურა – შესასვენებელი ადგილი, (ლაჰილი), ს. ლაჰილის სამხ-დასავლ. გზაზეა შესასვენებელი, გზა მთა ჭალანდსკენ (ლწჰლანდ). *ზ. ს. პაკელანი, 48 წ., ლატალი. 1973.*

ლალსგურა (4) – სამოვარი (ღვებალდი), შესასვენებელი (ლაჰილი), გორაკი (ლემსია), ს. ღვებალდის ჩრდ.-დასავლ. დაახლოებით. 1 კმ. სიშორეზე, პატარა მდელოა, მუშაობის შემდეგ ისვენებენ, ან გზად მიმავალისთვისაც დასასვენებელი ადგილია. მის გვერდითაა სათიბი ჭიშხილდ (≈ 0,5 ჰა.). *მიშა ილოს ძე გერლიანი 39 წ., კოლმეურნე, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლალულდიერ – ყანები (ზეგანი), ს. ზეგანის ლესტლანის უბანშია, ვაკე ადგილებია. *დისონ გიორგის ძე გულბანი, 49 წ., კოლმ., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

ლალქან (2) – ტყე (სვიფი – ეცერი); იხ. ნალქან (ფარი), ს. სუიფის ჩრდ.-დასავლ. სუიკუს ქვემოთ ტყიანი (გატყიურებული) ადგილი.

ადრე სახნავი ყოფილა (ქანს ლემჯანელი). ქან „კანაფი“ – საკანაფე. *აკაკი სორების ძე აფრასიძე, 66 წ., პენს., ევერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. X.*

ლალქან (იხ. **ნალქან** – ფარი).

ლალქანა – სათიბი, ს. ლანხურის ქვემოთ, ნემპრიშ სუიკუტს აკრავს ჩრდ.-დასავლეთით. ნახნავია თუ არა, არ ჩანს. ლალქანა „საკანაფე“. ს. ლანთხური. *აკაკი ანდრეას ძე გაბულდანი, 57 წ., კოლმეურნე, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტ.*

ლალქანა – სამოვარი, (მესტია), ს. ჭერის ქვემოთ, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეზე, სამანქანო გზის ორივე მხარეზე. ადრე კანაფის სათესი ადგილი ყოფილა. ს. ჭერ. *ჟვანია ზემას ძე ჭკადუა, 42 წ., მუშა, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1970 წ. ნოემბ.*

ლალქანა – სახნავი, ს. ზარდლაშის დასახლების აღმ. მხარეში შემოკავებულია. ითესება კანაფი. ნაწილი კალოა. *შამში ნესტორის ძე გაბლიანი, 67 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

ლალქანა – სახნავი, ს. ტუბერის დასავლ. სახნავი მიწა. თამარშანის აკრავს ჩრდ-ით. „საკანაფე“. *მიხეილ ლემინის ძე ქალდანი, 45 წ., კოლმეურნე, ს. ტუბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლალქანა (5) – სამოვარი (ლახამულა, ჭერი), სათიბი (ლანხვრი), ყანა (არცხელი, ტვიბერი, ზარდლაში), ენგურის მარცხენა სანაპიროსთან, ბოგზაგარს აღმ. რიყესკენ. ადრე კანაფის სათესი იყო, ამჟამად რიყის სამოვარია. *კოწი იოსეს ძე კვანჭიანი, 55 წ., კოლმ., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

ლალქანელ – ნაყანები (ლემზაგორი), ს. ლემზაგორაში. ქან ითესებოდაო ალბათ.

ლალქანი ღელა – ღელე (გულიდა), ტყეში მოედინება, ლალქანიარში. ლენტეხი. *თ. ბ. ქურასბედიანი, 30 წ., 1987.*

ლალქანიშ – სამოვარი (ტვიბლელი), ს. ტვიბლედშია, მდ. ტვიბლედურას მარჯვენა მხარეზე. დაფერდებულია. *ნ. ს. ჩანქსელიანი, 24 წ., 1974.*

ლალქანიარ – ტყე (გულიდა), ს. გულიდ-შია, იყოფა: ჩუბე ლალქანი და ჟიბე ლალქანი. ღელეა შუაში – ლალქანი ღელა. ტყე წიწვნარია, კარტოფილი ითესებოდაო, ქანიც ითესებოდა. ქან „კანაფი“. *თ. ბ. ქურასბედიანი, 30 წ., 1974.*

ლალქანალ – ყანა (ციოყმერი), ციოყმერში. კანაფის სათესი იყო. ლენტეხის რ. *რ. დ. შავრეშიანი, 46 წ., 1978.*

ლალქანალიდ – სათიბი (სიდიანარი), ს. სიდიანარის აღმ., ტიბის მარჯვენა კალთაზე. ნახნავი არააო. *ვალო ა-ძე სიდიანი, 37 წ., ლატალი. 1973.*

ლალქანაშ დაბ (იხ. **ლალქანა** – ტვიბერი).

ლალქანაშ დაბ – ყანა (არცხელი), ს. არცხელის სამხ-დასავლ. მულხურას მარცხენა კალთაზე. ამჟამად კანაფი არ ათესია. ადრე კი.

ლალქანაშ – ყანა (ლაღამი), ს. ლაღამის დასახლების სამხ-დასავლ. ოდნავ დამრეცი ადგილია. *გ. ი. ფალიანი, 38 წ., მოსამსახ., მესტიის რ-ნი. 1972, VIII.*

ლალქანელ – სათიბ-სამოვარი (ჰადიში), ს. ჰადიშის დასავლ. ჰადიშურას მარჯვენა კალთაზე, ადრე სახნავი ყოფილა, ითესებოდა კარტოფილი. ქან „კანაფი“. *სოფრო გიორგის ძე აველიანი, 60 წ., პენს., ივარის ს.ს., ს. ჰადიში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

ლალქანელი ტუბრა – ღელე (ჰადიში), ს. ჰადიშის სამხ-დასავლ. ჰადიშურას მარჯვენა შენაკადი. *მანი ლევანის ასული პირველი, 50 წ., დიასახლისი, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

ლალქანერ – ყანები (ნაკიფარი), ს. ივარის ჩრდ-აღმ. მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროს ყანები – ხიდემდე. შეიძლება კანაფს თესდნენო. *ლუკვა ბესის ძე გულბანი, 88 წ., პენს., ს. ნაკ-იფარი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

ლალქანი ქაშან – ბილივი (გულიდა), ს. გულიდშია. ჩრდ-აღმ. *თ. ბ. ქურასბედიანი, 30 წ., 1974.*

ლალქანილ – ყანა (ხევრა), ს. ჯერიაშია. საკანაფე ამჟამად არაა.

ლალქოდარ – სათიბი (იელი), ენგურის მარცხენა კალთაზეა, აცის უბნის კუთვნილებაა. *იონა ვისიბის ძე სამსიანი, 77 წ., პენს., ივარის ს.ს., 1972, VII.*

ლალქტერი ლიც (იხ. **ჩუბე ლეკაშ ტუბი**) (2) – ღელე (ნაშთქოლი), ს. ნაშთქოლს აღმ., ქამე ლარას მარცხნივ. არის რამდენიმე წისქვილი. დანიშნულების მიხედვით. *ქიშვარდი იოსების ძე წერედიანი, 49 წ., კოლმეურნე, ს. ნაშთქოლი, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტემბერი.*

ლალქტერი ლიც (იხ. **ჩუბე ლეკაშ ტუბი**).

ლალქუერი ტუბი (იხ. ჩუაბე ლგჰჰ ტუბი).

ლალქუტი – სამოვარი, ს. უშგულის აღმ., მდ. ენგურის მარცხენა კალთაზე, არყნარი ტყეცაა და კლდოვანი ადგილიც. სათიბ ლალშირაშლის მარჯვენა. მიხეილ დავითის ძე რატიანი, 27 წ., მოსამს., ს. ჟიბიანი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.

ლალქუტი – ტყე, ფუშყვერის მარცხენა მხარეზე, შერეული ტყით. ელგუჯა ვლადიმერის ძე გულედანი, 36 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.

ლალქუტი (3) – სათიბი (მაცხვარიში), ტყე (ნესგუნი), სამოვარი (ჟიბიანი), ლჰჰლა ჭალადს მარცხენა კალთაზე. გურამ გ-ძე გირგვლიანი, 35 წ., ლატალი. 1973.

ლალღანრიელ – ტყე (მურყმელი), ს. მურყმელის დასავლ., მდ. ენგურის მარცხენა მხარეზე ფოთლოვანი ტყეა, უმეტესად არყნარი. იცის დიდი თოვლი, გზას გადათოვებენ. ლილღჰი „გადმოთოვა“. ნუცა ანტონის ასული ნიჟარაძე, 62 წ., პენს., მესტიის რ-ნი, უშგულის ს.ს., 1971 წ. VII.

ლალღუამ – სამოვარი (ტვიბი), ს. მუწვდისა და ს. ტვიბის საზღვარზე. მგხრას მარჯვენა მხარეზე. ლალღუამ ? დიღომ „ნოყიერ მიწა“ (?). ჩოლურის ს.ს., გ. გ. ზურაბიანი, 40 წ., გ. დ. ხაბულიანი, 36 წ., 1978.

ლალყუმარ – ყანები (ლალხორი), ს. ლალხორის აღმ. მხარე, ხალდეშურას მარჯვენა კალთაზე. ნინა გიორგის ასული გამყრელიძე, 49 წ., მოსამს., ს. ლალხორი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.

ლალშერალარ – სათიბი (ლემსია), ს. ლემსიას საზაფხულო მთაშია, ფერდობია, ფიქალის მაგვარ ქვიანია, კინჯბღლარა ზუბა ადგის ხარ. შადურ ადილარის ძე შუკვანი, 28 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.

ლალშირაშ – კლდე (მურყმელი), ს. მურყმელის დასავ, კლდე, საიდანაც მოაქვთ წისქვილის ქვების სალესი ქვაც. ლაშერ „სალესი ქვა“. შორა „წისქვილის ქვა“. მაქსიმე დავითის ძე კაკრიაშვილი, 40 წ., მოსამსახურე, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.

ლალშირაშ – სათიბ-სამოვარი (ჟიბიანი), ს. უშგულის აღმ., ენგურის მარცხენა კალთაზე. სამოვარ ლალქუტისა და ჟონა ტუბის შორის. კლდოვანი ადგილია, საწისქვილე „საზადოც“. შორა „წისქვილის ქვა“. (ლაშერ „სალესი ქვა“). მიხეილ დავითის ძე რატიანი, 27 წ., მოს., ს.

ჟიბიანი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.

ლალჩქარ – გზა, სამოვარი (მაგარდელი), ჰუტიჰ ზაგარს სამხ., ლემენჯარს ზემოთ, მთისკენ. ივანე ბექას ძე მილდიანი, 99 წ., პენსიონერი, ს. მაგარდელი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.

ლალჩაშ – გამოქვაბული (ყაბეში), მდ. წანერგლას მარცხენა მხარეზე, კლდე ნაგების ძირში, ცალმაგივითაა. გამოქვაბულია უზარმაზარი – ცალმანგს წაგავს. ლალჩა „ცალმანგ“. ჭიჭიკო ივანეს ძე კახიანი, 44 წ., პედაგოგი, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.

ლალცი – ყანა (ქვ. წირმინდი), ს. ჩუაბე წირმინდშია. ტასო ბაკას ასული ჭკადუა, წ ? მოსამს., ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1970 წ. ნოემბ.

ლალცი ღელ – ღელე (ლუჯი), ს. ლუჯის მთა უჟალში. ჟახუნდერის ს.ს., ლნტხ. რ.

ლალცი შუკულ – ნაბილიკარი (ახალშენი), უწინ გაყუ-იდან ეზიდებოდნენ წყალს. მ. ლ. ნემსაძე, 40 წ., 1974.

ლალციამ – რუ, ს. ახალშენშია, სასმელი წყალი შემოყვანილი. მ. ლ. ნემსაძე, 40 წ., 1974.

ლალციამ – ყანები, სათიბ თხოფელიერისკენ მიმავალი გზის ზემოთ. მოედინებოდა წყალი, ახლა გადმოყვანილია სოფელში. მ. ლ. ნემსაძე, 40 წ., 1974.

ლალციამ (4) – ყანა (ახალშენი, ჩიხარეში), რუ (ახალშენი), სათიბი (ლემზაგორი), ს. ლემზაგორში, წყლიანია.

ლალციამი – სახნავი (ხოფური – ჩიქ.). ლენტეხის რ-ნი. მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრ., ტ. IX, თბ., 1939 წ.

ლალციდშ – სათიბი (ლესემა), ისკალდის მთაში, წყაროები მოედინება. მ. რ. გაზდელიანი, 32 წ., 1974.

ლალცილშ ტუბი – ხევი (ლახამულა), ენგურის მარცხენა კალთაზე, მგჰგლშ ნენჩას დასავლ. „ლიც“-დან. კოწი იოსეს ძე კვანჭიანი, 55 წ., კოლმ., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.

ლალცირი ნიც – წყარო (შკედი), ს. შკედში, სათიბ ლალცირიშია. ს. შკედი, ჩიხარემის ს.ს., ლნტხ. რ., ჟ. ს. ონიანი, 34 წ., 1976.

ლალციარ – სამოვარი მთა (ღემდერი), სამოვარ მთა გუბირაშის სამხ-აღმ. მთა ლაღდევალის დასავლ. წყალი გადმოჰყავდათ საქონლის-თვის ლალციარში ლიციდან. (ლგლჰენშუ). მამურზა ივანეს ძე ჩხვიმიანი, 69 წ., პენს., ს.

ლემდერი, ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.

ლალციარში ლიც – ღელე (ლემდერი), მოედინება მთა ლადეჭალის (იხ. 1: 100000) აღმ. მხრიდან, სამოვარ ლალციართან. *მამურზა ივანეს ძე ჩხვიმიანი*, 69 წ., პენს., ს. ლემდერი, ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.

ლალციანში – სათიბები, მთა ნალიშის ქედს სამხ. წყლები მოედინება. ს. ბაბილი. *ნ. ბ. ქურასხედიანი*, 37 წ., 1974.

ლალციანში – ყანები (ჭველიერი), ს. ჭველიერში. მდ. ლაშხურას მარცხენა ზაფხულობით იცის წყალი. *მ. ე. ლიპარტელიანი*, 80 წ., 1974.

ლალციანში (3) – ყანა, საზღვარი (ჭველიერი), სათიბი (ბაბილი), ზედა და ქვედა ჭველიერის საზღვარი. წყალი სეზონურადაა. ს. ჭველიერი, ჩოლურის ს.ს., გ. ნ. ზურაბიანი, 46 წ., ს. ს. მუკბანიანი, 45 წ., 1976.

ლალციანშიერ (იხ. ლალციანში – ჭველიერი).

ლალცომრილ – მთა, მუნყვლიდან 3 კმ-ის მანძილზე მდებარეობს ეს მთა. სვანები მთაზე რომ საქონელს არეკავენ, იმ დღეს, ან მე-2-ე დღეს ხარშავენ ყველს, რომლისაც ბალს ქვემოთ „ლეცმარს“ ეძახიან, ბალს ზემოთ კი „თაშმუჯაბს“, რაც ქართულად ნიშნავს ადგილს, სადაც ლეცმარი გააკეთეს. ს. ფარი, მესტიის რ-ნი. *ვახტანგ ჟემუზას ძე ნარსავიძე, თსუ, სტუდენტი. 1965.*

ლალცომრილ – სამოვარი მთა (ფარი), მთა ლაღეჭალის სამხ. გადმოცემით: ფარელებისა და ლემდერელების საცილობელი მთა ყოფილაო, ფარელები მოერივნენ და და „ლეცუმარ ჩუ ესერ ოთცტინნახ ფარარს“. *იურა გურმაჩის ძე რეზესიძე, 24 წ., მოს., ს. ფარი, მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

ლალცომრილ – ტყე, ღელე (კიჩხულდაში), ს. ლემდერის სათავესთან, ს. კიჩხულდაშის ჩრდ.(-დასავლ.). ტყე ლაღეჭალისა და ტყე ცხალასტანი-ს შორის მოედინება კარგი წყალი (ღელეა), სადაც მწყემსებს მიჰქონდათ ყველი და ფქვილი და აკეთებდნენ ლეცუმარს რელიეფურად უფრო მეტად ვაკნარია. ლეცუმარ. *თემრაზ ვიბლიანის ძე ვიბლიანი, 49 წ., კოლმ., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

ლალცხატ – საკულტო (ქართვეანი), სათიბ ლალღურს აკრავს დასავლ. მხრიდან. არის სალოცავი ადგილი; იმ ადგილზე არავინ არ

თიბავს. (ლიმზერსი იჩოხ – ლიდბაშის უფლიმერქა). *გრამიტონ პავლეს ძე გაბულდანი, 47 წ., კოლმ., ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. IX.*

ლალცხატე იცხ – ყანა (მესტია – მელიქიშვი.). მესტიის რ-ნი. იცხ – მსხალი. *ორინე მელიქიშვილი, 1961 წელი.*

ლალცხატ – სახნავები, ს. სიდიანარის დასახლების ქვემოთ. არის ოდინდელი ნასაყდრალი წარწერიანი, ქვაა, თუ რაა, გაუგებარია. *ვალო ა-ძე სიდიანი, 37 წ., ლატალი. 1973.*

ლალცხატ (2) – საკულტო (ლეღბაგი), სახნავი (სიდიანარი), ს. ლეღბაგის ზემოთ, ლაღმარ-ას ყანაში. სალოცავი ადგილი. ნაგებობები ნაეკლესიარისა არა ჩანს. *ჟორა დ-ძე აბდეღანი, 37 წ., ლატალი. 1973.*

ლალცხატ – ეკლესიის მიდამო (ჩაჟაში, ჟიბიანი), ს. ჩაჟაშია მაცხატარ, რომლის ტერიტორიას უწოდებენ ლალცხატად, გალაგნის გარეთ. იყო წვრილფეხა საქონლის შესაკრები სოფლისა მწყემსისთვის, იქ ვინც არ მოიყვანდა, მის შემდეგ მწყემსი პასუხისმგებლობას არ კისრულობდა. *ილია ერმალოს ძე ნიჟარაძე, 31 წ., მოსამსახურე, ს. ჩაჟაში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

ლალცხატ – სამოვარი (მახაში), ს. მახაშია. ლნტხ. რ., ჩიხარემის ს.ს., რ. მ. ჭელიძე, 1976.

ლალცხატი – სათიბი (შკედი), ს. შკედში, ლეცირი ჩანს. ს. შკედი, ჩიხარემის ს.ს., ლნტხ. რ. *ჟ. ს. ონიანი, 34 წ., 1976.*

ლალცხატი ღარ – სათიბი (მამი), მთა ებერალში. ლენტეხის რ. *გ. ზ. ბაბლუანი, 55 წ. 1978.*

ლალხნაში – სათიბ-სახნავი (ხელედი) მდნ. ლაშხირის მარჯვ. მხარეზე, ტყეშია შიგ. ორი ჰა-იქნება (და არა ლალცხაში!). *შ. მ. ჩანქსელიანი, 46 წ., 1974.*

ლალხნაში – სათიბ-სახნავი (ხელედი), მდ. ლაშხირის მარჯვენა მხარეზე. ტყეშია შიგ. ორი ჰა. იქნება (და არა ლალცხაში!). *შ. მ. ჩანქსელიანი, 46 წ., ლენტეხის რ. 1974.*

ლალხორ – სამოვარი (ჩაჟაში), ს. ჩაჟაში-სა და მუყმერ-ს შორის მდებარე ადგილი, მდ. ენგურის მარცხენა სკოლის ეზოს ქვემოთ. ს. უშგულის თავშესაყრელი ადგილი ყოფილა. *მერაბ ანტონის ძე ნიჟარაძე, 60 წ., პენს., უშგულის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

ლალხორ ნაკიერ – ყანები (ხე), ს. ჯეს ჩრდ., მდ. ენგურის მარჯვენა კალთაზე. *ნასო დიმიტრის*

ძე გულბანი, მოსამსახურე, კოლმ. თავ-რე, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.

ლალხორალ – უბანი (ხაიში), ს. ხაიშიდან მე-3 კმ., მდ. ენგურის მარცხენა კალთაზე, სამანქანო გზის ზემოთ ≈ 0,5. *შუშანა ოთარის ასული იოსელიანი, 50 წ., პედაგოგი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1970 წ. ნოემბ.*

ლალხორალშ ტუბ – ხევი (ლალხორალი). ხაიშის ს.ს., *შუშანა ოთარის ასული იოსელიანი, 50 წ., პედაგოგი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1970 წ. ნოემბ.*

ლალხორალ – საკრებულო (ხელედი), ზედა და ქვედა ხელედს შორის. *ლენტეხის რ. ილაძე ნიკოლოზის ძე გაზდელიანი, 43 წ., მოსამსახურე, 1976.*

ლალხორაშ – სათიბ-სადოვარი (ჭიბიანი), ს. ჭიბიანის ჩრდ-აღმ., მდ. ენგურის მარჯვენა კალთაზე. შხარის სამხ. კედლის ძირთან. ლალხორ „შესაკრები, შესაგროვებელი“. *პავლე ნიკოს ძე ნიჟარაძე, 43 წ., ს. ჩაჟაში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

ლალხორაში ტუბ – ხევი (ჭიბიანი), ს. ჭიბიანის ჩრდ-აღმ., მდ. ენგურის მარჯვენა შენაკადი, სათიბ-სადოვარ ლალხორაშს ჰყოფს. *პავლე ნიკოს ძე ნიჟარაძე, 43 წ., ს. ჩაჟაში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

ლალხორა ბოგ – ხიდი (ლალხორი), ხიდი მდ. ჯალდეშურაზე – ლალხორიდან დავბერისკენ. *ნინა გიორგი ასული გამყრელიძე, 49 წ., მოსამსახურე, ს. ლალხორი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

ლალხურია შუკუ – გზათმესაყარი (ლემზაგორი), ს. ლემზაგორშია, შესაყარი გზები, საზიარო ხერიასთან. „შესახვედრი გზა“.

ლალკად დაბ – გზა (ხელედი), მთა ლეჯაში შესასვლელი გზა. დავაკებაა. სამარხილო, სამანქანო. *შ. მ. ჩანქსელიანი, 46 წ., 1974.*

ლალკან – გზა (სვიფი – ეცერი), ს. სტიფის ჩრდ-დასავლ.-იდან მთა ბაკამდე მიმავალი გზა. „სასაფლაო გზა“ // „სამარხილე“ // „სასაქონლო“. ავაკი სორეხის ძე აფრასიძე, 66 წ., პენს., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. X.

ლალკან (2) – გზა (ზ. ჭველიერი, სვიფი – ეცერი), ზედა ჭველიერიდან მთაში მიმავალი სამარხილო გზა. ჩოლურის ს.ს., გ. ნ. ზურაბიანი, 46 წ., ს. ს. მუკბანიანი, 45 წ., 1976.

ლალკან შუკუ – გზა, ს. ზაგარიდან აღმ. მდ. ჯგნიმდე სამარხილო გზა. ს. ზაგარ. *გულიძე*

ალექსის ძე ჩხეტიანი, 37 წ., კოლმ., ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.

ლალკან შუკუ – გზა, ს. თავრარიდან მიმავალი გზა სამარხილო ს. კიჩხვლდშამდე. ს. ცალერი. *ვლადიმერ სეითბეს ძე გვარამიანი, 58 წ., კოლმ., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

ლალკან შუკუ (2) – გზა (ტვიბლედი, ლანტელი (იხ. ჩემათქშ ლალკან შუკუ). ჩუბე და ჟიბე ტვიბლედის დამაკავშირებელი სამარხილო გზა. ნ. ს. ჩანქსელიანი, 24 წ., 1974.

ლალკან შუკუ (5) – გზა (თავრარი, ცალერი, ზაგარი, ტვიბლედი, ლანტელი – იხ. ჩემათქშ ლალკან შუკუ), ს. თავრარიდან სამარხილო გზა სათიბ დეტდრანიმდე. *უშანგი ბარდულაძე ცინდელიანი, 32 წ., კოლმ., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

ლალკან შუკუ (იხ. ჩემათქშ ლალკან შუკუ) – გზა. **ლალკანგორი** – სადოვარი (ზ. ჭველიერი), ზედა ჭველიერის მთაში, სამარხილო (ლალკან) გზა გადიოდა. ჩოლურის ს.ს., გ. ნ. ზურაბიანი, 46 წ., ს. ს. მუკბანიანი, 45 წ., 1976.

ლალკედ – სათიბი (ლეკოსანდი), ს. ლეკოსანდში, პირველი შესასვლელი იცხრულში.

ლალკედი ლუმულ – სათიბი (ლეკოსანდი), ს. ლეკოსანდში, სათიბ ლალკედში დიდი ლუმულ, რომელიც თავმესაფარიცაა ცუდ ამინდსა და და სიცხიანობის დროსაც.

ლალკანი შუკუ – გზა (ბაგვდანარი), ს. ბაგვდანარის ჩრდ., სამარხილე გზაა შეშის ჩამოსაზიდი – ჩიჩულაშისა და ლაცხტენის შუა. გზის გამო. *ივანე ვამანას ძე კვიციანი, 81 წ., პენსიონერი, ს. ბაგვდანარი, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტ.*

ლალკუმრდარ – კლდე, ტყე (ბოგრეში), ს. ბოგრეშის სამხ-აღმ., მდინარე ენგურის მარცხენა კალთის ძირში. ჯგვრზგი ნაგვამ ლი ეჩეჩუ, ნაეკლესიარი არის. სანადირო ადგილია. *გალაკ საფოს ძე კორძია, 15 წ., მოსწავლე, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

ლალკენ – სათიბი (სოლი) ს. სოლის ჩრდ., მთა შიხულდაშშია. ფერდობის ძირშია პატარა ვაკე, სადაც სეთების მოზიდულ თივას მარხილებზე დებენ (ჟი ალკენიხ). *რომანოზ ალ-ძე ხაფთანი, 52 წ., მოსამსახურე, მესტია, 1972. IX.*

ლალკენ (2) – სათიბი (ნესგუნი) ფუშყერის მარცხ. შემოზიდულ თივას მარხილზე შესაკვრელად

- აქ აგროვებენ (მრხილის „ლალჯენი“ ადგილი). *ელგუჯა ვლადიმერის ძე გულუდანი, 36 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.*
- ლალჯენწ** – სათიბ-სადოვარი (ლემსია, კაერი), მთა ხაჭრწშშია. ღარების ძირშია მოთიბულის მარხილზე დასადები ვაკე ადგილი. *შადურ ადილარის ძე შუკვანი, 28 წ., მოსამსახურე, მესტია, 1972. IX.*
- ლალჯილი** – სათიბ-სადოვარი (ფალედი) საძ. მთა ნადეცუროლის ქვემოთ (სამხ.). სადოვარი მთაა, გამოყენებულია სათიბადაც მისი კალთები, საიდანაც გამოაქვთ ლალჯილამდე ცოტ-ცოტა თივა და იქ ხოშა სწუთს **ხუალჯიდი**. *მამურზა ივანეს ძე ჩხვიმიანი, 69 წ., პენს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. X.*
- ლალჰნწ** – სათიბი (მაგარდელი) ს. მაგარდელის სამხ.-აღმ., სათიბ ნწკრილს დასავლ. არის წყლის მონაშეები, ლეგწრე ნწფიშუდ ლი. ლალჰან (?). *ივანე ბექას ძე მილდიანი, 99 წ., პენსიონერი, ს. მაგარდელი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*
- ლალჰნიწ** (იხ. ლალჰნწ) – სადოვარი, ს. ბულეშის ზემოთ. დასასვენებელი ადგილიცაა, წყარო. ჩოლურის ს.ს., *ჟ. ა. მუკბანიანი, 41 წ., 1978.*
- ლალზბ** – სადოვარი, ს. დავბერის სამხ. ენგურის მარცხენა კალთაზე. *ნოდარ პლატონის ძე მარგვლიანი, 40 წ., მოსამს., ს. დავბერი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*
- ლალზბ (3)** – ახო (საყდარი), სადოვარი (ბულეში, დავბერი), ს. საყდარში, იყოფა: ჟიბე და ჩუბე ლალზბ-ად. *ლენტეხის რ. მ. ა. ბენდელიანი, 68 წ., 1978.*
- ლალზადი ზუგუტ** – სადოვარი, გორაკი (ღამი). *დ. ს. გვარლიანი, 27 წ., მოსამსახ., ს. ლალამი, 1972 წ. VIII*
- ლალზად** – ყანა, ს. წვირმის სამხ-დასავლ. ჩობანის უბანშია. ლალზრა „საზიარო“. ს. წვირმი. *შალვა სარდიონის ძე ფანგანი, 60 წ., მოსამსახურე, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*
- ლალზად (2)** – სათიბ-სადოვარი (ლალამი), ყანა (წვირმი), ს. ლალამის ჩრდ.-აღმ. ვაკეა და ფერდობიც. *გ. ი. ფალიანი, 38 წ., მოსამსახ., მესტიის რ-ნი. 1972, VIII*
- ლალედწ** – სათიბი (ჩვაბიანი), ს. ჩვაბიანშია, ეკლესია მაცხოვრის ზემოთ. *არჩილ დავითის ძე გიგანი, 51 წ., კოლმ, მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- ლალედწში ლაშთხტიწ** – სასაფლაო (ჩვაბიანი), ს. ჩვაბიანშია, ეკლესია მაცხოვრის ზემოთ. სათიბსაც ჰქვია ლალედწში. *სემლარ დავითის ძე გიგანი, 61 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- ლალრდ** – სათიბი (მაცხვარიში), ლაჰლა ჰალას მარჯვენა მხარეზე. *გურამ გ-ძე გირგვლიანი, 35 წ., ლატალი. 1973.*
- ლალრკწლწ** – კლდე (ჟაბეში), ს. ჟაბეშის ჩრდ-აღმ. წწწერის ზემოთ, ჩამოსხლეტილი (ლგხკვწე) რელიეფით, სანადიროა, მოედინება მჟავე წყალი. *ივანე ბედის ძე კახიანი, 83 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- ლალწლდ** – ყანები (ზეგანი), ს. ზეგანის ჩრდ-აღმ., დასახლების ზემოთ. ვაკე ადგილია. *გუნტერ ილამაზის ძე გულბანი, 38 წ., მოსამსახურე, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*
- ლალწერ** (იხ. ჩუბე ჰუტ). – სადოვარი (ზეგანი), ს. ზეგანის სამხ-დასავლ. მდ. ლასილის მარცხენა კალთაზე. ლწწქი „დიდი ქვები“, ლწწქი ახხტიდა „ქვიანი ადგილი ნახაო“. *ალექსანდრე ბიასლანის ძე გულბანი, 80 წ., პენს., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*
- ლალწერ** – ტყე, სათიბი (ჰადიში), ს. ჰადიშის სამხ-დასავლ. ჰადიშგრას მარცხენა კალთაზე, ვაკე ადგილია, სამანქანო გზა გადის. მიწა რბილი, ქვიანი არა. ჟერ „მიწა“ (?) *სოფრო გიორგის ასული აველიანი, 60 წ., პენს., ივარის ს.ს., ს. ჰადიში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*
- ლალგმწარი** – ტყე (ქვ. ჰალამი) სათიბ ზებლიშის სამხ.-დასავლ. ენგურისკენ. ხრიოკი ადგილია, ტყეც. ადრე ლამწრებს ანთებდნენო. ნიშანი ახლაცაა. *გიორგი კოსდას ძე მურღულიანი, 60 წ., კოლმ., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*
- ლალგხარი შუკუტ** – გზა (ქვ. ჰველიერი) ს. ქვედა ჰველიერში. ტყიდან ჩამოდის სამარხილო გზა. *მ. ე. ლიაპრტელიანი, 80 წ., 1974.*
- ლამ(უ) ელ** – სადოვრები, ტყე (ივარი) ს. ივარის სამხ.-აღმ. სადოვრები და ტყე შერეული. *ლუკვა ბესის ძე გულბანი, 88 წ., პენსიონერი, ს. ივარის, მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამალწუნდ** – სათიბი (ტვიბი) ს. ტვიბში. მწლ „მელია“. *ჯ. გ. ზურაბიანი, 40 წ., 1978.*
- ლამანაშვირი ღელა** (იხ. ნამანაშვირი ღელა)

ლამანაშური – მთა (რცხმელური) მდ. ლაშხირის მარჯვ., საძოვარი მთა. ვ. ა. ლიპარტელიანი, 1976.

ლამანაშური ღელა – ღელე (კახურა) მდ. ლასკადურას აუზში, მარცხ. შენაკადი. გ. ა. ლიპარტელიანი, 37 წ., მოსამსახურე, 1974.

ლამანაშურ – საძოვარი (ყარიში), ს. ყარიშია, ადრე მანაშ ითესებოდაო, იყოფა ჩუბე ლამანაშურ და ჟიბე ლამანაშურ-ად. დ. ი. ლიპარტელიანი, 33 წ., 1974.

ლამანაშურ (2) – საძოვარი (ლექესირი) მდ. ჩოლშურას მარცხ. მხარეზე. ჭვავს თესავდნენო. გ. რ. მემველიანი, 50 წ., 1974.

ლამანაშური – საბალახო (კახურა) ლასკადურას აუზში, მარცხ. მხარეზეა. რამდენიმე დღით შეასვენებენ მთაში წაყვანის დროს საქონელს. გ. ა. ლიპარტელიანი, 37 წ., მოსამსახურე, 1974.

ლამანაშური – საძოვარი (მაზაში). ს. მაზაშის საძოვარ-სათიბები მთაში. შესაძლებელია ჭვავის სათესი იყო. მანაშ „ჭვავი“. შ. მ. ლიპარტელიანი, 29 წ., მუშა, 1976.

ლამანაშური – საძოვარი (ყვედრეში), ს. ყვედრეშია, საკარტოფილე იყო და ახლაც თესვენ. მანაშ „ჭვავი“. გ. პ. ლიპარტელიანი, 30 წ., 1974.

ლამანაშური (4) – უბანი (მაზაში). ს. მაზაშის ერთ-ერთი უბანი, ლიპარტელიანების, ქურასბედიანების, გუგავების სამოსახლო. მდ. ლაშხირის მარჯვ. ტერასაზე. შ. მ. ლიპარტელიანი, 29 წ., მუშა, 1976.

ლამანაშური სტიკუტ – შესასვენებელი (ყვედრეში) ს. ყვედრეშიდან მთისკენა გზაზე. მეჩხერტყიანი. ლამანაშურის თავზე („ჩხარ მეჩხერი“). სტიკუტ „მადლობი“, ქედი. გ. პ. ლიპარტელიანი, 30 წ., 1974.

ლამანაშური ღელა (2) – ღელე (მაზაში) ს. მაზაშში, გაედინება ლამანაშვირის დასახლებაზე. შ. მ. ლიპარტელიანი, 29 წ., მუშა, 1976.

ლამანაშური – ყანა (წანაში), ს. წანაშია, ტყეშია. მანჩუტ „მანჩი“. ნ. გ. ლიპარტელიანი, 27 წ., 1974.

ლამანაშური – ტყე (ჭველიერი) ს. ჭველიერში, ლაშხურას მარცხ. ადრე მანაშ ითესებოდაო. მ. ე. ლიპარტელიანი, 80 წ., 1974.

ლამარაშურ – ყანები (ლადრერი) სოფლის აღმ., სათიბ ჭოლარის ჩრდ.-დასავლ. კარგი მოსავლიანი ყოფილა. უხვი მოსავლის მოსვლის მნიშვნელობით ამბობენ: ლამარია როქუტ ადგურნან. გერმან ბიმურზას ძე

აფრასიძე, 58 წ., კოლმ., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.

ლამარია (იხ. ლაჭუბი – ლენტეხი)

ლამარიაშ ლაჭუბი – საყდარი (ჭკვიდანარი) ს. ჭკვიდანარის დასავლ. მდ. დოლრას მარჯვ. მხარე, წმ. მარიამის სახ. ეკლესია. წმ. მარიამის სახ. ეკლესიის მიხედვით. ყვრემ პეტრეს ძე უმზვანი, 54 წ., მეტყვე, ბეროს ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. სექტემბერი.

ლამარიაშ დაბარ – ყანები (ლექესირი), ს.: ლექესირშია, საყდარ ლამარიას ირგვლივ. გუმბერ რაჟდენის ძე მემველიანი, 50 წ., მოსამსახურე (კოლმ. წვერი), ს. ლექესირი, ლენტეხის ს.ს., 1974.

ლამარ-კა – კლდე (ტვიბერი), ნაკრაჟარ-ს (ლეთლერის ჩრდ.-აღმ.) აკრავს ჩრდ. მხრიდან. ფიქლის მაგვარი კლდეა, მენკარ, მეხუარ კოჯ ლი. გადასასვლელიცაა – მარემ ლაშუკუტ. „საკაცე ფიქალი“ (?). გიორგი სათგერის ძე ქალდანი, 78 წ., პენსიონერი, ს. ტუბიბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.

ლამარაშ (2) – (იხ.: 1. ბარშიშ ლამარაშ, 2. ისკრიშ ლამარაშ)

ლამარაშ დაბარ (იხ. ლამარაშარ)

ლამარაშ ლაშთხუტიარ – სასაფლაო (ისკარი). წმ. ბარბარეს სახ. ეკლესიის გარშემო ადრე სასაფლაო ყოფილა. ამჟამად არაა. „წმ. მარიამის სასაფლაო“. აკაკი ფაცის ძე აფრასიძე, 27 წ., სტუდენტი, ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. X.

ლამარაშ ლაშთხუტარ – სასაფლაო (ბარში) სოფლის დასავლ. ლამარაშ ნალჭუამის სასაფლაო. „წმ. ლამარას სასაფლაო“. შალვა ამის ძე გურჩიანი, 78 წ., პენს., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. X.

ლამარაშ ნალჭუამ – სასაყდრალი (ბარში) სოფლის დასავლეთით, ლამარაშ-შია, ჰქვია იმ ადგილს, სადაც ეკლესია იდგა. „წმ. ლამარას ნაეკლესიარი“. შალვა ამის ძე გურჩიანი, 78 წ., პენს., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. X.

ლამარაშ სარაგ – წყარო (ბარში) სოფლის დასავლ., ლამარაშ ნალჭუამის ქვედა მხარეს მოედინება. ჭაობიანიცაა. „წმ. ლამარას წყარო (// ჭაობი)“. შალვა ამის ძე გურჩიანი, 78 წ., პენს., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. X.

ლამარაშ ჭიბ – ჭაობნარი (ბარში)

ლამასენტუე ღარ – საძოვარი (ლესემა) ისკალდის აღმ. ფერდობზე. დაქანებულია. მასენტუ

- „საქმელი ბალახია“ (ლნტ. ლევირი, ლმზ. ლევირი). *მ. რ. გაზდელიანი, 32 წ., 1974.*
- ლამაშდგლარ** – სათიბები (ისკარი) სოფლის სამხრ., სამანქანო გზის ზემოთ. დგას ფერმის შენობა, მდ. დაწმარს დასავლ. სათიბ აფქნიმდე მოედინება (მოჟონავს) წყლები. *ფურე ფურეს ძე გერლიანი, 87 წ., პენსიონერი, ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. X.*
- ლამაჯა** (იხ. **ლამაჯა**)
- ლამაჯარ** – გზა (ჰებუდი). ს. ჰებუდის აღმ., ტყე (წყარო) დაშდუშმ სარწვის აღმ. სამარხილო გზაა, საიდანაც უზიდებიან ხეს, შეშას, კირს (სამშ. მასალას). ლიმაჯე „წილ-წილად გამოტანა“ (გადმოზიდვა). *ზაგამზე სამსონის ძე ფარჯველანი, 39 წ., პედაგოგი, ს. ჰებუდი, მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*
- ლამაულაშ** – ტყე (ზმ. ბაბილი) ჟიბე ბაბილში, ფოთლოვანია, მუხნარია. *ნ. ბ. ქურასბედიანი, 33 წ., 1974.*
- ლამაულაშ ცხეკ** (იხ. **ლამაულაშ**)
- ლამგუარ** – სამოვარი (მუწვიდში) ს. მუწვიდში. **ლიმგუარიელ** „გაბრაზება“, **მუგუარი** „ნაწყენი“. **მუგე** (?). *გ. დ. ხაბულიანი, 36 წ., 1978.*
- ლამზერი ლუმრ** – შესასვენებელი, საკულტო (მუწვიდი) ს. მუწვიდიდან მთა ლაყარისკენა გზაზე. დგას ნამვი 4 ცალი, სხვაგან არსადაა. ადრე სალოცავი იყო. *გ. დ. ხაბულიანი, 36 წ., 1978.*
- ლამზერი ჯიჰრა** – საკულტო (ტვებიში). ს. მაზერის თავზე, ჯუდიში, კელერ-ს ზემოთ, დგას მუხა. რევატული დაავადებების წინამდეგ სალოცავი ადგილი; ეკლესია არაა. „სალოცავი მუხა“. *რომანოზ სიმონის ძე არღელიანი, 62 წ., კოლმ., ს. ტუბიში, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. სექტემბერი.*
- ლამზეროლ** – სამოვრები (შკედი) ს. შკედის მთაში. სალოცავი ადგილია. *ჟ. ს. ონიანი, 34 წ., 1976.*
- ლამთაღდ** – ყანები, სამოვრები (ლახუშდი), ს. ლახუშდშია, დასავლეთით. *რიდა ბესის ას. ფირცხელანი, 55 წ., დიასახლისი, მესტია, 1972. IX.*
- ლამლიდ** – ტყე (ლანტელი), სათიბ ჩემათშია, სათიბ ჯომე ლარეს აკრავს აღმ. მხრიდან. სოფლის ტყე იყო და კაფავდნენ. სვან. ჟი როქუ ანმოლეს ცხეკ – ლიმოლე „ხის კაფვა“. *კოწია ბეკერზას ძე პაკელიანი, 75 წ., პენს., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. X.*
- ლამლიდნ ბაჩარ** – ლოდები (ლაღამი). *დ. ს. გვარლიანი, 27 წ., მოსამსახურე, ს. ლაღამი, 1972 წ. VIII.*
- ლამლრდ** – სამოვარი (მესტია – ირ. მელიქიშვილი)
- ლამლრდნ ღარ** – დეღე (სოლი) ს. სოლის ჩრდ., ტუბიზარის მარჯვ. კალთა. სეზონურია. *რ. ა. ხაფთანი, 52 წ., მოსამსახურე, მესტიის რ-ნი, 1972. IX.*
- ლამლრდარ** – ტყე (სოლი) ს. სოლის ჩრდ. შერეული ტყეა და შიგა და შიგ სამოვარი. *რ. ა. ხაფთანი, 52 წ., მოსამსახურე, მესტიის რ-ნი, 1972. IX.*
- ლამმერი** – სათიბი (ჰებუდი) ს. ჰებუდის ჩრდ.-აღმ., მდ. სოლედგრას მარჯვ. კალთაზე. სოლედგრა ჰყოფს სათიბებს ლამმერისა და გზაშს. *გიორგი ბესარიონის ძე სუბელიანი, 36 წ., პედაგოგი, ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*
- ლამნარალი** – ნამძნარი (ლესემა), ს. ლესემაშია, მალლობზე. *ა. ს. გაზდელიანი, 36 წ., 1974.*
- ლამნერი** (იხ. **ლამმერი**)
- ლამნ ლეჟ ღარ** – სამოვარი, ტყე (ზეგანი) ს. ზეგანის სამხ., მდ. ლასილის მარჯვ. კალთაზე, ძღვდ ღარის გვერდით. მშრალი ღარია შერეული ტყით. *ბესო მიხეს ძე გულბანი, 66 წ., პენს., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამნ ლექუ ღარ** – სამოვარი, ტყე (ზეგანი) ს. ზეგანის სამხ., მდ. ლასილის მარჯვ. მხარეზე, ლექუ ლამნ ღარის გვერდით. მშრალი დეღეა შერეული ტყით. *ბესო მიხეს ძე გულბანი, 66 წ., პენს., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამნშილნ ნაკ** – ტერასა (ზეგანი) ს. ზეგანის სამხ.-აღმ., მდ. ლასილის მარჯვ. კალთაზე, ალპურ ზონაშია. კლდეებშია დაფერდებული ტერასა. *ბესო მიხეს ძე გულბანი, 66 წ., პენს., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამოლა** – სათიბები (ქვ. ბავარი) ს. ქვედა ბავარში. *შ. ი. ბენდელიანი, 40 წ., კოლმეურნე, კ. ს. ჩანქსელიანი, 44 წ., კოლმეურნე, 1976.*
- ლამოლახოი შუკუარ** – გზა (ბავარი). სამარხილო გზა ლამოლა დაბარხო. წყალსგაღმა. *თ. ი. ავაქიძე, 54 წ., მოსამსახურე, ჩვაბე ბავარი, 1974 წ.*
- ლამოლაშ** – სამოვრები(დურაში) ს. დურაშში. *კ. ბენდელიანი, 1978.*
- ლამოლაშ დაბარ** – ყანები (ბავარი) მდ. ლაშხირის მარჯვ. მხარეზე, ლაშთხაშის ხეობაში.

- ირველივ სათიბები აქვს. *თ. ი. აფაქიძე, 54 წ., მოსამსახურე, ჩვამე ბავარი, 1974 წ.*
- ლამოლამ თხუმარ** – ტყე (ბავარი) მდ. ლაშხირის ხეობის მარჯვ. მხარეზე, ლამოლას სათიბებს ზემოთ. შერეული ტყით. *თ. ი. აფაქიძე, 54 წ., მოსამსახურე, ჩვამე ბავარი, 1974 წ.*
- ლამოლამ ლჭემოლ** – სათიბები (ბავარი), დეღე ლაშხირის ხეობაშია. ყანებიცაა შიგნით სათიბებში. *თ. ი. აფაქიძე, 54 წ., მოსამსახურე, ჩვამე ბავარი, 1974 წ.*
- ლამოლამ სარაგ** – წყარო (ბავარი) მდ. ლაშხირის მარჯვ. მხარის ყანა ლამოლასთან. *თ. ი. აფაქიძე, 54 წ., მოსამსახურე, ჩვამე ბავარი, 1974 წ.*
- ლამოსლამ** – სათიბი (ნაცული) ს. ნაცულის აღმოსავლეთით.
- ლამპრანი** – სათიბები (ჩვამიანი) ს. ჩვამიანის დასახლ. ჩრდ.-აღმ., მდ. მულხურასა მარჯვ. მხარეზე. არის ნაეკლესიარი ჯგერაგ-ისა. *არჩილ დავითის ძე გიგანი, 51 წ., კოლმ., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*
- ლამყარი** – ტყე, ყანები (მაზაში), ს. მაზაშია, ლაშხირის მარჯვ. მხარეზე. სამზეო ადგილია.
- მიჟ „მზე“**. *მ. გ. ლიპარტელიანი, 29 წ., მუშა, 1976.*
- ლამყარლ** – ტყე (ჩხარეში) ს. ჩხარეშის გაღმა, ლახურის მარცხ. კალთაზე. სამზეო ადგილია უფრო. წყლები არ მოედინება. *ასტერ ქელეშის ძე ნემსაძე, 48 წ., პედაგოგი.*
- ლამყირა** – კლდე, სამოვარი (გული), ს. გულის ჩრდ.-აღმ. მარჯვენა მხარე, კლდიანი ადგილია; ალპური ზონაა და სამოვრადაცაა ზაფხულობით გამოყენებული. შიშველი ველებიცაა, მარცხ. მხ., სამხ.-აღმ. მდ. მეშხე ლიც // ლაკარაშ ლიც; უშბას სამხ.-აღმ. მხარე. ზემოდან ჩამოზვავებული თოვლი გროვდება და თითქმის სველია ყოველთვის. **ლამყირა // ნამყირა** „სასველე ადგილი“. *სოფრომ იასონის ძე ხორგუანი, 43 წ., მასწავლებელი, ს. ტეშიში, ბეროს ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. სექტემბერი.*
- ლამყარილ** – ტყე, სამოვარი (მურყმელი) ს. მურყმელის სამხ.-აღმ., ენგურის მარცხ. არყნარი ტყითა და ვერხვნარით. შიგა და შიგ სამოვრები. მზის მხარეზეა, სამზევე. „სამზევე“. *ნაპო დავითის ძე კაკრიაშვილი, 26 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*
- ლამყარ** – ყანა, სამოვარი (ხოფური), ს. ხოფურშია, დავაკება, მზიანი, გუბეებიცაა. **მეზღირ** „სველი“. *ლამყარ – მიჟ. ქ. ს. ლიპარტელიანი, 44 წ., 1976.*
- ლამყ ნაკ** – სამოვარი (ჟაბეში) ს. ჟაბეშის სამხ., მაცხტარის ზემოთ. მოვაკოა, მზიანი. *ივანე ბედის ძე კახიანი, 83 წ., პენსიონერი, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*
- ლამყარილარ** – ტყე (ლემუკვი) ბალის ქედზე, ლემუკვის ყოფილი ტყე. წყლიანიცაა და **მზე ადგებაო** ადრიანად. *შალვა გ-ძე ივეჩიანი, 30 წ., ლატალი, 1973.*
- ლამრია** (იხ. **ლამრია ლახე**)
- ლამრია ლახე** – სათიბ-სამოვარი (ჭველფი, მამი) ს. მამის ჩრდ., ნაეკლესიარიცაა. *ბ. გ. ბაბლუანი, 73 წ., 1978.*
- ლამრიაშ** – ყანა (ლნტხ. რ.) დასახ. დესიდერშია, საყდრის მაგვარი არაა. *მ. ა. ბენდელიანი, 68 წ., 1978.*
- ლამრიაშ ნაკ** – სათიბი (ჭველფი) ს. ჭველფის ჩრდ., ნაეკლესიარიცაა, ვაკეა. *დ. ნ. ზურაბიანი, 57 წ., 1978.*
- ლამრიაშ ჟომგინ** – სამოვარი (ჩაჟაში) ს. ჟიბიანის ჩრდ.-აღმ., ენგურის მარცხ. მხარეზე. წმ. მარიამის ეკლესიის უკანა სამოვრები. *ილია ერმალოს ძე ნიჟარაძე, 31 წ., მოსამსახურე, ს. ჩაჟაში, მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*
- ლამრიაშ ლეზგერ** – სამოვარი (უშგული), ს. უშგულის აღმ. გორაკია, ლამარიას ეკლესიის იქითა მხარე, არყნარი ტყითა და სამოვრებით. „ლამარიას საზეგანო“. *გივი ერისტოს ძე რატიანი, 33 წ., მოსამსახურე, უშგულის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*
- ლამუნცხტერიაშ** – ტყე (ჰადიში) ს. ჰადიშის სამხ.-დასავლ., ჰადიშგრას მარცხ. კალთაზე. ტყე – შერეულია, მწცხვლდი (მოცხარი) არის. მანცხვლდ „მოცხარი“. *სოფრო გიორგის ძე აველიანი, 60 წ., პენს., ს. ჰადიში, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამურგაშლი** – ტყე (კიჩხულდაში) ს. კიჩხვლდაშის აღმ., სამოვარ ჟაბე თხეროლშს აკრავს ჩრდ.-ით. ადრე სახნავი იყო, გატყურდა. შიგა და შიგ მინდვრებიცაა პატრა. მრგვალად იყო ყანები. მურგაშლ „მრგვალი“. *სამსონ სვინჩილდის ძე ვიბლიანი, 59 წ., კოლმ., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ნოემბერი.*
- ლამურყვამ** (იხ. **კვიცნიაშ ლამურყვამ**), სახნავი (ბარში), ტყე (ნაკი, ლეზგარა), ნაკომკარი (სვიფი – ცხუმ. ს.ს.), სათიბი (ცალერი),

- ბორცვი** (იხ. **ლამურყვამი ზუგ** – უშგული)
- ლამურყვამ** (იხ. **ლამურყვამი ზუგ** – უშგული)
- ლამურყვამლა** (იხ. **ნამურყვამლა** – სოლი)
- ლამურყმა** – სამოვარი, ტყე (ჭოლაში) მდ. მულხურას მარცხ. კალთაზე, ს. ჭოლაშის სამხ.-დასავლ. კომპლექსითაა რელიეფი. მაღალი. მწრე ჟი უქედ ღერი. *ალექსანდრე გელას ძე დევდარიანი, 80 წ., პენს., ს. ჭოლაში, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*
- ლამურყტამ** – ნაკომპარი (სვიფი). ჩუბე ლამარიშთან არის ნაკომპარი, ვისი – უცნობია. *შოთა მიხეილის ძე საღლიანი, 42 წ., საბჭოს თავ-რე, ს. ლეზგარა, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*
- ლამურყტამ** – სათიბი (ცალერი) ს. ცალერის სამხ.-აღმ., სათიბ კარ-შია, არის ნაკომპარი და ნასახლარი. ადრინდელი სახნავის კვალი ჩანს. *ვლადიმერ სეითბეს ძე გვარამიანი, 58 წ., კოლმ., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ნოემბერი.*
- ლამურყტამ** – სახნავი (ბარში) მდ. დაჭმარის აღმ., ტასლერისკენა გზის ჩრდ. ნაკომპარი არაა. „საკომპე“. *ბაჯუ პირიბეს ძე გერლიანი, 27 წ., მძღოლი, ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. X.*
- ლამურყტამ** – ტყე (ლეზგარა) ფერმის ქვემოთ, მდ. ენგურის სამხ. სანაპირო. ლამურყტამ „საკომპე ადგილი“ (?). *მკვა ამიიზის ძე ქალდანი, 61 წ., პენსიონერი, ს. ტუბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*
- ლამურყტამ** – ტყე (ნაკი) მდ. ნაკრას მარცხ. კალთაზე, სათიბ ლამარიშ-ს ჩრდ.-დასავლ. ტყეშია ნაეკლესიარ-ნაკომპარი, ძირები ამჩნევია. არის ლეგენდა მდიდრისა და ღარიბის ცხოვრებაზე. *ვასილ ბურნაყის ძე ქალდანი, 58 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი, 1969 წ. ნოემბერი.*
- ლამურყტამი ზუგ** – ბორცვი (უშგული). მდ. ქვიშირის მარჯვ. მხარეზე, ს. ჩაქშის აღმ. ბორცვია, ნანგრევი არაა. *ილია ერმალოს ძე ნიჟარაძე, 31 წ., მოსამსახურე, ს. ჩაქში, მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*
- ლამურყტამწარ** – სათიბები, ტყე (ქვ. კალაში) სოფლის დასავლ., სახნავ წერნიწარს ჩრდ., ფერდობი ადგილია, არის სათიბები, ტყე და მრავლადაა საშენი ქვა. „საკომპე“ (ქვები?). *გიორგი კოსდას ძვე მურღულიანი, 60 წ., კოლმ., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*
- ლამურყტამწამი დაბარ** = ყანები (კახურა) ს. კახურაში, დასახლების ქვემოთ. ნაკომპარი არაა. *ჯ. ა. ლიპარტელიანი, 37 წ., 1974.*
- ლამფალწმ** – უბანი (ჩუკული). ჩუკულის ერთ-ერთი დასახლ. უბანი. *ნ. დ. გულბიანი, 26 წ., 1976.*
- ლამფალწმ (2)** – სოფელი (ჟახ. ს.ს.). ჟახუნდერის ს.ს.-ში შემავალი სოფელი. ცხოვრობენ: ონიანები, გვიდიანები, ფერცულიანები, ფარჯიანები, მუკვბანიანები. ლამურის მარჯვენა კალთაზე. *რამაზ ომეხის ძე ონიანი, 16 წ., მოსწავლე, 1981 წ.*
- ლამფხვრი** – ტყე, სათიბი (ეც. ს.ს.) ეცერის ჩრდ.-აღმ., ღაზე ხარ, ლამფერ ადგი ლი, მოედინება წყალიც. ლამფხვრი ჭიბ (თუ ჭიბი?). *აკაკი სორეხის ძე აფრასიძე, 66 წ., 1969 წ.*
- ლამფწლ** – ყანა (იფრარი) ს. იფრარის დასავლ., ყანა ნაცნაღთან. *გემა ანდრიას ძე მარგვლიანი, 61 წ., პენს., ს. იფარის, კალას ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*
- ლამქარწლ ბაჩ** – საჯილდაო ქვა (არცხელი) ს. არცხელის სუბიფშია, ეკლესიის ეზოში. ძალის გამოსაცდელი ქვა. დიდი ქვაა საკმაოდ. *ნოდარ ნიკოლოზის ძე მარგანი, 33 წ., მოსამსახურე, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*
- ლამქურწლწარ** – სამოვარი (იელი), ს. იელიშია, ენგურის მარჯვ. მხარეზე, სამანქანო გზის ქვემოთ. კლდეებია. **მუქურწლ** „ბალახი“, ნიორის მაგვარია, საჭმელად იხმარება, მომყავო გემოსი. *იონა ვისიბის ძე სამსიანი, 77 წ., პენს., იფარის ს.ს., 1972. VII.*
- ლამლატ** – ყანა (ჰადიში) ს. ჰადიშის დასავლ., დასახლების ქვემოთ. *სოფრო გიორგის ძე აველიანი, 60 წ., პენს., ს. ჰადიში, იფარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამლატ (2)** – ყანა (მურყმელი) ს. მურყმელის სამხ.-აღმ., ნაპო კაკრიაშვილის სახლსა და ენგურს შორის. ლამლატ „მოსავლის გალენჯამდე შესანახი ადგილი“. *ნაპო დავითის ძე კაკრიაშვილი, 26 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*
- ლამლატა ღარ** – სამოვარი (ხალდე), ს. ხალდეს დასავლ. მდებარე ფერდობი. *ახმედ შამშეს ძე ჩეგანი, 49 წ., კოლმ., ს. კალდე, კალის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*
- ლამლატუიერ** (იხ. **ლამლატ**)
- ლამლატწ მურყტამ** – კომპი (ჰადიში). ს. ჰადიშის ჩრდ.-აღმ. ნაწილში დგას კომპი. *მანი ლევანის*

ასული პირველი, 50 წ., დიასახლისი, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.

ლამლაჭარ – ყანა (ჩვიბიანი), ს. ჩვიბიანიშია, მდ. ეანგურის (ჭალას) მარცხ. კალთაზე. ლამლაჭარ „სამოსავლო“ (მოლაჭარ „მოსავალი“) (შდრ. მეგრ. მოღე: „მუ მოღე რე თენა“). ტარიელ თავადეს ძე ნიჟარაძე, 18 წ., საშ. სკოლადამთავრებული, ს. უშგული, მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.

ლამლურღუნო – ტყე (მურყმელი) ს. მურყმელის სამხ., მდ. ენგურის მარცხ. კალთაზე. არყნარი ტყით. ნუცა ანტონის ას. ნიჟარაძე, 62 წ., პენს., უშგულის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. VII.

ლამყრდრა – კლდე-ფერდობები (ჭაბუმი). მდ. წანერგლას მარჯვენა კალთის სანადირო კლდეები – მიწაყრილი ფერდობებით. ჭიჭიკო ივანეს ძე კახიანი, 44 წ., პედაგოგი, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.

ლამყუმწე – სათიბ-სამოვრები (ჭოლაში) ს. ჭოლაშის სამხ.-დასავლ. მდ. მულახურას მარცხ. კალთაზე, სამოვარ. ტყე ლამურყვამის ზემოთ. ალექსანდრე გელას ძე დევდარიანი, 80 წ., პენს., ს. ჭოლაში, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.

ლამშეგდ – ტყე (ცანა) ს. ცანას ჩრდ.-დასავლ.-ით.

ლამშელიდარ – ტყე (კალაში) სოფლის ჩრდ.-აღმ., ლუმრე ტუიბს აღმ. სამანქანო გზამდე. ზოგან: ვაკეა, ზოგან ფერდობი. ადრე სახნავადაც ჰქონიათ. გიორგი კოსდას ძე მურღულიანი, 60 წ., კოლმ., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.

ლამშეკლაშურა – ღელე და მისი მიდამოები (ზ. ბავარი) სოფ. ზედა ბავარში, ლაშხირის მარჯვ. შენაკადი. სათიბ ლამშეკლდამს ჩამოუდის. შ. ი. ბენდელიანი, 40 წ., კ. ს. ჩანქსელიანი, 44 წ., 1976.

ლამშეკლაშურა – ღელე, მდ. ლაშხირის მარჯვ. შენაკადი, სათიბ ლამშეკლდამს ჩამოუდის. შ. ი. ბენდელიანი, 35 წ., 1974.

ლამშეკლდამ – სათიბი (ზ. ბავარი) ს. ზედა ბავარში. ვაკეა, ლუფუყვარეა და ჭინჭველები იცის. შ. ი. ბენდელიანი, 40 წ., კ. ს. ჩანქსელიანი, 44 წ., 1976.

ლამშეკლამ – ყანები, სათიბები. შ. ი. ბენდელიანი, 35 წ., 1974.

ლამშეკლამ (იხ. ლამშეკლდამ)

ლამშეკლაშურა და ღელა (იხ. ლამშეკლაშურა)

ლამჩქარ – მსხალი (ლახამულა), ჟ. ლახმელშია,

ტუბროლოამ-ის ქვემო კიდესთან ძვეს დიდი ქვა, აქვს დიდი ხვრელი, სადაც იცის მაჩვი. მანჩქუტ „მაჩვი“ (< ზან. *მუნჩქ(უ)ი). კოწი იოსეს ძე კვანჭიანი, 55 წ., კოლმ., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ნოემბერი.

ლამხა ტობ – ტბა (ხაიში), მდ. ჭორმელეთის საწყისი. ტბა ≈ 300 კვ.მ. შიშველ ადგილას, საიდანაც მოედინება ჭორმელეთ. გადმოცემით, უწმინდურის მიკარებისას იავდრებსო. ისლამ ბათერის ძე ჭკადუა, 65 წ., პენსიონერი, ს. ტობარი, მესტიის რ-ნი, I.XI.70 წ.

ლამხა ტობარ – ტბები (მეგრ. ოზერო) მდ. დალარის მარჯვ. მხარეზე. შიშველ გორაზე 3 ტბაა შესანიშნავი, სუფთა. სოფლიდან მიდიოდნენ საავდროდ („ოზერო“, ალბათ, ალპინისტებისაგან). თამაზ დიმიტრის ძე ნარსავიძე, 18 წ., საშ. სკოლადამთავრებული, ს. ყარი, ჭუბერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 14.VII.70წ.

ლამხერ – დასახლებული უბანი (ფარი), ს. ფარშია, სამანქანო გზის ზემოთ. აღმ. ესაზღვრება ღელე ტუიბ, დასავლ. – ნენხორშიმ გორაგ. დგას ეკლესია ჯგერაგ ხტამლიმ. ცხოვრობს 5 კომლი. ბლომდაა ვაშლი, მსხალი. ლამხერი (< მგ-ხირ-იდან?). სოფელში წიწვიანი ტყე არაა, ადრე იყო. პერიფერიაში, მის სამხ.-დასავლ. ბევრია ნაძვი. ძვეს დევდარიანის გადმოცემით (100 წ.) ძველად: „ნეჩა ესერ ლემარ ამელეჟა; ნატყუთიფარქა ლემის მეგმარ ხეხელივხ ფიშირუნ“. მახამეთ პეტრეს ძე დევდარიანი, 49 წ., კოლმ., ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.

ლამხერ – უბანი (ფარი). ს. ფარის ცენტრის სამხრეთითაა ეს უბანი. „ლამხერი“ ქართ. „მომფხანე“. პირველად „ლამხერი“ „ლამუხარ“ ფორმით უნდა ყოფილიყო, რაც „გასავდრე-ბელს“ ნიშნავს. იყო ისეთი ადგილები, რომელთა წაბილწვა გაავდრებას იწვევდა. ეტყობა, ესეც ასეთი ადგილი იყო. ვახტანგ ჟემუზას ძე ნარსავიძე, თსუ სტუდენტი, 1965.

ლამხერე ნათი – სამოვარი (ჟ. მარლი) ს. ჟიბე მარლის ჩრდ.-ით, დამრეცი ადგილი. შიშველი ადგილია, აღმ. მხრიდან ტყეაა, უფრო წიწვიანი. ს. ფარის დასახლ. უბანის – ლამხერიდან გადმოსულების სახელობის, ცხოვრობენ ჟიბე მარლში, დევდარიანები არიან ხილი მათია. ბუჟღე რაჟდენის ძე გურჩიანი, 38 წ., კოლმ., ს. ჟიბე მარლი, ჭუბერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 18.9.1970 წ.

ლამხერი – სოფელი (ფარ. ს.ს.). *მახამეთ გურმაჩის ძე დევდარიანი, 49 წ., 1969.*

ლამხერიშ სუიფ (იხ. **სუიფ** – ლამხერი)

ლამხიწარ – სათიბი (ცალდაში) ს. ცალდაში სამხ.-ამღ., ლეჟა ლახვ-შია. ალპური ზონაა, მოედინება წყალი. ხშირად მეხიც ჩამოვარდება და ხშირად საქონელიც იღუპება და ერთი კაციც ძლივს გადარჩაო. მეხ „მეხი“. „სამეხე“. *პავლე ბითეს ძე ზურებანი, 83 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლამხუერ – სასაფლაო (ღვებრა) სოფ. ღვებრას დასახლების ზემოთ. *რაჟდენ გოგის ძე მარგიანი, 101 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლამხუერ – ყანა (ლაღამი) ს. ლაღამის დასახლების სამხ.-დასავლ. დაფერდებულია ოდნავ, დამრეცია. *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 64 წ. გ. ი. ფალიანი, 38 წ., მოსამსახურე, მესტიის რ-ნი, 1972. VIII.*

ლამხუერ – ყანა (ლემსია), ს. ლემსიაშია, ეჩხანტაფის უბანშია. *შადურ ადილარის ძე შუკვანი, 28 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.*

ლამხუერ (5) – ყანა (ლახირი). ს. ლახირის დასახლების დასავლ. ყანა. მეორე ყანაა სამხრეთის მხარეშიც ამავე სახელწოდებისა. *ალექსი ისამის ძე იოსელიანი, 99 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლამხური სარაგ – წყარო (ღვებრა) ს. ღვებრას დასახლების დასავლეთით. *სიმონ ბეჟას ძე მიბჩუანი, 87 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლამხურიელ (იხ. **ლამხვერი** – ლაღამი, ღვებრა) – ს. ლუებრას დასახლების დასავლ. მხარის ყანები. *ალექსანდრე მახარობლის ძე მარგიანი, 83 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლამხურიელ (იხ. **ლამხუერ** – ლაღამი, ღვებრა)

ლამხუერ (იხ. **ლამხუერ** – ლაღამი)

ლამხერიან კოჯარ – კლდე (ლებურცხილა) ს. ლებურცხილას სამხ.-დასავლ. სავარცხლისეზური თეთრი კლდე, დასაწყისი **კუაკუამ კოჯარისა**. მეჩხერი ტყე, ლეგგობ ლი, ადრე ნამწვია. ბევრია კვარი. *ჯუმბერ რადიონის ძე დავითიანი, 18 წ., მოსწავლე, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1970 წ. ნოემბერი.*

ლამჯურიშ – სამოვარი (უშგული) მდ. ქვიშირის მარჯვ. მხარეზე, ფერმასთან. სეზონური გუბის

მიდამო. *ილია ერმალოს ძე ნიჟარაძე, 31 წ., მოსამსახურე, ს. ჩაჟაში, მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*

ლამჯარ – სათიბი (ბოგრეში) ს. ბოგრეშის აღმ., ენგურის მარჯვ. კალთაზე, ლეჟგურას სათიბთან. *სოლომონ ივანეს ძე გულბანი, 62 წ., პენს., ს. ბოგრეში, მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლამჯა – სათიბები (მაჯვდიერი) ს. მაჯვდიერის სამხ.-აღმ., იყოფა ორად – ლეჟა ი ლეჟა ლამჯა. *ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე შერვაშიძე, 61 წ., პენს., ს. მაჯვდიერი, მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლამჯა – სათიბები (მესტია) აეროპორტის მიდამოებში, ეკუთვნის რატიანებს, გომთელიანებს, ნაკანებს. ტბაა \approx 400-500 კვ.მ. ირგვლივ სათიბებია. **ლამჯა მგჰ** „ტბა“. *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 63 წ., მესტია, 1972.*

ლამჯა – სათიბი (ნაკ. ს.ს.) ნაკრას მარცხ. კალთაზე, საცხოვრის გურსანის აღმ. ფერდობი. შუაში სოფ. ლაწომბადან ჩამოუდის რუ. წყლის დასაგუბებელი არა აქვს, ნაყანები კია. შეიძლება მოსავალი დროზე მწიფდებოდა და შერჩა სახელი „ლამჯა“-ო. *ვასილ ბურნაყის ძე ქალდანი, 58 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი, 1969 წ. ნოემბერი.*

ლამჯა – სათიბი (ღვებალდი) ს. ლუებალდში, სათიბ ლატაფს ესაზღვრება. *მიშა ილოს ძე გერლიანი, 39 წ., კოლმეურნე, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*

ლამჯა – ყანები (მაზერი) ს. მაზერიდან ს. ტუბიშისკენ მიმავალი გზის ჩრდ., სგიმერს ქვემოთ. ჭაობიანი ადგილის მიხედვით? თუ მგჰი „მწიფე“? *ჯულაბ გრიგოლის ძე კვიციანი, 73 წ., პენსიონერი, ს. მაზერი, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. სექტემბერი.*

ლამჯა (7) – სამოვარი (ზესხო), ს. ზესხოს აღმ. ნაწილი. **მგჰ** დგდება.

ლამჯა (იხ. **ჰაეროპორტ**)

ლამჯა დაბ – სათიბ-სახნავი (ჟაბეში) ს. ჟაბეშის სამხ.-აღმ. დასახლების მიდამოებში, სუიფს ქვემოთ აღმ.-სკენ. გუბე დგება გაზაფხულობით. *ჟორა მუსას ძე კახიანი, 31 წ., მოსამსახურე, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლამჯა ლარა (იხ. **ლამჯა** – მესტია)

ლამჯა – სათიბი (ჩვაბიანი), ს. ჩვაბიანის დასახლების დასავლ ნაწილი. ვაკე სათიბებია,

- ლიც ხოგ – ეჯღა ხაშხა ლამჰალ. *სემლარ დავითის ძე გიგანი, 61 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*
- ლამლა** – სათიბი (სიდიანარი) ს. სიდიანარში, დასახლების სამხ.-დასავლ.-ით. *ვალო ა-ძე სიდიანი, 37 წ., ლატალი, 1973.*
- ლამლა** – სამოვარი (ზეგანი) ს. ზეგანის სამხ.-დასავლ., მდ. ლასილის მარცხ. კალთაზე, შიშველი ადგილია. მალ „მელია“. *გუნტერ ილამაზის ძე გულბანი, 38 წ., მოსამსახურე, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამლტა** – სათიბი (დავბერი) ს. დავბერის ჩრდ.-აღმ., სათიბ კუჭბის ქვემოთ. ტყე ნარევია (არყნართ) (მალ „მელია“). *ნოდარ პლატონის ძე მარგვლიანი, 40 წ., მოსამსახურე, ს. დავბერი, მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*
- ლამლტაწალ** – სათიბი (მურყმელი) მდ. ენგურის მარჯვ. კალთაზე, ს. მურყმელიდან დაახლ. მე-5 კმ-ზე. დასავლ. ნაეკლესიარია. მალ „მელია“, „სამელე“. *მაქსიმე დავითის ძე კაკრიაშვილი, 40 წ., მოსამსახურე, მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*
- ლამნაშუარე შუკუტ** – ბილიკი (ქვ. ჭველიერი), ს. ქვედა ჭველიერშია. *მ. ე. ლიპარტელიანი, 80 წ., 1974.*
- ლამნარ** – გზა (ბოგრეში) ს. ბოგრეშის ჩრდ.-ით, უღვირისკენა გზა-ბილიკი, მოკლე საცალფეხო გზა. მანქანას გაასწრებს მოკლე გზით კაცი უღვირამდე. *კატო მიხეილის ას. გულბანი, 26 წ., მოსამსახურე, ს. ბოგრეში, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამნარია** – ეკლესია (ჩიხარეში), ს. ჩიხარეშია, მოქმედი ეკლესიაა.
- ლამნარია** – საყდარი (სასაში), ს. სასაშია, დაცულია. *მ. ვ. ონიანი, 41 წ., მოსამსახურე, 1974.*
- ლამნარია (3)** – საყდარი (სასაში) ს. სასაში, ჟიბეშხენში, დაცულია. *გრიგოლ ვარდენის ძე ონიანი, 56 წ., პედაგოგი, მათემატიკოსი, X.1980 წ.*
- ლამნარია ნაკ** – სამოვარი (ახალშენი), დადიაშის მთაშია, ვაკე, ნაგებობები ამჟამად არაა. ისე ქალები, მთაში რომ ავიდოდნენ, ლოცულობდნენ. *მ. ლ. ნემსაძე, 40 წ., 1974.*
- ლამნარია ნაკ** – სამოვარი (ლამფალაში) ს. ლამფალაშის მთაში. *რამაზ ომეხის ძე ონიანი, 16 წ., 1981.*
- ლამნაწალი** – სამოვარი (ლეშუკვი) ს. ლეშუკვის ჩრდ. ნახნავია, ფეტვს ვთესავდითო, ჭემინიც ითესებოდაო. *შალვა გ-ძე ივეჩიანი, 30 წ., ლატალი, 1973.*
- ლამნაწალი (2)** – ყანები (კვანჭიანარი), ს. კვანჭიანარშია, ამჟამად ქერია, ადრე მანწი ითესებოდაო. *მ. ნ. კვანჭიანი, 49 წ., ლატალი, 1973.*
- ლამნაჯა** – სამოვარი (მესტია – ირ. მელიქიშვილი), ლექუწ ლახუ-შია, იყოფა სამ ნაწილად: ჩუბე პილწ ლამნაჯა, ჟიბე პილწ ლამნაჯა, ნესგწ ლამნაჯა. *1972. VIII.*
- ლამნაჯაწალ** – სათიბი (ბოგრეში) ს. ბოგრეშის ჩრდ.-აღმ., ენგურის მარჯვ. კალთაზე. ფერდობია, შიგა და შიგ ფოთლოვანი ტყით. კალთებიდან ამოსაზიდა ცენტრალურ სამარხილო გზამდე ნესტორ კორძია თიბავს. *კატო მიხეილის ას. გულბანი, 26 წ., მოსამსახურე, ს. ბოგრეში, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამწ ტუბიზაწალ** – წყალი (მურშველი) ს. მურშველის ჩრდ.-დასავლ. მთა ლამის დასავლ. მყინვარიდან მომდინარე ღელე. *ლადო სოგრატის ძე ქურდიანი, 13 წ. მოსწავლე, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 10971 წ. სექტემბერი.*
- ლამწრია** – ეკლესია (მიქელშერი), ს. მიქელშერშია, დაცულია, ირგვლივ სასაფლაოა. *ბ. შ. ბენდელიანი, 27 წ., 1974.*
- ლამწრია** – ეკლესია (წაშთქოლი). ს. წაშთქოლის შუაში დგას წმინდა მარიამის სახელობის ეკლესია – ლამწრია. აქვეა სასაფლაოც. წმ. მარიამის სახელის მიხედვით. *ქიშვარდი იოსების ძე წერედანი, 49 წ., კოლმეურნე, ს. წაშთქოლი, მესტიის რ-ნი, 1969 წ. სექტემბერი.*
- ლამწრია** – ეკლესია (უმგული). ს. უმგულის აღმ. სერზე დგას კოშკი და ლამწრიას სახელობის ეკლესია. აკრავს გალავანი, ზღვის დონიდან მისი სიმაღლეა 2280 მ. (ანეროიდის მიხედვით). ზღუდის შიგნით არის სასაფლაო. აქვეა საფლავი მემორიალით ბესარიონ ნიჟარაძისა. *გივი ერისტოს ძე რატინი, 33 წ., მოსამსახურე, უმგულის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*
- ლამწრია** – სასაფლაო (ქვ. გული) ს. ქვედა (ჩუბე) გულის შუაში. სოფლის სასაფლაო. წმ. მარიამის სახელობის სასაფლაო. *ანთუყ ნასავის ძე ხორგუანი, 80 წ., პენსიონერი, ს. ბაგუტდანარ, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. სექტემბერი.*
- ლამწრია** – საყდარი (ლექესირი) ს. ლექესირში, დაცულია. *კ. ე. ფურელიანი, 34 წ., 1974.*

- ლამარია** (7) – საყდარი (ბაიარი), ს. ბაიარშია, დაცულია. *გ. შ. ჩანქსელიანი, 20 წ., 1974.*
- ლამარია** (იხ. **ლაწერველი ლამარია**) – ეკლესია (უშხვანარი). ს. ჩუბე უშხუანარში დგას ეკლესია წმ. მარიამის სახელობისა. იგი დღესაც მოქმედია. პაპარ წირს იჩომდახ „მღვდლები გალობდნენო“ – აქედან „ლაწერველი“ – საგალობელი. წმ. მარიამის სახელის მიხედვით. *გრამიტონ ბესარიონის ძე კვიციანი, 63 წ., კოლმ., ს. უშხვანარი, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. სექტემბერი.*
- ლამარია ლეზგარა** (იხ. **ლეზგარა** – ცალდაში)
- ლამარიანში ლაჭუმი** – სასაყდრალი (ნაკ. ს.ს.), ნაკშია, საცხოვრის ზნადგლარის სამხ.-დასვლ. სათიბ ლამარიანში. ცოდნითა ლოცვები და დღესაც მათში ლუნობ (უფლიშ-ის შემდგომი კვირა). *ვასილ ბურნაყის ძე ქალდანი, 58 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი, 1969 წ. ნოემბერი.*
- ლამარშიმღელ** – სამოვარი (ლამხერი) მდ. ტუბიში ლიცის მარცხ. კალთაზე. ფერდობია. იცის **მწმდმღელ**. *მახამეთ პეტრეს ძე დევედარიანი, 49 წ., კოლმ., ვარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*
- ლამაზ** – სათიბი (იენაში), ს. იენაშია, გზის ზემოთ. ნასახლარია. *ილიკო გ-ძე ფარჯიანი, 49 წ., ლატალი, 1973.*
- ლამარია** – ეკლესია (ზეგანი), ს. ზეგანის ლექუშ უბანშია, გორაზე. კარგად დაცული. *დისონ გიორგის ძე გულბანი, 49 წ., კოლმ., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამარია** – ეკლესია (იელი), იელიშია, ნესგა უბანშია. *იონა ვისიბის ძე სამსიანი, 77 წ., პენს., ივარის ს.ს., 1972. VII.*
- ლამარია** – ნაეკლესიარი (ბოგრეში), ს. ბოგრეშია, მდ. ჰადიშგრას მარჯვ. მხარეზე. ნანგრევებია მხოლოდ. *დოდო სალარეფის ას. ხვისტანი, 23 წ., მოსამსახურე, ს. ბოგრეში, მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამარია** – სასაყდრალი (იფხი), იფხშია, წმ. მარიამის სახელობის საყდარი. დანგრეულია. აქვს სასაფლაო. *ე. ი. ნანსყანი, 61 წ., ლატალი, 1973.*
- ლამარია** – სასაყდრალი (კვანჭიანარი – იხ. **ჩანგლდა ლამარია**), ს. კვანჭიანარშია, ძირიდაა დარჩენილი *შ. ნ. კვანჭიანი, 49 წ., ლატალი, 1973.*
- ლამარია** – სასაყდრალი (ლემუკვი) ს. ლემუკვის ჩრდ. დგას ლამარია მგყ-ის სამოვარში, ძირიდაა დარჩენილი. *შალვა გ-ძე ივეჩიანი, 30 წ., ლატალი, 1973.*
- ლამარია** – სასაყდრალი ტუბიერისა და წანრგლას ხეობების თავზე, ვაკე ადგილია კლდის თავზე. ნანგრევებია, აქვს კარგა მოზრდილი მოედანი. *მუსა იასონის ძე კახიანი, 77 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*
- ლამარია** – საყდარი (იენაში), ს. იენაშია, ყოფილი სამლოცველო ქალდანების საგვარეულოსი. ქალდანები ლატალში არ არიან. *ი. გ. ფარჯიანი, 49 წ., ლატალი, 1973.*
- ლამარია** – საყდარი (იხ. **ლესთაგი ლამარია**), ლესთაგშია, წმ. მარიამის სახ., ჩართოლანების სამლოცველოა. *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 64 წ., მესტიის რ-ნი, 1972 წ.*
- ლამარია** – საყდარი (ჰადიში), ს. ჰადიშია, მაცხუარის ჩრდ. კედელზე მიშენებული, ზღვის დონიდან. 2187 მ. *მანი ლევანის ასული პირველი, 50 წ., დიასახლისი, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამარია** – ტყე (ხალდე) ჰალდეს სამხრეთით, მდ. ჰალდე ჰალას მარცხ., პატარ-პატარა სათიბებით. არის ნაეკლესიარი. *ზურაბ აბრამის ძე ჯოხაძე, 68 წ., პენს., ს. ხალდე, მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*
- ლამარია** (12) – საყდარი (კაერი), ს. კაერია, დაცული. *დ. გ. მერლანი, 23 წ., ლენჯერი, 1073 წ.*
- ლამარია ძლუიდ** – ეკლესიის გალავანი (ჟიბიანი). ს. ჟიბიანის აღმ. ეკლესია ლამარიას გალავანი, ქვისაა. *გივი ერისტოს ძე რატიანი, 33 წ., მოსამსახურე, უშგულის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*
- ლამარიამგყ** – სამოვარი (ლემუკვი) ს. ლემუკვის ჩრდ., ლამარიას საყდრის მიდამოები. *შალვა გ-ძე ივეჩიანი, 30 წ., ლატალი, 1973.*
- ლამარიან დაბარ** – ყანები (ზეგანი), ს. ზეგანის ლექუშ უბანშია, ლამარიას ეკლესიის აღმ. მხარეზე. *დისონ გიორგის ძე გულბანი, 49 წ., კოლმ., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*
- ლამარიან ლამდხუიარ** – სასაფლაო (იენაში), ს. იენაშია, ყოფილი გვარის – ქალდანების სასაფლაო ყოფილა. *ი. გ. ფარჯიანი, 49 წ., ლატალი, 1973.*
- ლამარიან ღარ** – ღარი (ჟამბეში). მდ. წანრგლას მარჯვ. კალთის ღარი, რომელიც აღწევს

ლამარიან სუიფამდე. გამოცხადებულია წმინდა, საკულტო ადგილად, ჩეხვა აკრძალულია. *ჭიჭიკო ივანეს ძე კახიანი, 44 წ., პედაგოგი, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლამარიან ცხეც – ტყე (ჟამუში) ს. ჟამუშის სამხ., მდ. მულხურას მარცხ. კალთის ფერდობი, ჟამუშის ხიდის სამხ. პირდ. ლამარიას სახელობის ტყე. ტყე განეკუთვნება მაცხოვრის ეკლესიის მომვლელებს, ქალდანებს. წიწვნარია მხოლოდ. *გიორგი გაბრიელის ძე ნავერიანი, 76 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლამარიანში – ნაეკლესიარი (კიჩხულდაში), ს. კიჩხულდაშია, ჩუბარის ჩრდ.-დასავლ., სათიბ ქალდანის ჩრდ., ნაეკლესიარის ძირი ჩანს, ლეგხატ ლი. *თემრაზ ვიბლიანის ძე ვიბლიანი, 49 წ., კოლმ., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ნოემბერი.*

ლამარიანში – ნაეკლესიარი (ტვიბერი). ს. ტვიბერ-ის ჩრდ.-დასავლ., სოფლის ქვედა კუთხეში ნაეკლესიარია. „წმ. მარიამისა“. *მიხეილ ლემინის ძე ქალდანი, 45 წ., კოლმეურნე, ს. ტვიბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*

ლამარიანში – საკულტო ადგილი (თავრარი) ს. თავრარის ჩრდ.-აღმ., სასმელი წყალი ნაწუდიანში-ის თავზე. მაისის თვეში იციან ღუნიშ ყუთყუშ ლიზჰენი. *უშანგი ბარდღუს ძე ცინდელიანი, 32 წ., კოლმ., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ნოემბერი.*

ლამარიანში – სალოცავი ადგილი (თოთელეში) ს. თოთელეშსა და ჰამაშს შუა. ნაეკლესიარი არის. საქონლისადმი მიძღვნილი სალოცავია ამჟამადაც. *დუშა შარდენის ას. ჰკადუა, 46 წ., კოლმ., ლახამულას ს.ს., მესტიის რ-ნი, 1970 წ. სექტემბერი.*

ლამარიანში (5) – სათიბი (ნაკ. ს.ს.) ნაკრას მარცხ. მხარეზე, საცხოვრის ზანდელჯარის სამხ.-დასავლ. ნაეკლესიარია – ლამარიანში ლაჭუში ყოფილა, ნასახლარიც ფუთა სუბელიანისა. *ვასილ ბურნაყის ძე ქალდანი, 58 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი, 1969 წ. ნოემბერი.*

ლამარიან ლალცხატარ – სათიბ-სამოვარი (შყალერი), მთა აურაშ-შია, მწვერვალ ბარჯის კალთაზე. *გ. რ. გურგვლიანი, 40 წ., ლატალი, 1973.*

ლამარიან ნამსგოჯატარ – ნაკლესიარი, სათიბები (მურყმელი). ს. მურყმელის ჩრდ.-დასავლ.

ნაეკლესიარი ჩანს. გადმოცემით: გაუხედნავი მოზვერი გაუშვია სოფელს, სადაც გაჩერდება, იქ ეკლესია აშენდესო. *მაქსიმე დავითის ძე კაკრიაშვილი, 40 წ., მოსამსახურე, მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*

ლამარიან სუიფ – ნაეკლესიარი (ჟაბეში). ს. ჟაბეშის ჩრდ.-აღმ. მთაზეა ნანგრევი ლამარიას სახელობის საყდრისა. ამჟამად რაიმე საკულტო მნიშვნელობის დღესასწაულები არ იციან. სოფ. მულახი კარგად მოჩანს, ვაკე ადგილია. *ჭიჭიკო ივანეს ძე კახიანი, 44 წ., მოსამსახურე, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლამარიელ – სამოვრები (ნესგუნი) ფუშყვერის მარჯვ. მხარეზე, დასახელების ზემოთ, საყდარ იელის ზემო მხარე. *ელგუჯა ვლადიმერის ძე გულუდანი, 36 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.*

ლამარიელ – ტყე (ჟაბეში) ს. ჟაბეშის აღმ., სათიბ დალდანისა და სათიბ მეჭარ-ს შორის. *ჯეირან ჭიჭიკოს ძე კახიანი, 20 წ., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლამაშუგტილ – სამოვარი (მამი) ს. მამში. *ი. ნ. ჯამბურიძე, 59 წ., 1978.*

ლამატირე ნაკ – ტყე (ზეგანი) ს. ზეგანის სამხ.-აღმ. დასახელების ზემოთ, ზეგანზე, შერეული ტყეა და ვაკეც. არის მურგვი აქა-იქ. *გუნტერ ილამაზის ძე გულბანი, 38 წ., მოსამსახურე, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლამატილდარ – ტყე და სამოვარი (ივარი) ს. ივარის ჩრდ., ყანა კირუშის ზემოთ, ენგურის მარჯვ. კალთაზე. *ლუკვა ბესის ძე გულბანი, 88 წ., პენსიონერი, ს. ნაკ-ივარი, მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლამედენილ – სათიბი (ზაგარი) მდ. ჯუნის მარჯვ. კალთაზე, ტყე ლექუშერას ჩრდ. ნამადენარი არ არისო. *გულიძე ალექსის ძე ჩხეტიანი, 37 წ., კოლმ., ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*

ლამელჯ – სათიბი (ვიჩნაში) ს. ვიჩნაშის დასავლ., ენგურის მარცხ. კალთაზე. ტყენარევია. მელჯა ხაგ მასწრდ. *ახმათ მელიტონის ძე ხარძიანი, 43 წ., მოსამსახურე, კალის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლამენჯილ (იხ. **ლამენჯილ** – ირ. მელიქიშვილი)

ლამეჟ – ტყე (ცანა) ს. ცანას დასავლ., მზიანი მხარეა.

ლამერია – საკრებულო (ლემსია), ს. ლემსიაშია, ეჩხანტაფშია. რაიმე საკითხების გადასაწყვეტი

საკრებულო ადგილი. მოედინება **სასმელი წყალი**. *შადურ ადილარის ძე შუკვანი, 28 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.*

ლამერია სარაგ – წყარო (ლემსია)

ლამერმწლდ = ტყე, სამოვარი (ლახთაგი), ს. ლახთაგის ჩრდ.-დასავლ ფერდობი, ტყე ფიჭვნარ-ფოთლოვანი. *ჩათო ესტატეს ძე ჩართოლანი, 45 წ., ს. ლახთაგი, 1972.*

ლამერყუამ – სასაფლაო (ზ. ლუჰა). კლდე კენჯაბის თავზე, სამანქანო გზამდე, სასაფლაოა. ნაკომკარი და ნასახლარი არაა, ისე ლეცხატ ადგილი, ნაეკლესიარია – ლამერყუამში თარგლეზერ. *იერმინე რამზის ძე ცალანი, 68 წ., პენს., ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*

ლამერყუამში თარგლეზერ – ნაეკლესიარი (ზ. ლუჰა). ს. ჟაბე და ჩუაბე ლეჰას შორის, კლდე კენჯაბის თავზე არის ნაეკლესიარი – ლამერყუამის სასაფლაოსთან (კირან ლიხ). *იერმინე რამზის ძე ცალანი, 68 წ., პენს., ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*

ლამერცხარა – ტყე (ჟაბუნდერი) ს. ჟაჭუნდერში. მენცხარ „მოცხარი“.

ლამერხელი – სათიბები (ცანა) ცანის სამხ.-დასავლ., ჭინჭარი ჩანს.

ლამერხელი – სამოვარიც და გამოუყენებელი ადგილი (თავრარი) ს. თავრარის აღმ., მდ. მატლამამდე. ბლომდაა ჭინჭარი, საჭინჭრეა. *უშანგი ბარდლუს ძე ცინდელიანი, 32 წ., კოლმ. ბრიგადირი, ს. თავრარი, ნაკის ს.ს.ს, მესტიის რ-ნი, 1969 წ. ნოემბერი.*

ლამერხელი (3) – სათიბი (ლახირი) ს. ლახირის ჩრდ.-ით, სათიბ ლეჰანდესთან. მერხლან არააო. ალპური ზონაა. *მადონა ადიგოს ას. იოსელიანი, 29 წ., მოსამსახურე, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლამერხელი ღელე – ღელე (ცანა) ცანის სამხ.-დასავლ., ნეშლთან. „მერხელი“ ჩანს. ღელე სათიბ ლამერხერიდან მოედინება.

ლამერხელდილში – სამოვარი (ზეგანი) ს. ზეგანის სამხ., მდ. ლასილის მარჯვ. კალთაზე. მშრალი ღარია, ტყე შერეული, არის ლამერხელიც. მერხელ „ჭინჭარი“. *ბესო მიხეს ძე გულბანი, 66 წ. პენს., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლამერჯილ – ღელე, ტყე (ლაღამი). *დ. ს. გვარლიანი, 27 წ., მოსამსახურე, ს. ლაღამი, 1972 წ. VIII.*

ლამეშკა – სათიბი (ლეზგარა) სამოსახლო კუბანის

ქვემოთ (ჩრდ.), ს. ლეზგარას ქვემოთ. სათიბი, რომელსაც აჩვევიაო ჭიანჭველა. მეშუ „ჭიჭნ-ჭველა“. *თინა მკვას ასული ქალდანი, 22 წ., მოსამსახურე, ს. ტუბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*

ლამეშკა (2) – სათიბი (ღვებალდი) ს. ღვებალდის ქვემოთ, ენგურისკენ. ესაზღვრება სახნავ როზარს. მშრალი ადგილია, იცის ჭიანჭველები. არის პატარ-პატარა ბორცვაკები. ლამეშკა „საჭიანჭველე“. *მიშა ილოს ძე გერლიანი, 39 წ., კოლმეურნე, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*

ლამეშკლეთ – სამოვარი (ღვებალდი), სამოვარ ერდგულას ესაზღვრება ზემოდან, ღელეა, ჩამოდის წყალი და ხის ჩამოსაყრელია. *მიშა ილოს ძე გერლიანი, 39 წ., კოლმეურნე, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*

ლამეშკლეთში სარაგ – წყარო (ღვებალდი). სამოვარ ლამეშკლეთში მოედინება წყარო, ღელეშია (ხის ჩამოსაყრელ ღარში). *მიშა ილოს ძე გერლიანი, 39 წ., კოლმეურნე, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*

ლანათში ნატყიცტუ – ხრამი (ხაიში). *რევაზ პლატონის ძე გელოვანი, 39 წ., სტუდენტი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. ნოემბერი.*

ლანგორდა – ტყე (წვირმი) ს. წვირმის სამხ., ენგურის მარცხ. კალთაზე. შერეული ტყით – ფიჭვი, წიფელა, რცხილა, ნაძვი... შიგ სათიბებიცაა. *შალვა სარდიონის ძე ფანგანი, 60 წ., მოსამსახურე, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლანგორდა ნაკ – სამოვარი (ზეგანი) ს. ზეგანის სამხ.-დასავლ. ტყიანი სამოვარია, ვაკეა. *ალექსანდრე ბიასლანის ძე გულბანი, 80 წ., პენს., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლანგორდა ტუბი – ხევი (ზაგანი) ს. ზეგანის სამხ.-დასავლ. მდ. ლასილის მარცხ. შენაკადი. *ალექსანდრე ბიასლანის ძე გულბანი, 80 წ., პენს., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლანგული – კანიონი (ლახთაგი), ენგურის ორივე მხარის ვიწრო ხეობა (მესტია-ჭალაშა). ლანგული „ნეხვის გადასაყრელი სარკმელი“. *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 53 წ., მესტია, 1972.*

ლანგული ტუბი – ხევი (მურყმელი) ს. მურყმელის

სამხ.-დასავლ., ენგურის მარცხ. მშრალი ტყიანი ღელე, ზემოთ ალპური საძოვარია. *ნაპო დავითის ძე კაკრიაშვილი, 26 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*

ლანგულიდაშ – სათიბი (თავრარი) ს. თავრარის აღმ., სკიზნინარის სათიბებს აკრავს აღმ. მხრიდან. მრგვალი ადგილია, იქითა მხრიდან აკრავს ცხვიმგლდშია ცხეკ. *უშანგი ბარდღუს ძე ცინდელიანი, 32 წ., კოლმ. ბრიგადირი, ს. თავრარი, ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ნოემბერი.*

ლანგულრიდ – უბანი (სასაში), ს. სასაშის ჩრდ. მხარე, ცხენისწყლის პირას, დასახლების დასაწყისი. *მ. ვ. ონიანი, 41 წ., 1974.*

ლანგულრიდ – ჭალა (სასაში) ს. სასაშში, ცხენისწყლის მარცხენა სანაპირო.

ლანგულრიდი ნიც – წყარო (სასაში), ს. სასაშშია, დასახლების ბოლოში მოედინება. *მ. ვ. ონიანი, 41 წ., 1974.*

ლანდაბუარაზლ – უბანი (ხოფური). ს. ხოფურის ერთ-ერთი დასახლებული უბანი, ქურასპედიანების საგვარეულო.

ლანზორალ ზუგ – მოედანი (მაზერი), სოფელშია, საკრებულო მოედანი.

ლანზორა – საბალახო (მელე), ს. მელეს საფერმე ადგილია წყალთა შესაყარი – ლეტბერასა და ხიდრულას შესაყარი.

ლანკრაულდ – სათიბი (ჰადიში) ს. ჰადიშის სამხ.-აღმ., ჰადიშგრას მარცხ. კალთაზეა. ნაკარვები არაა, ვაკე ადგილია, ფიქალნარევი. *გულადი სოფროს ძე აველიანი, 33 წ., მოსამსახურე, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლანკულა კოჯარ – კლდეები (მესტია) მესტია ჭალაშ მარცხ. მხარეზე, აეროპორტის ჩრდ. მოსამწყვდევი კლდეა, ცხენების დასაჭერი. *ავთანდილ ანდრეას ძე რატეანი, 37 წ., ს. სპარდიში, მესტიის რ-ნი, 1972.*

ლანკუაშდ შუკუტ (იხ. ქაშან – ტვიბლედი)

ლანკერილ – გზა, საძოვარი (ლაბსყალდი). ს. ლაბსყალდიდან მთისკენ მიმავალი გზა, საძოვარ (გზა) კალჭარის თავზე; ირგვლივ ტყეა, დევს ქვა, რომელზედაც წერტილებია გაკეთებული, რაც მწყემსების რაოდენობას აღნიშნავს (?). *ბასილო თავას ძე გუგუსიანი, 57 წ., მეტყევე, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*

ლანსკერაზლ – სათიბი (ლაღამი). დ. ს. გვარლიანი, *27 წ., მოსამსახურე, ს. ლაღამი, 1972 წ. VIII.*

ლანტელი – სოფელი (ეც. ს.ს.). ეცერის ს.ს.-ში შემავალი 15-კომლიანი უბანი. მდებარეობს მესტიისკენ მიმავალი სამანქანო გზის ქვემოთ, დასახლ. პუნქტის – ლაშხერის ჩრდ.-აღმ. ადრე ბევრი ხე ხარობდაო, შესაძლებელია მიღებული იყოს ლანტალ-იდან (ტალ „ნიშანი დაკოდვის შედეგად“. ჩუ როქუტ ატალ მეგემ „ხე დააზიანაო“). *კოწია ბექერზას ძე პაკელიანი, 72 წ., პენსიონერი, ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. X.*

ლანქეარ – სათიბ-საძოვარი (ისკარი) მდ. კედრგლას მარცხ. მხარე, სათიბ-საძოვარ ლაჭუთარლ-ის ჩრდ. გვგზარ (ლეთკვრ ლი). „საჩრდილო“ ? *შუშანა პირიბეს ას. გერლიანი, 21 წ., კოლმ., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. X.*

ლანქორ – საძოვარი (ხალდე) ს. ჯალდეს დასავლ., სამარხილო გზის ზემოთ. ადრე სახნავი ყოფილა. ნასახლარი არაა. *ახმედ შამშეს ძე ჩეგანი, 49 წ., კოლმ., ს. ჯალდე, კალის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*

ლანქუტერ – საძოვარი (მესტია – ირ. მელიქიშვილი)

ლანქუტერილაზ – საძოვრები (მესტია), ლექუშ ლახვიშია, სამხ.-დასავლ. აქა-იქ ფიჭვისა და მუხის ხეები დგას. *ჩათო ესტატეს ძე ჩართოლანი, 45 წ., ს. ლეხთაგი, 1972.*

ლანლერტიშ – კლდე (მესტია – ირ. მელიქიშვილი)

ლანლემტირ – საძოვარი (ლანჩვალი). *პირიბე ქელეჩბის ძე ნიგურანი, 33 წ., კოლმ., ს. ლანჩვალი.*

ლანლემტიარ – საძოვარი (ზარდლაში) ს. ზარდლაშის ჩრდ.-დასავლ., გუალდა ტუბის თავზე, ბანგურიანის კლდის ქვემოთ. *ნოდარ შამშის ძე გაბლიანი, 32 წ., კოლმ. ს. ზარდლაში, მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლანლემტიარ – ტყე, კლდე (ლუჯი) ს. ლუჯის მთა გორვაში, ტყიან-კლდიანი.

ლანყემაშ (იხ. ლამყემაშ)

ლანყუამ – საცხოვრისი (ახალშენი), ს. ახალშენის მიდამოა, ს. გულიდან ჩამოსახლებულები ცხოვრობენ: გომუანები, კვიციანები, ხაფთანები. აღმ. მხრიდან ჩამოუდის თუეთნე ლიც; მარჯვ. მხრით ესაზღვრება ფერმა. ადრე კომპიც კი იყო, მაგრამ მეწყერს წაუღევია. ნაკომპარი ადგილის გამო: ლანყუამ < ლამურყუამ-იდანო (?). *კატი გიორგის ას. გომუანი, 43 წ., კოლმეურნე, ს. ახალშენი, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. სექტემბერი.*

ლანყუმწეშ (2) – სათიბი (იელი), იელიშია, ასკარდის უბნის ჩრდ.-ით. მაღლობი ადგილია, ანძა გაუკეთებიათ ტურისტებს. *რ. ვ. ხვიბლიანი, 38 წ., კოლმ., მესტიის რ-ნი, 1972 წ. ივლისი.*

ლანჩვლი ტვიბრა – ღელე (ზეგანი) ს. ზეგანის სამხ.-დასავლ., მდ. ლასილის მარცხ. შენაკადი. ლანჩვლის ტვიბის ღელეა, ლანჩვლ-ის სათიბთან. *ალექსანდრე ბიასლანის ძე გულბანი, 80 წ., პენს., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლანჩორა – სათიბი (ლემზაგორი) ს. ლემზაგორის საზაფხულო მთის სათიბი, საზიაროა ხერხასთან.

ლანჩაღალ – საცხოვრისი (მესტია), მესტიის ერთ-ერთი დასახლებული უბანი. ნამეწყრაღა დასახლებული. ჩუღალ „მეწყერი“. *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 63 წ., მესტია, 1972.*

ლანჩაღლი ტუბიბ – ხევი (ზეგანი) ს. ზეგანის სამხ.-დასავლ., მდ. ლასილის მარცხ. კალთაზე. სათიბ ლანჩაღლის ზემოთ. მოედინება ტუბიბრა. *ალექსანდრე ბიასლანის ძე გულბანი, 80 წ., პენს., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლანჩაღალ – სათიბი (ზეგანი) ს. ზეგანის სამხ.-დასავლ., მდ. ლასილის მარცხ. კალთაზე. ტუბიბრა ანდრი ეჩელექუა. *ალექსანდრე ბიასლანის ძე გულბანი, 80 წ., პენს., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლანცრიელ – სათიბ-სამოვარი (დავბერი) ს. დავბერის სამხ., მუშურის ღელეს მარცხ. კალთაზე. ენგურის მარცხ. კალთაზეა. *ნოდარ პლატონის ძე მარგვლიანი, 40 წ., მოსამსახურე, ს. დავბერი, მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლანცტარილ – სამოვარი (სასაში) ს. სასაშის მთაში, კლდიანი.

ლანწრა – სათიბი (ნესგუნი) ფუშყვერის მარცხ. მხარეზე. ფერდობია, ღელეც, მოედინება პატარა წყალი. *ელგუჯა ვლადიმერის ძე გულედანი, 36 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.*

ლანწყინაშ – ღარი (ჟაბეში) ს. ჟაბეშის ჩრდ., მდ. მულხურას მარჯვ. კალთის კლდის ღარი, რომელიც სეზონურად მშრალია. *ჭიჭიკო ივანეს ძე კახიანი, 44 წ., პედაგოგი, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლანწგრა – ტყეა (ლაშხრერი), სოფლის ბოლოს, სათიბ ღორეკის ბოლოს (ლანწგრა ლი, სგა ლანწგრე „მომწყვდეული“). *აკაკი ნესტორის ძე ჩარკვიანი, 45 წ., კოლმეურნე, ეცერის ს.ს.,*

მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.

ლანწგრაშ შუკუტ – გზა (ეც. ს.ს.). ს. ეცერიდან ს. კალწმისკენ და ს. ცხუმარისკენ მიმავალი გზა. „ლანწგრას გზა // კალწმის გზა“. *აკაკი ნესტორის ძე ჩარკვიანი, 45 წ., კოლმეურნე, ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. ოქტომბერი.*

ლანჭტორიელ – ყანები (წვირმი) ს. წვირმის ჩრდ.-დასავლ., ნესგა უბანშია. ვაკე ადგილია. შალვა სარდიონის ძე ფანგანი, *60 წ., მოსამსახურე, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლანხვრი (იხ. ნანხვრი)

ლანხუწარ (იხ. ნანხუწარ)

ლანხუწარ ღელე – სამოვარი (ზმ. მარდი) ს. ჟიბე მარდის ჩრდ., მთა ტობულდარისკენ. ღელე შიშველია, ირგვლივ ტყეა. გზა ლანხუწარის ჩრდ.-ით. *უმარ მიტოს ძე ჩხვიმიანი, 39 წ., კოლმეურნე, ს. ჟიბე მწრლ, ჭუბერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 19.9.1970 წ.*

ლანხუწარიშ გორაგ – გზა (ზმ. მარდი) ჟიბე მარდის ჩრდ. გზა მთა ტობულდარისკენ. გვერდითი კალთები დამრეცია, ტყით, შუაზე ქედი გადის. *უმარ მიტოს ძე ჩხვიმიანი, 39 წ., კოლმეურნე, ს. ჟიბე მწრლ, ჭუბერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 19.9.1970 წ.*

ლანხუწარიშ მაზუჭაბ (იხ. ნანხუწარიშ მაზუჭაბ)

ლანხუწარიშ ღწარ – ღელე (ტიტა) ს. ტიტას სამხ.-აღმ., ტყე ლანხუწარის სამხრეთი ფერდობი. არის მშრალი (სეზონური) ღელე. იყო ხეტყის ჩამოზიდვა. ამჟამად საბალახო. ბლომდაა ანწლი. აღწევს ჩუბე ტიტამდე. *ნოდარ თებეკის ძე ცინდელიანი, 21 წ., მექანიკი, ს. ტიტა, ჭუბერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 9.IX.1970 წ.*

ლანხური (2) – სოფელი (ზჩ. ს.ს.), მდებარეობს ს. ქართუჭანის ჩრდ.-დასავლ., სამანქანო გზის ჩრდ., ასახვევში გორაზე. არის ეკლესიის ნანგრევები, ჩრდ.-აღმ. **სტიფ**-ზე ეკლესიის ნანგრევები ახლაც ჩანს – **ჯგგრაგ ლალწწაშ**-ისა. ყოფილა ეკლესია – **მაცხტარ ლანხურიშ** (// ლანჭტორიშ). ცხოვრობს 4 ოჯახი. **გადმოცემით**: სოფ. ლანხურის გვერდით (აღმ.) ქვა იყოო მოხრილი (ჟი ლენჭუტ), რომელზედაც ქვა იდო და ქმნიდა გამოქვაბულსო (პატ.). ერთი მხრიდან მობმული იყო ქვა ქვაზე (ზჩ. ბჩხს ხენჭუან). ამჟამად ცალ-ცალკეა. აქედან „ლანჭტორი“ (?). ხარობს **ჭტარი** ბლომად. *აკაკი ანდრიას ძე გაბულდანი, 57 წ., კოლმეურნე, ს. ლანხური, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. სექტემბერი.*

ლანჯერი (იხ. **ლანხერი**)

ლანჯრა – ვაკობი (ნაკ. ს.ს.), ნაკრას მარცხ. კალთის ზეგანზეა, ჩუბზე ზაგარის სამხ. გაგრძელება. წიწვნარ-იელნარი. მასალა ფერდობებიდან მოჰქონდათ ცოტ-ცოტათი და იქ აწყობდნენ ერთმანეთის გვერდით, მიჯრით (ლიჯარე „მიწყობა გვერდიგვერდ, მიჯრით“). *არსენა სიმონის ძე გვარამიანი, 54 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი, 1969 წ. ნოემბერი.*

ლანჯრღა ნაკარ – სამოვარი (ჟიბიანი) ს. უშგულის ჩრდ.-აღმ., მდ. ენგურის მარჯვ. კალთაზე. იცის მრავლად გარეული ფრინველი. ნჯჯუდ „მახე“ (ძუსაგან). *ღუტუ ნიკოს ძე ნიჟარაძე, 24 წ., მოსამსახურე, ს. უშგული, მესტიის რ-ნი, 1971 წ. ივლისი.*

ლანჯუტრი ტუბრა – დეღე (ბოგრეში) ს. ბოგრეშის სამხ.-აღმ., ენგურის მარჯვ. მხარეზე, ფერმასთან ახლოს. სახნავია, კარგი ყანაა. ლანჯორა „კარგი, თავსაყრელი, მოსავლიანი“. *გიორგი ასლანბეგის ძე გულბანი, 54 წ., კოლმ., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. ოქტომბერი.*

ლანჯუტრი – ყანები (ზეგანი) ს. ზეგანის ლექუჭ უბნის დასახლების ქვემოთ, დამრეცივითაა. ლანჯუტ „საკვალო“ (?), ნჯუტ „კვალი“. *დისონ გიორგის ძე გულბანი, 49 წ., კოლმ., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.*

ლანჯ – სახნავი (ხოფური). *მ. ჩიქოვანი, ტოპონომიკური ლექსიკონი, თსუ შრ., ტ. IX, თბ., 1939 წ.*

ლანჯ ლექვი (ხოფური). *მ. ჩიქოვანი, ტოპონომიკური ლექსიკონი, თსუ შრ., ტ. IX, თბ., 1939 წ.*

ლანჯყერი – ტყე (ზარდლაში) ს. ზარდლაშის დასახლების ზემოთ. შერეული ტყით, გადის გზა – ლანჯყერი შუკუ. *შამში ნესტორის ძე გაბლიანი, 67 წ., პენს., ს. ზარდლაში, მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლანჯყერი შუკუ – გზა (ზარდლაში) ს. ზარდლაშის დასახლების ჩრდ. ტყე შერეული, გადის სამარხილო გზა. *შამში ნესტორის ძე გაბლიანი, 67 წ., პენს., ს. ზარდლაში, მესტიის რ-ნი, 1971 წ. სექტემბერი.*

ლანჯდიალ – სახნავი (ხელედი), ხელედშია, დეღე კელედურასა და ლაშხირის შესაყარი ადგილი. *ანზორ აკაკის ძე ბენდელიანი, 33 წ., მოსამსახურე, ხელედის ს.ს., 1976.*

ლანჯღლაშ – სათიბი (მუწვიდი) ს. მუწვიდის ჩრდ.-დასავლ.-ით. **არდლი** „ერთგვარი მომყავო ბალახი, იჭმება“. *გ. დ. ხაბულიანი, 36 წ., 1978.*

მემხანში მურყუამ – ნაკოშკარი (ჰადიში), ს. ჰადიშის აღმ., ნასახლარ მემხანში დგას კოშკის ნანგრევი. *მანი ლევანის ასული პირველი, 50 წ., დიასახლისი, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

მემხანში ტუბრა – ღელე (ჰადიში), ს. ჰადიშის ჩრდ.-აღმ. ჰადიშგრას მარჯვენა შენაკადი, ნასახლარ მემხანში ჩამოედინება. *მანი ლევანის ასული პირველი, 50 წ., დიასახლისი, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

მემხელ – სამოვარი (ჩიხარეში), ს. ჩიხარემის მთის სამოვარი.

მემხორლამ – სამოვარი (მსტ. – ირ. მელიქიშვილი). მესტიის რ-ნი. *ირინე მელიქიშვილი, 1961 წელი.*

მემხედ – სათიბი, მდ. ჯალდე ჭალანს მარცხენა კალთაზე, შიშველი რელიეფით, ტერასული ტიპის. ს. ჯალდედან ≈ 4 კმ. *ზურაბ აბრამის ძე ჯოხაძე, 68 წ., პენს., ს. ხალდე, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

მემხედ (2) – სამოვარ-სათიბი (წვირმი, ხალდე), ს. წვირმის შუაგულიდან 2 კმ.-ზე დასავლ დელის მხარეზე. ნასვენია, ადრე სახნავი იყო. *არჩილ მელიტონის ძე ფანგანი, 57 წ., მოსამსახურე, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

მემხეთ – სათიბი (სოლი), ს. სოლის ჩრდ., ტუბი-ბარის დასაწყისი ალპურ ზონაშია, მთაში. კაერისა და ლემსიის საზაფხულო სამოვარი მთა. *რ. ა. ხაფთანი, 52 წ., მოსამსახ., მესტიის რ. 1972, IX*

მემხეთ-ზაგარ – სამოვარი (კაერი), ს. კაერისა და ლემსიის საზაფხულო სამოვარი მთა, რელიეფურად – ზეგანია. *დ. გ. მერლანი, 23 წ., ლენჯერი. 1973*

მეჩრლან – სამოვარი (ჟაბეში), ს. ჟაბეშის სამხ., სამოვარ ისგენდერის სამხ.-დასავლ. ღელე ტუბირას მარცხენა მხარეზე. *ივანე ბედის ძე კახიანი, 83 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის*

- რ-ნი. 1971 წ. სექტ.
- მეცენარ** – სამოვარი (ზ. ჭველიერი), ზედა ჭველიერის მთაში, ტყის ზონაში, დგას კარავი. ჩოლურის ს.ს., გ. ნ. ზურაბიანი, 46 წ., ს. ს. მუკბანიანი, 46 წ., 1976
- მეცეპტენი** – სახნავი (ხოფური – მ. ჩიქ.). ლენტეხის რაიონი. მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრ., ტ. IX, 1939 წ.
- მეცეპტენი** – ყანა (წანაში), ს. წანაშშია, ტყეშია. ნ. გ. ლიპარტელიანი, 27 წ., 1974
- მეცეპტენი ღელა** – ღელე (ნანარი), ს. ნანარშია, მეწყერიც იცის. ვ. ნ. ქურასბედიანი, 35 წ., 1974
- მეცხვი** – ყანა (ლემსია), ს. ლემსიაშია, სამანქანო გზის ქვემოთ. სუფთა ყანაა ამჟამად. შადურ ადილარის ძე შუკვანი, 28 წ., ლენჯერის ს.ს., 1972
- მეწილდაშ** – სათიბ-სამოვარი (ლალხორი), ს. ლალხორის დასავლ. მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე. ნინა გიორგის ასული გამყრელიძე, 49 წ., მოსამსახურე, ს. ლალხორი, კალის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.
- მეწყერიაშ** – სამოვარი (ჩიხარეში), ს. ჩიხარეშის აღმ. მთაში.
- მეწყერალ** – სათიბიც, ტყეც, ს. სასაშში, ნამეწყერალია.
- მეწყერალ (2)** – სათიბი (შვედი, სასაში), ს. შვედში ნამეწყერი ადგილებია. ს. შვედი, ლნტბ. რ. ქ. მ. გაბიანი, 49 წ. 1976
- მეხი ნაყირ გგობ** – ტყე (ლელზაგი), ს. ლელზაგის ჩრდ. გადის გზა გგობარ ხაგბ. ჟორა დ-ძე აბდელანი, 37 წ., ლატალი. 1973
- მეხინაყირ** – ტყე (რცხმელური – მ. ჩიქ.). ლენტეხის რაიონი. მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრ., ტ. IX, 1939 წ.
- მეხიშ ნაყირ მეგემ** – სამოვარი (ტობარი), სამოვარი მთა ტობარის სამხ.-დასავლ. გზაზე. ცაცუ ფარნაოზის ასული ჭკადუა, 67 წ., პენსიონერი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1970 წ. X.
- მეხუთე ნაკუთი** – ხევი (ზ. ვედი), მდ. ვედრულას მარჯვენა მხარეზე, ხის წარმოება. არჩილ კოსდას ძე ჭკადუა, 40 წ., კოლმ., ს. ზედა ვედი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. IX
- მეხენაკუარ** – კლდე (უშგული), ს. უშგულის აღმ., მდ. ქვიშირის მარჯვენა კალთაზე, გზაზე კლდეს მოხვედრია მეხილ. „მეხის დანაცემი“. პავლე ნიკოს ძე ნიჭარაძე, 43 წ., მოსამსახურე, ს. ჩაუაში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.
- მეხტირ** – სათიბ-სამოვარი (მესტია), ლექუჭ ლახუ-
- შია. ზამირა დათიკოს ასული მარგიანი, 18 წ., კოლმ., დ. მესტია. 1972, VIII
- მეხტრა** – კლდე, ს. წვირმის სამხ.-აღმ. რღვევადი კლდეა. არჩილ კოსდას ძე ფანგანი, 57 წ., მოსამსახურე, ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.
- მეხტრა** – კლდის სახელია, მდებარეობს ს. ფეხსა და იფარს შორის. მეხტრე – ნიშნავს ჩამოწოლილს, ჩამოშლილს. გამიგონია, რომ ამ ადგილას ყანები ყოფილა. კლდის გაჩენას უკავშირებენ მღვდელ-მონაზონ თევფანე კორძიას სახელს: თითქოს, მას ნდომებოდეს წყლის გამოყვანა უღვირის უღელტეხილიდან ფეხამდე, მაგრამ წყალს ეს ადგილი ჩამოუნგრევია. ეს თქმულება არ უნდა იყოს მართალი, ფეხში არის შესანიშნავი წყარო და გაუგებარია, რატომ უნდა დასჭირვებოდა მღვდელ-მონაზონს სხვა წყალი? თვითონ ტერმინი კი ნიშნავს ჩამოშლილს, ჩამოწოლილს. ასლან კორძია, 5 ივლისი, 1965 წ.
- მეხტრა (2)** – კლდე, ტყე (ბოგრეში, წვირმი), ს. იფარის ჩრდ.-დასავლ. ენგურის მარჯვენა კალთაზე. ჩამორღვეული შვეული ფერდობი. გარშემო ფოთლოვანი ტყით. სოლომონ ივანეს ძე გულბანი, 62 წ., პენს., ს. ბოგრეში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.
- მეხტრე ტუბი** – ღელე (ნესგუნი), ფუშყვერის მარცხენა შენაკადი, კალთებზე ფოთლოვანი ტყე აკრავს. ელგუჯა ვლადიმერის ძე გულუდანი, 36 წ., ლენჯერის ს.ს., 1972
- მეხტროლ** – ყანა (ლახამულა), საცხოვრის ნოდანშია საცხოვრებელი ნაგებობები, ხილნარი, ყანები, ძველი ნასახლარია – ქვითკირის სახლის სამირკველი ამჩნევია. აღმ. მეხტროლში ზაგარ აკრავს. გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.
- მეხტროლში ზაგარ** – ქედი (ლახამულა), საცხოვრის ნოდანშია, ყანა მეხტროლის აღმ. ტყიანი და კლდიანი რელიეფით. გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.
- მეგრარ** – ყანები (ხოსრარი), ს. ხოსრარში, ჩ. ხოსრარის აღმ. იყოფა ჟიბე და ჩუბე-დ. გრძელია. მესტიის რ. ფარის ს.ს., ს. ა. ჩხვიმიანი, 1969
- მეჭიალდ** – უბანი (ლაბსყალდი), ლაბსყალდში,

სახნავ-სათეს რატანის ჩრდ.-აღმ. ცხოვრობს 4 მოსახლე. არის ყანები. ადრე მწიფდება მოსავალი. მეჰიალდ „ნადრევი, ადრე მოსული“ (?). *შიო თავას ძე გუგუსიანი, 41 წ., კოლმ., ბრიგადირი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

მიაგუტიშ ნალზიგუტ – სამოვარი (ხაიში), დასახლება ნაკიდან სამხრეთით, დაკპრ-ის სამხ.-აღმ. ფერდობია, ადრე ცხოვრობდნენ მიაგუტ და ჯამა ჭკადუები. ამჟამად სამოვრადაა გადაქცეული. *ვალერიან სარდიონის ძე ჭკადუა, 48 წ., პედაგოგი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1970 წ. ივლისი.*

მიაგუტიშ ნაჭიზიგუტ (იხ. **მიაგუტიშ ნალზიგუტ**).

მიგნიშ – სათიბი (ლეზგარა), სამოვარ თეთელის ქვემოთ. *გიორგი სათგერის ძე ქალდანი, 78 წ., პენსიონერი, ს. ტუტიბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

მიდამ – ყანა (იენაში), ს. იენაშიში, სწორი რელიეფით. *ილიკო გ-ძე ფარჯიანი, 49 წ., ლატალი. 1973*

მიდმარ (იხ. **მაცხუჭრი ლაშთხუჭრი**).

მილუტ – სათიბი (ტვიბი), ს. ტვიბში. მილუტ მოლი. *ლენტეხის რ. ჩოლურის ს.ს., ა. ა. ზურაბიანი, 20 წ., 1978*

მინდოლას მოლ – ყანა (ბაბილი), მდ. ჩოლშურას მარცხენა კალთაზე. ქურასბედიანი მინდოლას ახო. *ნ. ბ. ქურასბედიანი, 33 წ., 1974*

მინდორილ – საბალახო. ს. მახაშის მთის საბალახო. *ლნტხ. რ. ჩიხარემის ს.ს., რ. მ. ჭელიძე, 1976.*

მინდორილ (2) – სამოვარი (მელე, მახაში), ს. მელეს ჩრდ. მთა აირაშის გაგრძელებაზე, ვაკობია, კარვების სადგომი.

მინდოხშა – უბანი (მესტია), ლანჩვალშია, ხერგია-ნე-ბის საგვარეულო თემის შტო, დგას კოშკი – მინდოხშა მურყუტამ. მინდოხ (საკუთარი სახელი ?). *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 63 წ., მესტია, 1972*

მინდოხშა მურყუტამ – კოშკი (ლანჩვალი), ლანჩვალშია, ხერგია-ნე-ბის საგვარეულო თემის ერთ-ერთი შტოს კოშკი. მინდოხ (საკუთარი სახელი ?). *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 63 წ., მესტია. 1972*

მინდოხშა ცხეკ – ცყე (მესტია), რახნ ცხეკის ერთ-ერთი ნაწილი, პატრონობდნენ ხერგია-ნე-ბი. აეროპორტის სამხ.-დასავლ. მალთუთ (თემი ?). *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 63 წ., მესტია. 1972 წ.*

მინდშიშ კუტათხ – გზა (ცხუმარი), მთა სკვრბაშის-

კენა გზა. „მინდშიშ-ის აღმართი“. *მეკა ამიიზის ძე ქალდანი, 61 წ., პენსიონერი, ს. ტუტიბერი ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

მინდშ – სამოვარი (ლეზგარა), ს. ლეზგარას სამხ. საზაფხულო სამოვარი მთა. ვაკე ადგილია, სამხ. აკრავს ჟაბე მინდშ. *მეკა ამიიზის ძე ქალდანი, 61 წ., პენსიონერი, ს. ტუტიბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

მინაშა მურყუტამ – კოშკი (იელი), ს. იელიშია, ფანგანების კუთვნილების. *იონა ვისიბის ძე სამსიანი, 77 წ., პენს., იფარის ს.ს., 1972, VII*

მირანგულა მწვერვალ – მწვერვალი (უშგული), მწვერვალ ნამყუტამის მარცხნივ, შხარას სამხრეთის კედელზე. დაარქვეს ალპინისტებმა ჯოკია გუგავამ, გივი წერედია-ნა, შალიკო მარგიანმა 1968 წ. (?) იოსებ კახიანმა, ზორის გვარლიანმა. *გივი ერისტოს ძე რატანი, 33 წ., მოსამს., უშგულის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

მირგულიანი – სათიბ-სამოვარი (სპარდიში), მესტია ჭალას მარცხენა მხარეზე, აეროპორტის ჩრდ. სანა ზუგუტს, ლეკანდა და შუმლედს შორის. *ავთანდილ ანდრიას ძე რატანი, 37 წ., ს. სპარდიში, მესტიის რ-ნი. 1972.*

მირგულიანი – სათიბები (ლეხთაგი), აეროპორტის მხარეში, ეკუთვნის ფალიანებს, ნაკანებს, ნიგურიანებს, შუმლედ-სა და ზარგში ტუტიბებს შორის. (ხარობს მურგუტი (?). *მესტიის რ. ჩათო ესტატეს ძე ჩართოლანი, 45 წ., ლეხთაგი. 1972*

მირილ – სერი (ფარი). *მესტიის რ. ვახტანგ ჟემუზას ძე ნარსავიძე, 1965*

მირონიშ სგიმ – მჟავე წყალი (ნაკი), ჟაბე ნაკშია, ცენტრში, კანტორასთან. მოუნახავს მირონ ანსიანს. *არსენა სიმინის ძე გვარამიანი, 57 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

მირონანი – სახნავი (შკედი), ს. შკედეში. მირონისეული (შდრ. მირონანი ებ). ს. შკედი, ჩიხარემის ს.ს., *ლნტხ. რ. ა. ს. ონიანი, 34 წ., 1976*

მირპილდ – სამოვარი (ბეჩო), ბალის ზეგანზეა სათიბ მაჯუტდას ქვემოთ. *გრამიტონ ბესარიონის ძე კვიციანი, 63 წ., კოლმ., ს. უშვანარი, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტემბერი.*

მისრიშა (იხ. **მისრიშა**).

მისრიშა – უბანი (სეტი), ეჩხან ტაფშია, ერთი მოსახლეა ჯაფარიძისა. „მისრი“ ოჯახის უფროსს ერქვაო. *სეტი, მესტია. თედორე ტარასის ძე ნაკანი, 63 წ., მესტია. 1972*

- მისრი შუკუტარ** – გზა (ჭოლაში), ს. ჭოლაშის აღმ., სამანაქანო გზა ზედა სოფლებში. პირველად მისრი დევდარიანს გამოუყვანია გზაო, დარჩა აქედან. *სოფრომა საბას ძე გუჯეჯიანი, 62 წ., პენს., ს. ჭოლაში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მისტან** – სამოვარი (ნაკი), მდ. ნაკრას მარცხენა კალთაზე, ტყე მურჭიშის სამხ.-დასავლ. მოედინება მჟავე წყალი მისტანში სგიმ. *ვასილ ბურნაყის ძე ქალდანი, 57 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- მისტანში სგიმ** – მჟავე წყალი (ნაკი), მდ. ნაკრას მარცხენა კალთის ტყენარევ სამოვარ მისტანში მოედინება. *ვასილ ბურნაყის ძე ქალდანი, 57 წ., პედაგოგი, მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- მიქელი მოლ** – სათიბე-სახნავი (ყვედრეში), ს. ყვედრეშია, მიქელ ლიპარტელიანის ყოფილი მიწა. *ჯ. პ. ლიპარტელიანი, 30 წ., 1974*
- მიქელტაშა** – უბანი (ჭველიერი), მუკბანიანების საგვარეულოს ერთ-ერთი შტო ქვედა ჭველიერიში. *ფ. ი. მუკბანიანი, 27 წ., 1974*
- მიქელშერ** – დასახლებული უბანი, ს. ფაყის ერთ-ერთი დასახლებული უბანი, ბენდელიანების საგვარეულოს სამოსახლო ცენტრიდან დაახლ. 200 მ. მხოლოდ მიქელშერაშლ-ის თემია. ხელედის ს.ს., *ბიჭიკო შალიკოს ძე ბენდელიანი, 27 წ., მოსამსახ., ს. ფაყი, ლენტეხის რ. 1974.*
- მიქელშერ** – დასახლებული უბანი, ს. ფაყის ერთ-ერთი დასახლებული უბანი, ცხოვრობენ ბენდელიანები, ახალი მოსახლეა ჩანქსელიანი, სალდანაშ თემისა. *ე. ს. გვიდიანი, 24 წ., 1974.*
- მიქელშერ** – თემი, ნესკვამ ბავარის ბენდელიანების საგვარეულოს ერთ-ერთი შტო. ხელედის ს.ს., *ს. ლ. ბენდელიანი, 35 წ., 1974*
- მიქელშერ (4)** – უბანი (შვედილდაში, ბავარი, ფაყი), ს. შვედილდაშია, ბენდელიანების საგვარეულო თემი. *ი. დ. ლიპარტელიანი, 73 წ., 1974*
- მიქელშერაშლ** – თემი (ლესემა), ს. ლესემაში შემავალი ბენდელიანების საგვარეულოს თემი. *მ. ნ. ბენდელიანი, 49 წ., 1974*
- მიქლიანი** – სათიბი (ნავყვამი), ყანა (იფხი), ს. ნაჭყტაშში, გზის ზემოთ. მიქლიანში მერეს ლსსტ. *ა. ბ. გირგვლიანი, 80 წ., ლატალი. 1973*
- მიქლიანი** – ყანები, იფხშია. მიქეს (ვინმე) ყოფილი ყანებიო. ს. იფხი. *ე. ი. ნანსყანი, 61 წ., ლატალი. 1973*
- მიქლიანში მურყუმარ** – 3 კოშკი (სოლი), ს. სოლია, სამი კოშკია ხაფთანების საგვარეულოსი, რომელთაგან ერთი დანგრეულია. *რ. ა. ხაფთანი, 52 წ., მოსამსახ., მესტიის რ. 1972, IX*
- მიქსანიარ** – სახნავი (ხერხვამი), ს. ხერხვამის აღმ. მდებარე ყანები. მიქსანი „კვლთხი მეღ ლი, მეთოტან, ქტინ ხოჯან. წელ იზბი, იშგენ მოდმაგტემ“. *დავით დუდურაყის ძე ანსიანი, 51 წ., მეტყევე, მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- მიქქე დაბრლარ** – სათიბეები (მახაში). ლნტხ. რ. ჩიხარემის ს.ს., *რ. მ. ჭელიძე, 1976*
- მიშაშ ნამქაჩუ** – ტყე (ტვიბერი), სოფლის სამხ.-აღმ. ადრე მიშა ქურდიანის ნაკავი ყოფილა. ხარობს ბევრი მოცვი. „მიშას ნაჭრევი“ (ლიქჩე „ჭრა“). *მიხეილ ლემინის ძე ქალდანი, 45 წ., კოლმეურნე, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- მიშაშ** – სათიბეები (იენაში), ს. იენაშია, სოფლის სამანქანო გზის ქვემოთ. *ილიკო გ-ძე ფარჯიანი, 49 წ., ლატალი. 1973*
- მიშა დაბ** – ყანის (ლადარვაში), ს. ლადარვაში, მიშა ქურასბედიანის სახელობის ყანა. ლნტხ. რ. რცხმელურის ს.ს., *გ. ბ. ქურასბედიანი, 1976*
- მიწრულ** – სამოვარი (ჭებუდი), ს. ჭებუდის და ქტანზაგარს შორის, სათიბ სახნავ მარცხნის ჩრდ. ადრე სათიბი იყო, მოედინება პატარა წყალი. მოჟონავს წყალი – აშ როქ წურე ლიც. *ანზორ არდევანის ძე სუბელიანი, 44 წ., პედაგოგი, ს. ჭებუდი, ევერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- მიხეი მოლ** – ყანა (რცხმელური), მიხე ლიპარტელიანის სახელობის ყანა. ლნტხ. რ., რცხმელურის ს.ს., *გ. ბ. ქურასბედიანი, 1976*
- მიხეშ ლაგარდტიშ** – ნაკარტოფილარი (ზ. ვედი), მთა ჯიქერშია. *მიხეილ ქერეჯის ძე ჭკადუა, 59 წ., კოლმ., ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- მიხე ლეჭმელ** – სათიბეები (ყახუნდერი), ს. ყახუნდერში, მიხე ონიანის სახელობის სათიბეები. *კაკო შამშეს ძე ჯაფარიძე, 42 წ., პედაგოგი*
- მიხე მოლარ** – სამოვარი (ჩოლური), მთისკენა გზაზე, *მიხე მუკბანიანის ნახოვარი, ტყის ზონაში. ჩოლურის ს.ს., ე. ა. მუკბანიანი, 41 წ., 1978*
- მიხე ქტაბ** – სამოვრები (ყახუნდერი), ს. ყახუნდერის მთაში ვინმე მიხეს ქვაბი, კლდიანია, გამოქვაბული.
- მიჯურბი** – სათიბი (დავბერი), ს. დავბერის ჩრდ.-

- აღმ., ენგურის მარჯვენა კალთაზე. ხალდესა და რუსი ჯარების საბრძოლო ადგილი. (სიმღერაცაა – გაულდ გავხედე). *ნოდარ პლატონის ძე მარგვლიანი, 40 წ., 40 წ., მოს., ს. დავბერი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*
- მიჯტორში კუჭმბ** – სათიბი (დავბერი), ს. დავბერის ჩრდ.-აღმ. ენგურის მარჯვენა კალთაზე, მწვერვალი (მდრ. ყუბიმბ). სათიბ მიჯტორში-ს ქვემოთ მაღლობი. *ნოდარ პლატონის ძე მარგვლიანი, 40 წ., მოს., ს. დავბერი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*
- მოგელშერ** – უბანი (ხოფური), ს. ხოფურის ერთ-ერთი უბანი, ქურასბედიანების საგვარეულო. ს. ხოფური, ლენტეხის რ. *ქ. ს. ლიპარტელიანი, 44 წ., 1976*
- მოდგიმ** – სათიბი, ს. ჟახუნდერში.
- მოდგიმ** – სამოვარი – სათიბი, ჩუკულშია, მთა, იყოფა ჟიბე და ჩუბე მოდგიმ-ებად. ჟახუნდერის ს.ს., ლენტეხის რ. *ნ. დ. გულბიანი, 26 წ., 1976*
- მოდგიმ (3)** – სათიბი (სასაში, ჟახუნდერი), სამოვარი (ჩუკული), მდ. ლაშხირის მარჯვენა მხარეზე. ლენტეხის რ. *მ. გ. ონიანი, 41 წ., 1974*
- მოლ** – საბალახო, ს. იდლიანის სამხ.-დასავლ. ნენზიმ ნაკის სამხ.-დასავლ.). ფერდებია, გვიმრნალი და შერეული ტყით, მდ. ენგურამდე აღწევს. *გივი მოსეს ძე ჭკადუა, 43 წ., კოლმ., ს. იდლიანი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 8.11.1970 წ.*
- მოლ** – საბალახო, ს. კახურაში მოლ ნაკის გვერდით. ს. კახურა (ლენტეხის რ.). *მ. გ. ლიპარტელიანი, 31 წ., 1974*
- მოლ** – სათიბი, ს. ნაცულის აღმართზე.
- მოლ** – სათიბი. ს. ჟაბე უედ. *მიხეილ ქერევის ძე ჭკადუა, 59 წ., კოლმ., ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- მოლ** – სათიბ-სახნავი, ს. სიდიანარის სამხ.-აღმ. ნამოლ ლი. *ვლო ა-ძე სიდიანი, 37 წ., ლატალი. 1973*
- მოლ** – სამოვარი, მუღულსა და ლახორგას შუა. „მოლი“. *მიხეილ ლემინის ძე ქალდანი, 45 წ., კოლმეურნე, ს. ტუბბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- მოლ** – სამოვარი, ს. ბულეშში, ნახოვარია, ადრე – სახნავი. ჩოლურის ს.ს., (ლენტეხის რ.). *ქ. ა. მუკბანიანი, 41 წ., 1978*
- მოლ** – სამოვარი, ს. ლახამულას დასავლ., მდ. ენგურსა და სამანქანო გზას შორის. ს. ლახამულა. *გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- მოლ** – ტყე, ენგურის მარცხენა კალთაზე, შგედში, სამოვარ ლაქსონჯის ზემოთ. ადრე სამოვარი ყოფილა, ამჟამად ფიჭვნარია (ლეგები). *კოწი იოსეს ძე კვანჭიანი, 55 წ., კოლმ., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- მოლ** – ტყე, პატარა სამოვარი, ს. სოლის ჩრდ.-დასავლ. სამანქანო გზის ზემოთ. შერეული ტყით, პატარა სამოვარი ადგილია, ვაკე. რ. ა. *ხაფთანი, 52 წ., მოსამსახ., მესტიის რ-ნი. 1972, IX.*
- მოლ** – ტყე, ს. ზაგარის სამხ.-აღმ., ტყე ჯიჰარნის აღმ. დაფერდებულია (ყაფლადნარ ხარ მოლე – მოლე). „მოლი“. *გაიანე კამუთის ასული ცინდელიანი, 50 წ., კოლმ., ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- მოლ** – ტყე, ს. ლეზგარას სამხ.-დასავლ., ტყის ნაკაფია. მოლ „მოლი“. *ლოლა მგვას ასული ქალდანი, 24 წ., ს. ტუბბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- მოლ (14)** – სახნავი (სვიფი – ეცერი, სიდიანარი), სათიბი (ზ. ვედი, ნაცული, მაგარდელი), სამოვარი (იდლიანი, ლახამულა, კახურა, ბულეში, ტვიბერი), ტყე (სოლი, ლეზგარა, ჟაბეში, ზაგარი), სოფლის დასავლ. სამოვარ სუტიკუ-ამდე, დგას უედმაშერ მურყტამ (კომვი), მის ზემოთ ყოფილა ჯგვრნგიმ ლაჯტმი. მოლ „მოლი“ (?) „ნაკაფი“. *აკაკი სორეხის ძე აფრასიძე, 66 წ., პენს., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. X.*
- მოლ (იხ. მოლარ).**
- მოლა თხუმ** – სამოვარი (ჩუკული), უბან ლეკუმბასტში. ჟახუნდერის ს.ს., ლენტეხის რ. *ზ. ს. გულბიანი, 22 წ., მოსამსახურე, ს. ჩუკულიდან*
- მოლა ღელა** – ღელე (ბულეში), ს. ბულეშშია, მოლში. ჩოლურის ს.ს., *ქ. ა. ონიანი, 41 წ., 1978*
- მოლარ** – სათიბები, ს. ლეუმერშია, ახოვბია. ა. ზ. *ბაბლუანი, 43 წ., 1974*
- მოლარ** – სათიბი, ს. ლუჯიში, ტყიანში.
- მოლარ** – სამოვარი, ს. ლამფალაშში. ჟახუნდერის ს.ს., *რამაზ ომეხის ძე ონიანი, 16 წ., 1981*
- მოლარ** – სამოვარი, უბან ლეკუმბასტში. ჟახუნდერის ს.ს., ლენტეხის რ. *ზ. ს. გულბიანი, 22 წ., მოსამსახ. ს. ჩუკულიდან. 1976*
- მოლარ** – სამოვრები, სასაშის სამხ. მოლეგია ტყიანი. ლენტეხის რ. *მ. გ. ონიანი, 41 წ., 1974*

- მოლარ** – სახნავები, ს. შგედში. ბუჩქნარია. ს. შკედი, ჩიხარემის ს.ს., *ქ. ს. ონიანი, 34 წ., 1976*
- მოლარ** – ყანები, ს. მახაშშია. ჩიხარემის ს.ს., ლნტხ. რ., *რ. მ. ჭელიძე, 1976*
- მოლარ (8)** – ყანა (ზ. ჭველიერი, მახაში, შკედი), სათიბი (ლუჯი, ლევშერი), სამოვარი (ლამფალაში, სასაში, ჟახუნდერი), ყანა, ზედა ჭველიერში, ნამოლ ლი. ჩოლურის ს.ს., *გ. ნ. ზურაბიანი, 46 წ., ს. ს. მუკბანიანი, 45 წ., 1976*
- მოლარი ცხეკ** – ტყე (შკედი), ს. შგედშია. ს. შკედი, ჩიხარემის ს.ს., ლნტხ. რ., ტყიანია. *ქ. ს. ონიანი, 34 წ., 1976*
- მოლარიქლო** (იხ. მოლარ – შკედი).
- მოლდაშ** – ყანა (ლახამულა), *ჟ. ლახმელს აკრავს* აღმ. მხრიდან, მოფერდოა, ხილნარი-ტყემლნარი, ასკილიცაა, აქა-იქ მუხის ბუჩქებიცაა. მოლდაშ < მოლგლდაშ (?). *კოწი იოსეს ძე კვანჭიანი, 55 წ., კოლმ., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- მოლერ** – სათიბ-სამოვარი (ლახამულა), ენგურის მარცხნივ შგედში, სათიბ ნალქაჭარსა და ტყე კირარს შორის. ამჟამად ისევე ტყიანდება. *კოწი იოსეს ძე კვანჭიანი, 55 წ., კოლმ., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- მოლზაგარ** – სათიბი, ს. ლემდერის ჩრდ.-დასავლ., სათიბი სარეკის აღმ. მაღლობი ადგილია, შუაში სათიბი, ირგვლივ – ტყე. წიფლნარი ტყე ჯგერელაშის სამხ. მოლ-ზაგარ „მოლ-ზეგანი“. *ლევარსან ომანას ძე ჩხვიმიანი, 58 წ., 1969 წ. X.*
- მოლ-ზაგარ** – სამოვრები, ს. სიდიანარის ჩრდ. პატარა გორაკია. *ვალო ა-ძე სიდიანი, 37 წ., ლატალი. 1973*
- მოლ-ზაგარ (3)** – სათიბი (ეცერი, ლემდერი), სამოვარი (სიდიანარი), ს. ეცერის ჩრდ.-აღმ. სათიბ ცაგრელის სამხ.-აღმ. ზეგანია სათიბებით. *ილარიონ კოსდას ძე ხორგუანი, 60 წ., კოლმ., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. X.*
- მოლიდარ** – ყანები (ახალშენი), ს. ახალშენის დასახლების აღმ. ტყის პირას. *მ. ლ. ნემსაძე, 40 წ., 1974*
- მოლიერ** – ყანა-სათიბი (მურშკელი), ს. მურშკელის დასავლ. სათიბ ტყუნდერსა და ყანა ნაპდუნს შორის. *ვლადი ბათოს ძე მჭედლიანი, 13 წ., მოსწავლე, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მოლლარ** – სათიბი (მსტ. – ირ. მელიქიშვი). მესტიის რ-ნი. *ირინე მელიქიშვილი, 1961 წელი.*
- მოლრი ცხეკარ** – ტყე (მესტია), აეროპორტის სამხ.-აღმ. ფერდობი შერეული ტყით. მოლრი < მოლარი. *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 64 წ., მესტია. 1972 წ.*
- მოლრი ჯგერაგ** – საყდარი (მესტია), აეროპორტის ჩრდ.-აღმ., მონადირეების სალოცავი ეკლესიაა, ისინი უვლიან კიდევაც. დგას ჟიბე მოლარ-ში, აქედან მისი სახელწოდებაც „მოლის წმ. გიორგი“. *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 60 წ., მესტიის რ-ნი. 1972 წ.*
- მოლულდ** – ტყე, ს. ლემუკვის ჩრდ. ტყე გგბარიდან ტყის ჩამოსაშვები. ს. ლემუკვი. შურო. *შალვა გ-ძე ივეჩიანი, 30 წ., ლატალი. 1973*
- მოლულდ (2)** – სათიბი (კიჩხულდაში), ტყე (ლემუკვი), საცხოვრის ჩუბარ-ის აკრავს სამხ.-აღმ., ტუბის სამხ. ტყეშია სათიბი პატარა მოცულობისა. *სამსონ სვინჩილდის ძე ვიბლიანი, 59 წ., კოლმ., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- მოლულდარ** – ხილნარი (გვიმბრალი), ს. გვიმბრალ-ში, ტვიბის მარჯვნივ. ლნტხ. რ., რცხმელურის ს.ს., *გ. ა. მუსელიანი, 1976*
- მოლგლდ** – სამოვარი, საცხოვრის ნოდაშის დასავლ. ყანა ოთლგზანის გაყოლებით, სამანაქანო გზის ქვემოთ. ირგვლივ მუხნარი ტყე აკრავს. ს. ლახამულა. *გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- მოლგლდ (2)** – სათიბ-სამოვარი (მაგარდელი, ლახამულა), სოფლის აღმოსავლეთით, დაახლ. 2 ჰა. სათიბი, მოლგლდაშ ცხეკს ქვემოთ. მოლგლდ „პატარა მოლი, ნაკაფი“. *ივანე ბექას ძე მილდიანი, 99 წ., პენსიონერი, ს. მაგარდელი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- მოლგლდაშ ტუბრა** – წყალი (მაგარდელი), სოფლის აღმ., მოლგლდაშ ცხეკსა და სათიბ შუმიშ-ს შუა ჩამოდის პატარა ღელე (წყალი). ჰინდრონიმის მიხედვით. *ივანე ბექას ძე მილდიანი, 99 წ., პენსიონერი, ს. მაგარდელი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- მოლგლდაშ ცხეკ** – ტყე (მაგარდელი), სოფლის აღმოსავლეთით, სათიბ მოლარ-ს ქვემოთ. მოლგლდაშ ტყე; „მოლ“ მოლი, ნაკაფი. *ივანე ბექას ძე მილდიანი, 99 წ., პენსიონერი, ს. მაგარდელი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

მოლზრ – სათიბი, ს. ნაცულის დასავლ.

მოლზრ – სამოვარი, ს. სასასში, ნახოვარი.

მოლზრ – ტყე, ს. ჩიხარემის სამხ. ლაშხრერის მარცხნივ სათიბები არაა.

მოლზრ (4) – ყანები (ჩიხარემი), სათიბი (ნაცული), სამოვარი (სასასში), ს. ჩიხარემშია.

მოლზ თხუმ – გზა (ხელედი), სახნავ-სათიბი ჟიბე მოლის დასავლეთით. ტყიანის დასაწყისი. *მ. მ. ჩანქელიანი, 46 წ., 1974*

მოლზ კალთა – ყანა (ლადარვაში), ს. ლადარაშშია, მოლის ბოლოში. ლნტხ. რ., რცხმელურის ს.ს., *გ. ბ. ქურასბედიანი, 1976*

მოლზ კინჯბზრ – კლდე (სოლი), ს. სოლის ჩრდ.-დასავლ. სამანქანო გზის ზემოთ, ტყე მოლთანაა. კლდოვანი ადგილებია. *რ. ა. ხაფთანი, 52 წ., მოსამსახ. მესტიის რ-ნი. 1972, IX*

მოლზ ნაკ – სამოვარი, კახურაშია, მოლის გვერდითაა. ს. კახურა. *მ. გ. ლიპარტელიანი, 31 წ., 1974*

მოლზ ჯგერზგ – ეკლესია (სოლი), ს. სოლის ჩრდ.-დასავლ. ტყე მოლშია, რკინის ხატი ყოფილა ადრე. ცხირლადანს ლი გიგებში როკჟი. ბლომად აწყვილო ტოტები. *რ. ა. ხაფთანი, 52 წ., მოსამსახ., მესტიის რ-ნი. 1972 წ. IX*

მოლზრ – სათიბები, ნასახლარ სგობულ-ში, ტყეშია, ცხეკჟი ნამოლ, ლზრად ნზსყუტ. ქ. მოლ-ი > სვ. მოლ > მტელ > მელ. ლატალის ს.ს., *მ. ჯ. კვანჭიანი, 62 წ., ს. იენაში. 1973*

მოლზრ – სათიბი, მდ. ღემდრგლას მარცხენა კალთაზე, ტყე ლზკუმას აღმ. შიშველი რელიეფით. მოლ „მოლი“. *ლევარსან ომანას ძე ჩხვიმიანი, 58 წ., პედაგოგი, ს. ღემდერის მესტიის რ-ნი, 1969 წ. X.*

მოლზრ – სათიბი, ს. მაგარდელს აღმ., სათიბ ჯამბზრანის ზემოთ. მოლი-ები (ნაკავი სათიბები?). ივანე ბექას ძე მილდიანი, 99 წ., პენსიონერი, ს. მაგარდელი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წლის ოქტომბერი.

მოლზრ – სათიბი, ს. მაგარდელს სამხ.-აღმ., თოთალადს აღმ. მოლ – „მოლი, ნაკავი“. *ივანე ბექას ძე მილდიანი, 99 წ., პენსიონერი, ს. მაგარდელი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წლის ოქტომბერი.*

მოლზრ – სათიბი, სამოვარი მთა ნენტყის სამხ., ირგვლივ წიწვნარია. „მოლიანი“, ს. ფარი.

მოლზრ – სამოვარი (მესტია), ჩვ. ლახმელის ჩრდ.-დასავლ. ნაჭკორა შუკუს ჩრდ. „ლესხოზის“

მიერ შემოკლებული ადგილი სანერგებისათვის. ხრიოკი და დამრეცი რელიეფით. მოლზრ „ნაკავი“, „ახო“. *გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

მოლზრ – სამოვარი, მდ. დაქმზრ-ის აღმ., სათიბ ტასლერს აკრავს სამხ.-აღმ., ჩირგვნარია, სოჭნარიც (ლეგგებ). მოლ „ნაკავი ადგილი, მოლი“. *ფუჩე ფუჩეს ძე გერლიანი, 87 წ., პენს., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. X.*

მოლზრ – სამოვარი, ს. ლაბსყალდის ჩრდ.-აღმ., თანლილს, ბაჩარს ქვემოთ. ტყიანია (ცხევილდზრ ლიხ), სოჭნარი (ლეღტმურულზრ ლიხ). მოლზრ „ნაკავიანი“ ? ს. ლაბსყალდი. *ბასილო თავას ძე გუგუსიანი, 57 წ., მეტყევე, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

მოლზრ – სამოვარი, სოფლის სამხ., სათიბ ზუგულ-დსა და სამოვარ ნამნაშტს შუა. ნახნავია, ამჟამად უხნავადაა. მოლზრ. ს. ლაშხრერი. *აკაკი ნესტორის ძე ჩარკვიანი, 45 წ., კოლმ., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

მოლზრ – სახნავ-სამოვარი, ს. ქვედა ჭველიერშია, ვლადიმერ ლიპარტელიანის ყოფილი ნასახლარი. ს. ჭველიერი, ჩოლურის ს.ს., *მ. გ. ლიპარტელიანი, 36 წ., 1974*

მოლზრ – სახნავ-სამოვარი, სოფლის ჩრდ.-დასავლ., სახნავ გაბელანის აკრავს ჩრდ.-დასავლ. გორამდე (გოლზმ სუიკუტ), დასავლეთით ჯუჯა ტყეა. „ნაკავიანი“ ? „მოლიანი“. ს. ბზრშ. *შალვა ამის ძე გურჩიანი, 78 წ., პენს., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. X.*

მოლზრ – ტყე, ს. ზაგარის სამხ.-დასავლ., ტყე და ყანა ბეზნარის დასავლ. ყაფგლდზრ ხარხ მოიდ-მოიდ. მოლ „მოლი“ (?). *გაიანე კამუთის ასული ცინდელიანი, 50 წ., კოლმ., ფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

მოლზრ – ტყე, ს. უშხუანარის ქვედა ნაპირი, სამხ.-აღმ., ამოჯირკული, ნაკავი, მოლებიანი ადგილი. რელიეფის მიხედვით. *გრამიტონ ბესარიონის ძე კვიციანი, 63 წ., კოლმ., ს. უშხვანარი, ბეჩოს ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. სექტემბერი.*

მოლზრ (15) – ყანა (ფაყი, ბარში, ქვ. ჭველიერი), ტყე (უშხვანარი, ზაგარი), სამოვარი (ლაშხრერი, ლაბსყალდი, ლახამულა, ისკარი), სათიბი (მურშველი, მაგარდელი, ღემდერი, ფარი, სგობულდი), ს. ხარაშშია, ყანა ნაკარშია, ირგვლივ ტყეებით. ერთი მთლიანია და არაა დანაწევრებული დღეს. ადრე ? – ალბათ

- ცალცალკე! *ე. ს. გვიდიანი, 24 წ., 1974*
- მოლწრი ლწრწლ** – ზუჩქწარი (ჭველიერი), ს. ქვედა ჭველიერიშა, ადრე სათიბი იყო. *ფ. ი. მუკბანიანი, 27 წ., 1974.*
- მოლწრიმ** (იხ. **მოლწრ** – ლაბსყალდი).
- მოლწშ ლარე** (იხ. **მოლ** – ტვიბერი).
- მოლწშ სუტიკუტ** – გორა (ზარი), სოფლის დასავლეთით, ზეგანი, სამოვარიცაა. „მოლის სერი, გორაკი“. *შალვა ამის ძე გურჩიანი, 78 წ., პენს., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. X.*
- მოლწშ ფაფალ** – გორაკი (ლახამულა), ს. ლახამულას დასავლ. ენგურის მარჯვენა მხარეზე, სამოვარ მოლის აღმ. მუხნარი ტყით, ტუბიბწრის დასავლ. საცხოვრის გემწრანიშა. *გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- მოლწშ შუკუტ** – გზა (ტვიბერი), სოფლის დასავლ. სათიბ მულულ-იდან მოლამდე ტყეში მიმავალი გზა. მოლის გზა. *მიხეილ ლემინის ძე ქალდანი, 45 წ., კოლმეურნე, ს. ტუბიბერი, ცხუმარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*
- მოლწრ** – სათიბი, ს. ზარდლაშის ჩრდ.-დასავლ. სათიბ ჩარგმწშის ქვემო კალთა. *ნოდარ შამშის ძე გაბლიანი, 32 წ., კოლმ., ს. ზარდლაში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მოლწრ** – სამოვარი, ს. ჟაბემის ზემოთ, სუტიფის აღმ. სამოვარი შიშველი რელიეფით. *ივანე ბედის ძე კახიანი, 83 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მოლწრ** – სამოვარი, ს. ცალდაშის დასახლების ზემოთ, მეჩხერი ტყით. *ჭიჭიკო ბითეს ძე ზურებანი, 83 წ., პენს., ს. ცალდაში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მოლწრ** – სამოვრები, ს. ზეგანის აღმ., ყანების ზემოთ ახო ფოთლოვან გარემოცვაში. *გუნტერ ილამაზის ძე გულბანი, 38 წ., მოსამსახურე, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მოლწრ** (5) – ყანა (ადიში), სამოვარი (ცალდაში, ჟაბეში, ზეგანი), სათიბი (ზარდლაში), ს. ჰადიშის დასავლ., სამანქანო გზის ზემოთ. ალბათ ნამოლ „ნაკაფი“ არისო. *სოფრო გიორგის ძე აველიანი, 60 წ., პენს., ივარის ს.ს., ს. ჰადიში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*
- მოლწრდ** – ყანა (მახაში), ლაშხურის მარჯვნივ ჩიხარემის ს.ს., მახაში. *ლენტეხის რ. რ. მ. ჭელიძე, 1976*
- მოლწრდარ** – სამოვრები (სასაში), ს. სასასში, ტყიანი ზონაა.
- მოლწრდარ** – სახნავი, მამშია. *ჩოლურის ს.ს., ლენტეხის რ. ი. ნ. ჯამბურიძე, 59 წ., 1978.*
- მოლწრდარ** – სახნავი, ს. თეკალში, ნახოვარი ადგილებია. ს. თეკალი, ლენტეხის რ. ი. გ. *გარდფხაძე, 62 წ., ნ. მ. ბაბლუანი, 66 წ., 1978.*
- მოლწრდარ** (3) – სამოვარი (ლამფალაში), სახნავი (თეკალი, მამი), ს. ლამფალაში. *ჟახუნდერის ს.ს., რამაზ ომეხის ძე ონიანი, 16 წ., 1981*
- მოლწრდარ** – ტყე (ზულეში), ს. ზულეში, ტყე-ზუჩქწართ. *ჩოლურის ს.ს., ჟ. ა. მუკბანიანი, 1978*
- მომიშა მურყუამ** – კოშკი (ზეგანი), ს. ზეგანის ლეჭ უბწწშია. კარგად დაცულია, მხოლოდ სახურავი აკლია. *მომი გულბანის საგვარეულოსი. დისონ გიორგის ძე გულბანი, 49 წ., კოლმ., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*
- მომწ კარტულ** – სამოვარი (ზოგრეში), ს. ზოგრემის სამხ.-დასავლ., მდ. ქვედა და ზედა ყოწრას ზემო ხედისკენ. საზაფხულო სამოვარი მთა. დგას კარავი. *მომი გულბანის საზაფხულო მთა. გალაკ საფოს ძე კორძია, 15 წ., მოსწ., ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*
- მონიშა** – უბანი (მამი), მამში, ბაბლუანების. *ჩოლურის ს.ს., ლენტეხის რ. ი. ნ. ჯამბურიძე, 59 წ., 1978.*
- მონიშა მურყუამ** – ნაკოშკარი (ჩვაბიანი), ს. ჩვაბიანშია, დარღვეულია, გიგანების საგვარეულოსი. *მონი – საკუთარი სახელი. სემლარ დავითის ძე გიგანი, 61 წ., პენს., მულახის ს.ს., 1971 წ. სექტ.*
- მორგოულ** – წყლის (სასაში), ს. სასასში, დიდი ღელეა.
- მორელ** – გუბე, ს. ჩაჟაშის დასავლ. მდ. ენგურის მარცხენა სანაპიროსთან არის დაგუბებული, საქონლისთვისაა გამოყენებული. *ილია ერმალოს ძე ნიჟარაძე, 31 წ., მოსამსახურე, ს. ჩაჟაში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*
- მორელ** – მომჟავო წყალი, ტვიბის მთაში. *ლენტეხის რ. ჩოლურის ს.ს., ჯ. გ. ზურაბიანი, 40 წ., 1978*
- მორელ** – მჟავე წყალი, ს. ცხუმალდში, დასახლების დასავლეთით. *ხელედის ს.ს., შ. მ. ჩანქსელიანი, 46 წ., 1974*
- მორელ** – მჟავე წყალი, ს. ყარიშშია, მჟავე წყალი მოედინება. *დ. ი. ლიპარტელიანი, 33 წ., 1974*
- მორელ** – მჟავე წყალი, ს. ცხუმალდის დასახლების აღმ. მხარეში. *ხელედის ს.ს., შ. მ. ჩანქსელიანი, 46 წ., 1974*

- მორელ** – მჟავე წყლები, მდ. ლასკადურას მარცხენა მხარეზე. რამდენიმე ადგილზეა მჟავე წყალი. დაცულია. დ. ლენტეხი. *ე. გ. ლიპარტელიანი, 62 წ., 1974*
- მორელ** – სააბაზანო მინერალური წყალი, ს. არცხელის სამხ.-დასავლ. მდ. მულხურას მარჯვენა მხარის ვაკე. სათიბშია საკმაოდ მოზრდილი მინერალური გუბე. *ნოდარ ნიკოლოზის ძე მარგიანი, 33 წ., მოსამს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მორელ** – საბალახო, ს. ზარდლაშის ჩრდ.-დასავლ. მოედინება მომჟავო წყალი, ჩაწითლებული თიხაა. *შაში ნესტორის ძე გაბლიანი, 67 წ., პენს., ს. ზარდლაში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მორელ** – საზაფხულო სამოვარი მთა, მთა დაბიერისკენ, აღმ. მჟავე წყლები. ს. კახურა. *ჯ. ა. ლიპარტელიანი, 37 წ., 1974*
- მორელ** – სათიბი (ახალშენი, მელე), სამოვარი (ზარდლაში, ახალშენი, კახურა), მჟავე წყალი (მუწვიდი, არცხელი, ცხუმალდი, ჟაბეში, ტვიბი, ლენტეხი, ყარიში, ჩაჟაში, მურყმელი, ხოფური), ახალშენის აღმ. აშხაშურის მარჯვენა მხარის სანაპიროზე, მოედინება ნარევი მჟავე წყლისა. *მ. ლ. ნემსაძე, 40 წ., 1974*
- მორელ** – სამოვარი მთა (კახურა), მდ. ლასკადურას აუზში. მჟავე წყლის მაგვარებია. მორელ „მჟავე წყალი“ („სკიმ“ მლაშე წყალი). ლენტეხის ს.ს., *ჯ. ა. ლიპარტელიანი, 37 წ., მოსამსახ., 1974*
- მორელ** – სამოვარი, ს. ახალშენში. მჟავე წყალია. ჩიხარემის ს.ს., *ა. ქ. ნემსაძე, 52 წ., 1981.*
- მორელ** – სამოვრები, სათიბები, ს. მელეს აღმ. წყლის მარცხნივ მჟავე წყლები არაა. ორ კილომეტრზე მის ზემოთ მჟავე წყლები ახლაცაა. მორელ „მჟავე წყალი“.
- მორელ** – წყალი მომჟავო (მესტია), ს. ჟაბეშის ცენტრალური დასახლების აღმ.-ით. სასმელი წყალია, მომჟავო გემოსი. *ჭიჭიკო ივანეს ძე კახიანი, 44 წ., პედაგოგი, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მორელ** – წყალი, ჩაგუბებული, ს. მურყმელის აღმ. გუბეა სიღრმით $\approx 1,5$ მ., განი 1 კვ. მ. საქონლისათვისაა გამოყენებული. მორელ. ს. მურყმელი. *მაქსიმე დავითის ძე კაკრიაშვილი, 40 წ., მოსამსახურე, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*
- მორელ** – წყარო, ს. მუწვიდიში, მჟავე არაა, კარგი წყალია. ჩოლურის ს.ს., *გ. დ. ხაბულიანი, 36 წ., 1978*
- მორელ-დაბ** – ყანა (წანაში), ს. წანაშშია, მინ. წყალი ამჟამად არაა. *ნ. გ. ლიპარტელიანი, 27 წ., 1974*
- მორელდილარ** – სახნავ-სათიბი (მახაში), ჩიხარემის ს.ს., ს. მახაშშია. ლენტეხის რ. რ. მ. *ჭელიძე, 1976*
- მორელი ლახუ** (იხ. მორელ – კახურა).
- მორელი ლიც** – წყარო (ბულეში), ს. ბულეშშია. კარგი წყაროს წყალი. მორელ „მომჟავო წყარო“. ჩოლურის ს.ს., *ჟ. ა. მუკბანიანი, 1978*
- მორელი ლელა** – ღელე (კახურა), ლასკადურას აუზში, მთა მორელიდან მოედინება მორელ ხარ. ლენტეხის ს.ს., *ჯ. ა. ლიპარტელიანი, 37 წ., 1974*
- მორელი ლელა** – ღელე (მუწვიდი), ს. მუწვიდიში. ჩოლურის ს.ს., *გ. დ. ხაბულიანი, 36 წ., 1978*
- მორელი ძირ** – სამოვარი (კახურა), ლასკადურას აუზში, მთა მორელის დასაწყისი სკიმპრ არიხ. ლენტეხის ს.ს., *ჯ. ა. ლიპარტელიანი, 37 წ., მოსამსახ., 1974*
- მორელაზ** – ყანები (ტვიბი), ს. ტვიბში, მომჟავო წყლებივითაა. ლენტეხის რაიონი, ჩოლურის ს.ს., *ა. ა. ზურაბიანი, 20 წ., 1978*
- მორელარ** – წყაროები (ჟახუნდერი), ს. ჟახუნდერში, სამოვრებიცაა.
- მორელაზ** – მჟავე წყლები, მდ. ლუვორის მარცხენა ნაპირზე, მოედინება მჟავე წყლები. ს. კახურა. *ჯ. ა. ლიპარტელიანი, 37 წ., მოსამსახ., 1974*
- მორელაზ** – ყანები, ს. ყარიშიშია, მჟავე წყლის ტერიტორიის ყანები. *დ. ი. ლიპარტელიანი, 33 წ., 1974*
- მორელაზ (3)** – ტყე (გვიმბრალაში), ყანა (ყარიში), მჟავე წყალი (კახურა). გუმიბრალაში, მოედინება ვეძა წყლები, ლაშხირის მარცხნივ. *ლ. ტ. რ., რცხმელურის ს.ს., გ. ა. მუსელიანი, 1976*
- მორელაზნი** – ყანა (წანაში), ს. წანაშშია, ადრე მჟავე წყალი ყოფილა. *ნ. გ. ლიპარტელიანი, 27 წ., 1974*
- მორელაზდ** – წყარო (ბულეში), ს. ბულეშში, მომჟავოა. ჩოლურის ს.ს., *ჟ. ა. მუკბანიანი, 41 წ., 1978*
- მორლიდ** – მჟავე წყალი (იელი), ს. იელიშია, ენგურის მარჯვენა მხარეზე, ჯგერაზ-ის ეკლესიის ქვემოთ. *იონა ვისიბის ძე სამსიანი, 77 წ., პენს., ივარის ს.ს., მესტია. 1972, VII*
- მორნიშ** – სათიბი (ლახამულა), მდ. ენგურის მარჯვენა რიყის ზემოთ, მჟავე წყლის დასავლ. ქვემოთ მოვაკო ადგილია და კარგი სათიბი. ჭალაშ ხაზიკ პირდაპირ. მორნიშ (<

- მორიენიშ ? (თუ < მორეტიშ), (შდრ. მორელ „მომჟავო წყალი“). *გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- მორნიშიშ სარაგ** – წყარო (ლახამულა), სათიბ მორნიშ-ში მოედინება წყარო, მდ. ენგურის მარჯვენა მხარეზე, ქვედა ლახამულასთან. *გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
- მორნიშიშ სარაგ** (იხ. **მორნიშიშ სარაგ**).
- მოროულ** (// **მოროტელ**) – უბანი, ს. ლეუშერის ერთ-ერთი დასახლება. მჟავე წყლები არაა. ჩარკვიანების საგვარეულოები, ხაჭუანები, ბაბლუანები. ს. ლეუშერი. *ა. ზ. ბაბლუანი, 43 წ., 1974*
- მოროულ** – უბანი (ლეუშერი), ს. ლეუშერში. ცხოვრობენ: ჩარკვიანები, ხაჭუანები, ჩეგიანები, ბაბლუანი. მჟავე წყლის ნიშნები არაა. მორელ „მჟავე წყლის მაგვარი“. *ლენტეხის რ. გ. ზ. ბაბლუანი, 55 წ., 1978*
- მოროული დელა** – დელე (ლეუშერი), მოროულში ჩამოედინება. *ლენტეხის რ. გ. ზ. ბაბლუანი, 55 წ., 1978*
- მოროული ჭალმში** – სამოვარი (ლეუშერი), მოროულის აღმ. მხარე მდინარე ცხენისწყლის მარცხნივ. *ლენტეხის რ. გ. ზ. ბაბლუანი, 55 წ., 1978*
- მოროტელ** (იხ. **მოროულ**).
- მორცხუმ** – ყანა (წვირმი), ს. წვირმის სამხ. ნაწილი, ფერდობი ივარის მხარეზე.
- მორცხუმ** – ყანის სახელწოდებაა, მდებარეობს წვირმის სამხრეთით. ამ ადგილიდან შესანიშნავად ჩანს მთელი ივარი და ივარისა და წვირმის მთები ყურადღებას იქცევს იმით, რომ ძალიან დაქანებული ადგილია. შესაძლოა ტოპონიმს რაღაც საერთო ჰქონდეს სიტყვა „მწრცხთან“, რაც ქართულად „მარცხს“ ნიშნავს. რამე გადმოცემა ამ ადგილის შესახებ არ არსებობს. ადგილი ეკუთვნის ს. წვირმის. *ასლან კორძია, 1965 წლის 20 აგვისტო.*
- მორელ** – მჟავე წყალი. ს. ხოფური (ლენტეხის რაიონი). *მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრომები, ტ. IX, 1939 წ.*
- მორელ ჯიქან** – სამოვარი (ჟაბეში), ს. ჟაბეშის დასახლების სამხ.-აღმ. ნაწილში. მორელ-ის წყლის ზემო ადგილი. *ჭიჭიკო ივანეს ძე კახიანი, 44 წ., პედაგოგი, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მორელი ღალა** – დელე (ხოფური – მ. ჩიქ.).
- ლენტეხის რაიონი. *მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრომები, ტ. IX, 1939 წ.*
- მორილდამ** – საბალახო (მამი), მამშია, წყაროსავითაა. ჩოლურის ს.ს., ლენტეხის რ. *ი. ნ. ჯამბურიძე, 59 წ., 1978*
- მორიულარ** (იხ. **მერულარ**).
- მოსაშა მურყამ** – ნაკომპარი (ჟაბეში), ს. ჟაბეშის ცენტრალური დასახლების სამხ.-ით. მოსაანთ საგვარეულოს კომპი, 3 სართული დარჩენილია. ამჟამად ზურაბიანის კუთვნილებაა, ადრე კახიანები უნდა ყოფილიყვნენ. *მუსა იასონის ძე კახიანი, 77 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მოსაშერ** – უბანი (წანაში), წანაშშია, ლიპარტელიანების საგვარეულოს ერთ-ერთი შტო. *თ. გ. ლიპარტელიანი, 23 წ., 1974*
- მოსეი ლეჭმლი** – სათიბები (ყორულდაში), მდ. ყორულდაშის მარცხ. ფერდობი. მოსეი ჩარკვიანის სათიბები ყოფილი.
- მოსეი მოლ** – სახნავ-სათიბები (ტვიბლელი), ს. ტვიბლელშია, ლაშხირის მარჯვენა კალთაზე. *ნ. ს. ჩანესელიანი, 24 წ., 1974*
- მოსემა მოლ** – სათიბ-სამოვრები (შვედი), ს. შვედში. ზურაბიანების საგვარეულო. ს. შვედი, ჩიხარემის ს.ს., *ჟ. ს. თნიანი, 34 წ., 1976*
- მოსეშერ** – უბანი (შვედი), ს. შვედში, ზურაბიანების საგვარეულო. ჩიხარემის ს.ს., *ჟ. ს. თნიანი, 34 წ., 1976*
- მოსოსტრი ლარე** – სათიბი (უსგვირი), მდ. ჭალმას მარცხენა მხარეზე. დამკველან მოსოსტრის სახელობისაა. უსგვირში. *ა. ბ. გურჩიანი, 65 წ., ეცერის ს.ს., 1973*
- მოსოსტრიშ სარაგ** – წყარო (ჭუბერი), ს. ჭუბერიდან უთურში ჯარჯ-ის მიმართულებით გზაზეა წყარო შიშველ ადგილზე, მთა ტობულდარსა და უთურში ჯარჯს შუა. ცივი, ძალიან კარგი წყაროა. მოსოსტრ დადემქელიანის სახელის მიხედვით. *ნოდარ თებეჭის ძე ცინდელიანი, 21 წ., მექანიკოსი, ს. ტიტა, ჭუბერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 9.IX-1970 წ.*
- მოსაღდშერ** – თემი, უბანი (ზ. ბავარი), ჟაბე ბავარშია, ლიპარტელიანების ერთ-ერთი შტო. *ს. ლ. ბენდელიანი, 35 წ., 1974*
- მოსე ლეჭმლარ** – სათიბი (სასაში), ს. სასაშში, მოსეი თნიანის ყოფილი სათიბი.
- მოსაშლდ** – ყანა (ღებრა), ს. ღებრას დასახლების დასავლ. მხარე. მოვაკოცაა და ფერდობებიც. *ალექსანდრე მახარობლის ძე მარგიანი, 83 წ.,*

პენს., მულახია ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.

მოსტაღდიერ (იხ. მოსტაღდ).

მოტიამოლ – ყანა (წანაში), ს. წანაშია, იფხალდის მხარეზე. ხელედის ს.ს., ნ. გ. ლიპარტელიანი, 27 წ., 1074

მოშხუ – ყანა (ბოგრეში), ს. ბოგრემის ჩრდ.-ით., უღვირისკენ, დასახლების ზემოთ. გუნტერ ილამაზის ძე გულბანი, 38 წ., მოსამს., ს. ზეგანი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.

მოწორად – კლდე (ლელბაგი), ს. ლელბაგის ზემოთ, გგბარი ცხევისგა. ჟორა დ-ძე აბდელანი, 37 წ., ლატალი. 1973

მოჯალაბშიერა – უბანი (ლენტეხი), ლენტეხის ს.ს-ში შემავალი ბენდელიანთა გვარის თემი. ა. რ. ლიპარტელიანი, 23 წ., მოსამსახ., 1974

მოუსაუთი ლადეშოტ – მთა (ხოფური). „მოვსავთის სადათვე“. ლენტეხის რ. მ. ჩიქოვანი, ტოპონიმური ლექსიკონი, თსუ შრომები, ტ. IX, 1939 წ.

მუბ – სათიბის სახელია, მდებარეობს სოფლის შუაგულში, არის მისი მორწყვის შესაძლებლობა და ამიტომ ორჯერ თიბავენ. ამ სათიბში იზრდება მაღალი ბალახი და თივაც. ითვლება საქონლისათვის საუკეთესო საკვებად. „მუბ“ უნდა ნიშნავდეს ოდნავ დაჭაობებულ ადგილს. ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ სხვა სათიბებში უფრო მორწყულ ადგილს „მუბულდს“ უწოდებენ. შედის წვირმის ტერიტორიაში. ასლან კორძია, 1965 წ., 12 აგვისტო.

მუბ – სამოვარი მთა (ლახუშდი), საზაფხულო სამოვარი მთა ს. ლახუშდისა. ენგურის მარცხენა კალთაზე. ალპურ და სუბნივალურ ზონაშია. მზე გვიან შემოდის, გვიან თენდება. გიორგი ანდრიას ძე ფირცხელანი, 65 წ., პენს., მესტია. 1972, IX

მუბირ ღარილდ – ტყე (ლახამულა), ს. ლახამულას დასავლ., ენგურის მარჯვენა მხარეზე, ნაჟაჰუს-ის დარს ქვემოთ, ფოთლოვანი ტყით. გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.

მუბრა – მდინარე (ლახუშდი), მდ. ჰარშულას ერთ-ერთი შენაკადი. (1: 200 000). ლატალის ს.ს., გიორგი ანდრიას ძე ფირცხელანი, 65, პენს., მესტია. 1972, IX

მუბრიშ გემარ (იხ. მუბრიელ).

მუბრიელ – ყანები (არცხელი), ს. არცხელსა და

მურშკელს შორის, დამრეცი ბუჩქნარებია – ღამელის ბუჩქნარებია, ტყემლნარიც. ერმალო ციოყის ძე ჟორჯოლიანი, 85 წ., პენს., ს. არცხელი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.

მუბარ – სათიბი, ყანები (კვანჭიანარი, ნაკიფარი, არცხელი), სამოვარი (ნესგუნი), ს. კვანჭიანარშია, მოედინება წყალი – ქექუ. შ. ნ. კვანჭიანი, 49 წ., ლატალი. 1973

მუბარ (იხ. მუბრიელ).

მუბარ – სათიბები, ს. იენაშის სამხ. სათიბები. ი. გ. ფარჯიანი, 49 წ., ლატალი. 1973

მუბარ – სამოვარი, ფუშყვერის მარჯვენა მხარეზე, ტყის ძირშია. ელგუჯა ვლადიმერის ძე გულედანი, 36 წ., 1972

მუბუღლღღერ – სათიბ-სამოვარი (შვედი), მესტიაშია, შვედის მხარეში, მულხურას მარცხნივ. თედორე ტარასის ძე ნაკანი, 64 წ., მესტიის რ. 1972

მუბუღერ – ყანები (ქაშვეთი), ს. ქაშვეთის სამხ.-დასავლ. ლექუშხანშია. ლენჯერის ს.ს., მათე ზოსმეს ძე ფილფანი, 42 წ., კოლმეურნე, ს. ქაშვეთი, მესტიის რ. 1972, X

მუბუღერ (ირინე მელიქიშვილი) (იხ. მუბუღღღერ).

მუბუღღღარ – ჭაობნარი (ლენტეხი), მესტია ჭალაღს მარცხენა კალთაზე, საბალახო ადგილია. დ. მესტია. ჩათო ესტატეს ძე ჩართოლანი, 45 წ., ს. ლენტეხი.

მუბუტ – სახნავ-სათიბები (მაცხვარიში), ს. მაცხვარიშიში, ლაქტმარარის ტაფობში. გ. გ. გირგვლიანი, 64 წ., ლატალი. 1973

მუბუტ (2) – სათიბი (წვირმი), სახნავ-სათიბი (მაცხვარიში), ს. წვირმის შუა ნაწილში. შალვა სარდიონის ძე ფანგანი, 60 წ., მოსამსახურე, იფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.

მუბუტირ – ტყე (ქვ. ვედი), ჩუბე წყურგინს (ანტონარს) აღმ. წიწვიანი ტყე, ადრე ხე-ტყის გამოზიდვა იყო (ვაგონთანაა). ვარლან მახამეთის ძე ჭკადუა, 76 წ., პენს., ს. ვედი, მესტიის რ-ნი. 1970 წ. ოქტ.

მუბუტარუ (იხ. მუბუტ).

მუბუღუღ – ფიჭვნარი (ჰებუდი), ს. ჰებუდის დასავლ. სათიბ-სამოვარ ბარყუნაშ აღმ. გადის საცალფეხო გზა (ს. უღვალიდან ს. ჰებუდამდე, სამანქანო გზის ზემოთ), ფიჭვნარია და ემახიან „მუბუტ“-ს. მუბუტ „მტრედი“. ზაგამზე სამსონის ძე ფარჯველიანი, 39 წ., პედაგოგი, ს. ჰებუდი, მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.

მუბუტირ – სათიბი (მსტ. ირ. მელიქიშვი.). მესტიის

რ-ნი. *ირინე მელიქიშვილი, 1961 წელი.*

მუგუტიმ – სათიბები (იენაში), წასახლარ სგობულ-შია, ლექვ სგობულ-ში. *მ. გ. კვანჭიანი, 62 წ., 1973*

მუგუჭი (იხ. **მუგუჭ**).

მუგუტრში – სათიბი (ნესგუნი), ფუშყვერის მარცხენა მხარეზე. მურგვის მცენარე იყო. *ელგუჯა ვლადიმერის ძე გულუდანი, 36 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.*

მუგუტორ – სამოვარი (ლაღამი), მესტია ჭალაშ მარჯვენა მხარეზე, მთა ლექუშ ლახვი. დ. მესტია. *დ. ს. გვარლიანი, 27 წ., მოსამსახ., ს. ლაღამი. 1972, VIII.*

მუგუტორი სგემარ – მყავე წყალი (ლაღამი). *დ. ს. გვარლიანი, 27 წ., მოსამსახ., ლაღამი. 1972 წ. VIII*

მუთურა – სათიბი (ლასკადარი), ლასკადურას აუზში, გოლდაშის მთაში. ს. ლასკადარი. *მ. გ. ლიპარტელიანი, 31 წ., 1974*

მუთურა – სამოვარი მთა (საცადარი), ს. საყდრის საზაფხულო მთა. თურ, მუთუ. ლენტეხის რ. *მ. ა. ბენდელიანი, 68 წ., 1978*

მუთუალდერ – ყანა (ფაყი), ს. კარაშშია, ფერდობზე, ტყეა ირგვლივ. პიტნის მაგვარი ბალახი არის. მუთუ. *ე. ს. გვიდიანი, 24 წ., 1974*

მუკუტალარ – სათიბი (ახალშენი), ს. ახალშენის ჩრდ.-აღმ. ოღრო-ჩოღროიანი, ტყისპირას. *მ. ლ. ნემსაძე, 40 წ., 1974*

მუკუტდარ – უბანი (იფრარი), ს. იფრარის სამხ.-დასავლ. დგას სვანური სახლი, ამჟამად არავინ ცხოვრობს. *გემა ანდრას ძე მარგველიანი, 61 წ., პენს., კალას ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

მულქუტიერ (იხ. **მულქუტა**).

მულქუტა – ტყე (ღვებრა), ს. ღვებრას დასავლ. კახერზაგარის ახლოსაა. ვერხვანალია უმეტესად, შერეულია. *სიმონ ბექას ძე მიბჩუანი, 87 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

მულქუტა – ტყე (ზარდლაში), ს. ზარდლაშის დასახლების დასავლ. მესტიის ტერიტორიის საზღვრამდე. *ნოდარ შამშის ძე გაბლიანი, 32 წ., კოლმ., ს. ზარდლაში, მესტიის რ-ნი, მულახის ს.ს., 1971 წ. სექტ.*

მულხურა – მდინარე (მესტია), მდ. ენგურის ერთ-ერთი ტოტი. *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 64 წ., მესტიის რ. 1972*

მუმბარ (იხ. **მუტბარ**).

მუმამა მურყუამ – კომპი (ლაღამი), ს. ლაღამშია, მთელია, სახურავი აკლია, ხოჯელანების

საგვარეულოსი. *გ. ი. ფალიანი, 38 წ., მესტიის რ-ნი. 1972, VIII*

მუმრ კარტულ – სათიბები (ზეგანი), ს. იფარის სამხ.-აღმ., მთა ლასილისკენ, ვინმე მუმის ჰქონია კარვები. სათიბებია ამჟამად. *ბესო მიხეს ძე გულბანი, 66 წ., პენს., იფარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

მუნიაშ – სამოვარი მთა (ბავარი), მდ. შკედილდაშის მარცხენა კალთაზე. *ი. დ. ლიპარტელიანი, 73 წ., 1974*

მუნყუელ – ტბა (ფარი), ფარის მთაზე ლატყამაშის დასავლეთით არის ტბა (200 მ 2), რომლის სიღრმეა 2,5 მეტრი. ტბას სამხრეთით სოჭისა და ნაძვის ტყე აკრავს. ტბაში უხვადაა წყალმცენარეები და სავსეა ხის ტოტებითა და მორებით. ს. ფარი მესტიის რ-ნი. *ვახტანგ ჟემუზას ძე ნარსავიძე, თსუ, სტუდენტი. 1965*

მუნყუელ (2) – სამოვარი მთა, ტბა (ფარი), ლაღეშალის სამხ.-აღმ. ფერმის საზაფხულო სამოვარი მთაა, ირგვლივ წიწვნარი ტყეა, შუაში მინდორი (ლარა). *იურა გურმაჩის ძე რეზესიძე, 24 წ., მოსამსახ., ს. ფარი, მესტიის რ-ნი. 1969 წ. ოქტ.*

მუნჩუმიერ – სათიბი (კვანჭიანარი), ს. კვანჭიანარშია, დასახლების ქვემოთ. (მაჩვები იცისო). *მ. ნ. კვანჭიანი, 49 წ., ლატალი. 1973.*

მუნჩყუტ – ტყე (ფარი). მესტიის რ-ნი. *ვახტანგ ჟემუზას ძე ნარსავიძე, 1965*

მუნწულადარ – სამოვრები (ცალერი), ს. ცალერის ჩრდ.-აღმ., ტყე პოშგლდ-ს ჩრდ.-აღმ. აკრავს. ტყეა შერეული და შიგადაშიგ არის სამოვრებიც (ყაფ-ყაფ ლარილარ ხარ). მრავლადააო მუნწულოლ, მოედინება დეღე მუნწულადარ ტუბ. მუნწულა (კალია, ჭრიჭინა ?). *გრიგოლ ახას ძე ცინდელიანი, 77 წ., პენს., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

მუნწულადარ ტუბ – ხევი (ცალერი), ს. ცალერის ჩრდ.-ით, სამოვარ მუნწულადარ ტუბისა და ტყე ბგარ-ს შორის. სეზონური დეღეა, (გაზაფხულობითაა წყალი). იცის ჟაპ (ლექაპ ტუბ ლი). *გრიგოლ ახას ძე ცინდელიანი, 77 წ., პენს., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

მუნჭკუტლამ – სამოვარი (ლახამულა), სამანქანო გზის ზემოთ, საბალახო კესნის ჩრდ.-ღმ. ირგვლივ ფოთლოვანი ტყით, მრავლადაა პანტა მსხალი და ვაშლი, ხვალმიშის დასავლ.

მუკუულ-ის ბალახი იქ არ შეიმჩნევა, ხვალშიშ-თან – ვი. *გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ., პენს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

მუნჭყუ – სათიბი (კიჩხელდაში), საცხოვრის ჩუბნარის ჩრდ.-დასავლ. ყანა ნანშხნარ-ის დასავლ. მოსაზღვრე. ადგილი მოფერდოა, განძრეულიც (ნაქტთან ლი) ალაგ-ალაგ ჭანჭრობიანიცაა (ლაზტარ ხარ, ჭყიბარ). *თემრაზ ვიბლიანის ძე ვიბლიანი, 49 წ., კოლმ., ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი 1969 წ. ნოემბ.*

მუნჭყუტი (იხ. მუნჭყუტარ).

მუნჭყუტარაშ (იხ. მუნჭყუტარაშ).

მუნჭყუტარაშ – სათიბი (ხერხვაში), ს. ხერხვაშშია, ტყე კოვოს ზემოთ, ჩრდ. მხრიდან. ვაკე ადგილებია, მოედინება წყაროები (მაზტარაშ ლიხ). მჭყუბ დემეგ ლი. *დავით დუდარუყის ძე ანსიანი, 51 წ., მეტყევე, ნაკის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*

მუნჭყუტარ – სამოვარი (ღემდერი), მდ. ღემდერგლას მარცხენა კალთაზე, სამოვარ ლასკორგლის სამხ.-აღმ. შიშველი ფერდობი, ჩადის პატარა წყალი, მოძრავია მიწა და მიცოცავს ქვევით (ესხრი უქტიცდ ჩიზაუტ გიმ). *ლევარსან ომანას ძე ჩხვიმიანი, 58 წ., პედაგოგი, ს. ღემდერი, მესტიის რ-ნი. 1969 წ. X.*

მუჟაიშ – სათიბი (ფარი), მზიანი ადგილია. ირგვლივ ტყე აკრავს. შუა სათიბში 2 წყარო ამოდის. წყაროების ირგვლივ 15-ზე მეტი პანტის ხე დგას. გაზაფხულზე თოვლისაგან ყველაზე ადრე ეს ადგილი თავისუფლდება, ამიტომაც უწოდეს ეს სახელი – „მუჟაიშ“ ანუ „მზიანეთი“. *მესტიის რ-ნი. ვახტანგ ჟემუზას ძე ნარსავიძე, თსუ, სტუდენტი. 1965*

მურ – ფერდობი (ნალომარი), ცხენისწყლის ორივე მხარეზე ფერდობები. *ლენტეხის რ. ე. ა. ტვილდიანი, 1976*

მურგუშა ლიც – (იხ. ბარჯაშილ)

მურგუშა ლარალ – სათიბები (ფანაგა), ს. ფანაგაში, ზურაბიანების ნაახოვარი. *ლენტეხის რ. ჩოლურის ს.ს., ს. ს. ჯამბურიძე, 90 წ., დ. მ. გასვიანი, 70 წ., 1978*

მურგუშა ლაროლ – სათიბები (ფანაგა), ს. ფანაგაში, ტყეშია. *ლენტეხის რ. ჩოლურის ს.ს., ს. ს. ჯამბურიძე, 90 წ., დ. მ. გასვიანი, 70 წ., 1978*

მურგუშა მოლ – სამოვარი (ყახუნდერი), ს. ყახუნდერში, მრგვალია ახო.

მურგუშა გუნ – ტყე, სამოვარი (ჩაჟაში), ს. ჩაჟაშის სამხ., თამარის კომპის ქვემოთ. არყნარი ტყითა და შიგადაშიგ სამოვრით. მრგვალი რელიეფით. „მრგვალი ძალიან“. *ღუტუ ნიკოს ძე ნიჟარაძე, 24 წ., მოსამსახურე, ს. უშგული, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*

მურგუთხენჩუიშ დაბ – სამოვარი (ტობარი), ს. ტობარის სამხ.-დასავლ. ნაწილი, დგას კლდის ქიმზე მურგვი, აღმ. ვაკეა, დასავლ. სალი კლდე (ჭუბრულასაკენ). ნაყანარია. ამჟამად კარგი ვაკეა, სამოვარია სოფლის. *ისლამ ბათერის ძე ჭკადუა, 65 წ., პენსიონერი, ს. ტობარი, მესტიის რ-ნი, ხაიშის ს.ს., 1.11.70 წ.*

მურგუთლად ლარე – სათიბი (არცხელი), ს. არცხელის სამხ.-დასავლ. მულხურას მარცხენა კალთაზე. ორ ნაწილად იყოფა: ლეჟა მურგუთლად და ლეჟა მურგუთლად. მრგვალი ფორმისაა. შერეული ტყე აკრავს. პატარა სათიბია, (მურგუთი ჩანს ?). მურგუთა „მრგვალი“. („მურგვი“ მულახში ჩანს საერთოდ). *ერმალო ციოყის ძე ჟორჯოლიანი, 85 წ., პენს., ს. არცხელი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*

მურგუთა მოლოდ – წყარო (ჭველიერი), ს. ჭველიერში. სამანქანო გზის პირას. ჩოლურის ს.ს., *მ. ე. ლიპარტელიანი, 80 წ., 1974*

მურგუთა – სათიბი, ჭალაშ მარცხენა კალთაზე, ლაშთხვერისაა. ქაშვეთ-ლაშთხვერი. *ვახტანგ გრამიტონის ძე ჯაჯვანი, 37 წ., ლენჯერის ს.ს., 1972 წ.*

მურგუთა – ტყე, ს. სოლის ჩრდ.-დასავლ., ლემშვიდანი ნაკს ქვემოთ. ვაკანარია და მრგვალი ფორმისა. ს. სოლი. *რ. ა. ხაფთანი, 52 წ., მოსამსახ. მესტიის რ. 1972, IX*

მურგუთა (3) – სათიბ-სამოვარი (სოლი, ქაშვეთ-ლაშთხვერი), ტყე (სოლი), ს. სოლის ჩრდ. მთა შიხულდაშშია. მრგვალი ფორმისაა. *რ. ა. ხაფთანი, 52 წ., მოსამსახ., მესტიის რ. 1972, IX*

მურგუთა დაბ – ყანა (ლენტეხი), ს. ლეხვდარეშის აღმ. მრგვალი ფორმისაა. ს. ფაყი (ლენტეხის რ.). *გ. გ. გაზდელიანი, 28 წ., 1974*

მურგუთა დაბ (2) – ყანა (ლექსირი, ფაყი), მდ. ჩოლმურას მარჯვენა მხარეზე, მრგვალი ფორმის. *ჯ. რ. მეშველიანი, 50 წ., 1974*

მურგუთა ლარა – სათიბი, ს. წვირმის აღმ., გზაზეა, მრგვალი. ს. წვირმი. *არჩილ მელიტონის ძე ფანგანი, 57 წ., მოსამსახურე, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*

- მურგუტლ ლწრა** – სათიბ-სამოვარი, მდ. ჯალდე ჭალას მარცხენა კალთაზე. მრგვალი სათიბ-სამოვარი. ს. ჯალდედან ≈ 2 კმ. *ზურაბ ამრამის ძე ჯობაძე, 68 წ., პენს., ს. ხალდე, მესტიის რ-ნი. 1971 წ. ივლისი.*
- მურგუტლ ლწრა (3)** – სათიბ-სამოვარი (იელი, ხალდე, წვირმი), ენგურის ხეობის მარცხენა კალთაზეა, მთა ლეშნიერშია. *იონა ვისიბის ძე სამსიანი, 77 წ., პენს., ივარის ს.ს., 1972, VII.*
- მურგუტლ ლწრე** – სათიბი, მდ. მულხურას მარჯვენა კალთაზე, როკრლწრის სამხ.-დასავლ. ს. ჟაბეშის ჩრდ.-დასავლ. მხარეში. მრგვალი რელიეფით. *ჭიჭიკო ივანეს ძე კახიანი, 44 წ., მოსამს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მურგუტლ ლწრე** – სათიბი, ს. არცხელის დასახლების სამხ.-დასავლ. მდ. მულხურას მარცხენა კალთაზე, ტყეშია მრგვალი ფორმის. *ერმალო ციოყის ძე ჟორჟოლიანი, 85 წ., პენს., ს. არცხელი, მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მურგუტლ ლწრე** – სათიბი, ს. ჰადიშის ჩრდ.-აღმ., ჰადიშგრას მარჯვენა კალთის ფერდობზე. მრგვალი ფორმის სათიბია. *სოფრო გიორგის ძე აველიანი, 60 წ., პენს., ივარის ს.ს., ს. ჰადიში, მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*
- მურგუტლ ლწრე** – სათიბი, უღვირის ქედზეა, ვაკე ადგილია, სამანქანო გზის გასწვრივ. მრგვალია სათიბი და ირგვლივ ტყე – ფილიპე მახარაძეს კრება მოუწყვია ზედა სოფლებების 1926-27 წლებში. *ალექსანდრე გელას ძე დევდარიანი, 80 წ., პენს., ს. ჭოლაში, მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მურგუტლ ლწრე** – სამოვარი, ს. ჩვაბიანშია, სამხ.-აღმ. დასახლებისა. ღუბები ლარესთან. ს. ჩვაბიანი. *არჩილ დავითის ძე გიგანი, 51 წ., კოლმ., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მურგუტლ ლწრე (6)** – სამოვარი (მესტია, ჩვაბიანი), სათიბი (ჭოლაში, არცხელი, ჰადიში, ჟაბეში), კახგრშია, ტურბაზის აღმ. *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 64 წ., მესტიის რ-ნი. 1972*
- მურგუტშ** – სამოვარი, ს. ბაიარის დასახლების ზემოთ. მურგვი არაა ტყიანია. *გ. შ. ჩანქსელიანი, 20 წ., 1974*
- მურგუტიშ** – უბანი (მამი), ს. მამ-ში დასაწყისია. მურგუ ამჟამად არაა. ჩოლურის ს.ს., ლენტეხის რ. ბ. გ. ბაბლუანი, 73 წ., 1978
- მურზაყანშა** – უბანი (სეტი), ჯავარიძეების სამოსახლო ადგილი ეჩხან ტაფში. *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 63 წ., მესტია. 1972*
- მურზაყანშა მურყუამ** – კომპი (სეტი), ეჩხან ტაფშია, სგიმისკენა ხიდთან, ჯავარიძეების საგვარეულოსი. *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 63 წ., მესტია. 1972*
- მურზაყანშა ცხეც** – ტყე (მესტია), აეროპორტისკენ, მოლრი ცხეკწრ-შია, ჯავარიძეების საგვარეულოს ყოფილი ტყე. მოლრი < მოლწრი. *თედორე ტარასის ძე ნაკანი, 64 წ., მესტია. 1972*
- მურზაშა მურყუამ** – კომპი (ლახირი), ს. ლახირის ჩრდ.-აღმ. მხარეშია. ქონგური მონგრეული აქვს. ჟორჟოლიანების საგვარეულო. *მადონა ადიგოს ასული იოსელიანი, 29 წ., მოსამს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მური ბოგ** – ნახიდარი (ნალომარი), ცხენისწყალზე ყოფილა ადრე. მურის ტერიტორიაზეა. *ლენტეხის რ. ე. ა. ტვილდიანი, 1976*
- მურის ღწლა** – ღელე (რცხმელური). ლენტეხის რაიონი. *მ. ჩიქოვანი, ტოპონიმიკური, თსუ შრომები, ტ. IX, 1939 წ.*
- მურუხ** – კლდე (მესტია), წანერის მხარეზე, ჰყარწშის ჩრდ.-აღმ. მხარეზე. *ივანე ბედის ძე კახიანი, 83 წ., პენს., მულახის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. სექტ.*
- მურქუმწან** – სათიბები (იენაში), ს. იენაშის დასახლების სათიბები. *ილიკო გ-ძე ფარჯიანი, 49 წ., ლატალი. 1973*
- მურყმელ** (იხ. მუყმერ).
- მურყმიწელ** – სათიბი (ლაპილი), ს. ლაპილშია, დასახლების ზემოთაა, მაღლობზეა, ნაკომპარი არ ჩანს. *ზ. ს. პაკელანი, 48 წ., ლატალი. 1973*
- მურყმიწელ (2)** – ტყე, სამოვარი (წვირმი), სათიბი (ლაპილი), ს. წვირმის სამხ.-დასავლ. დგას კომპი, თავი მოშლილია, არის ნაყანევიცაა და მიდმულია სვანური სახლი. *არჩილ მელიტონის ძე ფანგანი, 57 წ., მოსამსახურე, ივარის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1971 წ. აგვისტო.*
- მურყმულ** – სამოვარი (ლახამი), დასახლებულ უბან ჟიზე ლახამის დასაწყისში, მდ. ლახამისა და ჭუბრულას შესართავთან. ამაღლებული ადგილია, თხემი დავაკებულია, ≈ 0,4 ჰა. მის ქვემოთ ადრე ფურნე ყოფილა ხე-ტყის მრეწველობისას, ამჟამად არაფერია, სამოვრადაა დარჩენილი. *ნინა მახათას ასული ცინდელიანი, 55 წ., კოლმ., ს. ლახამი, ჭუბერის ს.ს., მესტიის რ-ნი. 1970 წ. ოქტ.*

- მურყმულარ** – სათიბი. ს. ლემსიას საზაფხულო მთაშია, კომპურას მაღლობი, ქვებიც აქვს დიდი კომპივით. ს. ლემსია. *ზღურ ადილარის ძე შუკვანი, 28 წ., ლენჯერის ს.ს., 1972.*
- მურყმულარ (2)** – მწვერვალი (ადიში), სათიბი (ლემსია), ს. ადიშის სამხ.-აღმ. სიმაღლე 2719 მ. ზღვის დონიდან.
- მურყმარში დაბ** – ყანა (ჰამაში), ჰამაშის აღმ. მხარეში, ლეხლერის ქვემოთ, დგას 2 სართულამდე კომპი – სუფრეშიმ მურყტამ. *დუშა შარდენის ასული ჭკადუა, 46 წ., კოლმ., მესტიის რ-ნი. 1969 წ. ნოემბ.*
ჯუდარაზ ბოგ – ხიდი (ზავარი) მდ. ლაშხირზე, შკე-დილდაშისა და ჯუდარას შორის. სამანქანო ხიდია. ი. დ. ლიპარტელიანი, 73 წ., 1974.

ჯუდარ – უბანი (ზავარი), ს. ზავარის ერთ-ერთი დასახლ. პუნქტი. ე. ჭ. ლიპარტელიანი, 24 წ., 1974.

ჯუმილ-დაჩუტრ ნაქადუ – გზა (ბოგრემი) ს. ბოგრე-შიდან ≈ 8 კმ-ზე, ჯრდი ბოგს იქით, ენგურის მარცხ. მხარეზე. სოლომონ ივანეს ძე გულბანი, 62 წ., პენს., ს. ბოგრემი, მესტიის რ-ნი, 1971 წ. აგვისტო.

ჯუნჯიორ – ტყე (სვიფი – ეც. ს.ს.), სამოვარ ლობარს აკრავს (სგამე და ქამე ლობარს) აღმ.-დან შერე-ული ტყეა, რცხილნარი და წვრილი მცენარეუ-ლობით. აკაკი სორეხის ძე აფრასიძე, 66 წ., პენს., ეცერის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. X.

ჯუნჯიორიშ ცხეც (იხ.ჯუნჯიორ)

ჯუქერ (იხ. ჯიქერ – ზ. ვედი)

ჯუქერიშ – საცხოვრისი (ლებურცხილა) მდ. ენგუ-რის მარჯვენა მხარეზე, ყანაა და ერთი მოსახ-ლე მეგრელი. მას ზემოთ სალი კლდეებია (არის კლდეც (квт. Джыкыр – 1190,5 – იხ. 1 : 100 000). რომანოზ მუზას ძე ჭკადუა, 74 წ., პენს., ს. ლებურცხილა, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1970 წ. ნოემბერი.

ჯუქერიშ ლეთკერ – სამოვარი (ზ. ვედი). არჩილ კოსდას ძე ჭკადუა, 40 წ., კოლმ., ს. ზედა ვედი, ხაიშის ს.ს., მესტიის რ-ნი, 1969 წ. IX

3

ჰაბიშ ღარაშ ნენჩა – ტყე (მესტია, ზ. ვედი). არჩილ კოსდას ძე ჭკადუა, 40 წ. 1969.

ჰაბუტირ – მწვერვალი (ლახამულა).

ჰაგრ – მოედანი (მესტია, მურყმელი), ს. მურ-ყმელშია დასავლ. ნაწილი სახლებს შორის. დარჩენილი შიშველი ადგილია. ჰაგარ „შიშვე-ლი“. ნაპო დავითის ძე კაკრიაშვილი, 26 წ. 1971.

ჰაგაში ღარა – სათიბი (მესტია, მაჯვდიერი), ს. მაჯვდიერშია, დასახლების სამხ. ნაწილი, შემოკლებულშია. ჰაგამ „სახლში შემოსასვლე-ლი ალაგი“ (ხოლვით – ?) ჰაგამარ. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე შერვაშიძე, 61 წ. 1971.

ჰად – სამოვარი, ბუჩქნარი (მესტია, ჟამუში), ს. ჟა-მუშის დასახლების სამხ. მულხურას მარჯვენა კალთაზე. იელნარია. გიორგი გაბრიელის ძე ნავერიანი, 76 წ. 1971.

- ჰადაშ ნაკ** – ტაფობი (მესტია, ფარი), გირგვლიანის ზევით, გორაზე მდებარეობს ეს ტაფობი. გამოიყენება სამოვრად. მოხუცები ამბობენ: აქ ალბათ ჰადრა ხარობდაო. მართალია, ჰადრა ახლაც ხარობს აქ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ადგილის სახელწოდება მასთანაა დაკავშირებული. ვახტანგ ჟემუზას ძე ნარსავიძე, 1965.
- ჰადლიშ** – გადასასვლელი (მესტია, სპარდიში), ძველი გადასასვლელი. ავთანდილ ანდრიას ძე რატინი, 37 წ. 1972.
- ჰადნიშ** – სათიბი (მესტია, ლახუმი), ს. ლახუმი-დშია, გზის ზემოთ თანდლისკენ, ჰადნი კაცის სახელია. რიდა ბესის ასული ფირცხელა-ნი, 55 წ. 1972.
- ჰადამიშ** – სანადირო ადგილი (მესტია). ირინე მელიქიშვილი, 1961.
- ჰადრი** – ბუჩქნარი (მესტია, ზაგარი), ს. ზაგარშია, დგას ორი სახლი (ოჯახი) და მათ შორის არის ადგილი, ამჟამად ტყემლნარი. ადრე იელნარი იყო. ჰადრა „იელი“. გაიანე კამუთის ასული ცინდელიანი, 50 წ. 1969.
- ჰადუტდშ ნაკ** – (მესტია, ფარი), ჯგერანგ ზაგარიშის ჩრდ.-დასავლ., სამოვარ ჯოღერის სამხ.-დასავლ. ვაკე ადგილია. მის დასავლ. ტყეა და ს. ლაყური. სათიბი ზედ გორაზეა. ჰადუტდშ (<– ჰადუ-ულდ-შ ?). ჩიჩო მუზას ძე წულუკიანი, 63 წ. 1969.
- ჰადელდ** – სამოვარი (მესტია, ნაკი), ნასახლარ ჯუხუტლანის ჩრდ., სამოვარ გრჟიარ-ს ჩრდ. გზაც იქ გადის ნაკრისკენა მიმავალი. ბლომდაა ჰადროლ (იელი). ვასილ ბურნაყის ძე ქალდანი, 54 წ. 1969.
- ჰადარ** – სათიბი (მესტია, ლახამულა), ენგურის მარცხ. შგედში, სათიბ ნაკარს ამევს ქვემოდან, ადრე იხვნებოდა. ირგვლივ ძელნარია (ჰადრა ხაგ). კოწი იოსეს ძე კვანჭიანი, 55 წ. 1969.
- ჰაერ** – სათიბი (მესტია, ფარი). ვახტანგ ჟემუზას ძე ნარსავიძე, იასონ ჩხეტიანი, 60 წ. 1965.
- ჰაეროპორტ** – აეროპორტი (მესტია), მესტია-ჭალანს მარცხენა კალთის დავაკება, თვითმფრინავების დასაფრენი მოედანი. თედორე ტარასის ძე ნაკანი, 60 წ. 1972.
- ჰაზორლარა** – სახნავ-სათიბი (მესტია, დოლი), ს. დოლში, ნასპარიერს მარჯვნივ, ჩრდ.-აღმ. ჰაზო-ლარა „ეზო-სათიბი“. ყერემ პეტრეს ძე უმხვანი, 54 წ. 1969.
- ჰათუყურე ადგი** – საკარ-მიდამო (მესტია, ყარი), ჟიბე ყარშია, მდ. თეთნაშერას მარჯვენა მხარე, სამანქანო გზის ზემოთ. სახნავ-სათიბებით, ბალი. ჰათუყურე ვიზლიანის ყოფილი კუთვნილი მამული (ცოცხალი არაა). ანდრია ბიმურზას ძე აფრასიძე, 61 წ. 1970.
- ჰათუყურე ადგი** (2) (იხ. ჰათუყურე).
- ჰათუყურე** (2) – საცხოვრებელი (ზემო ყარიში, ქვ. სგურიში).
- ჰათუყურე** (2) – საცხოვრებელი (მესტია, ქვ. სგურიში), ს. ჩუბზე სგურიშის ჩრდ.-აღმ., ვაკე ადგილია, ჰათუყურე ვიზლიანის (ცოცხალი არაა) კუთვნილი მამული. თამაზ დიმიტრის ძე ნარსავიძე, 18 წ. 1970.
- ჰაკნაშიერ** (იხ. ჰაკნაშ).
- ჰაკუტი ღარ** – ტყე (მესტია, ზეგანი), ს. ზეგანის სამხ.-დასავლ., მდ. ლასილის მარჯვენა კალთაზე. დასახლების ბოლოში. მშრალი ღარია. გუნტერ ილამაზის ძე გულბანი, 38 წ. 1971.
- ჰაკუნაშ** – სათიბი (მესტია, ცალდაში, ჟაბეში), ს. ცალდაშის სამხ.-აღმ., სათიბ ჰობრანის ზემოთ, მგლხა ლახუმი. ალპური ზონა – სუფთა. (ლექს ლახუმი). პავლე ბითეს ძე ზურებიანი, 83 წ. 1971.
- ჰაკუნდ** – სათიბი (მესტია, ზეგანი), ს. ნაკ-იფარის დასავლ. ენგურის მარცხენა კალთაზე, სათიბ ბენამდე. გუნტერ ილამაზის ძე გულბანი, 38 წ. 1971.
- ჰალგი ღარა** – სათიბი (ლენტეხი, ქაშვეთ-ლაშ-თხვერი), უჯერის სათიბებშია, ჭალანს მარცხენა მხარეზე. ვახტანგ გრამიტონის ძე ჯაჯვანი, 37 წ. 1972.
- ჰალგარ** – ტყე (მესტია), ს. ცალდაშის სამხ. დასახ. შერეული ტყე. ლგლაგე ლი, დასაცავი საქონლისაგან. პავლე ბითეს ძე ზურებიანი, 83 წ. 1971.
- ჰალგარ** (2) – სათიბები (მესტია, მურშკელი), ტყე (ცალდაში), ს. მურშკელის ჩრდ.-დასავლ. გულანდ ტუბის მარცხენა სანაპიროზე. შემოვაკებულია მრგვალი ხის ჭერებით, რომ მთისკენ მიმავალი საქონელი არ შევიდეს. ისლამ გოჯის ძე გულბანი, 13 წ. 1971.
- ჰალგ** – საკრებულო (ლემსია), ს. ლემსიაშია, წყარო მოედინება, სადაც სადამოლობით თავს იყრიან ხოლმე. შემოვაკებული (ჰალგ) არაა. ამხნტაფშია. შადურ ადილარის ძე შუკვანი, 28 წ. 1972.
- ჰამაშ** – უბანი (მესტია, ლახამულა), ს. ლახამულას

- ჩრდ. სამანქანო გზის ჩრდ. ცხოვრობს 3 ოჯახი. ზემოთ ს. თოთელეშია. დილის სამუშაო იქით იყო (ჰამს ჟი ეტმზლობის ლამშათე ი ნებოზს ჩუ ლემკედლონელიხ, ჰამშ ლამშა ეჩხაუ ხაღენახ). დუმა შარდენის ასული ჭკადუა, 46 წ. 1969.
- ჰამშ ამბარ** – სათიბი (მესტია, ლახამულა), ენგურის მარცხენა მხარეზე შგედში. სათიბ ნა-ჰნეგტარს ზემოთ. ჰამშ ამბარ (<– ჰამშ ამბარ). კოწი იოსეს ძე კვანჭიანი, 55 წ. 1969.
- ჰამშიშ ფაფალ** (იხ. ფაფალ – ჰამში).
- ჰამეშ** – სათიბი (მესტია, დავბერი), ს. დავბერის ჩრდ-აღმ., ენგურის მარჯვენა კალთაზე, ვაკე ადგილი. მზის მხარეზე. ჰამ „დილა“ – „დილისა“. ნოდარ პლატონის ძე მარგვლიანი, 40 წ. 1971.
- ჰანდრიშ** – სათიბი (მესტია, ეცერი), ს. ეცერის ჩრდ-აღმ., სათიბ ჭიბარის სამხ-დასავლ. ვინმე ჰანდრის (საკ. სახელი) ყოფილი ადგილი (გვარი არ იცოდა). ილარიონ კოსდას ძე ხორგუანი, 60 წ. 1969.
- ჰანტოლშა მურყტამ** – ნაკოშვი (მესტია, ქაშვეთი), ს. ქაშვეთშია, თავმონგრეულია, ეკუთვნის წიფიანებს. მათე ზოსმეს ძე ფილფანი, 42 წ. 1972.
- ჰანტოლშა ცხეკ** – ტყე (ქაშვეთ-ლაშთხვერი), ჰალაშ მარცხენა კალთაზე, (ჰანტო) წიფიანების ყოფილა. ვახტანგ გრამიტონის ძე ჯაჯვანი, 37 წ. 1972.
- ჰანტუქ ნალგენტარ** – კლდე (ქაშვეთ-ლაშთხვერი), ენგურის ხეობის მარცხენა კალთაზეა, მთა ჰარაშის გზაზე, სადაც ჰანტუქ წიფიანი სანადიროდან მომავალი დარჩენილა, ღამე დევი სტუმრებია, რომელიც იმას აკეთებდაო, რასაც ჰანტო; ჰანტოს ცეცხლი მოუკიდია თავის ტანზე, დევსაცო და დევი დამწვარაო. ვახტანგ გრამიტონის ძე ჯაჯვანი, 37 წ. 1972.
- ჰაპკურიშ შუკუ** – გზა (მესტია), ს. ლახამულიდან მიმავალი გზა მთა ჰაპკურიისკენ შგედის მხარეზე. კოწი იოსეს ძე კვანჭიანი, 55 წ. 1969.
- ჰაპკური** (იხ. ჰაპკური).
- ჰაპკურითეშ შუკუ** (იხ. (ჰაპკურიშ შუკუ)).
- ჰარეტ** – ზეგანი (მესტია, ბეჩო), ს. ბეჩოსა და ლატალის საზღვარი ზეგანი (ქედი). არის შერეული ტყეც, შიგა და შიგ სამოვრებიც. აღწევს ბალ-ის ქედამდე. ბეჩოსა და ლატალი გამყოფი ქედი. ანთუყ ნასავის ძე ხორგუანი, 80 წ. 1969.
- ჰარტი თარგნგზელ** – სამლოცველო (იფხი), მთა ჰარეტში, ქვებითაა (უბრალო) აშენებული ორი პატარა კოშკი, ლოცულობენ. კ. შ. გვიჩიანი, 66 წ. 1973.
- ჰარტი თარგნგზელ** – სამოვარი (სიდიანარი), მთა ჰარეტშია, დგას ორი დიდი ქვა, პატარა კოშკე-ბივითაა. ვალო ა-ძე სიდიანი, 37 წ. 1973.
- ჰასკალდიშ ლარე** (იხ. ჰასკალდ).
- ჰასკამშ შუ ყტიმშ** – კლდე, მწვერვალი (მესტია, ლემდერი), მდ. ლემდრგლას მარჯვენა კალთის ჩრდ. მხარე. სამოვარ გტიმრანისა და კლდე კაბერიშ ნამწყედუს შორის. „ჰასკამის ფორმა აქვს“. მამურზა ივანეს ძე ჩხვიმიანი, 69 წ. 1969.
- ჰასტაშ** – კლდე (მესტია, იელი), ენგურის მარჯვენა მხარეზეა, სოფლამდე აღწევს. რ. ვ. ხვიბლიანი, 38 წ. 1972.
- ჰაწული ზაგარ** – ზეგანი (დ. მესტია), მესტიის სამხ-აღმ. გადაჭიმული ტყიან-სათიბებიანი ზეგანი, ს. იელისა და მესტიის საზღვარი. ჩათო ესტატეს ძე ჩართოლანი, 45 წ. 1972.
- ჰაწული ზუგტარ** – სამოვრები (მესტია), ჰაწვალდის ჩრდ. პლატო, საიდნაც იწყება შურო. ჩათო ესტატეს ძე ჩართოლანი, 45 წ. 1972.
- ჰაწულა** – სათიბები (მესტია), მესტიის სამხ-აღმ. სათიბები. ირგვლივ წიწვნარი ტყეა. ჩათო ესტატეს ძე ჩართოლანი, 45 წ. 1972.
- ჰაჯაშარ** – ტყე, სამოვარი (მესტია, სოლი), ს. სოლის ჩრდ.-დასავლ., დასახლების ქვემოთ, სამანქანო გზის ზემოთ. შუა ტყეშია პატარა ვაკე ადგილი, რომელსაც ჰქვია ბედიშა დაბილდ. რ. ა. ხაფთანი, 52 წ. 1972.
- ჰებდაშ** – სამოვრები, ტყე (მესტია, ლახუმდი), ს. ლახუმდის სამხ-დასავლ. ენგურის მარჯვენა მხარეზე. წიწვნარი ტყეა (ლეღტმურა) ტყის ბლებიცაა. რიდა ბესის ასული ფირცხელანი, 55 წ. 1972.
- ჰებერ** – ყანა (მესტია), ჰებ – ბალი. ირინე მელიქიშვილი, 1961.
- ჰები წყარო** – წყარო (ცანა), ს. ცანაში იდგა ჰებ, ამჟამად არაა.
- ჰები წყაროდ კუამფარ** (იხ. კუამფარ) – ფლატე (ცანა), ცანასთან, ცხენისწყლის მარჯვ.
- ჰებში** – ნასოფლარი (მესტია, ნაკი), ნაკრას მარჯვენა მხარის ნასახლარი, ს. ნაკის დასავლ. ხარობს გარეული ბალი, ცხოვრობდა 4 ოჯახი. გვარები: 2 ოჯახი ცინდელიანები, 2 ოჯახი სუბელიანები. ამჟამად ნაკში სახლობენ. ბითე ისლამის ძე ქალდანი, 57 წ. 1969.
- ჰებში ღარაშ ლებგლყერ** – ტყე (მესტია, ზ. ვედი). არჩილ კოსდას ძე ჭკადუა, 40 წ. 1969.

- ჰეზი ღარაშ ლჷქმოლ** – სათიბი (მესტია, ზ. ვედი). არჩილ კოსდას ძე ჭკადუა, 40 წ. 1969.
- ჰეზი ღარ** – ღელე (მესტია, ზ. ვედი), ზედა ვედში, გარეული ბლის ხეები აქა-იქა. ტყის მასივია. არჩილ კოსდას ძე ჭკადუა, 40 წ. 1969.
- ჰეზიშ** – სათიბი (მესტია, იელი), ასკარდშია, დამრეცი, ლეჟკაშორ ლიხ, შგორი...ბალი არაა. რ. ვ. ხვიბლიანი, 38 წ. 1972.
- ჰეზი** – ქედი (მესტია, დავბერი), მდ. ენგურის მარცხენა კალთის ქედი, ლაგურკას სამხ. ქედი. ფოთლოვანი და წიწვიანი ტყე. ნოდარ პლატონის ძე მარგველანი, 40 წ. 1971.
- ჰეზიელ** (იხ. ჰეზი), ირინე მელიქიშვილი.
- ჰეზიშორ** – სათიბები (მესტია, ღემდერი), ს. ღემდერის ჩრდ.(აღმ.), სათიბ-სამოვარი ჯოღერის დასავლ. ბალნარია (გარ.), წაბლნარი არაა. ჰეზი „ბალი“. ლევარსან ომანის ძე ჩხვიმიანი, 58 წ. 1969.
- ჰეზიშორ** – სათიბი (მესტია, ჟაბეში), ს. ჟაბეშის აღმ., მდ. წანრელას მარცხენა კალთაზე, სათიბ ქართაშის ქვემო ნაწილი. სათიბ ლასკაშის ზემოთ. ამჟამად ჰეზი არაა, ადრე ყოფილაო. ჯეირან ჭიჭიკოს ძე კახიანი, 20 წ. 1971.
- ჰეზიულ** – სოფელი (მესტია, ეცერი), ეცერში შემავალი 19 კომლიანი სოფელი. სამანქანო გზის ჩრდ. დაახლ. 1 კმ. სოფლის ირგვლივ ყანები და სათიბ-სამოვრებია; დგას ეკლესია მაცხაშორ, ნაკოშკარი. გადმოცემით: ხეზდ-იდანო „იწოდა“-ნო, მაგრამ ბევრია ტყის ბალი (ჰეზი-ულდ → ჰეზიულდ → ჰეზიულ ?). ზაგამზე სამსონის ძე ფარჯველიანი, 39 წ. 1969.
- ჰეზი** – სათიბი (მესტია, ზარდლაში), ს. ზარდლაშის დასახლების დასავლ. ყოფილა მრავალი ბლის ხე, ამჟამადაც არის. ნოდარ შამშის ძე გაბლიანი, 32 წ. 1971.
- ჰეზიელი** (იხ. ჰეზი).
- ჰედრაშ** – სამოვრები (მესტია, ლახუშდი), ს. ლახუშდშია სამხ-დასავლ. მდ. ენგურის მარჯვენა მხარეზე, თხილნარი ადგილია. ჰადრა ჩანს. რიდა ბესის ასული ფირცხელანი, 55 წ. 1972.
- ჰეკრა** – სამოვარი (კვანჭიანარი), ს. კვანჭიანარის აღმ., ნასახლარია, შედის სამტაშის ტერიტორიაზე. შ. ნ. კვანჭიანი, 49 წ. 1973.
- ჰელდერ** – სათიბი (მესტია, ქართვანი), სოფლის სამხ.-დასავლ. ყანა ლეჟტბარაშის ქვემოთ, კარგი სათიბია, ორჯერ თიბავენო (ჰელდ ლეგ → ჰელდერ). გრამიტონ პავლეს ძე გაბულდანი, 47 წ. 1969.
- ჰელარი კოჯ** – კლდე (მესტია, ჟაბეში), ს. ჟაბეშის პირდაპირ (ჩრდ.), მდ. მულხურას მარჯვენა კალთის ციცაბო კლდე. (1: 100000 ... -2994). ჰელ (ჰელ ლოქტ ლახბიად „შიშის ზარი დაეცა“). ჭიჭიკო ივანეს ძე კახიანი, 44 წ. 1971.
- ჰელარი ტუბი** – ხევი (მესტია, მაჯვდიერი), მდ. მულხურას მარჯვენა შენაკადი. მოედინება მთა ჰელარის სამხ-დასავლ. კალთებიდან. (იხ. 1: 100000 ... 2294). ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე შერვაშიძე, 61 წ. 1971.
- ჰერტშიერ** – ნაეკლესიარი, სასაფლაო (მესტია, დოლი), ს. დოლის ქვემოთ, ნაეკლესიარია, არის სასაფლაოც. ყერგმ პეტრეს ძე უშხვანი, 54 წ. 1969.
- ჰემკილ** (იხ. ხემკილ).
- ჰემკლა ბოგვლდ** – ხიდი (მესტია, ქაშვეთი), ხიდი ელღერას მდინარეზე, სამარხილო (ელღერა იგივე ენგური). მათე ზოსმეს ძე ფილფანი, 42 წ. 1972.
- ჰენერ** – სათიბი (მესტია, ჩვაბიანი), ს. ჩვაბიანშია, ჩოგაშის სათიბის მეზობლად. მშრალი და შვეული სათიბი. ჰენ. არჩილ დავითის ძე გიგანი, 52 წ. 1971.
- ჰილ-ლათუფარ** – ტბა (მესტია, ჟამუში), ს. ჟამუშის დასახლების სამხ. მულხურას მარჯვენა მხარეზე. დგას ტბა დაახლ. 300 კვ. მ. სიღრმით – 2 მ. სადაც ჯორით კაცი დამხვრჩალაო. ვლადიმერ გიორგის ძე ნავერიანი, 40 წ. 1971.
- ჰილტაშ** – სათიბ-სახნავი (ნესგუნი), ფუშყვერის მარცხენა მხარეზე, დასახლების აღმ. ელგუჯა ვლადიმერის ძე გულედანი, 36 წ. 1972.
- ჰილტაშ ცხეც** – ტყე (ნესგუნი), ფუშყვერის მარცხენა მხარეზე, ფოთლოვანი ტყით. ელგუჯა ვლადიმერის ძე გულედანი, 36 წ. 1972.
- ჰინგრილ** – კლდე (ხევრა), კელღერას მარცხენა მხარეზე, უნაგირია კლდე. ვ. მ. ჭკადუა, 30 წ. 1973.
- ჰინგროლ** – ტყე (მესტია, კიჩხულდაში), ს. კიჩხულდაშის ჩრდ-აღმ. წიწვიანი ტყის მასივი. ზემოთ უნაგირივით ვაკე ადგილი აქვს, გვერდები ფერდობებია. (ნაკვლდ ხარ ჰინგრიშალ, ეჩხენ-ამხენჩუ – ფლეტ). თემრაზ ვიბლიანის ძე ვიბლიანი, 49 წ. 1969.
- ჰინგრელ** – სამოვარი (მესტია, ღემდერი), მდ. ღემდერელას მარჯვენა კალთა, გორა ტირხის ჩრდ. უნაგირა ადგილია, დასასვენებელიც. მამურზა ივანეს ძე ჩხვიმიანი, 69 წ. 1969.

- ჰინწური** – ტყე (მესტია, მურშკელი), ს. მურშკელის ჩრდ-აღმ., კალოდნის ზემოთ ფოთლოვანი ტყით – რცხილა, მუხა, არყნარი, ძელი. ვალადი ბათოს ძე მჭედლიანი, 13 წ. 1971.
- ჰიწანი** – სახნავი (მესტია, კაცხი), ყანა თინთურანისა და ტუბრას შორის. შალვა ფილოვანის ძე ჩხეტიანი, 13 წ. 1969.
- ჰობდერ** – სათიბ-სამოვარი (მესტია, ლაღამი), ს. ლაღამის ჩრდ. ცადდერის ქვემოთ, სოფლისკენ. არყნარი ტყეცაა, იცის აბედი (ხის სოკოები). (ჰაბედ ?). გ. ი. ფალიანი, 38 წ. 1972.
- ჰობრალ** – სათიბი (მესტია, ცალდაში), ს. ცალდაშის სამხ-აღმ., სათიბ ლჰკრკას ზემოთ, ზაგნის ქვემოთ სამხ. აქა-იქ ჰებრა ხაგ, არყნარია უფრო და ვერხვარიც. პავლე ბითეს ძე ზურებიანი, 83 წ. 1971.
- ჰოკელ** – სათიბი (მესტია, ლაბსყალდი), ს. ლაბსყალდის ბოლოში (ქვემოთ). ყანა ნაკდერს ქვემოთ, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება ფეტურა (?), ფეტურა სადა ჰოკელს ჰყოფს წყალი (?) ჰოკელ („ჰოკერ“ ?) „ბოლო“. ბასილო თავას ძე გუგუსიანი, 57 წ. 1969.
- ჰოკრი დაბ** – ყანა (ნესგუნი), ს. ნესგუნის ყანაა, ფუშყვერის მარჯვენა მხარეზე. ვახტანგ გრამიტონის ძე ჯაჯვანი, 37 წ. 1972.
- ჰოკრი კეჰ** – კლდე (მესტია, ცალდაში), წანრგლას მარცხენა კალთის კლდეებშია, სანადირო, ნესგა კეჰის ძირში. პავლე ბითეს ძე ზურებიანი, 83 წ. 1971.
- ჰოკრი ლაგან** – კლდე (მესტია, ცალდაში), წანრგლას მარცხენა კალთის კლდე, კლდეების ქვემო ძირში არის ნადირთა სადგომი (ჯიხვების, არჩვების). პავლე ბითეს ძე ზურებიანი, 83 წ. 1971.
- ჰოკრი ტუბი** – სათიბი (მესტია, ჟაბეში), ს. ჟაბეშის აღმ., მდ. წანრგლას მარცხენა მხარეზე, დელეა, სოფლის აღმ. მხარის ბოლო ადგილი. ჰოკერ „ბოლო“. ივანე ბედის ძე კახიანი, 83 წ. 1971.
- ჰოკრილ** – სამოვარი მთა (მესტია, ყარი), მდ. ჭუბრულას მარჯვენა შენაკადის მდ. ჰოკრილის შესართავის დასავლეთის, მთა ნენსგერის გზაზე, ვაკე ადგილი, დგას 4 კარავი, ტყე შერეული. თამაზ დიმიტრის ძე ნარსავიძე, 18 წ. 1970.
- ჰოკრილა** – ღელე (მესტია, ყარი), მდ. ჭუბრულას მარჯვენა შენაკადი. მოედინება ჰოკრილში კოჯანრიდან, ჰოკრილში ხანსრარიდან. (იხ. 1: 100000). თამაზ დიმიტრის ძე ნარსავიძე, 18 წ. 1970.
- ჰოკრილ ლი** (იხ. ჰოკრილა).
- ჰოკრილ ტუბი** – ხეობა, სამოვარი მთა (მესტია, ყარი), მდ. ჰოკრილა-ს ხეობა. დგას 1 კარავი, გზა მიდის მდინარის მარცხენა მხარეზე. მოშიშვლებული ადგილია, ტყე ნარევიცაა. ღარების ფერდობები კლდიანიცაა და ტყიანიც შერეული, უფრო წიწვიანი. თამაზ დიმიტრის ძე ნარსავიძე, 18 წ. 1970.
- ჰოკრილში ლელოკოლ** (იხ. ჰოკრილში მეგჰოლუ).
- ჰოკრილში ლანკურინარ** – კლდე (მესტია, ყარი), მდ. ჰოკრილას სათავის ზემოთ კლდეები, ციცაბო კალთებით, გამყინვარებაც. (იხ. რუკა 1: 100000 ... – 3847, 7 – მწვერვალი). თამაზ დიმიტრის ძე ნარსავიძე, 18 წ. 1970.
- ჰოკრილში მეგჰოლუ** – კლდე (მესტია, ყარი), მდ. ჰოკრილას სათავეების ზემოთ, კლდე ჰოკრილში ჭუქის ჩრდ-აღმ. შიშველი კლდეა, კლდეს ლოკავენ ჯიხვებიო. შესაძლებელია იყოს მარილის გემოს, მჟავე გემოს კლდე – სვან. ჯერაბ, რომელიც იხმარება ტყავის შესაღებად, შალეულს, მატყლეულისგან ნაწარმებს ღებავს, ხსნიან თხმელას კანის ნახარშიში. თამაზ დიმიტრის ძე ნარსავიძე, 18 წ. 1970.
- ჰოკრილში რიყი სგი** – მჟავე წყალი (მესტია, ყარი), მდ. ჭუბრულას ნაპირას, ჭალაშია, წყალდიდობის დროს იფარება. საზაფხულო მთა ჰოკრილშია. თამაზ დიმიტრის ნარსავიძე, 18 წ. 1970.
- ჰოკრილში სგი** – მჟავე წყალი (მესტია), მდ. ჰოკრილა-ს მარცხენა მხარეზე, ფერდობზეა ტყეში, ჰოკრილში ქუანის სამხ.-აღმ. თამაზ დიმიტრის ძე ნარსავიძე, 18 წ. 1970.
- ჰოკრილში ტუბი** (იხ. ჰოკრილ ტუბი) – ხევი (ჭუბერი), მდ. ჰოკრილა-ს ერთ-ერთი ხეობა. ფსკერ : ჰოკ=ერ. ფსკერი გადმოითარგმნება სიღრმედ (საბა) იხ. ფსკერ=თან გვ. 362.
- ჰოკრილში ქუან** (იხ. ქუან – ყარი).
- ჰოკრილში ჭუქუ** – მწვერვალი (მესტია, ყარი), მდ. ჰოკრილა-ს სათავე, მწვერვალი, რომლის სიმაღლეა 2470,7 (1: 100000). ჩრდ. მხრიდან ძირში გამყინვარებაა. „ჰოკრილას კენწერო“ ჭუქუ – ჭქქი „პრიალა“ (შიშველის მნიშვნელობით). თამაზ დიმიტრის ძე ნარსავიძე, 18 წ. 1970.
- ჰოკრილში ხანსრარ** – მყინვარები (მესტია, ყარი), მდ. ჰოკრილა-ს სათავეებშია, ჰოკრილში ლანკურინარის ძირში, 20-30 მ. სიღრმის, აქვს ნაპრალები (იხ. ... 1: 100000 – შეცდომითაა).

თამაზ დიმიტრის ძე ნარსავიძე, 18 წ. 1970.

ჰოკრილშე წარც – გადასასვლელი (მესტია, სგურში), მდ. ჰოკრილის სათავეების მთები, უშველები გამყინვარებით, კენჯბარ ლიხ, ხანსარ ეჩხენჩუი ხაზ ი ამხენჩუი ნაპარლისგა. (იხ. რუქა, მწვერვალის სიმაღლეა 3847,7 რუქაზე ..., სახელი ვერ დავაზუსტე – 1: 100000), გადასასვლელი მთა კვან-ამდე. ხაბჯი ბიბუს ძე ჩხვიმიანი, 68 წ. 1970.

ჰუნწული – სათიბი (ნესგუნი), ფუშყვერის მარცხენა მხარეზე, ტყიანი ადგილია, ფოთლოვანით, საჩრდილო ადგილია. ელგუჯა ვლადიმერის ძე გულედანი, 36 წ. 1972.

ჰულდუმ – გზა (მესტია, ფხოტრერი), ს. ფხოტრერის დასავლ. საძოვარ ნაუმ ქოროლს მოსდევს ჩრდ.-აღმ. მხრიდან. ტყიანი ადგილია. საულაშ-ს ჰვეთოს მდ. კენიმდე ჰერპენდიკულარულად. „ჰულდუმ“ (ბქვ. ლხმ. „ლები“) შვეულია და მიმსგვსებული ლხმ. ლების („წაფხლი“). ეგნატე ამაიზის ძე ქანცლიანი, 55 წ. 1969.

ჰურტყტილ – საძოვარი, სათიბი (იელი), ენგურის მარცხენა კალტაზე, იელის პირდაპირ, ირგვლივ ტყე აკრავს, ტერასა პატარა. იონა ვისიბის ძე სამსიანი, 77 წ. 1972.

ჰუყუ-ზაგარ – საძოვარი (ლემსია, კაერი), ქამე ლახვშია, მაღლობი ადგილია სერზე. კაერისა და ლემსიის მთის საძოვარი. შადურ ადილარის ძე შუკვანი, 28 წ. 1972.

ჰუყუ-ზაგარ (იხ. ჰუყუშე ზაგარ).

ჰუყუტარ – სათიბი (მესტია, ბარში), სოფლის თავში ჩრდ.-აღმ., მდ. კედრგლასა და დაწმარს შორის. ჰუყუ „რისამე გორა (ქვისა, მიწის...)“ „შალა ამის ძე გურჩიანი, 78 წ. 1969.

ჰუყუტარ – სათიბი (მესტია), ს. ჰებუდის სამხ.-დასავლ., ლაურარის აღმ. კარგი სათიბიაო („ჰუყუშალ როქუ ხეგნიტუ ჭემ“). ზაგამზე სამსონის ძე ფარჯველიანი, 39 წ. 1969.

ჰუყუტარ – სათიბი (მესტია), სოფლის ქვემოთ, მაცხოვრის სახ. ეკლესიის ჩრდ. ოღრო-ჩოღრო რელიეფია, პატარ-პატარა ბორცვებიანი („ჰუყუტარშალ ადგი ლი“). ჰუყუტ „ბორცვი“, „ამობურცული“. გიორგი კოსდას ძე მურღულიანი, 60 წ. 1969.

ჰუყუტარ – ტყე (მესტია), ქედი ზაგრიშის დასავლ. ჰუყუტ-შალ ადგილარ ლიხ. ბორცვიანია. სვიმონ აზნაგეთის ძე ჩხვიმიანი, 69 წ. 1969.

ჰუყუტარ (4) – სათიბი (მესტია, ჭელირი, ჰებუდი, ქვ. კალაში), ტყე (ფარი), ს. ჭელირის ჩრდ.-აღმ.,

სათიბ მაცკაშს აკრავს დასავლ. ოღრო-ჩოღრო ადგილებია. (გიმიშ ჰუყუტარ ხარ ჟიბოტ ლაღლთე და ეჩხენ-ამხენ). ჰუყუტ. აკაკი სორეხის ძე აფრასიძე, 66 წ. 1969.

ჰუყუტარ ბოგ (იხ. ჯაჭტიმ ბოგ).

ჰუყუტარ ზაგარ – ნაეკლესიარი (მესტია, ქვ. კალაში), სოფლის სამხ. კიდე, სადაც დგას ნაეკლესიარი მაცხტარ სოფლის სამხ., მდ. ენგურის მარჯვენა მხარეზე, ს. გუალდერისკენა მიმავალი გზა გადის. მაღლობია. „ამობურცულის (პატარა ბორცვის) ზეგანი“. გიორგი კოსდას ძე მურღულიანი, 60 წ. 1969.

ჰუყუტარ – ბორცვები (მესტია, ლახუშდი), მთა მუბშია, მდ. ენგურის მარცხენა მხარეზე, ოღრო-ჩოღროა, ბორცვნარი. გიორგი ანდრიას ძე ფირცხელანი, 65 წ. 1972.

ჰუწიშ – საძოვარი (მესტია, ცალერი), ჟიბე ცალერის აღმ., ჟიბე რობარის საძოვრის ჩრდილოეთით ხრიოკია, დარი აქვს ღვარისაგან, ნაჩხოტ, ნახტწი ლი 5-მდე. ჰუწი <- ხუწი „ვიწრობი“. ვლადიმერ სეითბეს ძე გვარამიანი, 57 წ. 1969.

ჰუწიშ ლაჯ – საკულტო (მესტია, ლამხერი), ს. ლამხერის ჩრდ.-დასავლ. მის ახლოს დასავლ. სუიფ არის და ეკლესიაც, დგას ლაჯ. საძოვარ ჰუწიშ-შია. მახამეთ გურმაჩის ძე დევდარიანი, 49 წ. 1969.

ჰუწიშ – საძოვარი (მესტია, ლამხერი), ს. ლამხერის ჩრდ.-დასავლ. მოგრძო ადგილია, დგას ლაჯრა. მახამეთ გურმაჩის ძე დევდარიანი, 49 წ. 1969.

ჰუჯელაშ – ყანა (მესტია, სვიფი –ეცერი), ს. ბარშის ზემოთ, მდ. კედრგლას აკრავს აღმ. ერთი მხრიდან ჭტილშ ნაგემ ლი. ჰუჯ (?). აკაკი სორეხის ძე აფრასიძე, 66 წ. 1969.

ჰენგირ – მსხლის (მესტია), ს. ღვებრაშია მსხალი, დიდი მოცულობის (ბროჯ ლი). რაჟდენ გოგის ძე მარგიანი, 10 წ. 1971.

ჰენგირ (2) – სათიბი (იფხი), მსხალი (ღვებრა), ბალის ქედზეა, უნაგირის მსგავსი რელიეფით. გ. ე. ნანსყანი, 37 წ. 1973.

ჰენგირილარ – კლდე, საძოვარი (მესტია, მურშკელი), ს. მურშკელის ჩრდ.-აღმ., ს. ლახირის ჩრდ.-აღმ., სათიბიცაა და საძოვარიც. უნაგირა კლდეების. ჰენგირ „უნაგირი“. ლადო სოგრატის ძე ქურდიანი, 13 წ. 1971.

ჰენგერილ – ზეგანი, ქედი (მესტია), ს. ლახამულას ჩრდ.-დასავლ. წიწვნარი ზეგანი, უნაგირა ფორმისაა. აღწევს სუწლმიშ-ამდე. გელა ფუთუს ძე ჭკადუა, 64 წ. 1969.

ჰენგერილ – კლდე (მესტია, ქედანი – ჭუბერი), ქედი (ლახამულა), სამოვარი (ნაკი), ს. ჭუბერისა და ს. ქედანის გამყოფი ქედის მწვერვალი, მაღლობი, უნაგირა ქედია. გზა არის ქედანიდან მთა კორპისკენ. ჟვანია ზემას ძე ჭკადუა, 4 წ. 1970.

ჰენგერილ – სამოვარი გორაკი (მესტია), ს. ნაკის ჩრდ-აღმ. გორაკი მეჩხერი ტყის კალთებით, თავზე შიშველია, კომპურაა, თხემი ვაკეა, უნაგირის ტიპისაა. სეითზე ალექსის ძე კვანჭიანი, 65 წ. 1970.

ჰენგერილში ზაგარ (იხ. **ჰენგერილ**).

ჰენშარ – ყანები (მესტია, ბარში), მდ. დაჭმარის მარცხენა (იქითა მხრიდან). ბაჯუ პირიბეს ძე გერლიანი, 27 წ. 1969.

ჰენში ლაქნი (იხ. **ჰენშარ**).

ჰემეში ბოგელ – გზა (მესტია, დავბერი), ს. დავბერის ჩრდ-აღმ., ენგურის მარჯვენა კალთაზე. წყალი არაა, სერივითაა ხალდეშურასა და ენგურს შორის მდებარე სერი. ნოდარ პლატონის ძე მარგვლიანი, 40 წ. 1971.

ჰრწი – სამოვარი (მესტია, ლახუმდი), ლახუმდის სამოვარი მთაა, მდ. ენგურის მარცხენა კალთაზე. ნაკარები არის, მოედინება მდ. ჰრწულა. გიორგი ანდრიას ძე ფირცხელანი, 65 წ. 1972.

ჰტკელ – კლდე (მესტია, წვირმი), ს. წვირმის სამხ-დასავლ. მდ. ენგურის მარცხენა კალთა. არჩილ მელიტონის ძე ფანგანი, 57 წ. 1971.

ჰდიშალ – სათიბი (მესტია, ჟაბეში), ს. ჟაბეშის სამხ-აღმ., კლდე სგუბნე თუთეგლდის დასავლ. კალთის სათიბი, სათიბ მანქორწმის ქვემოთ, ჩუბე ჰდიშალის ზემოთ. ივანე ბედის ძე კახიანი, 83 წ. 1971.

ჰდიში ყინტარ – მცინვარები (ჰადიში),... ს. ჰადიშის ჩრდ. კავკასიონის მთაგრეხილებს შორის.

ჰდიში – სოფელი (მესტია, ივარი), ივარში შემავალი სოფელი, მდებარეობს მდ. ჰადიშქალას მარჯვენა კალთაზე, არის მრავლად კომკები. 12 თემის ყოფილა. ნასახლარებია გარდა ჰადიშისა ორ ადგილას. კომკები არცერთი არაა „წმინდად“ შემონახული, სახურავები და ქონგურები მოხდილ-მოხგრეული აქვთ. ცხოვრობენ: აველიანარ და ქალდნანარ. ზღვის დონიდან საშ. სიმაღლე 2150-2200 მ-დეა. სოფრო გიორგის ძე აველიანი, 60 წ. 1971.

ჰდიში ტუბრა – ლეღე (მესტია, ჰადიში), ს. ჰადიში ჩამოედინება, ჰადიშგარას მარჯვენა შენაკადი, თეთნულდის სამხ. კალთიდან მოედინება.

მანი ლევანის ასული პირველი, 50 წ. 1971.

ჰდიში ჭალაი (იხ. **ჰდიშგრა**).

ჰდიშგრა – მდინარე (მესტია), მდინარე, რომელიც ჩამოედის ს. ჰადიშს, მოედინება კებლემ-ის მცინვარიდან (ტოლ მცინვარი). მანი ლევანის ასული პირველი, 50 წ. 1971.

ჰფულმა ლარილარ – სათიბის სახელწოდებაა. პატარა სათიბია ტყის შუაგულში. გამოხატავს კუთვნილებას, ნიშნავს ჰაზუანთ სათიბები. ეს გვარი დღეს აღარ არსებობს. მდებარეობს წვირმის აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრზე. ეკუთვნის ს. წვირმის. ჩაიწერა თსუ სტუდენტმა ასლან კორძაიამ, 1965.

ჰფულიმა ლარილარ – სამოვრები (მესტია, წვირმი), ს. წვირმის ჩრდ-აღმ. ტვიბერის მხარეში. გვარი არ ახსოვთ. შალვა სარდიონის ძე ფანგანი, 60 წ. 1971.

ჰნდრაშა – უბანი (მესტია, ლანჩვალი), ლანჩვალშია, სგმიწში, რატიანების საგვარეულო თემის ერთ-ერთი შტო. კომკი (?). თედორე ტარასის ძე ნაკანი, 63 წ. 1972.

ჰნდრაშა ცხეც – ტყე (მესტია), რახნ ცხეცის ერთ-ერთი ნაწილი, პატრონობდნენ რატიანები, აეროპორტის სამხ-დასავლ. მალთუთ (თემი ?). თედორე ტარასის ძე ნაკანი, 64 წ. 1972.

ჰნდუმა მურყამ – კომკი (მესტია, ნაკი, ფარი, ივარი), ს. ნაკ-ივარშია, ყოფილი ჰნდუ გულბანების საგვარეულო კომკი. ამჟამად გუენე პირველისაა. ლუკვა ბესის ძე გულბანი, 88 წ. 1971.

ჰნდუმა ტუბილდარ – ხევი (მესტია), ს. ბოგრეშის სამხ-აღმ., ენგურის მარჯვენა კალთაზე, ლეზგარას ქვემოთ, სამარხილო გზაა, მოედინება წყლები, სათიბებია. ჰნდუმა გულბანის...იასონ მურზას ძე კორძაია, 75 წ. 1971.

ჰნდუში ლარარ (იხ. **კალრდარ** – წვირმი).

ჰნჭურ – სამოვარი (მესტია, სოლი), ს. სოლის ჩრდ., ტყიანი სამოვარია. სამანქანო გზის ზემოთ. რ. ა. ხაფთანი, 52 წ. 1972.

ჰილშე ჯარჯ – უღელტეხილი (მესტია, ფარი), რუქაზეა გადასასვლელი ბაჯი, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 3134 მ-ს უდრის, ჩრდ-ით მცინვარებია. ტარიელ ქემურზას ძე გადრანი, 59 წ. 1969.

ჰიშარ – სამოვარი (მესტია, ფალედი), მდ. ლემდრელას მარცხენა კალთაზე, სათიბ ცაგელის ჩრდ. ტყე და სამოვარი. მამურზა ივანეს ძე ჩხვიმიანი, 69 წ. 1969.

ჰარმელანი – სათიბი (მესტია, ნაკი), ნაკრას მარცხენა კალთაზე. ლაწომბას ჩრდ-აღმ. ნამღარის სათიბის ძირში, ტყეშია. ცუდი სათიბია (ხოლა მელიშ ლაგნა ლი, მოლიდგარ მელ ხმთქუა). ვასილ ბურნაყის ძე ქალდანი, 58 წ. 1969.

ჰარპიანი – სათიბი (სგობული), ნასახლარ სგობულშია, ვინმე ჰარპიანის კუთვნილი ყოფილა. მ. ჯ. კვანჭიანი, 62 წ. 1973.

ჰაწულდ – ტყე (მესტია, სოლი), ს. სოლის ჩრდ-დასავლ. სამანქანო გზის ზემოთ. ფოთლოვანი ტყით. ადრე ვერხვნარი ტყე ყოფილა. რ. ა. ხაფთანი, 52 წ. 1972.

ჰარშიში ნაკ – ტყე, სამოვარი (მესტია, სოლი), ს. სოლის ჩრდ-დასავლ. სამანქანო გზის ზემოთ. ფოთლოვანი ტყით. (ჰარში ენგურის მარცხენა კალთაზეა, ანდერიანის მთასთან). რ. ა. ხაფთანი, 52 წ. 1972.

ჰარშელა (იხ. **ჰარშულა**) – დეღე (ლენჯერი), მდ. ენგურის მარცხენა შენაკადი, მოედინება მთა ჰარში-იდან. ვახტანგ გრამიტონის ძე ჯაჯვანი, 37 წ. 1972.

ჰარშულა – დეღე (ლახუმდი, ჰეშვილი), მდ. ენგურის მარცხენა შენაკადი (იხ. 1: 200000) მოედინება მთა ჰარში-ზე. გიორგი ანდრიას ძე ფირცხელანი, 65 წ. 1972.

ჰარში – სამოვარი მთა (მესტია, ქაშვეთი), ენგურის მარცხენა კალთაზე, საზაფხულო სამოვარი მთაა ქაშვეთ-ლაშთხვერისა. სუბალპურიდან ალპური ზონის ჩათვლით. მათე ზოსმეს ძე ფილფანი, 42 წ. 1972.

ჰტილი ლაბამ – ყანა, სამოვრები (მესტია, ფალედი), მდ. ლემდრელას მარჯვენა კალთაზე, ყანა სარგარ-ს ჩრდ.-დასავლ. აკრავს, ყანის ირგვლივ სამოვრებია. აბამდენ ჰტილსო. მამურზა ივანეს ძე ჩხვიმიანი, 69 წ. 1969.

ჰტილი შეყიშ – გადასასვლელი (მესტია, სპარდიში). ავთანდილ ანდრიას ძე რატიანი, 37 წ. 1972.

ჰტილიშ ლაბამ – სამოვარი (მესტია, ქვ. ლახამულა), ჩვ. ლახმელის დასახლებისა და ენგურს შორის, ეკლესიის ქვემოთ. საკულტო (ლგცხატი) ადგილია. ფართობი დაახლ 100 კვ. მ. ინფორმატორის გადმოცემით: ძველად თათრის ჯარი იქ დაბანაკებულა, სოფელი შემოსევიაო და ამოუწყვეტია, დარჩენიათ ჯორი მხოლოდ. გელა ფუთეს ძე ჭკადუა, 64 წ. 1969.

ჰტილიშ შიყ – გზა (მესტია, ლეკულმახი), ს. ჟიბე მარდიდან მიმავალი გზა საზაფხულო სამოვარი მთა ტიტასკენა და ტობულდარამდე ირგვლივ უფრო მეტად წიწვნარია, შერეული ტყეც, ბევრია მოცვი. ჰტილიშ შიყ-იდან ზემოთ იყოფა გზები, ჰყოფს მას ნაშბიშ გორგ. ერთი გზა მიდის საზაფხულო სამოვარ ტობულდარამდე ნაშბიშში გორგზე, მეორე საზაფხულო სამოვარი მთა ტიტამდე. რელიეფის მიხედვით, წამყვანებია. ვასიკო მუზას ძე ჩხეტიანი, 40 წ. 1970.

ჰტიწ – გზა (მესტია, ზაგარი), სამარხილო გზა ს. ზაგარიდან ფარამდე, ზეგანის გადასასვლელი, ჭრილი ზეგანზე, ჯარჯ ხარ. ჰტიწ „ვიწრობი“ (შდრ. ნახუწი „ვიწრო“ (ლჰკჰუწუ „მიწვი“). გაიანე კამუთის ასული ცინდელიანი, 50 წ. 1969.

ჰტიწილდ – კლდეკარი (მესტია, ნაკი), ნაკრას მარცხენა კალთის ქედზე, ჩუბზე ზაგარის სამხ. მიმართულებით, მაღლობი ჰტიწლადის ზემოთ (ჩრდ.) ხახისებურია (ჯარჯელდ ხარ). აღმ. აკრავს ლაკის კლდე, დასავლ. დიდი ტყე – ქეზანენჩა. ვასილ ბურნაყის ძე ქალდანი, 58 წ. 1969.

ჰტიწლად – გორაკი (ნაკი), ნაკრას მარცხენა კალთის ქედზეა, ჩუბზე ზაგარის სამხ. გაგრძელებაზე, წიწვნარი მაღლობი, ყველაზე მაღალი ქედზე, რომელისაც ქვემოთ აქვს პატარა კლდეკარი (ჯარჯელდ). ჰტიწ „ვიწრობი“ (?) არსენა სიმონის ძე გვარამიანი, 57 წ. 1969.

ჰტიჭ ზაგარ – სამოვარი (მესტია, მაგარდელი), ს. მაგარდელის სამხ., სათიბ ლალჰნეწრს დასავლ. ივანე ბექას ძე მილდიანი, 99 წ. 1969.



თავი II

**გამოკვლევები
სვანურ ტოპონიმთა შესახებ**



რონა ჭკალა

სვანურ ტოპონიმთა სტრუქტურისა და სემანტიკის
საკითხები

სვანური ენის ტოპონიმთა შესწავლის შესახებ

ტოპონიმთა შესწავლის მნიშვნელობას ენათა და დიალექტთა გამოსაკვლევად ადრიდანვე მიექცა დიდი ყურადღება, რამაც საფუძველი დაუდო მათ აღნუსხვა-ჩაწერას რეგიონების მიხედვით. იმთავითვე ცხადი იყო, რომ საკუთარ გეოგრაფიულ სახელთა ანალიზი ერთ-ერთ სანდო საშუალებას წარმოადგენდა ენის სიტყვაწარმოებითი მექანიზმისა და ეტიმოლოგიების დასადგენად.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში, ონომასტიკა საკმაოდ მაღალი დონის, დამოუკიდებელი დისციპლინაა. წარმატებით შესწავლილი და დამუშავებულია თეორიული ონომასტიკის მნიშვნელოვანი პრობლემები, რაც ცალკეული ენის ტოპონიმის მკვლევართ შესაძლებლობას აძლევს ყურადღება გაამახვილონ კონკრეტულ საკითხებზე, პარალელურად გაითვალისწინონ ცნობილი ქართველოლოგების ნაშრომები (ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ალ. ლლონტი, ზ. ჭუმბურიძე, ი. მაისურაძე, ბ. ჯორბენაძე, პ. ცხადაია, გ. ხორნაული, შ. აფრიდონიძე...). სვანური, მოგესენებათ, უმწერლობო ენაა, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ამ ენის ტოპონიმთა კვლევას, რადგანაც საკუთარ გეოგრაფიულ სახელებში „მეტნაკლები სიზუსტითაა ფიქსირებული ის ენობრივი მოვლენები, რომლებიც რომელიმე ენისათვის განვითარების გარკვეულ საფეხურზე იყო დამახასიათებელი“ (ჯორბენაძე 1993: 60). ამან განაპირობა არაერთი ცნობილი მკვლევრის დაინტერესება სვანური ტოპონიმით, რის შედეგადაც მნიშვნელოვანი გამოკვლევები დაიწერა ამ სფეროში.

ზოგადად, ქართული გეოგრაფიული და კარტოგრაფიული მეცნიერების ფუძემდებლად ითვლება ვახუშტი ბაგრატიონი (1756-1796) (საქართველოს ატლასი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა). სვანეთის ტოპონიმის შესწავლის მიზნით ქ. მარგიანმა საგანგებოდ დაამუშავა ვახუშტი ბაგრატიონის როგორც რუკები, ასევე „აღწერა...“ (მარგიანი 2010: 172). მეცნიერი გულდაწყვეტით აღნიშნავს, რომ ვახუშტის ამ მეტად მნიშვნელოვან ნაშრომში სვანური ტოპონიმები მწირი სახით არის წარმოდგენილი. იგი წერს, „ატლასებზე და რუკებზე ფიქსირებული და დატანილია ორი ობიექტი – ეცერი და ლაშხეთი. იგივე ტოპონიმებია დასახელებული გეოგრაფიულ აღწერაშიც“ (მარგიანი, იქვე). ჰიდრონიმთაგან ნახსენები და აღწერილია ცხენისწყალი, კოდორი, ენგური... თვით ტოპონიმ სვანეთ-ს ვახუშტი სვანეთ-ს უკავშირებს, რაც არ არის გაზიარებული ენათმეცნიერთა მიერ.

ქ. მარგიანი ყურადღებას ამახვილებს ვახუშტი ბატონიშვილის თხრობის ერთგვარ სტილზე. ამავე დროს, შენიშნავს, რომ ავტორი ხშირად იყენებს გამოთქმას „როგორც იტყვან“, რაც, მისი აზრით, მოწმობს იმას, რომ ბატონიშვილი თავად არ არის ნამყოფი სვანეთში და თავად ვერ ჩაუტარებია ამ რეგიონში აღწერითი სამუშაოები. მეტიც, ქ. მარგიანი ვარაუდობს, რომ ბატონიშვილს არ ჰქონდა ხელთ სვანეთის წერილობითი ძეგლები და ისტორიული საბუთები. თუმცა ვა-

ხუმტისეული საქართველოს ტოპონიმის ფონდი ერის სიმდიდრედ არის მიჩნეული.

სვანეთი აღინიშნება ტერმინით **შუან**, რომელსაც ს. ჯანაშია სატომო სახელად მიიჩნევს (ჯანაშია 1959: 2). არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით კი, თუ „**შუან** მთელ ტომს გულისხმობს, **შუან-წრ** – მრავლობითი რაღას მაქნისია ან როგორაა შესაძლებელი“ (ჩიქობავა 1942:209). ***სუან** არქეტიპი საერთოქართველური ფუძე-ენისათვის აღადგინა გ. კლიმოვმა (იხ. ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 418).

სვანური გეოგრაფიული სახელების ანალიზის შედეგად მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სვანები გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე ახლა ცხოვრობენ. ასე მაგალითად, მ. ქალდანმა ვრცელი წერილი მიუძღვნა **-იშ(-შ)** სუფიქსიან ტოპონიმებს ლეჩხუმის ტერიტორიაზე. მან არ გაიზიარა ივ. ჯავახიშვილისა და სხვა მეცნიერების (მ. ჩიტაიას, მ. ჩიქოვანის, მ. ალავედის...) მოსაზრება, რომ **-იშ(-შ)** სუფიქსიანი სახელების სიმრავლე ლეჩხუმის ტოპონიმიაში მოასწავებს ამ ტერიტორიაზე მხოლოდ მეგრულ-ლაზური ტომების დასახლებას. მეცნიერმა აღნიშნული კუთხის გეოგრაფიულ სახელთა მორფოლოგიურ-სემანტიკური კვლევის შედეგად ცალსახად დაასკვნა, რომ „**-იშ(-შ)** სუფიქსიანი ლეჩხუმური გეოგრაფიული სახელების შემოქმედია არა ზანური, არამედ სვანური მოსახლეობა“ (ქალდანი 1963: 69). მ. ქალდანის წერილი „ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა **-იშ(-შ)** სუფიქსის საკითხისათვის“ ერთ-ერთი საუკეთესო და ღრმა მეცნიერული გამოკვლევაა ქართველოლოგიაში.

მეტად მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ზ. ჭუმბურიძეს სვანური ტოპონიმის კვლევის საქმეში. შრომაში „სვანური ენის გრამატიკული ანალიზი“ საკმაოდ ვრცელი თავი მიუძღვნა სვანურ ტოპონიმთა შედგენილობას, განიხილა საკუთრივ სვანური ტოპოფორმანტები და მათი წარმოშობა. წარმოადგინა საინტერესო ეტიმოლოგიები სვანური საკუთარი გეოგრაფიული სახელებისა: **გვალდერი, ტუბერი, მაზერი, კაერი, ლადრერი, ლაშთხვერი...** „სვანურ ტოპონიმიაში“ მკვლევარი შეეხო მ. ქალდანის წერილს **-იშ(-შ)** სუფიქსიან ტოპონიმთა შესახებ. ზოგ შემთხვევაში გაიზიარა ავტორისეული თვალსაზრისი, თუმცა, ამავე დროს, სხვა ინტერპრეტაცია მისცა ტოპონიმ **ლაჯანას** წარმოშობას. **ლაჯანა** წარმოადგენს ლეჩხუმის ერთ-ერთ სოფელს. აღნიშნულ სახელწოდებას მ. ქალდანი ანაწევრებს **ლა-ჯან-ა**. ზ. ჭუმბურიძე მიიჩნევს, რომ ამ სახელში უნდა გამოიყოს მეგრულ-სვანური ძირი **ლაჯ-**, რაც მნიშვნელობით უდრის ქართულ „იფან“-ს. **ლაჯანა** „იფნარი“.

ზ. ჭუმბურიძე განიხილავს რამდენიმე სახელს დასავლეთ საქართველოს ტოპონიმებიდან, რომელთა ეტიმოლოგიაც მხოლოდ სვანური ენის მონაცემთა გათვალისწინებით არის შესაძლებელი. აღნიშნავს, რომ სვანური ენის კვალი აშკარად შეინიშნება რაჭა-ლეჩხუმის, ზემო იმერეთისა და მთიანი სამეგრელოს ტერიტორიაზე. მეტიც, „ამგვარი ნაკვალევი შეიმჩნევა ჩრდილო კავკასიის მიწა-წყალზე, მდინარე ყუბანისა და თერგის შენაკადთა სათავეებში“, თუმცა პატივცემული მეცნიერი წინააღმდეგია სვანთა ისტორიული განსახლების სავარაუდო ტერიტორიის მეტისმეტად გაფართოებისა, რადგან თვლის, რომ „ასეთი საკითხების გარკვევასათვის არ კმარა მხოლოდ ცალკეული ტოპონიმების ეტიმოლოგიური კვლევა. ისიც, ბევრათა შემთხვევითი მსგავსების დონეზე“ (ჭუმბურიძე 2007: 34).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პ. ცხადაიას როლი ტოპონიმის, როგორც მეცნიერული დისციპლინის განვითარების საქმეში. მის შრომებში ღრმა მეცნიერული მიდგომით არის წარმოჩენილი როგორც ონომასტიკის ზოგადთეორიული, ასევე ქართველურ ენათა ტოპონიმის კონკრეტული საკითხები. ნაშრომში „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმის კვა“ ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ შეიძლება გაუშიფრავი კოლხური ტოპონიმების ერთი ნაწილი აფხაზურ-ადიღურის,

ხოლო მეორე ნაწილი სვანური სუბსტრატი აღმოჩნდეს. სვანური სუბსტრატის არსებობის საილუსტრაციოდ მეცნიერს მოჰყვავს ლე- პრეფიქსიანი სახელების არსებობა. ლექსიკის დონეზე უდარებს ერთმანეთს: მეგრული ლარა (სოფ. წალენჯიხაში), სვანური ლარა//ლარე „სათიბი“, მეგრული ნაკა (სოფ. ჯვარში, მდინარე მაგანას ჭალა-ვაკე) და სვანური ნაკ „ვაკე, ბარი“. ტოპონიმის დონეზე სვანურ სუბსტრატად მიიჩნევს მდინარის სახელწოდებას ლა-ჩხვ-ა (ჩახ-ჟ „მოვა“, ლა- მყოფადის მიძლეობის მაწარმოებელი). ლა-ჩახ-ვ-ა „სამოვრად განკუთვნილი ადგილი“ (ცხადაია, 1985: 186).

გარდა ზემო და ქვემო სვანეთის ტერიტორიაზე ტოპონიმთა აღნუსხვა-ჩაწერისა, ა. ჭკადუა ნაყოფიერად მუშაობდა სამეცნიერო კვლევის კუთხით. საკმაოდ დიდი მოცულობის წერილში „ტოპონიმკურ შესატყვისობათა ძირითადი პრინციპები ქართველურ ტოპონიმთა მონაცემების მიხედვით“ მკვლევარი განიხილავს პირველად, არამარკირებულ (სვანური კაცხ, შგედ), მარკირებულ (ტუბერ, ლაფსყალდ) და რთული შედგენილობის (ჟიბე შტან) გეოგრაფიულ სახელებს.

ა. ჭკადუას დაკვირვებით საერთოქართველურ ტოპოერთეულებში გათვალისწინებულია როგორც სემანტიკურ-ეტიმოლოგიური მხარე, ისე ეტიმოლოგიური პრინციპები და გადმოცემულია ქართველური ენებისათვის დაშვებული რეგულარული ხმოვანთშესატყვისობები.

მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამა თუ იმ ტოპონიმის ძირეული თუ სადერივაციო მორფემების შესასწავლად საჭიროა როგორც ისტორიულად მონათესავეენოვანი ტერიტორიების ტოპონიმკურ მონაცემთა, ასევე მომიჯნავე ტერიტორიების ტოპონიმთა სტრუქტურული, სემანტიკური და მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებათა გათვალისწინება (საგულისხმოა, რომ ა. ჭკადუა სწორედ ასეთი მეთოდოლოგიური მიდგომით იკვლევს გეოგრაფიულ სახელწოდებებს). სამუშაო ტერმინად მას აღებული აქვს „ტოპონიმკური შესატყვისობა“. ამავე დროს, ცდილობს გადმოსცეს ამ ტერმინის არსი: „...ტოპონიმკურ შესატყვისობათა კრიტერიუმად აღებულია მონათესავე ენების (resp. დიალექტების, კილოკავების, თქმების) გარემოცვაში დამოწმებული ყველა ტოპონიმის ვარიანტისათვის ერთი საერთო ამოსავალი ფორმა (ჭკადუა 1987: 186). ავტორს საილუსტრაციო მასალა დამოწმებული აქვს საერთოქართველური, აფხაზური, ოსური და ქართული დიალექტების ტოპონიმებიდან.

ა. ჭკადუას სტატია „ტოპონიმკურ შესატყვისობათა ძირითადი პრინციპები“ საკმაოდ დიდი მოცულობისაა. მასში დასმული საკითხები მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია ტოპონიმის დარგისათვის. თუმცა იგი თვითონაც აღნიშნავს, რომ ნაშრომი უფრო საკითხის დასმის წესითაა დაწერილი. მიუხედავად ამისა, ავტორს ბევრ რამეზე აქვს პასუხი გაცემული და მეტიც, კერძო მსჯელობების მიხედვით და ქართველურენოვანი ტოპონიმის მასალებზე დაყრდნობით წარმოდგენილი აქვს ტოპონიმკურ შესატყვისობათა ექვსი ამოსავალი დებულება თავისი საილუსტრაციო მასალით, ლინგვისტური ინტერპრეტაციებით, სინქრონიულ-დიაქრონიული კვლევის მეთოდების გამოყენებით. ავტორს საფუძვლიანად აქვს გაანალიზებული ზოგიერთი ტოპოერთეული:

ქართ. დერცელი, მეგრ. დარჩელი, სვან. დარჩჟ.

ქართ. ოდეთი/ოდისი, მეგრ. ოდიში, სვან. ჟედ.

ქართ. ეწერი, მეგრ. აჭარა, სვან. ჰეცერ/დეცერ და ა. შ.

ზემოგანხილული ნაშრომი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოკვლევას წარმოადგენს ქართულ ტოპონიმკურ მეცნიერებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი სულაც არა თვლის ყველა საკვანძო საკითხს გადაჭრილად. იგი სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ „...საბოლოო სახე რომელიმე ახლად დაბადებული საკითხისა თანდათანობით, დროთა ვითარებაში შემოწმება-

დაზუსტების შედეგადაა მოსალოდნელი“ (ჭკადუა, იქვე, 218).

გარდა ზემოგანხილული ზოგად-თეორიული ხასიათის ნაშრომის, ა. ჭკადუას ეკუთვნის წერილი, სადაც გაანალიზებულია სვანეთის ტოპონიმიაში მცენარეთა სახელწოდებების ადგილი: „შიშგილ-ისა და ფომდელ-ის შემცველი ტოპონიმების ისტორია-ეტიმოლოგიისათვის“.

ავტორი განიხილავს რამდენიმე წარმოქმნილ და თხზულ ტოპონიმს, რომელთა ძირ-ფუძეს შიშგილ წარმოადგენს და ამ სახელებში გამოყოფს აფიქსებს:

1. ლა- – ი ლა-შიგილ-ი || ← ლა-შიშგილ-ი (← ლა-შიშგილ-ი ← *ლა-შიშგილ-ი);
2. ნა-: ნა-შიშგილ ← *ნა-შიშგილ
3. ლე- – ა: ლე-შიშგილ-ა და ა. შ.

აღნიშნულ ტოპონიმებში მეცნიერი გამოყოფს შგილ/შიშგილ/შიშგილ ლექსემებს და წერს რომ ზემოხსენებულ გეოგრაფიულ სახელებში ეკოტიპად შიშგილ-ი „ღანძილი“ გვევლინება. ამ ტოპონიმთა სახელებების მიზეზს კი სვანური სახელი შიშგილ წარმოადგენს. ა. ჭკადუა სვანურ ძირს „შიშგილ“ უკავშირებს ქართულ დიალექტურ (მეგრული, იმერული, გურული) ჯიშვილა-ს და მიუთითებს მათ სემანტიკურ იდენტობასა და ფონეტიკურ მსგავსებაზე (შ-ს აფრიკატიზაციით, გ-ს გამკვეთრებითა და ა-ს დართვით შიშგილ → ჯიშვილ-ა). მეცნიერი სვანურ ტოპონიმს განიხილავს მეგრულ ლე-შქილქილ-ე-სთან მიმართებაში და ფონეტიკური პროცესების ანალიზის მოშველიებით დაასკვნის, რომ მეგრულის შქილქილა ფონეტიკურ-სემანტიკურად გარდამავალი საფეხური უნდა იყოს ძველი ქართულის ჩიჩვლ-ისაგან მომდინარე მეგრული *ჩქიჩქილ-ისა და მცენარის საზოგადო სახელის შიშგილ-ისათვის.

ზემოხსენებულ სტატიაში ავტორს გაანალიზებული აქვს ფომდელ („წივანა“) სახელისაგან წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელები:

1. ოდენფუძიანი ფომდელ (დადასტურებულია ობიექტის სახელად 5 სხვადასხვა საბჭოში).
2. ოდენ სუფიქსიანი (-წრ). ფომდლ-წრ (იფარსა და მულახში).
3. პრეფიქს-სუფიქსიანი (ლე- – ე) ლე-ფუშდელ-ე (მულახში).
4. ლა-ი-წრ ლა-ფუშდელ-იწრ (სოფ. ხალდეში).
5. მართულმსაზღვრელ-საზღვრულიანი ტოპონიმები: წუთირმწ ფომდელ (სოფელ იფარში), უღწრ ფომდელ (უღვირის ქედი ფომდელი) და ა. შ.

მეცნიერული კვლევის შედეგად ა. ჭკადუა მიდის იმ მოსაზრებამდე, რომ სვანეთში დადასტურებული ბალახ-მცენარის საზოგადო სახელის ფომდელ-ისათვის ამოსავალი იქნება ფათ-ან ფოთ-ს დამატებული ფონეტიკურად დასაშვები -ალ, -ელ- – -ოლ დეტერმინანტი სუფიქსი. ავტორმა დაუკავშირა ერთმანეთს სვანური ფომდელ და ქართული ფოთოლი (ქართ. თ: სვან. შდ შესატყვისობები), დიალექტებში არსებული ფოთელ-ი (ფოთლი-ის) მნიშვნელობით) და სხვა მეცნიერული ფაქტები აძლევენ ავტორს ასეთი თვალსაზრისის გამოთქმის საშუალებას.

ზოგი სვანური ტოპონიმის სტრუქტურულ სემანტიკურ ანალიზს ეხება ე. გაზდელიანი თავის სტატიაში „ქვემოსვანეთის ზოგი ტოპონიმის წარმომავლობისათვის“, სადაც იგი დიდ ადგილს უთმობს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის ტოპონიმებს: ლშხ. ყორ-ულდ-ამ (ფუძე ყორ „კარი“, -ულდ კნინობითის სუფიქსი, -ამ ნათესაობითი ბრ-ის ნიშანი)

უმგ. ლა-ზრ-წმ ← ლა-ზურია + ამ (← იშ).

ე. გაზდელიანის სტატიაში ჩანს რომ ევ. სვანეთის ტოპონიმებში გვხვდება ნათესაობითი ბრუნვის ყველა ალომორფი (-ამ, -იშ, -ემ): წგრნ-ამ „წითლისა“, დწწ-ამ „დევისა“, დადი-ამ „დადიანისა“, ყარ-იშ „ყარიში“ (ყავრის) და ა. შ. (გაზდელიანი 2011: 18).

ავტორს აღნიშნულ წერილში წარმოადგენილი აქვს ცხენისწყლის ხეობის ტოპონიმების

სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.

სპეციალური წერილი მიუძღვნა სვანურ ტოპონიმთა **ზესხო** და **ჭითხარი / ჭუთხარო** ეტიმოლოგიას ი. ჩანტლაძემ. მეცნიერის ვარაუდით, **ზესხოსა** და **ჭითხაროში** დადასტურებული ხმოვანი არ არის საკუთრივ სვანური ტოპოფორმანტი თუმცა აუსლაუტის -ო გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლად გავრცელებულია მთელ კავკასიაში, მათ შორის საქართველოშიც. სვანურად მეტყველი მოსახლეობის ენაში „არცერთი ამ ტოპონიმთაგანი... ო სუფიქსს არ შეიცავს (ზჷსხჷ – ზსვ., ლნტ., ჩოლ / ზესხჷ – ლშხ., ჭითხარი – ლშხ.)“.

სვანეთის მიკროტოპონიმია სტრუქტურული ასპექტით აქვს განხილული ქ. მარგიანს სტატიაში „სვანური მიკროტოპონიმის ლექსიკური ანალიზი“. ავტორი საანალიზოდ იყენებს თსუ ტოპონიმის ლაბორატორიის მდიდარ საარქივო, სვანურენოვან ტოპონიმურ მასალას და აგრეთვე მის მიერ ჩაწერილ დალის (კოდორის) ხეობის ტოპონიმს. იგი ტრადიციის თანახმად სვანურ ტოპონიმებში სტრუქტურის მიხედვით გამოყოფს შემდეგ ძირითად ჯგუფებს: პირველადი, წარმოქმნილი და რთული (კომპოზიტიური) გეოგრაფიული სახელები. მორფემებად და ტოპოფორმანტებად კი წარმოდგენილი აქვს შემდეგი აფიქსები: -არ/-ალ; -არ/-ალ; -ერ/-ელ; -ერ/-ელ ← -იერ/დერ; -ამ/-ამ, -ემ; -იმ; ლა-/ლე-; ლა-; -ლდ; -ულ; -ილ; -ლდ; -გლდ; -ოლ; ნა-ჷ; ნა-ჷ-არ; -შერ-ალ/-შერ-არ; -შერ/-შერ...

ქ. მარგიანს სტრუქტურის მიხედვით გამოყოფილი ჯგუფები ცალ-ცალკე აქვს დახასიათებული და მოხმობილი აქვს დიდძალი საილუსტრაციო მასალა. ავტორის მიერ გაანალიზებულია ტოპოფორმანთა ადგილი და დანიშნულება გეოგრაფიულ სახელებში. ვრცლად აქვს განხილული რთული და შედგენილი მიკროტოპონიმები, რომლებიც განსაკუთრებულად დიდი რაოდენობით არის სვანურ ტოპონიმიაში.

საგულისხმოა მეცნიერის შენიშვნა, რომელსაც მასალის ანალიზის საფუძველზე აკეთებს: „...სვანურისათვის არ არის დამახასიათებელი ტოპონიმი – წინადადება ტიპის გეოგრაფიული სახელები... ერთეულების სახითაც კი არ აღმოჩნდა „მოდ-ნახე“ ტიპის სტრუქტურის ქართულისათვის არცთუ უჩვეულო გეოგრაფიული სახელები (მარგიანი 2013: 98). ქ. მარგიანის სტატია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევაა სვანური ტოპონიმის შესახებ.

სოფლების **ცხუმარისა** და **ფარის** ტოპონიმის ეძღვნება მ. სალიანის წერილები: „სოფელ ცხუმარის ტოპონიმია“, „სოფელ ფარის ტოპონიმია“. ავტორს აღნიშნულ წერილებში გაანალიზებული აქვს ამ ორი სოფლის ტერიტორიაზე არსებული გეოგრაფიული სახელები ცალ-ცალკე ჯგუფების მიხედვით:

1) უაფიქსო, მარტივი სახელები: **ტობ** „ტბა“, **ფომდელ** „წივანა“, **კაცხ** „თხემი“ **ლჷჷ** „მწიფე“ და სხვ.

2) აფიქსებით ნაწარმოები: **შდუგრ-ელ** „სათაგვე“, **ლა-ტობ-ა** „დასატბორი“, **ლა-ლჷნ-არ-ი** „სახბორე“, **ლა-ლარ** „სალარე“, **ლე-ხრამ-ა** „გადაბუგული“, **ნე-ნგჷლ-ამ** „სანეხვე“ და სხვა მრავალი.

3) სიტყვაშეერთებით ნაწარმოები სახელები (კომპოზიტები):

კირისოტარ ← კირიშ სოტარ	„კირის სვეტები“
წერნი ქურა	„წითელი ყამირი“
პაპშლარა	„მღვდილის სათიბი“
მოლზაგარ	„გალაფული გორა“
სგიშზაგარ	„მჟავეწყლის გორა“

გარდა ჩამოთვლილი ჯგუფებისა მ. სალიანს საგანგებოდ აქვს განხილული სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსების შემცველი ტოპონიმები: დანიშნულების სახელების, წინა ვითარების,

ქონებისა, კნინობით-ალერსობითის და სხვ.

მ. საღლიანს წერილში „ერთი უმველესი საკულტო ტერმინის წარმომავლობისათვის“ მოცემული აქვს ცხუმარში ერთ-ერთი ცნობილი მთის „ღეთლერ“-ის ეტიმოლოგია და მას აკავშირებს საკულტო ტერმინთან **გთინ/ღეთინ...** და აღადგენს საერთოქართველურ რეკონსტრუირებულ ძირს: ***თენ-/თნ**.

ზოგი სვანური ტოპონიმი განხილული აქვს თ. მიბჩუანს წიგნში „დასავლეთ საქართველოს ქართულ? მთიელთა ეთნოგენეზის განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან“. ავტორი შუმერულ **ხუბურ**-ს (ქვესკნელის მდინარე) უკავშირების ენგურის ხეობის სოფელ ხუბერს. **ლახმულდ** ტოპონიმში კი გამოყოფს **ლახმუ**-ს და შუმეარული ღვთაების სახელწოდებიდან **ლახამუ** მომდინარედ მიიჩნევს.

უნდა შევნიშნოთ, რომ „სვანური ტოპონიმია“, რომელიც წინამდებარე წიგნში არის დაბეჭდილი, შესანიშნავ მასალას წარმოადგენს სვანური ენის ტოპონიმთა მეცნიერული ანალიზისათვის. ასე ერთად თავმოყრილი ზემო და ქვემო სვანეთის გეოგრაფიული სახელები, განსაკუთრებით მიკროტოპონიმები, უთუოდ დააინტერესებს როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკვლევრებს.

დიალექტურ თავისებურებათა გამომხატვა სვანურ ტოპონიმიაში

უმწერლობო ქართველურ ენათა (სვანური, მეგრულ-ლაზური) არქაული და მრავალფეროვანი ტოპონიმკური მასალის კვლევა და ამ ენათა დიალექტური მონაცემების შედარება მეტად მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, საკუთრივ ქართველოლოგიისათვის. სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის არის აღნიშნული ტოპონიმკისა და დიალექტოლოგიის მჭიდრო ურთიერთობის შესახებ. ტოპონიმკური კვლევისას ცხადი ხდება, რომ დიალექტისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური, გრამატიკული თუ ლექსიკური თავისებურებანი თავს იჩენს ტოპონიმებში. განსაკუთრებული ვითარება დასტურდება ამ კუთხით სვანური ტოპონიმების შესწავლისას, რადგანაც სვანური მხოლოდ დიალექტების სახით არის წარმოდგენილი (ბალსზემოური, ბალსქვემოური, ლაშხური და ლენტეხური) და ტოპონიმებში დიალექტიზმების კვლევა თავისთავად სვანური ენის ანალიზს უდრის. დიალექტებად დაყოფა ეფუძნება სამ ძირითად ფონეტიკურ ფაქტორს: ხმოვანთა სიგრძეს, უმლაუტს და რედუქციას. გარდა ფონეტიკური მოვლენებისა, დიალექტურ განსხვავებებს ამყარებს ამ მოვლენებიდან გამომდინარე მორფოლოგიური ცვლილებები და სიტყვაწარმოება.

სვანური ენის დიალექტებად დაყოფა, ბგერათშესატყვისობებისა და მორფოლოგიური სტრუქტურის ზოგი საკითხის დადგენა ნ. მარის სახელს უკავშირდება, ხოლო ამ დიალექტთა დამახასიათებელ ფონეტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული მორფოლოგიისა და სიტყვაწარმოების საკითხები საფუძვლიანად გამოიკვლია ა. შანიძემ.

ა. შანიძის, ვ. თოფურისა და სხვა ქართველოლოგთა წვლილი არაერთგზის აქვს გაშუქებული შესანიშნავ მკვლევარსა და სვანური ენის დიდ მოამაგეს ზ. ჭუმბურიძეს.

სვანურ ენას დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა დღესაც. წინამდებარე წიგნში დაბეჭდილი ვრცელი ტოპონიმური მასალის ანალიზი დიალექტურ თავისებურებათა კუთხით, ბევრ ისეთ გრამატიკულ მოვლენას წარმოაჩენს, რაც დაკარგა აპელატივმა, მაგრამ შეინარჩუნა ტოპონიმმა (ან პირიქით).

ტოპონიმის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ტოპონიმია დიდ დახმარებას უწევს მკვლევარს დიალექტური დიფერენციაციის თავდაპირველი სახის აღდგენაში.

ცნობილია, რომ ტოპონიმთა უმრავლესობისათვის საზოგადო ლექსიკაა ამოსავალი და აპელატივთათვის დამახასიათებელი თავისებურებანი ხშირ შემთხვევაში გადასულია ტოპონიმებში. მაგალითად, ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე კნინობით ფორმებში დიალექტების მიხედვით:

გრძელი ხმოვნების მქონე დიალექტებში კნინობითის ერთ-ერთი გავრცელებული სუფიქსია **-რ(ლ)დ**, რომლის ხმოვანი ყოველთვის გრძელია, მიუხედავად იმისა, ფუძე ხმოვანზე ბოლოვდება თუ არა. **კალო + ოდ → კალრდ**. თითქმის ყველა კნინობით ტოპონიმში აპელატივთა სიგრძე შენარჩუნებულია: **კალრდარ** – ყანა სასაშში.

კალტ ბზ., **კატ** ლხმ., **კალ** ბქ. ქს – 1. კალო. 2. ლხმ. ეზო.

კალრდ კნინ. ფორმა **კალტ**, **კალ**. ეწოდება ბზ-ში სხვადასხვა ადგილას სამოვარს, სათიბს, მოედანს. მესტიის სოფ. ჰადიში, იელი და ა. შ.

კალრდ საკულტო ადგილი, ქს-ის სოფ. მამში.

კალრდ-არ, სამოვარი მთა ქს.

კალრდრლ ორმაგი კანინობითი, ქს.

კალრდარ სათიბი, მესტია-წვირმი.

ქვემო სვანეთურის დიალექტში ზემოდასახელებული ფორმა თავისთავად დასტურდება მოკლე ხმოვნით: **კალოდარ** – უბანი სოფ. ახალშენში.

ბქ-ში სუფიქსისეული **ი** ზოგჯერ ნაწილობრივ რედუცირდება, ამიტომ **ი** და **გ** ხმოვნისანი ვარიანტები შეიძლება ერთმანეთის პარალელურად შეგვხვდეს.

კალ-გლდ გზა (ადრე კალო ყოფილა, ამჟამად გზა გადის), მესტია-ცხუმარი (ლეზგარა); სამოვარი – მესტია, ჭუბერი-ქედანი.

კალ-გლდ-არ სამოვარი, სათიბი, ყანა, ვაკობი, მესტია – ლელბაგი (ძველი კალოები), ბეჩო, დოლი და ა. შ.

განსაკუთრებით დაცულია სვანურ ტოპონიმებში მრავლობითი რიცხვის ალომორფთა განაწილება. ზოგადად, აპელატივებში მრავლობითის ძირითადი მაწარმოებელია **-არ** სუფიქსი, რომელიც „სუფთა სახით“ წარმოდგენილია ლაშხურში, დანარჩენ კილოებში ხმოვნითი ნაწილი უმლაუტიანია, ბქ-ში **-არ**, ბზ-ში **-არ**, **-არ**. ფუძისეულ **რ**-ს დისიმილაციის შედეგად **-ალ**, **-ალ**, **-ალ** სახით დასტურდება. ლაშხურში **ა** და **ე** ხმოვანფუძიანებთან **ელ**, ბქ-ში **კი** – **-ოლ**.

-არ ლაშხ. **კარ-არ** „აღმართები“ (**კარ** „აღმართი“) ჩიხარეშიდან ახალშენში ასასვლელი გზა ლაშხეთში.

-არ ლნტ. **თეტენ-არ** „სადგისები“ (**თეტენ** „სადგისი“) წვეტიანი მთების წყება ლენტეხში.

ზს. **კარ-არ** ხილნარი, სათიბ-სასომარი, ყანა... მესტია – ისკარი, ლექსვირი, ზარდლაში, კიჩხულდაში და ა. შ.

ნაშთქ-ოლ „ნამგლები“ სოფლის ნაწილის სახელწოდება (**ნათქ** „ნამგალი“) ბქ. მესტია – ბეჩო.

დიალექტებში, სადაც ხმოვანთა უმლაუტს აქვს ადგილი საზოგადო სახელებში, ტოპონიმებშიც დასტურდება უმლაუტი. ეს ეხება როგორც ძირეულ, ისე აფიქსურ მორფემებს. მაგალითად, ძირეული მორფემები:

ცაგ „ეკალი“ საბალახო, ქს.; **ცაგ-დერ** ყანა მესტია – ქართვეანი.

წილამ სათიბ-სადოვარი ქს-ში, მდინარე ლაშხურას მარცხენა სანაპიროზე; **წილამ** „წერეკო“ სადოვარი ტყე, მესტია – ზარდლაში, მურყმელი.

ფარ „შიშველი ფერდობი“ ყანა, უბანი ქს-ში; სადოვარი – ჟახუნდერი; **ფარ** სოფელი მესტია.

სვანურ ტოპონიმებში დიალექტურ თავისებურებათა გამოხატვის კვლევა დიდი შრომატევადი საქმეა და საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

ზოგი ოლქის მდინარეებისა და კონფიქსიანი მიკროტოპონიმებისათვის სვანურში

მიკროტოპონიმის შესწავლა იმთავითვე საშურ საქმედ მიიჩნეოდა, რადგანაც იგი გაცილებით უფრო ცვალებადია, ვიდრე მაკრო – პროფ. ვ. ნიკონოვი თავის წიგნში „ტოპონიმის შესავალი“ წერს, რომ რაც უფრო დიდია ობიექტი, მით უფრო მდგრადია (устойчивый) მისი სახელწოდება, თუმცა იქვე აღნიშნავს: „...ხანდახან მცირე ობიექტი უფრო დიდხანს ინარჩუნებს თავის სახელწოდებას, ვიდრე დიდი ობიექტი“ (ვ. ნიკონოვი, 1965: 48).

მიკროტოპონიმური მასალა მდიდარი ლექსიკური მარაგია, რომელშიც კარგად ჩანს ხალხის შემოქმედება, მისი საქმიანობა და ამ საქმიანობის ცვლის ხასიათი. ხშირად ისტორიული ამბებისა და ყოფითი სიტუაციების დეტალებიც კი არის შემონახული, განსაკუთრებით ორ- და სამკომპონენტის გეოგრაფიულ სახელებში. მაგ.: ბალსზემოურში გვაქვს ტოპონიმი **ნამესტნიკიშ ზენილდ** „ნამესტნიკის (მეფისნაცვლის) ვაკობი“. ამჟამად ეს ადგილი სადოვარია, მაგრამ ადგილობრივთა გადმოცემით, აქ, მდინარე ნაკრას მარცხენა მხარეს, პატარა ვაკეზე შეხვედრიან სვანები მოსალაპარაკებლად ნიკოლოზ მეფის ნაცვალს.

ნარჰი კოჯაშ ლაშდარ – ხევი – „ნათელი კლდის საყრელი“. ეს გახლავთ კლდეებს შუა მოქცეული ღარი, ბალსზემო სვანეთში, ბეჩოში, საიდანაც გადმოყრიდნენ ხის მორებს და შემდგომ მიჰქონდათ დასამუშავებლად. რელიეფის გამო მისი ჩამოტანა სხვანაირად ვერ ხერხდებოდა (ასეთი ადგილი საკმაოდ მრავლად არის სვანეთში სხვადასხვა სახელწოდებით). სამეგრელოში ადგილს, სადაც იგივე პროცესი „ხარებზე გამობმული დვლერჭით ხდებოდა“, **საჯოლო სუკი** „სათრიელას სერი“ ჰქვია (ცხადაია, 2008: 352). ეს მცირე მაგალითია იმ უთვალავთაგან, თუ როგორ ინახავს ტოპონიმი ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის გარკვეულ დეტალებს.

მიუხედავად იმისა, რომ მიკროტოპონიმთა შესწავლას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, სრულიად სხვადასხვა თვალსაზრისები არსებობს მათი სპეციფიკისა და ტოპონიმოკაში მათი ადგილის შესახებ (კერძოდ, რა მიეკუთვნოს მიკრო-ს და რა არა). ზოგადად, ამ ტერმინში

ალ. ლლონტის განმარტებით იგულისხმება „...მცირე გეოგრაფიული ერთეულის, ბუნებრივი თუ ხელოვნურად შექმნილი ობიექტის, ერთი ან ორი დასახელებული პუნქტის ფარგლებში მოქცეული ადგილის, სახნავ-სათესის, საბოსტნე, სავენახე, მცირე მდინარეთა, წყაროთა, მაღლობთა, ხეობათა, ხევების, ტყეების, უბნების, ქუჩების სახელწოდებანი“ (ლლონტი, 1971: 5).

ტოპონიმთა შეგროვება-შესწავლას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მის შემსწავლელ ცენტრად მიჩნეულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმის ლაბორატორია, რომელიც კოორდინირებას უწევდა და უწევს ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს მთელ საქართველოში. ამ ლაბორატორიის თანამშრომელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ამბაკო ჭკადუამ მოიარა მთელი სვანეთი და შეაგროვა უნიკალური მასალა გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, თავი მოუყარა ამ რეგიონში არსებულ მაკრო – და მიკროტოპონიმებს. მეცნიერის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ გამორჩენია

უმნიშვნელო, მცირე ზომის ობიექტის სახელის შეტანა ტოპონიმთა ნუსხაში იმის მითითებით, თუ რას წარმოადგენს ეს ადგილი (სათიბია, საძოვარია, წყაროა თუ ა. შ.), აღუნიშნავს სვანეთის რომელ ნაწილში, რომელ სოფელში მდებარეობს. ჩაუწერია ხალხური ეტიმოლოგია, დაუფიქსირებია თითოეულ ბარათზე რესპონდენტთა ვინაობა. ტოპონიმთა შეგროვების ყველა წესის დაცვით ჩატარებული, სასკოლო რვეულის ფურცლებზე შესრულებული ეს ნამუშევარი ინახებოდა ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში, სადაც რუსთაველის ეროვნული ფონდის დაფინანსებით შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაო ფუნდამენტურ-გამოყენებით გამოკვლევაზე „სვანური ტოპონიმია“. ეს ნამუშევარი ინახებოდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში. სამწუხაროდ, ა. ჭკადუას მიერ შეკრებილი მასალა, გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ გამოიცა მის სიცოცხლეში. შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით შესაძლებელი გახდა ზემოთ აღნიშნული მასალის გამოსაცემად მომზადება და დაბეჭდვა წიგნში „სვანური ტოპონიმია“, სადაც ის შესულია „სვანურ ტოპონიმთა ლექსიკონის“ სახელწოდებით. ლექსიკონზე მუშაობის პარალელურად მიმდინარეობდა სვანურ ტოპონიმთა შესწავლა-გაანალიზება, რაც წარმოდგენილია აღნიშნული წიგნის II ნაწილში მეცნიერული გამოკვლევების სახით. წინამდებარე სტატიაც ძირითადად მითითებულ (ა. ჭკადუას შეგროვებულ) მასალას ეყრდნობა.

ონომასტიკური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ ქართველური ტოპონიმები რამდენიმე სტრუქტურულ მოდელში ერთიანდებიან:

- ა) პირველადი (მარტივი), არამარკირებული ტოპონიმები;
- ბ) შედგენილი, აფიქსებით ნაწარმოებნი;
- გ) რთული შედგენილობის (კომპოზიტები)
- დ) სინტაგმური;
- ე) სამ- და მეტკომპონენტური გეოგრაფიული სახელები.

უაფიქსო, მარტივ სახელთა უმეტესობას ფუძედ არსებითი სახელი აქვს, არცთუ იშვიათად ზედსართავი ან მიმღეობა. არსებითი

სახელები ტოპონიმებში ძირითადად სახელობითი ბრუნვის ნიშნის გარეშე ფიქსირდება, როგორც ზოგადად სვანური ენისთვის არის დამახასიათებელი. სვანურში არსებითი სახელები ფუძის დაბოლოების მიხედვით ორგვარია: ბოლოთანხმოვნისანი და ბოლოხმოვნისანი. ბოლოთანხმოვნისანი გაცილებით მეტია, მათ ჩვეულებრივ ბოლო ხმოვანი მოკვეცილი აქვთ (შეიძლება ეს ხმოვანი იყოს ფორმანტი ან ფუძის კუთვნილება. ასეთი ფუძეები სვანური უმლაუტის წესის მიხედვით, ისეთ დიალექტებში სადაც უმლაუტი გვაქვს, უმლაუტიანები არიან, რაც ვრცელდება საკუთარ გეოგრაფიულ სახელებშიც. მაგ: ქართ. „ღარ-ი“ – სვ. ღარ; ჯოგ-ი – ჯაგე. თუმცა გამონაკლისები გვაქვს როგორც აპელატივებში, ასევე გეოგრაფიულ სახელებშიც. -ა ხმოვანზე დამთავრებული ფუძეები, ძირითადად ნაზმნარ სახელთა კატეგორის მიეკუთვნებიან. დიალექტური თავისებურებანი კარგად ჩანს ვარიანტულ ტოპონიმთა შედარებისას. ვარიანტებს ქმნის ძირითადად დიალექტებისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესები: უმლაუტი, ხმოვანთა სიგრძე, რედუქციის სახეები, ბგერათკომპლექსები და ა. შ. ტოპონიმთა დიალექტური ვარიანტების კვლევას საგანგებოდ მივუბრუნდებით, როდესაც მთლიანად გავაანალიზებთ მასალას.

მარტივ, უაფიქსო ტოპონიმებში დიდი ადგილი უჭირავს ფლორისა და ფაუნის

აღმნიშვნელ გეოგრაფიულ სახელებს. აღიარებულია, რომ საქართველოს ფლორა და ფაუნა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. სვანეთი თავისი სპეციფიკური რელიეფით და მცენარეთა ნაირგვარობით საინტერესო მასალას იძლევა მიკროტოპონიმის საკვლევად.

ზემოდასახელებული ტიპის ტოპონიმთა წარმოქმნის განმსაზღვრელია ერთგვარ მცენარეთა გავრცელება აღნიშნულ პუნქტებში. ეს ადგილი შეიძლება იყოს ტყე, ყანა, საძოვარი, სათიბ-სახნავი, წყარო, ხევი და ა. შ. მაგალითად ცნცი „კუნელი“, ყანის სახელწოდებაა სოფ.იდლიანში – მესტია.

ცაგ – „ეკალი“ საბალახო სოფ. ჭველიერში, ლაშხეთში.

ცაცხუ „ცაცხვი“ საკულტო ადგილი სოფ. ხარაშში.

ცხუიმ „რცხილა“ სახნავი ადგილი სოფ. ეცერში – მესტია.

წენი „ცუდბალახა“ საძოვარი სოფ. ლახამულაში – მესტია.

წილამ – „ერთგვარი ბალახი“, საძოვარი, ტყე სოფელ მურყმელში – მესტია.

კაკ „კაკალი, ნიგოზი“ ყანის სახელწოდება სოფ. მაგარდელში – მესტია და ა. შ.

ხშირად დასტურდება ზედსართავსახელიანი მარტივი ტოპონიმები, მაგალითად:

წგრან „წითელი“ საძოვარი მთის სახელწოდება მესტიაში, შგედში. მდინარე მაულაშის მარჯვენა კალთაზე, სადაც ნაპირი, ტყე და ხრამი წითელი ფერისაა რკინისშემცველი წყლების სიუხვის გამო. ეს წყლები ფერს უცვლიან ნიადაგს და ამიტომ მიკროტოპონიმი **წგრან** ბევრგან გვხვდება როგორც მარტივი ფუძის სახით, ასევე რთულ ტოპონიმებში, განსაკუთრებით ატრიბუტულმსაზღვრელიანებში.

აღნიშნულ შემთხვევაში მიკროტონიმის წარმოქმნა განსაზღვრა გეოგრაფიული ადგილის ვიზუალურმა მხარემ, რაც არცთუ ისე იშვიათია.

კუდა „მოკლე“ კლდის, მყინვარის სახელწოდება ლეზგარაში – მესტია.

კვლთხი „მაღალი“ მწვერვალი სოფ. დაკარში – მესტია („კვლთხი“ გამორჩევა დანარჩენებისგან სიმალლით).

შიშუალ „შიშველი“ ეს ქართული ლექსემა ხშირად გვხვდება როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში, ალპურ ზონაში, ადგილის სახელწოდებად.

ძალიან ხშირად უაფიქსო ტოპონიმებში ჩანს გეოგრაფიული ადგილისთვის დამახასიათებელი ნიშნები: ლანდშაფტი, მდებარეობა, ნიადაგის სახეობა, სამეურნეო დანიშნულება და. ა. შ.

ლანდშაფტური ტერმინები ხშირად იჩენს თავს როგორც მარტივ, ისე რთულ სახელებში, მაგალითად:

კოჯ „კლდე“ ყანის სახელწოდება სოფელ არცხელში – მესტია. ირგვლივ ქვიანი ადგილებია, რაც ჩანს კიდევ გეოგრაფიულ სახელში. თავისთავად კოჯ ქვიანი კლდეა, მაგრამ ხშირად იხმარება გამოთქმებში, სადაც უშუალოდ კლდეს კი არ ნიშნავს, არამედ ქვის სიმრავლეს ან ქვისთვის დამახასიათებელ სიმარეს, სიმტკიცეს გადმოსცემს.

კუშბ „ბორცვი“ საძოვარი სოფელ იფარში – მესტია, აღმართ-დაღმართი, ბორცვებიანი ადგილი.

რეცნა „დამრეცი ადგილი“, გზა, ყანა დამრეცი რელიეფით სოფ. ლეზურცხილაში – მესტია.

რუებ „ღარი“ ყანა, სათიბი სოფ. ადიში – მესტია.

რიყ „რიყე“ საძოვარი, გზა, რიყე, სახნავ-სათესი სხვადასხვა სოფლებში. მრავალ ადგილას გვხვდება ტოპონიმად.

ღარ „ღარი“ ძალიან ბევრ ადგილას გვხვდება ზემო-ქვემო სვანეთში ადგილის სახელად

როგორც მარტივ, ასევე წარმოქმნილ საკუთარ სახელებში.

მარტივ ტოპონიმებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მათი უმრავლესობა გეოგრაფიული, სამეურნეო ან ლანდშაფტური ტერმინებია, რომელთაც ადამიანთა კოლექტივი ყოველდღიურ საუბარში გამოიყენებს ერთი, გარკვეული ობიექტის აღსანიშნავად. ეს სახელები (დელე, ხევი, მინდორი...) აპელატივებია, მაგრამ ხშირად მკვიდრდება საკუთარ სახელად. ამ პროცესს პროფ. პ. ცხადაია სემანტიკურ კონვერსიას უწოდებს. საგულისხმოა, რომ ამ მხრივ ძალიან ბევრი საერთოა მთიანი სამეგრელოსა და სვანეთის ტოპონიმის შორის. კერძოდ, სემანტიკური კონვერსიის შედეგად ორივე რეგიონში სხვადასხვა ადგილას საკუთარ სახელად გვაქვს აღნიშნული ტიპის ტერმინები.

ჭუბ „ჭაობი“ ყანის სახელწოდება, ასევე ამ სახელით სხვადასხვა ადგილას დასტურდება სამოვარი, ჭაობნარი, სათიბი; ადგილი შესაძლებელია აღნიშნულ ადგილას ჭაობი აღარც იყოს, მაგრამ სახელწოდება შემორჩენილია.

ჭყირუ „თეთრი ქვა“ სათიბი, სამოვარი, სახნავ-სათესი სოფ. ლანტელში – მესტია, ეცერში – მესტია და სხვა. სოფ. ეცერში ჭყერუ-ს სახელწოდებით ცნობილ სახნავ-სათესს, რესპოდენტი ასე ახასიათებს ხომა თეთნე ბაჩწარ ხარ, ჭყერუარ ხარ „დიდი თეთრი ქვები აქვს, ჭყერუები აქვს“.

ჭუედ „კედელი“ სამოვარი სოფ. ლეწფერში – მესტია. დამრეცი კედელია აღნიშნული ტოპონიმის ძალიან ხშირად გვხვდება (დამრეცი კედლის მნიშვნელობით) სვანეთის რელიეფიდან გამომდინარე.

კუათხ „აღმართი“ სათიბ-სახნავის სახელი ლანტელში -მესტია. „ფერდზე უფრო შვეული“

კაჩ „აღმართი“ ყანის სახელწოდება ლახამულაში – მესტია. აგრეთვე სხვადასხვა დასახლებაში, ძირითადად ყანას ჰქვია, რომელიც აღმართზე მდებარეობს.

კაჩჩუ „დაღმართი დაღმართზე“ სათიბი ლუჰაში-მესტია. ძალიან დაფერდებული ადგილია.

კა „კლდე“ უშგულში-მესტია, ფიქალი კლდეა.

სვანურში გეოგრაფიულ სახელებად გვხვდება სხვადასხვა სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები. ეს სუფიქსებია: ნათესაობითრი ბრუნვის -**იმ**, - **ემ** თავისი ფონეტიკური ალომორფებით (-**იმ**, -**ემ**, -**ამ**...), მრავლობითისა და ქონების აღმნიშვნელი მრავალფეროვანი ალომორფები: -**არ**, -**არ**, -**ერ**, -**ერ**..., -**ალ**, -**ალ**, -**ალ**, **ელ**, -**ოლ**, -**ირ**, -**ერ**..., კნინობითის მაწარმოებლები: -**ილდ**, -**ოლდ**, -**ულდ**, -**რლდ**, -**ილ**, -**ელ** და ა. შ.

ტოპონიმთა დიალექტური ვარიანტები თავს იჩენს ნათესაობითრი ბრუნვის ფორმანტიან სახელებთან. ზოგადად, ტოპონიმურ სახელებად გამოყენებული ნაგენეტივარი, ოდენსუფიქსიანები სპეციალურ ლიტერატურაში საზღვრულდაკარგულ მსაზღვრელებად არის მიჩნეული. მაგალითად:

წიფ-იმ „წიფლის“ სათიბი სოფ. მამში- ლენტესი.

წიფნ-იმ „წიფლის“ სათიბი მდინარე ლასილის ნაპირას, უშგულში.

წყაშ „წყლის „ ტყე სოფ. ჩვაბიანში -მესტია

წყარ-აშ „წყაროსი“ ტყე, სამოვრები უშგულში-მესტია.

წვრანი-აშ „წითლისა“ კლდე, სამოვარი ქვემო სვანეთში.

წან- აშ „სარეველასი“ სოფელი ხელედში – ლენტეხი

წვრნ-იმ „წითლისა“ ყანა სოფ. ლახამულაში -მესტია

კაშ „ფიქლისა“ სათიბი სოფ. ბოგრეში – მესტია

კუადლ-შ „წნელისა“ სათიბ-სამოვარი სოფ. ივარში – მესტია

კუადლ „თხელის წნელი“. შერეული ტყეა, სადაც ბლომად თხილნარია, თხელის წნელისაგან გოდრებს წნავენ, რამაც განაპირობა ამ ადგილის სახელწოდება.

კირტ-შ „კირისა“, ყანა, გზა ივარში – მესტია. დაფერდებული, კირიანი ადგილებია.

ჭყერტ-შ „თეთრი ქვისა“ სათიბი სოფ. ლელბაგში – მესტია.

ჭიბ-იშ „ჭაობისა“ წყაროს სახელწოდება სოფ. მაგარდელში – მესტია.

ღორკ-იშ „კავისა“ სათიბი სოფ. ცალერში – მესტია, ღორეკ „კავი“

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დასტურდება მრავლობითი და ქონების აღმნიშვნელი ფორმანტიანი სახელები:

წიფ-წრ „წიფლები“ ტყის სახელწოდება ლეხთაგში, ცალერში, ლაშთხვერში – მესტია; სამოვარი ბოგრეშში, ეცერში, ფუშყვერში და ა. შ.

წერნი-წრ „წითლები“ სათიბ-სამოვარი ეცერში – მესტია.

წვდ-წრ „ჭანჭრობები“ სამოვარი უშგულში – მესტია, წვდ „ჭანჭრობი“

წყარ-წრ „წყლებისა“ სათიბები სოფ. ჰებუდში – მესტია. წყაროებთან და ჭაობიან ადგილებში სხვაგანაც გვხვდება ეს ტოპონიმი.

კნინობითი სახელები თავისთავად წარმოადგენენ წარმოქმნილ სახელთა ჯგუფს, რომლებიც საინტერესოა როგორც შინაარსის, ისე წარმოების მხრივ. მარტივი კნინობითი სახელები სვანურში ოდენსუფიქსებით იწარმოება და მათი რიცხვი საკამოდ დიდია. ეს ვითარება თავს იჩენს ტოპონიმიშიც. მაგალითად:

წიფრ-ოლ „წიფლის კნინ. ფორმა“ სათიბი სოფ. მაგარდელში – მესტია. კნინობითის ფორმანტი გვხვდება მრავლობითის ნიშნის წინაც. მაგ. წიფრ-ილ-წრ სათიბი წვირში – მესტია.

კიბ-ილდ „პატარა კიბე“ ადგილის სახელწოდება სოფ. ღვებალდში – მესტია. კიბ-ილდ-წრ „პატარა კიბეები“ მთისკენ მიმავალი გზა ხაიშში-მესტია, რომელსაც კიბის ფორმა აქვს.

კოჯ-ოლ „პატარა კლდე“ წყარო, მურშკელში – მესტია.

კოჯ-ოლ-წრ „პატარა კლდეები“, სამოვარი, გორაკი, კლდე სხვადასხვა სოფლებში.

კოჯ-ულდ-წრ „პატარა კლდეები“ გზის სახელწოდება სოფ. მაცხვარიში – მესტია, გორაკი სოფ. ჯორკვარში – მესტია.

კრგტ-ილ „პატარა მრგვალი“ სამოვარი სოფ. ფარში – მესტია

კვრტ-ილ-წრ „პატარა მრგვალები“ სათიბი სოფ. უშხვანარში – მესტია. რელიეფის მიხედვით არის სახელი დარქმეული.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, პრიმარულ ტოპონიმებად გვხვდება ორონომული, ჰიდრონიმული და ლანდშაფტური ტერმინები. აგრეთვე, ნიადაგის სახეობათა და ხე-მცენარეთა აღმნიშვნელი სახელები. დიდი რაოდენობით დასტურდება ერთგვარ მცენარეთა გავრცელების აღმნიშვნელი საკუთარი სახელები.

ქართველურ მიკროტოპონიმიში ყველაზე მეტად გავრცელებულია აფიქსური წარმოების სახელები, რომლებიც, თავის მხრივ, ცალკე ქვეჯგუფს ქმნიან: ოდენპრეფიქსიანი, ოდენსუფიქსიანი, პრეფიქს-სუფიქსიანი (კონფიქსიანი). აფიქსებსა და ძირს შორის შეიძლება თავი იჩინოს სხვადასხვა ფუნქციის ან სულაც სინქრონიულ დონეზე უფუნქციო ელემენტებმა.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართულში გეოგრაფიულ სახელთა ოდენ-პრეფიქსული წარმოება შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული, ვიდრე ოდენსუფიქსური და კონფიქსური. ეს მოვლენა მიჩნეულია საერთოდ სიტყვაწარმოების დამახასიათებლად (ზუ-

რაბიშვილი, 1961: 140).

სვანურში ოდენპრეფიქსული წარმოება საკმაოდ ხშირად წარმოდგენილია თავსართებით: **ლა-**, **ლე-**, **ნა-** ... ეს თავსართები გეოგრაფიულ სახელებში დასტურდება როგორც ცალკე, ასევე თანმხლები სუფიქსებით.

სვანურ ენაში **ნა-/ნა-** ძირითადად აწარმოებს ვნებითი გვარის ნამყოს მიმღობას აწმყოს ფუძეზე დაყრდნობით (თოფურია, 1967: 222), ხოლო სახელებთან წინავითარების ლექსიკურ შინაარსს, ანუ როგორც ა. შანიძე უწოდებს, ყოფილობას გადმოსცემს (შანიძე 1980: 168).

ეს ორი გრამატიკული ოდენობა როგორც წარმოების მხრივ, ასევე ფუნქციურადაც ახლოს დგანან ერთმანეთთან (ვაშაკიძე, 1992: 89).

სვანურის წინავითარების სახელებში ხშირად მხოლოდ პრეფიქსული წარმოება გვაქვს იქ, სადაც ქართულის შესაბამის ეკვივალენტებში კონფიქსური დასტურდება:

ნა-სუფელ „ნა-სოფლ-არ-ი“, **ნა-ქორ** „ნა-სახლ-არ-ი“, **ნა-საყდარ** „ნა-საყდრ-ალ-ი“ და ა. შ. აღნიშნული ვრცელდება გეოგრაფიული სახელების წარმოებისას. მაგ.:

ნა-სკარ – სამოვარი „ნა-დღეობ-არ-ი“ მესტია, ლატალი; – ტყე – მესტია, ლენჯერი (**სკარ** – გვარის ან თემის საერთო დღეობა).

ნა-ფატუ – სამოვარი / სათიბი / ყანა, „ნა-ფეტვ-არ-ი“ ლენტეხი, მაზაში.

ნა-ქართ – სამოვარი, „ნა-თალგამ-არ-ი“, მესტია, ლენჯერი.

ნა-ქლაქუ – სათიბი, „ნა-ქალაქ-არ-ი“, მესტია, თავრარი.

ნა-ქერბაქ – სამოვარი, „ნა-ქარაბაქ-ევ-ი“, ლენტეხი, ჩოლური.

ნა-ჩუალ – სამოვარი, „ნა-მეწყრ-ალ-ი“ ლენტეხი, ხელედი.

საუმლაუტო პოზიციამში, სვანურის უმლაუტიან დიალექტებში **ნა-** პრეფიქსის ხმოვნითი ნაწილი უმლაუტიანია:

ნა-სეტ – კიდე „ნა-სვეტ-არ-ი“ მესტია ლახამულა.

ნა-ქელ – სახნავი, „ნა-ფარდულ-არ-ი“ (**ქელ** „ფარდული“) მესტია, დაკარი.

ნა-ლედარ – ყანა „ნა-ცერცვ-ალ-ი“ (**ლედარ** „ცერცვი“) ლენტეხი, მაზაში.

ზემომოყვანილი სახელურფუძიანი ტოპონიმები სხვადასხვა სახის ყოფილობას გამოხატავენ, აღნიშნავენ თუ რა იყო უწინ ამ ადგილას (სახლი, ფარდული, ცერცვის ყანა...), გეოგრაფიულ სახელთა აღნუსხვის მომენტისათვის კი სრულიად სხვა დანიშნულებით დასტურდება: სათიბი, სამოვარი, სახნავი და სხვ.

განსაკუთრებით ხშირია ისეთი მიკროტოპონიმები, რომელთა ძირი მარცვლეული კულტურის სახელს წარმოადგენს. ამით გვექმნება წარმოდგენა, თუ რა სახის მარცვლეული ითესებოდა უწინ ამ რეგიონში. ეს მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, თუნდაც იმიტომ, რომ, თანამედროვე სვანეთში იშვიათად მოჰყავთ ეს კულტურები. მაგ.: **ზენტხ** „შვრია“, **ქირს** „ოსპი“, **ლედარ** „ბარდა, ცერცვი“, **მანაშ** „ჭვავი“, **კუცენ** „ხორბალი“ და ა. შ.

წინამდებარე სტატიაში ტოპონიმთა სემანტიკურ მხარეს შევხებით იმდენად, რამდენადაც ეს დაგვჭირდება სტრუქტურული ანალიზისათვის, კერძოდ, რა მაწარმოებლები დაერთვის ამ ფუძეებს და როგორ იწარმოება ესა თუ ის გეოგრაფიული ტერმინები. მაგ.:

ქირს ზს., **ქირც** ქს. „ოსპი“

უწინ საკმაოდ ყოფილა გავრცელებული როგორც ზემო, ისე ქვემო სვანეთში. გამოთქმაც კი არსებობს ლაშხურში „**ქირცად**“, რაც ოსპისმოყვარულს „ოსპიჭამიას“ ნიშნავს, გადატანით კი – მეტისმეტად ღარიბს. ამ ფუძეზე ფორმანტთა დართვით დასტურდება შემდეგი მიკროტოპონიმები:

ნა-ქირც-უ – ყანა, ლენტეხი, ლესემა.

ნა-ქირს-უ-პრ – სამოვარი (ადგილობრივებს კარგად ახსოვთ აქ ოსპს რომ თესავდნენ, დღეს სამოვარია) მესტია, სოლი.

ნა-ქირც-უ-პლ – ტყე, ლენტეხი, ჭველიერი; – სამოვარი, ლენტეხი, ტვიბი; – სახნავ-სათიბი – ლენტეხი, მამი.

ნა-ქირც-ულ-ა – ყანა, ლენტეხი, ფაყი.

მანაშ „ჭვავი“

ნა-მნაშ-უ – სამოვარი – მესტია, ჭუბერი.

ნა-მნაშ-უნ – მუხნარი ტყით – მესტია, დავბერი.

ნა-მნაშ-ულ-პრ – სათიბი – მესტია

ნა-მანაშ-უ-პრ – ყანა, ლენტეხი

განსაკუთრებით ხშირად დასტურდება ადგილის სახელწოდებად **ნა-გარდუიშ** და **ნა-ქართობლარ** „ნა-კარტოფილ-არ-ი“. ის ამჟამად სამოვარს ან სათიბს ჰქვია. სასოფლო-სამეურნეო მიწის სიმცირის გამო ხშირად ტყეშიც კი გაკაფავდნენ სწორ ადგილს, გაწმენდნენ ბუჩქებისა და ქვებისგან, დახნავდნენ და კარტოფილს (ყველაზე ხშირად) თესავდნენ. ასეთ განატეხ ყამირ ადგილებში განსაკუთრებით კარგ მოსავალს მოიწევდნენ. დროთა განმავლობაში ნიადაგი იფიტებოდა და შემდგომ სხვაგან ამუშავებდნენ მიწას. სახელწოდებები კი რჩებოდა.

სახელურფუძიან ტოპონიმებში ხშირად ჩანს ბუნებრივი კატაკლიზმები. განსაკუთრებით ბევრგან გვხვდება **ნაზვავარი**, **ნამეწყრალი** ტერიტორიები, სადაც ამჟამად სამოვარი, სათიბი ან უბრალოდ ღელე და ღარია. სახელწოდებაში სახელურ ნაწილად დასტურდება: **ჟაჰ** ზს. **ჟად** ლშხ., **ჟა** ლნტ.; „ზვავი“; **ჩუა** ზს., ლნტ. **ჩუალ** ლშხ. „მეწყერი“.

ნა-ჟაჰ-უ – ღარი „ნა-ზვავ-არ-ი“ მესტია, ლახამულა.

ნა-ჟაუ – სამოვარი ლენტეხი, ჭველიერი.

ნა-ჟად-ინ – სამოვარი, ლენტეხი

ნა-ჟაჰ-ურ-ა – ღელე, მესტია

ნა-ჩუალ – სამოვარი, ლენტეხი, ხელედი.

ნა-ჩუალ-უ-არ – ყანები, ლენტეხი, ჭველიერი

ნა-ჩულ-პრ – სამოვარი, მესტია, კაცხი.

ნა-ჩლუტ-პრ – ყანა, მესტია, ჩვაბიანი.

ნა-ჩოლტ-პრ – უბანი – ლენტეხი, კახურა.

ნა-ჩელ – ღელე, მესტია, ვედი.

მასალიდან ჩანს, რომ სახელურფუძიანი ტოპონიმებისათვის ბუნებრივია როგორც ოდენ-პრეფიქსული, ისე კონფიქსური წარმოება. იგივე ვითარება ვლინდება ზმნურფუძიანი ტოპონიმების წარმოებისას.

პ. ცხადაია წიგნში „მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია“ წერს, რომ ზმნურფუძიანი ტოპონიმია აღნიშნავს მოქმედების ადგილს „...მხოლოდ ობიექტური (საობიექტო) მიმღეობა იჩენს განსაკუთრებულ მიდრეკილებას დაახასიათოს ესა თუ ის ობიექტი იმის მიხედვით, რა მოვლენასაც იქ ჰქონდა ადგილი და იქცეს გეოგრაფიულ სახელწოდებად (ცხადაია, 1985: 32). როგორც მოსალოდნელი იყო, იგივე ხდება სვანური მიკროტოპონიმის ზმნურფუძიან სახელებთან. მაგ.:

ნა-კუიშ – ყანა / სამოვარი „განატეხი“ (ნაკვიშს ეძახიან, რადგანაც აქ უწინ ყამირი იყო. **ლი-**

კვმ-ე „გატეხვა), მესტია: ხაიში, ტობარი, სკორმეთი და კიდევ ბევრ სხვა ადგილას.

ნა-ტყუიფ – ყანა / სათიბი / სამოვარი „განატეხი, განაგლეჯი“ (ლი-ტყუიფ-ე „ყამირის გატეხვა“) მესტია: ივარი, უღვალი, ხერხვაში, მურშკელი, ჩვიბიანი, მულახი, ბოგრეში და ა. შ.

ნა-ტყიც-უ – ხრამი-, – ფლატე– „მონაწყვეტი, მონაგლეჯი“ (დაქანებული გამიშვლებული ფერდობები, სადაც მიწის მონაგლეჯი ეტყობა, მაგრამ ახლა ზოგან გზაც კი არის გაყვანილი ამ ადგილებში).

ნა-შიხ-უ – უბანი სოფლის / სათიბ-სამოვარი / კლდე / ფლატე / საბალახო–, ... „და-ნამწვარ-ი“ (ლი-შიხ/ლი-შხ-ი {და}წვა). ეს ტოპონიმი უამრავ ადგილას დასტურდება, განსაკუთრებით ზემოსვანეთში: იდლიანში, დაკარში, წირმინდში, დიზში, სკორმეთში და ა. შ. დღეს ამ ადგილებს ხშირად დანაწვავი არც ეტყობათ, მაგრამ ადგილობრივებს ახსოვთ ხანძარი ამ ტერიტორიებზე. ზოგან საკირეები იყო და კირს {გამო}წვავდნენ, ან რაიმე საჭიროების გამო წაუკიდებენ ცეცხლს ტყეს, შემდეგ გატეხდნენ ყამირს და სხვა დანიშნულებით იყენებდნენ.

ნა-ძგუიბ – ტყე „ჩამონაწყვეტი“ (ლი-ძგუიბ – „ჩამოწყვეტა“) მესტია, წვირმი.

ნა-ცად-უ – ყანა – „განაცვალი“ (ლი-ცად-ი „გაცვლა“) მესტია, კალა.

ნა-ყიდ – სათიბი / სამოვარი (ლი-ყიდ-ი „ყიდვა“) „ნაყიდი“.

როგორც სახელფუძიანებთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, ზმნურფუძიან ტოპონიმებშიც **ნა-**პრეფიქსთან ერთობლიობაში ნაირგვარი სუფიქსები დასტურდება. მაგ.:

ნა-შიხ-უ გვხვდება სხვადასხვა დანიშნულების ადგილის სახელად: სოფლის უბანი, სათიბი, სამოვარი, ყანა, კლდე, ფლატე, და სხვ.

ნა-შხ-უ-წრ – სამოვარი / ტყე „დანა-მწვარ-ებ-ი“ (-წრ მრ.-ის ფორმატი) მესტია, სოფ. მურყმელი.

ნა-შხ-ულ – ვაკობი (-ულ კნინობითის ფორმანტით) მესტია, ხაიში

ნა-შხ-ულ-წრ – სამოვარი (კნინობითი -ულ, მრავლობითი -წრ) მესტია ხაიში).

თვალშისაცემია კნინობითის ფორმანტთა სიმრავლე სვანურის საკუთარ გეოგრაფიულ სახელებში. ქ. მარგიანი სტატიაში „სვანური ტოპონიმის სტრუქტურული ანალიზი“ აღნიშნავს, რომ „...სვანური როგორც საზოგადო სახელები, ასევე ტოპონიმები ხასიათდება კნინობითის მაწარმოებლებით მარკირებული ლექსემების განსაკუთრებული სიმრავლით (მარგიანი, 2013: 89). მართლაც, კნინობითის ფორმანტები დასტურდება როგორც მარტივ, ასევე ნაწარმოებ ტოპონიმებში და, რა თქმა უნდა, **ნა-/ნა-** პრეფიქსიანებშიც. მაგ.:

ნა-საყდარ-ილ – სათიბი „ნასაყდარ-ალ-ი“ მესტია, ხაიში.

ნა-შხ-ულ – ტყე „და-ნა-მწვარ-ი“ მესტია, ლენხერა.

ნა-ჯუდ-ილ-წრ – სამოვრები „მოგრძობები“ მესტია, თოთანი.

ნა-ბგ-ულ – ყანა „ნა-ხიდ-არ-ი“ მესტია, მურყმელი.

ნა-ტყიც-ულ – ხრამი „მონარღვევი“ მესტია, ვედი.

ნა-ფატ-ულ – სამოვარი „ნა-ფეტვ-არ-ი“ ლენტეხი, კახურა.

ნა-ქორ-რლ-ირ – სამოვარი „ნა-სახლ-არ-ი“ ლენტეხი, ჟახუნდერი.

ნა-შხ-ულ – ტყე „დანა-მწვარ-ი“ მესტია, ციცხვარი.

ნა-შხ-ულ-წრ – ყანა „და-ნა-მწვარ-ებ-ი“ მესტია, იდლიანი.

კნინობითი ფორმანტებიდან **ნა-/ნა-** პრეფიქსიან ტოპონიმებში დასტურდება: -ილდ, -ოლდ, -ულდ; -ილ, -ოლ-, ულ, -იდ, -გდ და ა.შ.

ქ. მარგიანი ზემოთ აღნიშნულ წერილში ხაზს უსვამს, რომ „...სვანურ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში... ხშირად გვხვდება რამდენიმე ფორმანტით მარკირებული გეოგრაფიული სახელები“ (მარგიანი, იქვე: 90).

ნა-/ნა- პრეფიქსიანებთანაც ერთმანეთის პარალელურად დასტურდება:

- ნა-ლა-ჭუამ – სათიბი „ნა-ეკლეს-არ-ი“ ლენტეხი, გვიმრალი.
- ნა-ლა-ჭუამ-გლ – სამოვარი – ლენტეხი, ლექსირი.

- ნა-კუთი – ყანა „გა-ნა-ტეხ-ი“ მესტია, ხაიში.
- ნა-კუთი-წრ – სამოვარი – მესტია, იდლიანი.
- ნა-კუთი-ილ-წრ – სათიბი – მესტია, სკორმეთი.

- ნა-მ-ბგუთბ – ფლატე „ჩამონაშალი“, მესტია, ნესგუნი.
- ნა-მ-ბგურ-რა – ტყე – „მესტია, ლეშუკვი.

- ნა-ტყუთიგ – ყანა/სათიბი/სამოვარი – მესტია.
- ნა-ტყუთიგ-წრ – ყანა, მესტია.
- ნა-ტყუთიგ-იერ – სათიბი.
- ნა-ტყუთიგ-ულ-არ – სახნავი.

ნა- პრეფიქსი მიჩნეულია ერთ-ერთ უძველეს, საერთო-ქართველურ აფიქსად. ზმნურფუძესთან ის აწარმოებს მიმღეობას, სახელურთან კი – წინავითარების სახელებს.

სვანურ ტოპონიმიაში ის გვხვდება, ერთი მხრივ, ოდენ პრეფიქსად, მეორე მხრივ კი სუფიქსთა თანხლებით. კერძოდ:

- ნა – -უ
- ნა – -ი (იშვიათად)
- ნა – -არ/-წრ/-ალ...
- ნა – -ურ-ა
- ნა – -ურ-არ

ზემოთ დადასტურებულ სუფიქსთა (-უ, -ი, -არ/-წრ/-ალ..., -ურ, -იერ...) დანიშნულება-ფუნქციის შესახებ მსჯელობა მართებული იქნება მხოლოდ მას შემდეგ, რაც შეძლებისდაგვარად სრულად იქნება გაანალიზებული მიკროტოპონიმთა სხვადასხვა სახეები (არამარკირებული, ოდენსუფიქსიანი და სხვ.), რადგანაც ეს ფორმანტები ფიგურირებენ გეოგრაფიულ სახელთა სტრუქტურებში.

უნდა შევნიშნოთ, რომ ხშირად **ნა-** პრეფიქსის მომდევნოდ, თუ ძირეული მორფემა იწყება ხშული თანხმოვნით, ვითარდება სონორი (რ, მ, ნ). ს. ჟღენტი, წერს რომ ხშულთა წინ სონორთა გაჩენა დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის და ასეთ შემთხვევაში საურთიერთო პალატალიზაციას აქვს ადგილი (ჟღენტი, 1949: 187).

აღნიშნული ფონეტიკური მოვლენა უძველეს საფუძვლად ზოგი ტოპონიმის ვარიანტულობას სვანურში. მაგ:

- ნა-ქორ/ნა-წ-ქორ/ნა-ლ-ქორ/ნა-უ-ქორ „ნა-სახლ-არ-ი“.
- ნა-ჩუალ/ნა-წჩუალ „ნა-მეწყრ-ალ-ი“.

ნა-ქაჩ/ნა-მ-ქაჩ-ჟ „განა-კაფი“ და ა. შ.

საინტერესო ფაქტია, აგრეთვე, რომ **ნა**-პრეფიქსიანი სახელები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ორ- და მეტკომპონენტის მიკროტოპონიმებში ხან მსაზღვრელის, ხან კი საზღვრულის როლში. მაგ.:

ნა-ჟჳ-ჟ-ა ლარე – სამოვარი „ნაზვავარი მინდორი“ მესტია, ნაკი.

ნუაშერ ნაშიხჟ – სამოვარი/ტყე „ნუანთ დანაწვავი“ მესტია, ტობარი.

სვანურ ტოპონიმიაში მრავლად მოიპოვება ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომელთა ფუძეში გამოიყოფა ხე-მცენარეთა, ბალახეულის, პურეული და ბოსტნეული კულტურების სახელწოდებანი. ადვილი შესაძლებელია, ტერიტორიაზე, სადაც ამგვარი სტრუქტურის მიკროტოპონიმი დასტურდება, შეცვლილი იყოს მცენარეული საფარი ან მეტიც, იქ სამოვარი, სათიბი ან სახნავი ფართობი იყოს.

გეოგრაფიულ სახელთა აღწერა-შესწავლა, სხვა მრავალ ასპექტთან ერთად, ამ კუთხითაც მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით სვანეთში, სადაც ტოპონიმებში დადასტურებული ზოგიერთი მცენარე (განსაკუთრებით მარცვლეული) შეიძლება ადგილის საკუთარ სახელწოდებებში იყოს შემორჩენილი.

ბოტანიკური ტერმინების შემცველი მიკროტოპონიმები სვანურში ძირითადად იწარმოება **ლე**- ოდენპრეფიქსითა და **ლე** – **-ე**-ი კონფიქსით (**ლე**- პრეფიქსი თანხმლები სუფიქსებით). აღნიშნული ფორმანტები „სვანურ ლექსიკონში“ (ვ. თოფურია, მ. ქალდანი) შემდეგნაირად არის განმარტებული:

ლე¹- დანიშნულების პრეფიქსი.

ლე²- ერთგვარ მცენარეთა გავრცელების ადგილის აღმნიშვნელი პრეფიქსი.

ლე – **-{ე}/-ი** ვნებითი გვარის მყოფადის მიმღობის კოფნიქსი.

ქართველურ ენათა გეოგრაფიულ სახელებში დადასტურებულ **ლე-ე** აფიქსის შესახებ საინტერესო შეხედულებები აქვთ გამოთქმული ცნობილ მეცნიერებს (ა. ცაგარელს, მ. ჯანაშვილს, ი. ჯავახიშვილს, ი. ყიფშიძეს, ს. ჯანაშიას, არნ. ჩიქობავას, მიხ. ჩიქოვანს,...). მათი თვალსაზრისების გათვალისწინებით, ალ. ლლონტი დაასკვნის, რომ „**ლე-ე**, სვანური წარმოშობის აფიქსი, ხშირად გამოიყენება არა მარტო სვანურ, არამედ სვანურ-მეგრულ-ქართულ ტოპონიმთა საწარმოებლად“ (ლლონტი 1971: 212).

საფუძვლიანად შეისწავლა **ლე**-, **ლი**-, **ლა**- ფორმანტთა წარმომავლობა და ფუნქცია ვ. თოფურიამ. როგორც ის აღნიშნავს, „დღევანდელს სვანურში მეტად ცოცხალია და ხშირ სახმარებლად გამოიყენება **ლი**-, **ლე**-, **ლა**- თავსართები“ (თოფურია 1979: 63-64). **ლე**- გვხვდება როგორც ჩვეულებრივ, ისე ნაზმნარ სახელებთან. უკანასკნელ შემთხვევაში იგი მყოფადის მიმღობას აწარმოებს“ (იქვე, 64). მეცნიერი ხაზს უსვამს, რომ **ლე**-, როგორც სიტყვათმაწარმოებელი პრეფიქსი, ადგილის საკუთარ სახელებში გვევლინება, მისი გავრცელება სცილდება სვანეთის ტერიტორიას და იგი ქართულსა და მეგრულში არის მიღებული როგორც გეოგრაფიული სახელის მაწარმოებელი (იქვე).

თანამედროვე მეცნიერთაგან, განსაკუთრებით საფუძვლიანად შეისწავლა სამეგრელოს ტოპონიმისა და ხშირ შემთხვევაში შეუდარა სვანურის მასალას პ. ცხადაიამ, რომელმაც არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა ამ თემაზე. მან საგანგებო წერილი მიუძღვნა ჩვენთვის საინტერესო აფიქსებს, სადაც აღნიშნა, რომ მეგრულში „**ლე**-პრეფიქსი მხოლოდ ტოპონიმთა საწარმოებელი ფორმანტი, ანუ ტოპოფორმანტია“ და გაბატონებულია ძირითადად სვანეთის სიახ-

ლოვეს მდებარე სოფლებში“ (ცხადაია 1985: 151). მეცნიერი იზიარებს იმ ვარაუდს, რომ **ლე-** პრეფიქსი (ნაწილობრივ **ლა-**ც) წარმოადგენს საერთო-ქართველურ ან თუნდაც საერთო-ზანურ ფორმანტს (იქვე: 166).

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **ლე-** პრეფიქსი და **ლე-** – **-ე/-ი** კონფიქსი სვანურში დატვირთულია აპელატიური ფუნქციით ვ. თოფურია **ლე-** პრეფიქსიანებს ადიექტივებად მიიჩნევს, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ „ობიექტი ამა თუ იმ მოქმედებისათვის ან მდგომარეობისთვის არის დანიშნული“ (თოფურია 1967: 218). ზოგადად, **ლე-** პრეფიქსს დანიშნულების თავსართს უწოდებენ. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია, რომ იგი შეესატყვისება ქართული წარმოშობის **სა-** პრეფიქსსა და **ზანურის ო-** თავსართს.

სამეგრელოს ტერიტორიაზე **ლე-ე** პრეფიქს-სუფიქსის ფუნქციას ოიკონიმის წარმოება წარმოადგენს. „ეს წარმოება იმდაგვარია, რომ ამოსავალია ამ პუნქტში დასახლებული და დამკვიდრებული გვარი“ (ცხადაია 1976: 360).

სვანურში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ლე-** პრეფიქსი და **ლე-** – **-ე/-ი** კონფიქსი უმეტესად ისეთ მიკროტოპონიმებშია, რომლებიც ბოტანიკურ ტერმინებს შეიცავენ. ასეთი საკუთარი სახელები ხაზს უსვამენ, თუ რა სახეობის მცენარე, ბუჩქი... ხარობს ან ხარობდა ამ ადგილებში. მაგ.: **ლე-** პრეფიქსი + **ფუძე** (მცენარის სახელწოდება).

ბალყან, ბელყან ბზ., ბალყეჩ, ბელყეჩ ბქ., ბელყეჩ ლშხ., ბელყაჩ
ლნტ. „მურყანი, თხმელა“

ლე-ბელყაჩ „თხმელნარი“ ტყე ლენტეხი-ლევშერი.

ლე-ბელყეჩ სათიბი, ლენტეხი-ცანა, მესტია-ვედი, წირმინდი.

მესტია-დაკარი.

ლე-პრეფიქსი + ფუძე + ა (მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი სუფიქსი).

ლე-ბელყეჩ-ა სამოვარი, ტყე, მესტია-ლახამულა.

გგგბ, გიგბ ზს. გგგბ ლნტ. გგგბ ლშხ. „ფიჭვი“

ლე-გგბ „ფიჭვნარი“ სამოვარი, ტყე, მესტია-დიზი. (აღნიშნავს, ერთი მხრივ, იმ ადგილს სადაც ფიჭვის ერთგვაროვანი ტყეა, მაგრამ მეორე მხრივ, ჰქვია სამოვარს, სადაც ამჟამად „გგგბ“ არც არის).

ლე-გგბ ტყე, მესტია-ლაბსყალდი.

ლე-გგბ-ა სამოვარი, მესტია-ცალანარი.

ლე-გგბ-რ-ა ტყე, მესტია-დავბერი.

ლე-გგბ-რ-წლ „ფიჭვნარები“ მესტია-ლახირი

გუიჯ ზს. ქს. „წაბლი“

ლე-გუიჯ-არ „წაბლნარი“ ტყე, მესტია-ფაყი.

ლე-გუიჯ-ერ სოფლის უბანი, მესტია-ხაიში.

ლე-გუიჯ-ა ტყე, სამოვრები, ლენტეხი-ჭველფი.

ნენზ ზს. სოჭი

ლე-ნენზ-ა „ნაძვნარი“ ტყე, მესტია-ვედი, ვაკობი, მესტია-მაგარდელი.

ცაძრა || ცაძ ბზ., ცაძრა || ცაძ ბქ. ლნტ. ცაძრა ლშხ. „თელა“

ლე-ცაძრა საბალახო, მესტია-ხევრა, ყანა ლენტეხი-ლაღარვაში.

ლე-ცაძრ-ე ტყე, მესტია-უსგვირი.

ლე-ცაჟ საძოვრები, ლენტეხი-დურაში.

ლე-ცაძ ტყე, სათიბი, ლენტეხი-ჭველიერი.

ჯიჰრა ზს., ჯიჰრა ლშხ. ლნტ. „მუხა“

ლე-ჯიჰ-არ „მუხნარი“ ტყე, მესტია-კალა.

ლე-ჯიჰ-ერ საძოვარი, მესტია-ბაგვდანარი.

ლე-ჯიჰ-არ-ალ საძოვარი, მესტია-ლაღამი.

ლე-ჯიჰ-არ-ილ ტყე, ლენტეხი-ლაშთხვერი.

ლე-ჯიჰ-ერ ტყე, მესტია-დიზი (მუხნარია მთლიანად).

ლე-ჩიჰ-არ ტყე, ნავყვამი, კაერი.

ლე-ჩიჰ-ჟ-ერ საძოვარი, მესტია-ღეშდერი.

ლე-ჩიჰ-ერ-ა ტყე, მესტია-ლახამულა.

ცხტიმრა, ცხტიმ ზს. ლნტ. ცხუმრა, ცხტიმ ლშხ. „რცხილა“.

ლე-ცხტიმ-არ „რცხილნარი“ საბალახო, ლენტეხი-ჭველიერი.

ლე-ცხტიმ-არ-ა ყანა, ლენტეხი-წანაში (ამჟამად რცხილა არაა).

წიფრა ზს. ქს. „წიფელი“

ლე-წიფ-არ „წიფლნარი“, ყანა, ლენტეხი – ჩოლური, ლესემა, კახურა; სათიბ-საძოვარი, ლენტეხი-ლექსირი, რცხმელური, გვიმბრალა; ტყე, საძოვარი, ლენტეხი-ლესემა; სათიბი, ლენტეხი-ლაშხირი.

ლე-წიფ-არ-ა ტყე, კაერი.

ლე-წიფ-არ-ალ სახნავი, მესტია-ზესხო.

ლე-წიფ-ერ სოფელი, მესტია-ჭუბერი; ტყე, მესტია-შგედი, მახაში, დიზი, ცანა, ხაიში, ლობი, სკორმეთი; სათიბ-საძოვარი, მესტია-წირმინდი (უნდა შევნიშნოთ რომ უამრავ ადგილას არის წიფლნარის სახელწოდებით ტყე, ყანა, სათიბი თუ საძოვარი, განსაკუთრებით – ბალსაქუმო სვანეთში. ა. ჭკადუას მითითებული აქვს, რომ სოფელ ლახამში, სადაც ადრე წიფლნარი ყოფილა, ამჟამად ძირითადად წაბლია, მაგრამ სახელწოდებად ლე-წიფერ არის შემორჩენილი.

გაკ ბზ., ქს., კაკ ბქ.

ლე-კკ-ერ „ნიგვზნარი“ ტყე, სათიბები, მესტია-ხევრა, ნაკი, ხაიში, წირმინდი, ვედი, შგედი

(როგორც ა. ჭკადუა აღნიშნავს, ამ ადგილებში ყველგან ბლომად არის კაკლის ხეები, შიგადაშიგ კი სათიბი მდელოებია).

თევრა ზს., ლშხ., **თეკერ** ლნტ. „ბოკვი, ნეკერჩხალი“

ლე-თეკარ „ბოკვნარი“, ტყე, სახნავ-სადოვარი, ლენტეხი-ყვედრეში.

ლე-თკარ სადოვარი, მესტია-ღვებალდი, იფხი (ბოკვი აქა-იქაა, **ჟი ნამოლ ლი** „განაკაფია“, ადრე კი ბევრი იყო).

ლე-თკერ-ა სადოვარი (ახლაც ბლომად არის **თეკერ**), ლენტეხი-ქახუნდერი.

ბარცხილ ზს. ბაძგ ქს. „ჭყორი“

ლე-ბერცხ-ილ-ა სოფლის უბანი, მესტია-;იდლიანი (დასახლებული ადგილია, მაგრამ თითქმის ტყეშია. ადრე ალბათ იყო **ბარცხილი**).

განჭუ ზს. ლნტ., **განჭუ** ლშხ. „ანწლი“

ლე-განჭუ „ანწლნარი“ სათიბი, ლენტეხი-ხაჩეში, ტვიბელდი; სადოვარი, ლენტეხი-ჯუდა-რი.

ლე-განჭუ-ე სადოვარი, მესტია-წირმინდი, ხევრა.

ლე-განჭ-ოლ სადოვრები, ლენტეხი-ქახუნდერი.

ლე-განჭუ-ლ-წშ „ანწლნარისა“ სადოვარი, სახნავ-სათიბი, ლენტეხი-ლეგმა.

ჟაჭუარ ბზ., ლნტ., **ჟაჭურა** ბქ., **ჟაჭუერ** ლშხ. „არყი“

ლე-ჟაჭუარ „არყნარი“ ტყე, მესტია-ტვიბერი; სადოვარი, ლენტეხი-მუწვი.

ლე-ჟაჭუარ-ა ტყე, მესტია-მურშველი; სადოვარი, მესტია-ზარდლაში; სათიბი, მესტია-ბოგ-რეში; ტყე-სადოვარი, მესტია-ზესხო (ტყე-სადოვარში იგულისხმება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტყიანი, არყნარი ადგილი, შიგადაშიგ მდელო-სადოვრებით).

ლე-ჟაჭუერ ტყე, მესტია-გული; სათიბი, ლენტეხი-შგედი.

ლე-შადრ-ე ტყე, მესტია-ლალხორალი (ფუძეში **შადრა** ლექსემით შეგვხვდა მხოლოდ ეს ტოპონიმი, რადგანაც **ურთხელი** იშვიათი ხეა და თუ სადმე ხარობს, ის ადგილიც გასაიდუმლოებულია. შევადაროთ **წიფრა** „წიფელა“ და მისგან ნაწარმოები **ლე-წიფერ...**, რომელიც ძალიან ბევრ ადგილას დასტურდება, როგორც თვითონ ხე, ასევე მისი სახელწოდების შემცველი მიკროტოპონიმი).

ცაგ ზს., ლნტ., **ცაგ** ლშხ., „ეკალი, ნარი“

ლე-ცგ-არ-ა „ეკლნარი“ სათიბი, მესტია-ჭოლაში.

ლე-ცგ-ერ-ა საბალახო, მესტია-ნეგუნი.

ლე-ცგ-იერ-ი სადოვარი, მესტია-იენაში.

ცინყა ბზ., ცინყა ბქ. ლშხ. ცინყა ლნტ. „მოცვი“

ლე-ცინყ-ერ ყანა, სამოვარი, მესტია-ნანგვლი.

მერხელ ზს., ქს. „ჭინჭარი“

ლე-მერხელ-იდ „ჭინჭიანი“ სახნავი, სათიბი, ლენტეხი-გულიდა; სამოვარი, ლენტეხი-კახურა, ტვიბლეტი, ხელედი...).

**ბურღტი ბზ., ბურღტი ბქ., ბურიღტ ლხმ. ბურღუ
ლშხ., ბურღუ ლნტ. „ბურა“**

ლე-ბურღტ სათიბები, ლენტეხი-გვიმბრალა.

ლე-ბურღუ საბალახო, ლენტეხი-მაზაში.

ლე-ბურიღტ საბალახო, მესტია-ვედი.

შეშგილ ბზ., შიშგილ ბქ., შიშგილ ლნტ. „ღანძილი“

ლე-შიშგილ-ა სამოვარი, მესტია-ვედი, წირმინდი; ტყე, მესტია-ქვედა ვედი. სამოვარი, მესტია-ყარი.

გუიმრა, გუიმბრა ბზ., გუიმორ ბქ., გუიმრა, გურიმბ ქს. „გვიმრა“

ლე-გუიმერ-ა სათიბი, მესტია-ფხოტრერი, მესტია-ვედი.

ლე-გუიმერ-ი საბალახო, მესტია.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ადგილის სახელწოდებებისა, ლე-პრეფიქსიან ტოპონიმთა ფუძეში გვხვდება ბოტანიკური ტერმინები: **ჭერდელ** „გრძელღეროიანი მხალი“, **მელჯა** „მაჩიტა“ **ჩიჩულა** „დიცი“, **ჭყერუ** „ღვია“, **ბარდ** „სურო“ და ა. შ.

ზემოთ განხილული გეოგრაფიული სახელები ჩვეულებრივ მონაწილეობენ რთულ ტოპონიმებში, ძირითადად მსახლვრელის პოზიციაზე. მათ ხშირ შემთხვევაში ახლავთ საზღვრული-ინდიკატორი მაგ.:

ლე-ბურღტი-ღ ღელა „ბურეიანი ღელე“, ლენტეხი-მაზაში.

ლე-განჭტი მოლ „ანწლიანი მინდორი“ სამოვარი, ლენტეხი-წიფლაკაკია.

ლე-გგიბ-იმ ტუბი „ფიჭვნარის ქალა“, ხევი მესტია-უსგვირი.

ლე-გუიმერ-ი(შ) ზაგარ „გვიმრნარის გორა“, სერი, მესტია.

ლე-თკერ ნაკ „ბოკვნარი ვაკობი“ მესტია-ქედანი.

ლე-კკერ ღარ „კაკლიანი ღარი“ სამოვარი, მესტია-ჭერი.

ლე-ჭაჭარ ნაკ „არყნარი ვაკე“, სამოვარ-სათიბი, მესტია-ზესხო.

ლე-შიშგილშმ ჭყიბ „ღანძილიანი ჭანჭრობი“, გზა, მესტია-ვედი.

ლე-წფერიშ შუკუტ „წიფლნარის გზა“ გზა, მესტია-ვედი.

დადასტურდა ასეთი სახელიც ლე-წფ-არ-ა ლე-გგიბ „წიფლნარის ფიჭვნარი“ ტყე, მესტია-კაერი.

საზღვრულ-ინდიკატორებად ძირითადად გვაქვს შემდეგი სიტყვები: **მოლ** მინდორი“, **ტუბ** „ხევი, ჭალა“, **ზაგარ** „გორა“, **ნაკ** „ვაკე“, **შუკუ** „გზა“ და ა. შ.

ლე- პრეფიქსიანი სახელი გვხვდება როგორც ატრიბუტულ, ისე გენეტიურ მსაზღვრელად. უფრო კი ამ უკანასკნელის სახით. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ხან სრული სახით არის წარმოდგენილი, ხან კი – მხოლოდ ხმოვნითი ნაწილით. მაგ.: **ლე-ზღლყარ-წ ბოგ** „თხმელნარის ხიდი“, **ლე-გგიბ-იმ ზაგარ** „ფიჭვნარის გორაკი“.

ფონეტიკურ ცვლილებათაგან ყველაზე ხშირად ფუძის შიგნით ხმოვნის რედუქციასთან გვაქვს საქმე. მაგ.: **ხზგ** → **ლე-ცგ-ერ-ა**, **წიფრა** → **ლე-წფ-ერ**, **გჭიმრა** → **ლე-გჭმ-ერ** → **ღუმირ** → **ლე-ღუმ-ერ** და ა. შ.

სიტყვის ბოლოს ხშირად ერთვის მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებლად წოდებული -ა სუფიქსი, რომლის ამ ფუნქციით გამოყენება ახასიათებს, ზოგადად, ქართველურ გეოგრაფიულ სახელებს. კერძოდ, „ეს სუფიქსი შეიძლება დაერთოს ნებისმიერი წარმოების საზოგადო სახელს, რომელსაც ამ გზით გამოყოფს, გამიჯნავს საზოგადო სახელთა სისტემისაგან და აქცევს საკუთარ სახელად – ტოპონიმად (მაკალათია 1987: 110). მაგ.: **ლე-ჟღუარ-ა**, **ლე-შიშგილ-ა**, **ლე-ცხკ-ერ-ა**, **ლე-წფერ-ა** და ა. შ.

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც **ლე**- პრეფიქსიანი ტოპონიმი კნინობითის სუფიქსით მთავრდება: **ლე-გჭმერ-ილ**, **ლე-მერხელ-იდ**, **ლე-შგუბ-ერ-ილ** და ა. შ.

მიკროტოპონიმის ფუძის შიგნით გამოიყოფა სუფიქსები -**ერ**, -**იერ**, -**არ** ან მხოლოდ თან-ხმოვნითი ნაწილი -**რ**-. ისინი ხშირად ბოლოვდება მრავლობითის აღმნიშვნელი -**წლ**... სუფიქსით. **ლე-გგებ-რ-წლ** ← **ლე-გგებ-არ-წლ**

ზემოთ ჩამოთვლილ საილუსტრაციო მასალაში **ლე**- პრეფიქსი (ზოგჯერ თანმხლები სუფიქსებითურთ) „სვანურ ლექსიკონში“ წარმოდგენილ ერთ-ერთ განმარტებას (ერთგვარ მცენარეთა გავრცელების ადგილის აღმნიშვნელი) შესაბამისია.

თუ მეგრულში **ლე** – -ე პრეფიქს-სუფიქს შორის მოქცეულ ფუძეში ანთროპონიმი უნდა ვეძებოთ (იხ. ცხადაია 1985: 150), სვანურში იმავე პოზიციაში ბოტანიკური ტერმინი დასტურდება, თუმცა მეგრულში გვხვდება გამონაკლისები (ლე-ფშალ-ე, ლე-გვიმარ-ე), რომელთაც კ. ცხადაია შემთხვევით ფორმებად ან გარდასული წარმოების ნაშთად მიიჩნევს (იქვე).

სვანურშიც გვხვდება ლე- პრეფიქსიანი სახელები, სადაც გამონაკლისის სახით ფუძეში ანთროპონიმია:

ლე-დეჭდრიან-ი „დევდარიანების“, ტყე, მესტია-ჭოლაში.

ლე-კუასდიან „საკვასდიანო“, სოფლის უბანი, ლენტეხი-მუწვიში.

ლე-დავით „დავითისა“ ყანა, ლენტეხი-სასაში.

ლე-კუასარ „კუისრისა“, ყანა, მესტია-წვირში.

ლე-ჯგვრწგ „წმინდა გიორგისა“, სათიბის სახელწოდება რამდენიმე ადგილას: მესტია/ცალერი, ლახამულა, შგედი და სხვ.

ლე-ბაპ-ი „მღვდლისა“ ყანა, ლენტეხი-წანაში.

ლე-მცხუწარ-ი „მაცხოვრისა“, ყანები, ლენტეხი-ჩოლური.

ლე - {ე} ხშირად მორფოლოგიური ექვივალენტია ქართული -**იან** სუფიქსისა:

ლე-გრეუ „ქვიანი“ (**გორეუ** „ქვის გროვა“), სამოვარი, ფერდობი, მესტია-ლახამულა, ხაიში, წირმინდი...

ლე-მელ „ბალახიანი“, სამოვარი მთა ალპურ ზონაში, მესტია-ბაგვდანარი.

დასასრულ, თუ სვანურ **ლე** – {-ც}/ი აფიქსებიან მიკროტოპონიმები აღნიშნავს ისეთ ადგილებს, სადაც თავმოყრილია, მრავლად ხარობს ესა თუ ის მცენარე (ე. ი. კრებიტობაა გადმოცემული), მეგრულში ამგვარად ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები მოსახლეობის, გვარის, ტომის სიმრავლე-კრებიტობას გადმოსცემენ.

არანაკლებ საინტერესოა **ლა**- (თანმხლები სუფიქსებითურთ) პრეფიქსიან სახელთა გავრცელებულობა და დანიშნულება სვანურ ტოპონიმიაში, რომელთა კვლევა მომდევნო ეტაპისთვის არის განზრახული.

რაც შეეხება სვანურ ტოპონიმთა სემანტიკას, ტოპონიმთა სემანტიკური კლასიფიკაცია აღნიშნულ ობიექტთა სახეობის მიხედვით, მიზანშეწონილად არის მიჩნეული ამ დარგის სპეციალისტთა მიერ (მაკალათია 1976: 122).

ძირითადად გამოყოფენ გეოგრაფიულ, სამეურნეო და ლანდშაფტურ ტერმინებს, განსაკუთრებით პრიმარულ ტოპონიმებში (ცხადაია 1985: 76). სვანურ ტოპონიმიაში ასახულია ამ კუთხისთვის დამახასიათებელი ობიექტური სინამდვილე, რაც გამოხატულია საკუთარ სახელებში.

ძალიან დიდი ადგილი უჭირავს ანთროპოტოპონიმებს (გვარებს, სახელებს), მაგ.:

ლე-ფგლიწ-ი – ტყე, ფალიანების საკუთრება, მესტია-ჭალა.

ყანსაჟ-შერ – უბანი, სწორი ადგილი გორაზე, სათიბ-სახნავ, სამოვრებით (ყანსაჟ ჩხვიმიანის საკუთრება), მესტია – ჭუბერი.

ყაღსგნ-ი-წ – ყანა, ყაღსგნ გუჯეჯიანის კუთვნილი, მესტია – მულახი.

ანტუმ ნჭკემ – სათიბი, ანტოს განათიბი, მესტია – ვედი.

ასეთი სახის ტოპონიმები უამრავი დასტურდება სვანეთის მიკროტოპონიმიაში. ადამიანის საკუთარი სახელისა და გვარისგან ნაწარმოები ტოპონიმები აღნიშნავენ საცხოვრებელ ადგილს, სოფელს, უბანს, სათიბს, ყანას, ძველ ნამოსახლარებს, სასაფლაოებსაც კი. ხშირია კომპლექსისა და ნაკომპარების ყოფილ პატრონთა მითითებაც.

მრავლად დასტურდება ერთგვარ მცენარეთა გავრცელების ადგილის ამსახველი ტოპონიმები:

ლე-ღუმერ – ტყე (**ღუმირ** „სოჭი“), მესტია – ეცერი.

ლე-ფრუს-ა – სამოვარი (**ფურისჟ** მოზარდი ფიჭვი, წიწვი), მესტია – ლახუმი.

ლე-ტლუფ-ი – საბალახო, საქონლის სდაგომი (ტელეფი „ღოლო“), მესტია – ზარდლაში.

რელიეფის მიხედვით:

ზანგრ-გლ – სამოვარი, ზეგანივითაა, მესტია – ბეჩო.

ზუგ – სათიბი, ყანებს შუა არის ამოზურცული, მესტია – ლენჯერი.

ტყაბ-ზრ – სახნავი, სამოვარი (**ტყაბ** „ფერდობი“), დამრეცი ადგილია, მესტია – ქართვანი.

სამეურნეო საქმიანობის ამსახველი:

ნა-ლ-კირ – სამოვარი, უწინ კირს მოიპოვებდნენ, ახლა აღრ არის, მესტია – იდლიანი.

ლა-ლ-კირ-წლ – სათიბი (კირ „კირი“), ადრე კირს ამუშავებდნენ, ქს. სასაში.

ლა-ლ-შირ-წლ – კლდე (**შირა** „წისქვილის ქვა“), კლდოვანი ადგილია, ადრე წისქვილის ქვა იქიდან მოჰქონდათ, მესტია – მურყმელი.

ლა-შედ-წში-ზუგვ – ტყე, პატარა ვაკე ადგილია, სამჭედლო ბორცვი, მესტია – იელი.

რელიგიურ-საკრალური:

ლწ-მზერ – სალოცავი ადგილი, საზღვარი (**ლი-მზირ** „ლოცვა“), მესტია – მაგარდელი, ღვე-ბალდი, ქს. მუწვდიში.

მაცხტარ „მაცხოვარი“, ეკლესია.

ლამწრიპშ „წმინდა მარიამის“, სათიბი, ნაეკლესიარი, საკულტო ადგილი, ზს. თოთელეში.

უწინ საყოფაცხოვრებო ან რაიმე განსაკუთრებული დანიშნულების ნაგებობის ადგილი:

ნა-ვ-ქორ/ნა-ქორ (**ქორ** „სახლი“), „ნასახლარი“, ყანა – მესტია, ლახამულა.

ნა-ბაჷ (**ბაჷ** „დასასვენებელი ადგილი“).

ნა-დრუყჷ (**დურყუ** „საქონლისთვის შემოკავებულ-შემოღობილი“, „უწინდელი შემოღობილი“), სამოვარი, მთა – მესტია, ლახამი.

ნა-კანტორ – ტყე – მესტია, იდილანი, საბალახო – მესტია, თოთანი.

მრავლად არის ტოპონიმები, სადაც გამოხატულია ადრინდელი ბუნებრივი კატაკლიზმები, აგრეთვე, ადამიანის ჩარევით გარემოზე ზემოქმედება, მაგ.:

ნა-ჟაჰ-ჷ „ნაზავარი“ (**ჟაჰ** „ზავი“), ღარი – მესტია, ლახამულა.

ნა-ჟაჷ „ნაზავარი“ (**ჟაჷ** ლნტ. „ზავი“), სამოვარი ქს. – ჭველიერი, ფაყი, შკედი.

ნა-ჩტწლ „ნამეწყრალი“ (**ჩტწლ** „მეწყერი, ღვარი“), სამოვარი – ქს. ხელედი, ყანა – ზს. მურ-ყმელი.

ნა-ნ-ჟომ „მსუბუქად მონახნავი“ (**ლი-ჟომე** „პირველი ხვნა დათესვამდე სარეველების მოსპობის მიზნით“), ყანა – ზს. ეცერი.

ნწ-კვიშ „განატეხი“ (**ლი-კვიშ-ე** „ყამირი მიწის მოხვნა“), ყანა, სამოვარი – ზს. – ტობარი, ზს. – ხაიში.

ნა-ნ-ჭერ „გა-ნაკაფ-ი“ („ხელოვნურად გაკაფვა“), ყანა, სათიბი – ზს. ხაიში, სამოვარი – ზს. ჯორკვარი, ტყე – ზს. ხერხვაში.

სვანეთში ძალზედ გავრცელებულია საკუთარ გეოგრაფიულ სახელად **ნა-შიხ-ჷ** „დანამწვი, დანამწვარი“, რაც განპირობებულია ორი ფაქტორით: 1. ბუნებრივი მოვლენის (მეხის ჩამოვარდნა) შედეგად გაჩენილი ხანძრები; 2. იქაურ მცხოვრებთა მიერ სამოსახლო, საყანე ან სათიბი ფართობისათვის ხეების ან ჯაგნარის დაწვა. ასეთ მიკროტოპონიმთა სიუხვე და წარმოების თვალსაზრისით მრავალფეროვნება სვანური ტოპონიმების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს. აღნიშნული სახელწოდებით ფიქსირდება: სოფლის უბანი, სათიბი, სამოვარი, კლდე, ფლატე, გორაკი, ტყე, ყანა, სერი, ქედი, ვაკობი, ხევი და ა. შ. ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული **ნა-შიხ-ჷ** სტრუქტურის ტოპონიმია, ანუ ოდენ ნწ-პრეფიქსიანი.

დასტურდება -წრ ფორმანტიანი **ნა-შიხ-ჷ-წრ** ← **ნა-შიხ-ჷ-წრ**. ფორმა აღნიშნავს სამოვარს, მესტიის სოფ. მურყმელი. ინფორმატორის თქმით, ადრე არყნარი ყოფილა და დამწვარა.

ნა-შიხ-ჷ გვხვდება კნინობითის სუფიქსდართულიც, მაგ.:

ნწ-შიხ-ულ ← **ნწ-შიხ-ულ** – ვაკობი (პატარა დავაკება მეჩხერი ტყით), მესტიის რ-ნი, ზემო წირმინდი; ტყე – მესტიის სოფ. ციცხვარი; **ნწ-შიხ-ულ-წრ** ← ***ნწ-შიხ-ულ-წრ** – ყანა, სამოვარი – მესტიის სოფ. იდლიანი, ნანგელი.

ეგვევ ფორმა გვაქვს სონორჩართულიც: **ნწ-მ-შიხ-ჷ-წრ** „დანამწვარები“, სამოვარი – მესტიის სოფ. ცხუმარი; ტყე – მესტიის სოფ. წვირმი.

ნა-მ-შიხ-რლ-ჷ-არ „დანამწვარები“, სამოვრები – ქს. ჟახუნდერი და ა. შ.

როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანური ფაქტორი განაპირობებდა სვანეთის რელიეფში ჩამონაწყვეტი, ჩამონარღვევი, განაკაფი, განაყოფი, განატეხი (ლი-კვმ-ე სემანტიკური გადაწვეით ყამირი მიწის მოხვნა) ადგილების სიმრავლეს. ყველა ამ მოვლენამ თუ მოქმედებამ ასახვა ჰპოვა მიკროტოპონიმიაში, მაგ.:

ნა-ტყუიფ „განატეხი“, ადგილობრივების განმარტებით, **ლიტყუფე** ყამირის გატეხვა. **ლარემ ქალიწის ლიტყუფეს ხუტულიდ** „მინდვრის მოხვნას ლიტყუფეს (გატეხვას) ვემახით“. ყანა – ზს-ის სოფ. წვირმი, უღვალი, ჟიბიანი, ხერხვაში, სათიბი – ზს. ხერხვაში, ჩვიბიანი, მურშკელი, ჟიბიანი, ცალერი, ბოგრეში და ა. შ.

ტოპონიმთა სემანტიკური ანალიზი, ერთი მხრივ, სვანეთის ძველი ეთნოგრაფიული ყოფის სურათის წარმოდგენის საშუალებას იძლევა, მეორე მხრივ კი, თანამედროვე სვანეთის გეოგრაფიულ სახელებთან შედარება-შეპირისპირებით შესაძლებელია ამ რეგიონში რელიეფური, ეკონომიკური და ყოფა-ცხოვრებითი ცვლილებების დადგენა. აღნიშნული კუთხით მეტად საინტერესო და საფუძვლიანი კვლევა აქვს ჩატარებული ქ. მარგიანს წერილში „სვანეთის მიკროტოპონიმის ლექსიკური ანალიზი“ ავტორი ვრცელი ტოპონიმური მასალის განხილვის შედეგად დაასკვნის: „დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ დარგობრივი და ყოფითი ლექსიკის განსაკუთრებულ სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას სვანური ენისა მკაფიოდ უჩენია თავი სვანურენოვან გეოგრაფიულ ნომენკლატურაში (მარგიანი 2011:188)



ნათო შავრეშინი

თხზული გეოგრაფიული სახელები სვანურში

სვანურში, სხვა ქართველური ენების მსგავსად, დასტურდება სიტყვათშეერთებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები, მათ შორის გაცილებით მრავლად გვხვდება გენეტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმები, ხოლო ატრიბუტულმსაზღვრელიანი შედარებით ნაკლებად. კომპოზიტურ გეოგრაფიულ სახელებში, სადაც მთელი შესიტყვება გვაქვს, მსაზღვრელ-საზღვრული სხვადასახვა ნიშნის მიხედვით აფასებს თუ ახასიათებს ამა თუ იმ გეოგრაფიულ ობიექტს და ამ შეფასებაში, ხშირად ჩანს სახელდების განმაპირობებელი თუ გამომწვევი მიზეზი.

მსაზღვრელ-საზღვრულიანი გეოგრაფიული სახელი სინტაქსური თვალსაზრისით სინტაგმაა და წევრთა შორის ისეთივე სინტაქსური ურთიერთობაა, როგორც ჩვეულებრივ შესიტყვებებში. გენეტიურმსაზღვრელიანი გეოგრაფიულ სახელებში მსაზღვრელი დაქვემდებარებულია, მართულია საზღვრულის მიერ, ეს უკანასკნელი კი სინტაგმის მთავარი წევრია, ტოპონიმის შინაარსის განმსაზღვრელია, ვინაიდან ასახელებს იმ ობიექტს, რომლის სახელდებაც უნდა მოხდეს.

სვანურში, თხზულ კომპოზიტებში, მართული მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია, ხან ბრუნვის სრული ნიშნის დაცვით, ხან ნაწილობრივ და უცვლელად უკავშირდება საზღვრულს მხოლოდობით ან მრავლობით რიცხვში.

გუმბშიშ სგიმილდ ზედმიწ. „გუმბშიშის ვეძუკა“, მჟავე წყალი (მესტია, კეცნანი, ლახამულა)
ბაბჷშ ნაქორ „ბაბუის ნასახლარი“, ნასახლარი (მესტია, ზ. მარდი, ჭუბერი)

ნენსგაშ დაბ „შუა (-ის) ყანა“, ყანა (ქვ. მარდი)

ონოფრემ ნაკუტეთ „ონოფრეს ნაკვეთი“, ტყე (ქვ. ვედი)

აფხზარე ნენზილდარ ზედმიწ. „აფხაზების სოჭუნები“, სამოვარი (მესტია, ნაკრა)

თხერემი ლიცილდ ზედმიწ. „მგლის წყალუკა“, წყარო (ლენტეხი, ლასკადარი)

უსგემ ღარ „ვამლის ღარი“, ღელე (ტობარი)

ალფეზონ მოლ „ალფეზის მინდორი“, სამოვარი (ლენტეხი, ჩოლური)

სიტყვათშეერთებით მიღებულ გენეტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმებში მართულ მსაზღვრელად გამოყენებულია, როგორც საკუთარი ისე საზოგადო სახელები, ამათგან ყველაზე ხშირად დასტურდება ანთროპონიმები, ხოლო ტოპონიმები და საზოგადო სახელები შედარებით ნაკლებად:

ბათუტ მურყუამ „ბათოს კოშკი“, კოშკი (მესტია, ჩვაბიანი, მულახი)

ჟორჟლანა ნაკ „ჟორჟლიანის ვაკე“, ტყე, სამოვარი (მესტია, სოლი)

არაჩიანა ნალზიგუ „არაჩიანთ ნასახლარი“, ნასახლარი (ლენტეხი, ჩოლური, ჭველიერი)

აბლანიშ სარანგ „აბლანის წყარო“, წყარო სათიბ აბლანიში (მესტია, ცხუმარი, ღვებალდი)

ლეუმერი შუკუ „ლეუმერის შუკა“, გზა (ლენტეხი, ლევმერი)

ხემკლან ჭალან „ხემკილის ჭალა“, ღელე (მესტია, ხემკილი)

ღელიც ტუბ „წყლიანი ხევი“, ხევი (მესტია, ზარდლაში, არცხელი)

ლათხუთარი თხუმ „სანადირო წვერი, თავი“, სათიბი (ლენტეხი, ჩუკული)

ამჯერად წარმოვადგენთ ანთროპონიმთაგან წარმოებულ გენეტიურმსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახელებს, ვინაიდან სვანურში მართულ მსაზღვრელად ყველაზე ხშირად გამოყენებულია ანთროპონიმები, ანთროპონიმთაგან კი უმეტესწილად დასტურდება პირის სახელი, ნაკლებად გვარი, ხოლო უფრო იშვიათად კი სახელი და გვარი ერთად:

ამაიზიმ ლაგარდტიმ „ამაიზის საკარტოფილე“, ყანა (მესტია, ეცერი, უსგვირი)

ამბაკო მოლ „ამბაკოს მოლი“, სამოვრები (ლენტეხი, ჩიხარეში, მელე)

ანსიანიშ ფოქ „ანსიანის გამოქვაბული“, გამოქვაბული (მესტია, ნაკი)

ანტონი მოლ „ანტონის მინდორი“, ყანა (ლენტეხი, რცხმელური, ლალარვაში)

ბაღიშ წიფ „ბაღის წიფელი“, ტყე (მესტია, უშხვანარი, ბეჩო)

ბადღუე მურყუამ „ბადღუეს კოშკი“, კოშკი (მესტია, ადიში, იფარი)

ბანჯღუე ტუბ „ბანჯღუს ხევი“, ხევი (მესტია, არცხელი, მულახი)

მასონი ლამჭარი „მასონის სამზეო“, ყანა (ლენტეხი, მაზაში)

ჯაბა ლიც „ჯაბას წყალი“, წყარო (ლენტეხი, ყვედრეში)

ბახუე მოლ „ბახუს ახო“, სათიბი (ლენტეხი, ლექსირი)

გუპ[შ] ლარე „გუას მინდორი“, სათიბი (მესტია, უღვალი, ეცერი)

იეჭენი მურყუამ „იეჭენის კოშკი“, ნაკოშკარი (მესტია, ჟაბეში)

ჯამბულატიშ სარაგ „ჯამბულათის წყარო“, წყარო (მესტია, ფარი)

როგორც მასალიდან ჩანს, ნათესაობითის ნიშნისეული თანხმოვანი არ არის მყარი არც ხმოვანფუძიან და არც თანხმოვანფუძიან სახელებთან, ორივე შემთხვევაში ხან წარმოდგენილია ხან არა. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ შტოგვარის სახელთაგან წარმოებულ ტოპონიმებში -შერ ფორმანტით წარმოდგენილი მსაზღვრელები შეიძლება ნანათესაობითარი ნათესაობითითაც შეგვხვდეს, რომელთაც ქვემოსვანურში ბრუნვის ნიშნისეული თანხმოვანითი ნაწილი მოკვეცილი აქვს, ხოლო ზემოსვანურში, ხშირად, შენარჩუნებული:

სუმაშერი ლიც „სუმასანის წყალი“, წყარო (ჩოლური, მუწვიდი, მიქელშერი)

გულშერი ღელა „გულისანის ღელე“, ღელე, წყარო (ჩოლური, მუწვიდი)

გერდაშერაშ შუკუტ „გერდასანის გზა“, სამანქანო გზა (მესტია)

გუტირკშერიშ თხუტიმ „გვირკსანის წვერი“, მწვერვალი (მესტია, ნაკი)

-შერ მაწარმოებლიან მსაზღვრელს აქვს მრავლობითობის გაგება, თუმცა ზოგჯერ დამატებით დაირთავს მრავლობითის მაწარმოებელ -პრ, -ალ ფორმანტებსაც და ამ შემთხვევაშიც ნაგენეტივარი ნათესაობითის ფორმებს ვღებულობთ, სადაც, ასევე, ნათესაობითის ნიშნისეული თანხმოვანი მოკვეცილია:

გიო-შერ-ალ-ე ლაჯოგ „გიოსანების საჯოგე“, სამოვარი მთა (ლენტეხი, ყვედრეში, ხელედი)

მესაჟ-შერ-ალ-ე დაბარ „მესავსანების ყანები“, ყანები (ლენტეხი, ნანარი)

სუმა-შერ-პრ-ე მურყუამ „სუმასანების კოშკი“, ნაკოშკარი (მესტია, ცხუმარი)

როგორც აღვნიშნეთ გვხვდება ასევე გვარებისაგან წარმოებული გენეტიურმსაზღვრელიანი თხზული ტოპონიმები, როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში, სადაც ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი მხოლოდით რიცხვში მდგომ მსაზღვრელს ხან დაერთვის, ხან არა, ხოლო მრავლობითში მყოფს ძირითადად მოკვეცილი აქვს:

ხერგიანიშ ნაკრაჟარ „ხერგიანის ნაკარვები“, სამოვარი (მესტია, ხაიში)

ქურდანა ლელჰენ „ქურდიანის არხი“, ნარხალი (მესტია, მურშკელი)

ყიფიანა ნადგარ „ყიფიანის მონაკლავი“, ტყე (მესტია, დავბერი)

ჟორჟლანა ნაკ „ჟორჟლიანის ვაკე“, ტყე, სამოვარი (მესტია, სოლი)

- რეზიანიშ ჯარჯ „რეზიანის პირი“, გადასასვლელი (მესტია, ნაკი)
- კუტიციანიშ ლამურყუამ „კვიციანის საკომკე“, ნაკელესიარი (მესტია, ნაკი)
- კუტიციანიშ ბოგ „კვიციანების ხიდი“, ხიდი (მესტია, კვიციანარი)
- პაკელანრე მურყუამ „პაკელანების კომკი“, კომკი (მესტია, ჭელირი)
- გუტიციანიშ მოლ „გვიციანების მინდორი“, სამოვრები (ლენტეხი, ხელედი)
- მარგიანიშ სარაგ „მარგიანების წყარო“, ღელე (მესტია)
- რეზიანიშ მურყუამ „რეზიანების კომკი“, ნაკომკარი (მესტია, ლანხვრი)
- გომტიანიშ ლასფლაჟუარ „გომტიანების სასაფლაოები“, სასაფლაო (მესტია, გული, ბეჩო)

სვანურში მართულმსაზღვრელიანი ტოპონიმები უმეტესწილად ორშემადგენლიანია (მსაზღვრელ-საზღვრული), თუმცა გვხვდება ორსიტყვიანი მსაზღვრელი, რომელიც ან შესიტყვებას, ან პირის სახელსა და გვარს, ან კიდევ შტოგვარის დამაზუსტებელ სახელს წარმოადგენს. შედარებით იშვიათად დასტურდება ორწევრიანი საზღვრული:

- ბაბდში ჩჷი ნაშყად „ბაბდის ცხენის გადანავარდნი“, ფერდობი, საიდანაც ჩამოვადნილა ბაბდი რატიანის ცხენი (მესტია, ლანჩვალი)
- გუჯუშ ნალგენიშ ტუბილდ „გუჯუს ნათევის ღელე“, ღელე (მესტია, იდლიანი, ხაიში)
- თენგიზიშ ყარაშ ნაყარ „თენგიზის ყავარის ნაყავარი“, ტყე (მესტია, ქვ. ვედი)
- მერანთიში თხუმი კოჯარ „მურათბის ზემო კლდეები“, კლდე (მესტია, ჭერი)
- როზანიშ ნალზიგუტიშ რიყ „როზანის ნასახლარის რიყე“, რიყე (მესტია, ხაიში)
- სამსონი კოჯან ლაკუშორლ „სამსონის კლდის სატეხი“, გზა (ლენტეხი, ლუჯი)
- აფრასიძე გელაშ ლექტერ „აფრასიძე გელას წისქვილი“, წისქვილის მიდამო (მესტია, ბეჩო, ბაგვდანარი)
- გულედან ტალერ მურყუამ „გულედანი ვალერის კომკი“, კომკი (მესტია, სოლი, ლენჯერი)

- ბებუმა მოლ შუკუტ „ბებუსაანთ მინდვრის გზა“, გზა (ხაჩეში, ხელედი)
- ბექუაშა ლექტუ ნამქურლა „ბექუასაანთ ქვედა წალკოტი“, ყანა (კაერი, ლენჯერი)
- ჯაჭაშა მასონი ლჭემა „ჯავანთ იასონის სათიბი“, სათიბი (ლენტეხი, ბაბილი)
- ასლანი ნაჭემ ფარ „ასლანის ნათიბი ფარი“, სათიბი (ლენტეხი, ჩიხარეში)
- გიორგი ნაყაჰ ღარ „გიორგის ნაზავარი ღარი“, ღელე, სამოვარი (მესტია, ხალდე, კალა)
- ებეყუტიშ ნადგარუ ღარ „ებეყვის მონაკლავი ღარი“, სამოვარი (მესტია, ყარი, ჭუბერი)

როგორც ცნობილია, ტოპონიმებს ახასიათებთ გამარტივებისკენ სწრაფვა და ადგილთა სახელდება ძირითადად ერთი სიტყვით ან ორსიტყვიანი სინტაგმით შემოიფარგლება, მიუხედავად ამისა, გვხვდება შემთხვევები, როდესაც მსაზღვრელიც და საზღვრულიც ორ-ორი წევრით გადმოიცემა:

- ბაბა ანტუემ ჟაბე გორანგ „ბაბუა ანტოს ზემო გორა“, ქედი (მესტია, ქვ. ვედი, ხაიში)
- ნდგიში ჩჷი ნაშყად ტუბი „ადგის ცხენის გადანავარდნი ხევი“, ხევი (მესტია, ლანჩვალი)

კომპოზიტურ ტოპონიმებში, რომლებიც პირთა აღმნიშვნელ საკუთარ და საზოგადო სახელთაგანაა ნაწარმოები, მართული მსაზღვრელი ძირითადად გამოხატავს განკუთვნიება-დანიშნულებას, კერძოდ სახელდება ობიექტის მფლობელს, სახელდება ობიექტის აღმომჩენს ან ობიექტთან რაიმე საქმიანობით დაკავშირებულ პირს, ადამიანთა ჯგუფს რომელიც ტოპონიმით აღნიშნულ ადგილას ცხოვრობს, დანიშნულებას და ასევე ობიექტთან რაიმე ნიშნით დაკავშირებულ სუბიექტს:

- ნოდარიშ ადგი „ნოდარის ადგილი“, სათიბები, ნასახლარია (მესტია, ტიტა)

ეჭუტეხი მოლ „ეჭუტეხის ახო“, ყანა (ლენტეხი, ლაღარვაში)
 აქსენტი მურყუამ „აქსენტის კოშკი“, კოშკი (მესტია, იფარი, ნაკიფარი)
 ჯაბან სარაგ „ჯაბას წყარო“, წყარო (ლენტეხი, ზემო ჭველიერი)
 ბაკიშ ყორ „ბაკის კარი“, მოედანი (მესტია, მაგარდელი, ცხუმარი)
 ბასიამ ლჭყემა „ბასის სათიბი“, სათიბი (ლენტეხი, ყვედრეში, რცხმელური)

ილწმ ნალჯან „ილიას დანახნავი“, ტყე (მესტია, შგედი)
 ზურაბიშ ლარე „ზურაბის სათიბი“, სათიბი (მესტია, ზემო სგურიში)

ჯანდრი ბჭი „ჯანდრის ქვა“, ლოდი (მესტია, ჟაბეში)
 აღმასიამ ლიც „აღმასიას წყალი“, წყარო (ლენტეხი, ჟახუნდერი, ლემზაგორი)
 გუწმ ბაჟ „გუას სადგომი“, ნაკარვები (მესტია, ტვიბერ-ლეზგარა, ცხუმარი)
 კირილე დაბზარ „კირილეს ყანები“, ყანები (ლენტეხი, შუა ბავარი)
 აღმასიამ ლიც „აღმასიას წყალი“, წყარო (ლენტეხი, ჟახუნდერი, ლემზაგორი)

რაც შეეხება საზღვრულ წევრს, შინაარსობლივი თვალსაზრისით საზღვრულში ხშირად ჩანს ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის წარმომავლობა, თუ რისი მიხედვით უნდა მომხდარიყო სახელდება. ასეთ ტოპონიმებში საზღვრულად გვხვდება არსებითი სახელისაგან წარმოებული ნა- პრეფიქსიანი მიმღეობები:

ჯამბუდ ნასაკაცხუ ზედმიწ. „ჯამბუს ნაწვერალი „ვინც პირველი ავიდა წვერზე“, სამოვარი (ლასკადარი)

ადილარი ნაქართოფლან „ადილარის ნაკარტოფლარი“, სამოვარი (ლენტეხი)
 ბეთქან[ი] ნაშყანდუ „ბეთქანის გადანავარდნი“, კლდე (მესტია, ჟაბეში, მულახი)
 ბექან ნამოლ „ბექას ნაკაფი“, სამოვარი (ლეღბაგი, ლატალი)

გიერგი ნამოლუტარ „გიორგის ნაკაფეები“, ყანა (ლენტეხი, გულიდა)
 ბან ნალგანტარ „ბაის ნათენები“, სათიბი (მესტია)

მოჟანგიშ ნაშიხუ „მოვავის დანაწვავი“, ტყე, სამოვარი, მოვავის წინაპრებს დაუწვიათ იქაური ტყე (გალმა ხაიში)

მანცელანწმ ნამურყუამ „მანცელანის ნაკოშკარი“, ნაკოშკები (მესტია, ნაშთქოლი)

მარშანი ნადქუან „მარშანის ნადუქნარი“, ვაკობი (მესტია, დავბერი)

კოსდამ ნაკრავ „კოსდას ნაკარვები“, სამოვარი (მესტია, ზ. ვედი)

მსაზღვრელ-საზღვრულის რიცხვში ურთიერთობას რაც შეეხება, ანთროპონიმთაგან წარმოებულ ტოპონიმებში მსაზღვრელს მრავლობითის ფორმა და სემანტიკა შტოგვარის სახელებში აქვს, ხოლო არცთუ იშვიათად გვაქვს ისეთი შემთხვევები, როდესაც მხოლობითში მდგომი მსაზღვრელი უკავშირდება მრავლობითში მდგომ საზღვრულს:

ატოლმა მოლ „ატოლანთ მინდორი“, ყანა (ლენტეხი, ყარიში)

გუგუშა ლარწლ „გუგუშანთ მინდვრები“, სამოვარი, გვარი არაა ცნობილი (მესტია, ლეხთაგი)

ჟაბშარე დაბზარ „ზემოაანთების ყანები“, ყანები, უბანი (მესტია, ლახამი)

აბრამშერ ნამურყუამ „აბრამსანის ნაკოშკარი“, ნაკოშკარი (მესტია, ბეჩო, უშხვანარი)

ადაშერ მურყუამ „ადასანის კოშკი“, კოშკი (მესტია, ხერხვაში)

ზოსიმეშ ნაკრატარ „ზოსიმეს ნაკარვები“, ნაკარვები (მესტია, ტობარი)

არსენაშ მოლარ „არსენას მინდვრები“, სათიბი (მესტია, ბეჩო)

პრჩიამ ნაკარ „პრჩის ვაკობი“, ყანები (მესტია, ხალდე, ზემო ხაჩეში)

კაკოამ დაბზარ „კაკოს ყანები“, ყანები (მესტია, კვანჭიანარი)

ყასბულათი ლეჰმანი „ყასბულათის სათიბები“, სათიბები (დურაში)

ასევე საინტერესოა ატრიბუტულმსაზღვრელიანი თხზული კომპოზიციები სვანურში, რომელთა რაოდენობაც მართულმსაზღვრელიან ტოპონიმებთან შედარებით ნაკლებია, თუმცა ის მასალა, რომელიც დაფიქსირდა მრავალფეროვანია და მოიცავს ზემო და ქვემო სვანეთის გეოგრაფიულ არეალს.

სიტყვათშეერთებით მიღებულ ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში ჩანს გეოგრაფიული ობიექტის (უბანი, სოფელი, ხეობა) მასშტაბი (სიდიდე-სიპატარავე, სიმაღლე-სიმოკლე), მისი დასახლებისა და წარმოშობის სიძველე თუ სიახლე (წარსულში კონკრეტული ადგილის ფუნქცია, წარმომავლობა):

ხოშა ლაბურლუ „დიდი საბურე“, სამოვარი მთა შუაში, ღელეა (სოფ. ცხუმალდი)

ხოშა დაბ „დიდი ყანა“, სათიბი ლუჯის მთა უჟალში (სოფ. ლუჯი)

ძღვდ ღწრ „დიდი ხევი“, სამოვარი, კლდე ზეგანის სამხ., მდ. ლასილის მარჯვ. მხარეზე (მესტია, სოფ. იფარი)

მახე ნამრლ „ახალი ნაკაფი“, ტყე (მესტია, სოფ. არცხელი)

მახე ლახტ „ახალი მთა“, სათიბი (სოფ. ჩიხარეში)

ჯტინელ ნაბოგ „ძველი ნახიდარი“, ნახიდარი მდინარე ენგურზე (სოფ. შკედი)

ჯტინელ ნაკრატალ „ძველი ნაკარვები“, სამოვარი, ნაკარვებია (სოფ. კაერი)

ჯტინელ ნაშუკტ „ძველი ნაგზევი“, გზა (მესტია, სოფ. ხაიში)

ლელეჩხუმუ გაკ „ლელეჩხუმური კაკალი“, ნიგვზის მიდამოები (სოფ. კახურა)

მეკტემტე სტიკ „მოკლე გორა“, გორა (ლენტეხი, სოფ. რცხმელური)

ხორტა ლწჰხალდ „პატარა საჭეკე“, სამოვარი (სოფ. ცხუმალდი)

კოლთხი ქურა „მაღალი ყამირი“, სამოვარი შემადლებულზე (სოფ. ახალშენი)

ჯტედი ღწრა „გრძელი სათიბი“, სათიბი (მესტია, სოფ. ლემსია)

კომპოზიტ გეოგრაფიულ სახელებში, მსაზღვრელის მეშვეობით, ასევე, გვექმნება წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა ამა თუ იმ ტოპონიმის სახელდება, ვინაიდან, მსაზღვრელში ჩანს კონკრეტული ადგილისათვის დამახასიათებელი რელიეფი და ამა თუ იმ ობიექტის ტერიტორიული დახასიათება და სხვ.:

ბეწრ ლწობი „ქვიანი ღობი“, ტყე, დიდლოდებიანი ადგილია, გზაა (ჩოლური, სოფ. შკედი)

როკ-მაჩხაგ „ორკაპა ჩანჩქერი“, სათიბი, პატარა ღელე (სოფ. ტვიბი)

გურ-ზაგწრ „უწვეტო ზეგანი“, ქედი, მთა თევრამისა და უსგვირის გამყოფი (მესტია, სოფ. უსგვირი)

ჰტიწ ზაგწრ ზედმიწ. „საყელო ზეგანი“, სამოვარი (მესტია, სოფ. მაგარდელი)...

მურგტწ მოლოდდ „მრგვალი ყანუკა“, წყარო (ჩოლური, ჭველიერი)

კაც-დაბ ზედმიწ. „მრუდე ყანა“, ყანა (ლენტეხი, სოფ. დურაში)

კაჩ-ღწრე ზედმიწ. „აღმართი სათიბი“, სათიბი ჩიხარეშის ჩრდ.-აღმ., აღმართია, ახალშენში (ლენტეხი, სოფ. ჩიხარეში)

ლემჯე ლწშკილი ზედმიწ. „სამზეო საღანძილე“, სახნავი (სოფ. ყვედრეში)

ლეოყალი ნაკ ზედმიწ. „საოყალო ვაკე“, სამოვარი (ლენტეხი, სოფ. საყდარი)

ტაფ-ქტან „დამრეცი ჭიუხვი/კლდოვანი ადგილი“, სათიბი მამის ჩრდილოეთით, კლდეცაა (სოფ. მამი)

ზესყი ლარა ზედმიწ. „ნედლი მინდორი“, ჭაობიანი ადგილია (სოფ. კახურა)

ლგკწგ სტეც „წაქცეული სვეტი“, კლდე ბოგრეშის სამხ.-აღმ. ენგურის მარცხენა კალთაზე

(მესტია, სოფ. ბოგრეში)

მაშირი შუკუტ „განიერი გზა“, გზაა სამარხილო და შეშის მოსაზიდი (მესტია, სოფ. ლამხერი)
მეკუშდა ბოგ „მოკლე ხიდი“, სამანქანო ხიდი, რომელიც გადებულია მდინარე ჭუბრულას
 ვიწრობზე, კანიონია, ღრმა და ციცაბო კალთებით (სოფ. ჭუბერი)

სკვრი დაბ ზედმიწ. „წვეტიანი ყანა“, ყანა, სახლებიცაა (სოფ. მელე)

ლანგუწა ლარტყალ ზედმიწ. „გასაძრომი სარტყელები“, კლდე, მთა თეთნულდის ძირას (მე-
 სტია, სოფ. ცალდაში)

მეშხილ თარგლეზერ „შავუკა მთავარანგელოზი“, ტაძრის ადგილი (მესტია, ყაზაყი)

სიტყვათშეერთებით მიღებულ ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში განსახილვე-
 ლია, თუ როგორია მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა-წყობა, როგორია მათი შედგენი-
 ლობა და შინაარსი და მოსდით თუ არა რაიმე სახის ცვლილება შეთანხმებულ ფუძეებს.

სვანურში ატრიბუტულმსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახელებში მსაზღვრელად უმეტეს-
 წილად გვხვდება ზედსართავი სახელები და მიმღეობა, შედარებით – ნაკლებად არსებითი სახე-
 ლი და იშვიათად რიცხვითი სახელი.

ზედსართავთაგან შეთანხმებულ მსაზღვრელად დასტურდება როგორც ვითარებითი, ისე
 მიმართებითი ზედსართავი სახელები:

მაშირი ლეცარ „ფართო წყლები“, სამოვრები, ვაკე ადგილია, სადაც წყალი განტოტვილად
 მოედინება (მესტია, სოფ. ზ. წირმინდი)

კვლთხი ბოგ „მაღალი ხიდი“, ნახიდარი (მესტია, სოფ. ზ. ვედი)

ზესკი ღელ „მშრალი ღელე“, ღარი (ლენტეხი, სოფ. მახაში)

ყუთიელ ტობ „ყვითელი ტბა“, ლილისფერი ტბაა, ირგვლივ სამოვრებია (მესტია, სოფ. კა-
 ცხი, სვიფი)

მეშხა ტუიბრა „შავი ღელე“, ღელე, ტყიანია, შერეული, ზედა ნაწილი წიწვნარია, წყალი
 სუფთაა, მაგრამ ნიადაგი შავია (მესტია, სოფ. ჭუბერი)

წერნი ლარტყ „წითელი სარტყელი“, კლდე, წითელი ფერის მაგვარი კლდეა, შრეა მოწითა-
 ლო (მესტია, სოფ. მულახი)

მურგუწალ ლარა „მრგვალი სათიბი“, სათიბ-სამოვარი (მესტია, სოფ. იელი, ხალდე, წვირმი)

ზესყი ლარა ზედმიწ. „ნედლი სათიბი“, სათიბი, ჭაობიანი ადგილია (სოფ. კახურა)

მანხე მოლ „ახალი მოლი“, სათიბ-სახნავი (ლენტეხი, სოფ. წიფლაკაკი)

მეცხი ლიცილდ „ცივი წყალი“, წყარო, კლდიდან გამომდინარე ცივი წყალი (მესტია, სოფ.
 მურშკელი)

სკრდი ღელა „ღრმა ღელე“, ღელე ჩაჭრილი კალაპოტით (სოფ. ღობი)

ტებდი ნიცრლ ზედმიწ. „თბილი წყალუკა“, წყარო (სოფ. ჩუკული, ლეკუმბასტი)

ხოდრა თოთ „უარესი კლდე“, კლდე, მყინვარი ტუიბერის მყინვარებზეა (ცალდაში)

ხორჭა უწყარო „პატარა წყარო“, სათიბი შერეული ტყით (ცხუმალდი)

ხოშა ლაჩუმა ზედმიწ. „დიდი საჩუმეთი“, სათიბი (ცხუმარი, მაგარდელი)

ჯუინელ ნალგენჭარ „ძველი ნათენები“, ტყე, სამოვარი (სოფ. ქაშვეთ-ლაშთხვერი)

უძირო ტუბა „უძირო ტბა“, ტბა, კლდეშია (სოფ. მახაში)

წიფარ ზაგარ „წიფლნარი ზეგანი“, ზეგანი მდ. ენგურიდან მთა ლამოჯას ძირამდე (სოფ.
 ლაფსყალდი)

წუთირალ ღელა ზედმიწ. „წვირიანი ღელე“, ღელე ლასკადურას აუზში, ჭუჭყიანია ყოველ-
 თვის (სოფ. კახურა)...

ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში ნაკლებად, მაგრამ მაინც გვხვდება ზედსართავის ფუნქციით გამოყენებული არსებითი სახელი მსაზღვრელად:

მურყტამ-ზაგვრ „კოშკი-ზეგანი“, ზეგანი, კოშკურაა, (ს. კაერისა და ს. ლემსიას მთაში)

კეტ-ტუბ „ხეობა-ხევი“, სახნავ-სათიბი (ლენტეხი)

ჯტვრ-ზაგვრ „ჯვარი-ზეგანი“, ტყე, კლდეცაა (სოფ. კალა)

მეტოხ ლვრა „ქვა-სათიბი“, სათიბი (ლენტეხი, საყდარი)...

ღაზტ-ჭუბვრ „ბალახ-ჭაობი“, სამოვარი, ჭაობიანი ადგილია (სოფ. ხევრა)

იელ-ზაგვრ „ელია[ს] ზეგანი“, ნაეკლესიარი, ადრე ელიაობა იცოდნენ (მესტია, წვირმი)

მოლ-ზაგვრ „მინდორ-ზეგანი“, სათიბი (მესტია, ეცერი, ლემდერი)

სგიმ-ზაგვრ „ვეძა-ზეგანი“, მუავე წყლის გორაკი (სოფ. ფარი)

ღვრ-მოლ „ღარი-მინდორი“, ვენახები, ღარია (სოფ. ლესემა)

წყალ-მაჭარ „წყალ-მაჭარი“, გადასასვლელი (ღობის მთიდან რაჭაში გადასასვლელი), სამოვარი (სოფ. ღობი)

წაბ-სტიკტ „სამართებელი-გორა“, სამოვარი, გორაა, დაქანებულია (სოფ. ლექსირი)

კომპოზიტი გეოგრაფიულ სახელებში მრავლად დადასტურდა მიმდებარე ატრიბუტული მსაზღვრელი **ლა-- ა, ლე-, ლგ-, ლუ--ე, მგ-, ნა-** მაწარმოებლებით:

ლასგტვრ ბაჩვრ „დასაჯდომი ქვები“, არცხელის ცენტრში, სტიფში დგას სკამისებურად გამოთლილი (საკარცხული) ქვა (მესტია, არცხელი)

ლვსგტმუნა შუკტ ზედმიწ. „სამუავეწყლე შუკა“, გზა სგიმისაკენ (მესტია, ფალედი)

ლასკვრალვ ზუგტ „მოსაფიქრებელი ბორცვი“, სამოვარი (სოფ. ლაღამი)

ლაბიშტირი ღვლა ზედმიწ. „საბუშარო ღელე“, ღელე (ლენტეხი, ყვერდემი)

ლაბჭარი ბწ ზედმიწ. „სანაბიჭვრო ქვა“, ლოდი, გამოქვაბულივით აქვს (მესტია)

ლებოჩიკი მოლ „სასაქონლე მინდორი“, სათიბ-სამოვარი მდ. ჩოლშურას მარცხენა კალთაზე (სოფ. ბაბილი)

ლებურღტ უოკერ „საბუერე ფსკერი“, გზა მთისკენა გზაზე თეკალის სამხრეთით (ლენტეხი, თეკალი)

ლგჩხეტ ღვრ „საკენჭე ღარი“, სამოვარი (მესტია, ზ. მარლი)

ლგლიც ტუბ „წყლიანი ხევი“, ხევი მდინარე უხვია სხვა ხევებთან შედარებით (მესტია)

ლგჩხიტ ლვფშუდა ზედმიწ. „კენჭიანი ჩამოსაშვები“, შურო, კირქვების ჩამოსაყრელი ადგილი (სოფ. ლეხთაგი)

ლუნჩული ლესგ „სამეწყრე გვერდი“, ფერდობი (მესტია)

ლუხტროტე ბაჩვრ „დახვავებული ქვები“, ყანა (მესტია, უშხვანარი)

მუმული ტუბირა ზედმიწ. „მოქმინავე ღელე“, ღელე (ლენტეხი, დურაში)

მეტანტალი ტუბა ზედმიწ. „მოქანავე ტბორი“, სამოვარი, ადრე კაცი რომ შედგებოდა, ქანაობდა ხიდივითო, ამჟამად გამაგრებულა (ლენტეხი, მაზაში)

მგკვწვრი მოლულდ ზედმიწ. „მოქანავე/მოკონწიალე მინდორი“, სამოვარი, დაკიდული ადგილია, დაქანებულია საკმაოდ (სოფ. ყვედრემი)

ნაბიჭტ დაბარ ზედმიწ. „განახლეჩი ყანები“, ყანები (ახალშენი)

ნაჭტა ლარე „ნაზვავარი სათიბი“, სამოვარი (სოფ. ცალერი)

ნასფელ ზენ „ნასოფლარი მინდორი“, სათიბები, ვაკე ადგილია, ნასახლარი არ ჩანს. (სოფ. შგედი)

ნაცტდილ ღვრ ზედმიწ. „ნაცოდვარი ღარი“, ღარი (წირმინდი)...

რაც შეეხება რიცხვით სახელთაგან წარმოებულ მსაზღვრელებს, უნდა აღინიშნოს, რომ რიცხვითი სახელები როგორც ატრიბუტული, ისე გენეტიური მსაზღვრელის ფუნქციით სვანურში ძალზე იშვიათია, სულ რამდენიმე მაგალითი დაფიქსირდა:

მეოთხე ნაკუთე, ხევი (მესტია, ზ. ვედი); **მეხუთე ნაკუთე**, ხევი (მესტია, ზ. ვედი); **უსგუა იემდუსგუა დოლეშ ხატარ** „სამოცდაექვსი დოლის ხატები“, კოშკი, ინახება ხატებიც (დოლი); **აშირყერ მაცხუარ** „ასი მადლის მაცხოვარი“, ეკლესია (მესტია, უშგული, მურყმელი)...

გვხვდება რიცხვითი სახელით განსაზღვრული მსაზღვრელისა და თანდებულის შეერთებით მიღებული კომპოზიტი გეოგრაფიული სახელები (აგრეთვე ერთი შემთხვევა – რიცხვითი სახელისა და თანდებულის შეერთებით მიღებული გეოგრაფიული სახელისა – **მარნენსგოლ** „ორსშუა“, სამოვარი (მესტია, თავრარი); **მარნეც ნესგა** „ორ წყალს შუა“, არყნარ-სამოვარი (მესტია, უშგული); **მარბკოჯნესკა** „ორ კლდეს შუა“, კლდე გაყოფილი შერეული ტყით (სოფ. ბაბილი); **მარბლცენესკა** „ორ წყალს შუა“, ყანები, უწინ მდინარეთა შუაში იყო (სოფ. ლესემა); **მარტ ტუბრა ნესგა** „ორ ღელეს შუა“, სამოვარი (მესტია, ბოგრეში)...

სახელურფუძიან თხულ გეოგრაფიულ სახელებში ზედსართავით გამოხატული მსაზღვრელი (სემანტიკური თვალსაზრისით) მრავალფეროვანია და გამოხატავს საზღვრულის ემოციურ შეფასებას, ფერს, ქონება-უქონლობას, დანიშნულებას, ფორმა-აღწერილობას (სიდიდე-სიპატარავეს, სიგრძე-სიმოკლეს, სიფართე-სივიწროვეს, სიმაღლეს), ტემპერატურას, სივრცით მიმართებას და ა.შ.

კანკუ ღარ „დაკლავნილი ღარი“, კლდე, ღელე; **მეჩხერტყიანი** კლდე-ღელე, მოედინება პატარა წყალი, მიხვეულ-მოხვეულია (სოფ. ზეგანი)

ხოჩა თოთ „კარგი კლდე“, კლდე ტუბერის მყინვარებში (სოფ. ცალდაში)

ხოლან ჩილშერ ზედმიწ. „ცუდი ჩილშერისქანები“, უბანი (სოფ. ყარიში)

წერნი ქუან „წითელი ჭიუხი“, ყანები დაფერდებული კედლით, ხრამიანია, წითელი ფერის ქვებითა და მიწით (სოფ. შკედი)

ჭერელ შუკუარ ზედმიწ. „ჭრელი შუკები“, გზა, გადის ბევრი საცალფეხო ბილიკი (სოფ. ფხოტრერი)

თეთნე ფოქ „თეთრი გამოქვაბული“, გამოქვაბული (სოფ. ნანგვლი)

თუთნე ბაჩარ „თეთრი ქვები“, მთის სათიბი, ალპური ზონაა, ქვების გროვაა (სოფ. ლახირი)

მეშხე კუცი „მავი კვიცი“, ტყე, წიწვნარი ტყეა (მესტია)

ლელიც ღარ „წყლიანი ღარი“, ღელე (მესტია, სოფ. იელი)

ლეჩხეტ ღარ „კენჭებიანი ღარი“, სამოვარი, კენჭნარია (მესტია, სოფ. ზ. მარდი)

უნკუთერა მგჰ „უძირო ტბა“, ტბა ს. წვირმის აღმ.-ით, უღვირის ქედზე (სოფ. წვირმი)

ლაშდილტ შუკუარ ზედმიწ. „დასამარხი შუკები“, გზა, ახლა სამარხილო გზაა (სოფ. ლე-შუკვი)

ლაშუამ ჟაჯუარ „მოსასვენებელი არყის ხე“, შესასვლელი (ლენტეხი, სოფ. მამი)

ლაღეხ ლარა „სადუცე სათიბი“, სამოვრები (სოფ. ცანა)

გურ-სუტიკუტ „მრგავლი გორა“, კლდე ხელედულას მარცხენა კალთაზე, მომრგვალო ფორმის (სოფ. ხაჩეში, ხელედი)

ჯაც-მურყუამ ზედმიწ. „მრუდე კოშკი“, ნაკოშკარი, გადაზნექილია (სოფ. ლაჰილი)

მეშუთე-ზაგარ ზედმიწ. „საფიქალე ზეგანი“, სამოვარი, რელიეფურად – ზეგანია (სოფ. კაერი)

კარ-შუკუტ „აღმართი შუკა“, გზა, ოდნავ დამრეცი (სოფ. იენაში)
 ჯუჭედი ლაროლ „გრძელი სათიბები“, სათიბები (სოფ. კაცხი)
 კვლთხი ბაჩ „მაღალი ქვა“, ლოდი. იელიდან წვირმისკენ მიმავალ გზაზეა მაღალი ქვა, სა-
 ხლზე მაღალია, კომპივიტაა (სოფ. იელი)

ხოშა თეთნულდ „დიდი თეთნულდი“, მწვერვალი (მესტია)

ხორჭა სყელდერ „პატარა სყელდერი“, სამოვარი (სოფ. კახურა)

მაშრი ღარ „ფართო ღარი“, სათიბი, ღარია შუროსავით (სოფ. ჭველიერი, ლევშერი)

კარ-დბ „აღმართი ყანა“, ყანა, დამრეცი ყანა (სოფ. ლობი)

ძელ-გორა „ძელ-გორა“, სამოვარი, ალპურ ზონაშია, რელიეფურად გრძელია (სოფ. (ნანარი)

მეკუტეშტე სტიკ „მოკლე გორა“, გორა (ლენტეხი, სოფ. რცხმელური)

ნარლოდ ტუბრა „მღვრიე ღელე“, ღელე (სოფ. ნაცული)

მურგუტალ დაბ „მრგვალი ყანა“, ყანა (ლენტეხი)

ტებდი ნიცრლ ზედმიწ. „თბილი წყალუკა“, წყარო (სოფ. ჩუკული, ლეკუმბასტი)

მეცხი ნეგბრ „ცივი წყლები“, სამოვარი, წყლები მოედინება (სოფ. იელი)

ქუეირ ლიცრლ ზედმიწ. „ცივი წყალუკა“, წყარო (სოფ. თეკალი)

ლერსგუტან ლბსიპ ზედმიწ. „მარჯვნივ სატრიალო“, გზა იფარიდან კალისკენ, კვირიკე ჩანს
 იქიდან, მიმავალი მარჯვნივსაკენ ბრუნდება ლოცვით (სოფ. ბოგრეში)

სგობინ დაბზრ „წინა ყანები“, ყანები (სოფ. შკედი)...

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, შედგენილობის მიხედვით მსაზღვრელად გვხვდე-
 ბა მარტივი ან ნაწარმოები სიტყვები, ხოლო კომპოზიტი მსაზღვრელი ძალზე იშვიათია:

ლაზ-ლაჩად ღბრ „მისასვლელ-მოსასვლელი ღარი“, სამოვარი, ბილიკი, მთა ბავალაშისკენა
 გადასასვლელი (ლენტეხი, სოფ. ბავარი)

თუეთენ-მეშხე ლაღყუბრ ქაშან „თეთრ-შავი დასაწოლი ქაშანი“, ბილიკი, ჯიხვების სა-
 მყოფ-დასაწოლი (მესტია)...

სიტყვათშეერთებით მიღებულ ტოპონიმებში არა ნაკლებ საინტერესოა საზღვრული სი-
 ტყვის შედგენილობა, შინაარსი თუ პოზიცია. ატრიბუტულ მსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახე-
 ლებში, შედგენილობის მიხედვით ძირითადად გვხვდება მარტივი და ნაწარმოები საზღვრუ-
 ლები:

მეხტრე ტუბიბ „დანგრეული ღელე“, ღელე, კალთებზე ფოთლოვანი ტყე აკრავს (სოფ. ნეს-
 გუნი)

მახე ლახულ ზედმიწ. „ახალი მთაუკა“, სათიბი (სოფ. ახალშენი, ჩიხარეში)

მაშრი ჭალბ „ფართო ჭალა“, სამოვარი მთა (მესტია, სოფ. ჭუბერი)

სიტაღ ლბრე „მრგვალი, სწორი სათიბი“, სათიბი (სოფ. არცხელი)

მურყუბამ კოჯ „კომპი კლდე“, კლდე (მესტია, სოფ. ხაიში)

ხოშა ლეიდრწყ ზედმიწ. „დიდი საარაყო“, კლდე, სამოვარი მთა ლეირაყთან (სოფ. ნაკი)

წგრნი ტუბბრა „წითელი ღელე“, ღელე, პატარა მდინარეა, წითელი ფერის თიხა აქვს (სოფ.
 თოთანი)

ჯუტინელ ნაბოგ „ძველი ნახიდარი“, ნახიდარი (სოფ. შკედი)

ჯუტინელ ნამრლ „ძველი ნაკაფარი“, ტყე (სოფ. არცხელი)...

საზღვრული სახელები მრავალფეროვანია, აღნიშნავენ: ჰიდრონიმებს, ორონიმულ ტერმი-
 ნებს, სხვადასხვა ობიექტების სახელებს, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ად-
 გილთა სახელებს და ა. შ.:

- ზესკი ტუბილ „მშრალი ხევი“, ხევი (სოფ. ჭველიერი)
 მეშხე ჭალაძე „შავი ჭალა“, მდინარე (მესტია, სოფ. ლახუმი)
 ზესკი დელ „მშრალი დელე“, დელე (სოფ. მახაში)
 მეშხე კოჯარ „შავი კლდეები“, კლდე (მესტია, სოფ. ფარი)
 წერნი კამრანძე „წითელი კამარები“, კლდე (სოფ. ქაშვეთ-ლაშთხვერი)
 წერნი ქუანარ ზედმიწ. „წითელი ქვიანები“, სამოვრები, წითელქვიანია (ლენტეხი)
 ხოშა ქუან „დიდი ქვიანი“, ხრამი, კლდეა და სანადიროდაც კარგია (სოფ. ტობარი)
 ჯუბინელ ნაკანტორ „ძველი ნაკანტორალი“, ტყე (სოფ. ხევრა)
 ხოშა ლარა „დიდი სათიბი“, სათიბი (სოფ. ქურაში)
 ლატაფ ცაგდერ „საფერდე ეკლნარი“, ყანა, მოფერდო ადგილი, ბევრი ეკალი იცის (მესტია, სოფ. კიჩხულდაში)
 ლათაშერი ლუმი „საყველე ნაძვი“, შესასვენებელი ადგილი, მთა. გზაზე მიმავალნი მთიდან ან მთაში ისვენებდნენ ერთ „საკულტო“ ნაძვთან, ამოიღებდნენ ყველს, მიირთმევდნენ და იქაც ტოვებდნენ ლუკმისოდენას (მესტია, სოფ. ლეზგარა, ტვიბერი)
 ხოშა ლაჭხალდ „დიდი საჭახანო“, სამოვარი, ლაჭხალდის ქვედა მხარე, ტყიანია (სოფ. ცხუმალდი)
 ჯოდი ლარანდ „გრძელი სათითები“, საბალახო, რელიეფურად გრძელია (სოფ. ლევმერი)
 მეშთუი ღარ „საფიქალე ღარი“, სათიბი, ალაგ-ალაგ ტყე, უფრო შიშველ ზონაშია (მესტია, სოფ. სოლი)
 მეშხე ნენჩა „შავი ხშირი ტყე“, ტყე, ხარობს სოჭი, ფიჭვი, შიგადაშიგ ფოთლოვანი ტყეც (მესტია, სოფ. ბეჩო)
 ლასკნალ ბაჩარ „სახტუნაო ქვები“, სათამაშო (სოფ. ყარიში)
 ლალხუია შუკუ ზედმიწ. „შესახვედრი შუკა“, გზათშესაყარი (სოფ. ლემზაგორი)
 ლალკან შუკუ ზედმიწ. „სახნავი შუკა“, გზა (სოფ. ტვიბლელი, ლანტელი)
 ჯუბინელ ნაშუკუ ზედმიწ. „ძველი ნაშუკარი“, გზა (სოფ. ხაიში)...
- სვანურში ატრიბუტულმსახდვრელიან ტოპონიმებში საზღვრული წევრის საწარმოებლად ხშირად გამოყენებულია კნინობითის -ილ, -გლდ, -ილდ, -ულ, -ოლ, -ოდ სუფიქსები. მსგავს სუფიქსთა დართვა არც ქართულისთვისაა უცხო და სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად გეოგრაფიულ სახელებში მათი სემანტიკა შეცვლილი უნდა იყოს „ტოპონიმიკურ სახელებში დადასტურებულ -ა-ს დღეს კნინობითის ნაწილს უწოდებენ (ყვირილ-ა, ფარავნ-ა) და რიგ სახელებში ის, მართლაც, ამ ფუნქციით იხმარება, მაგრამ გეოგრაფიული სახელების მიმართ ამის თქმა გაჭირდებოდა. აქ მას ქონების, მსგავსების, თვისების მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს“ (ზურაბიშვილი 1961:151):
- ლშმინწ იცხილდ ზედმიწ. „მოსასვენებელი მსხალუკა“, შესასვენებელი (სოფ. ლელბაგი)
 ქუეღარ ლიცნლ ზედმიწ. „გრილი წყალუკა“, წყარო (სოფ. ფანაგა)
 წერნი სგიმგლდ ზედმიწ. „წითელი ვეძუკა“, მჟავე წყალი (მესტია, სოფ. ლადამი)
 ხორჟა ტუბილდ ზედმიწ. „პატარა ხევუკა“, ხევი (სოფ. ბაბილი)
 წერნი ჟერილდ ზედმიწ. „წითელი მიწუკა“, მუხნარი, წითელი ფერის მიწა (სოფ. წირმინდი)
 ნაკ-დაბულ ზედმიწ. „ვაკე ყანუკა“, ყანა, ვაკე რელიეფით (სოფ. ლაჰილი)
 ქაბე ჭალოდ ზედმიწ. „ზედა ჭალუკა“, ვენახი (სოფ. ლესემა)
 ჯოდი ლარილარ ზედმიწ. „გრძელი მინდვრუკები“, სამოვარი (სოფ. ლეზგარა)

ლალცი შუკულ ზედმიწ. „საწყლე შუკუკა“, ნაბილიკარი (სოფ. ახალშენი)

მურგუალ ლაროლ ზედმიწ. „მრგვალი მინდორუკები“, სათიბები (ლენტეხი, ჩოლური, ფანაგა)

მეცხი ლიცილდ ზედმიწ. „ცივი წყალუკა“, წყალი (მესტია, სოფ. მურშკელი)...

რაც შეეხება რიცხვში შეთანხმების საკითხს ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში, შეთანხმების იშვიათი შემთხვევა დასტურდება (ერთი ტოპონიმი დადასტურდა, როცა ორივე წევრი მრავლობითშია), ძირითადად საზღვრულია მრავლობითში მსაზღვრელი კი მხოლოდით რიცხვში, ასევე იშვიათია (ერთი შემთხვევა) მსაზღვრელი მრავლობითში და საზღვრული მხოლოდითში:

ლწლგწრ ნაკწრ „საწყლე ვაკეები“, სათიბები, ვაკე-ფერდობები (მესტია, მურყმელი)

მაშირი ღარწლ „ფართო ღარები“, სამოვარი (ლენტეხი)

მეშხე კოჯარ „შავი კლდეები“, კლდე (მესტია, სოფ. ფარი)

ნაკ დაბწრ „ვაკე ყანები“, ყანები (სოფ. ზ. სგურიში)

წგრნი კვლგლდწრ „წითელი ქვები“, კლდე, ნადირთ ჩასაკეტი (სოფ. ზესხო)

ხოშა ქურწლ „დიდი მოუხვნელი მიწები“, სამოვარი (სოფ. ჩუკული, ლამფალაში)

ხოშა ლწრწლ „დიდი მინდვრები“, სათიბი (სოფ. ნაცული)

მწბრი ლგწრ „ბნელი წყლები“, წყლები (მესტია, სოფ. ნაკიფარი)

ლწგწწწა ლწრტყწლ ზედმიწ. „გასაძვრომი სარტყელები“, კლდე, ვიწრო ბილიკი აქვს (მესტია, სოფ. ცალდაში)

მახე კარწლ „ახალი კარვები“, სამოვარი (სოფ. შყალერი)

მეკუშდა ბოგწრ „მოკლე ხიდები“, სახნავ-სამოვრები (მესტია, სოფ. სგურიში)

ტებდი ლგწრ „თბილი წყლები“, წყარო (მესტია)

ლწთხუწარ კოჯწრ „სანადირო კლდეები“, კლდეები (სოფ. ყორულდაში)

ლ[წ]ლწერ ლწრწლ „სალესი სათიბები“, სათიბები (სოფ. კაერი)

ლწმდლწიწრ სწიფ „დასამარხი მოედანი“, სასაფლაო (მესტია, სოფ. ფხოტრერი)...

მსაზღვრელ-საზღვრულის პოზიციის მიხედვითაც არ გამოირჩევა სვანური სხვა ქართველური ენებისგან, სიტყვათშეერთებით მიღებულ ტოპონიმებში (სხვა ქართველური ენების მსგავსად) პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი სვანურში მეტად იშვიათია, საანალიზო მასალის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას რომ პრეპოზიციურ წყობას ანიჭებს უპირატესობას (რაც ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებშიც ნათლად ჩანს):

თეთნე ტობ „თეთრი ტბა“, ტბა, მოედინება მჟავე წყალი (სოფ. ყარი)

ლერსკუწან ლასწა ზედმიწ. „მარჯვნივ სატრიალო“, გზა მთისკენა გზაზე, საკულტოსნაირი, დასასვენებელი (ჩოლური)

წგრნი ლგწრ „წითელი წყლები“, წყაროები (სოფ. ხევრა)

ხოშა ლახწ „დიდი მთა“, სათიბები (სოფ. ხელედი)

ლასდლუნწლ მეკწ „საბანაო ტბა“, ხელოვნური ტბა აეროპორტისკენა გზაზე (მესტია)

ლწტრალალ სწიკუწ „სათამაშო გორა“, ვაკობი (ლენტეხი, სოფ. ხელედი)

ხოშა დაბ „დიდი ყანა“, სათიბი (სოფ. ლუჯი)

ბწჩმეხუწარ „ქვა-დანგრეული“, ქვიანი ადგილი (მესტია, იფრარი, კალა), კლდე (სოფ. ბოგრეში, იფარი)

გწიჯ-მენგერა ზედმიწ. „წაბლ-მაღალი“, სამოვარი, წაბლი დგას დიდი (ლენტეხი, სოფ. კახურა)...

როგორც აღმოჩნდა, სვანურისათვის უკავშირო სიტყვათშეერთებით მიღებული ტოპონიმებია დამახასიათებელი, ხოლო კავშირიანი კომპოზიტი ტოპონიმები იშვიათია, რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა გენეტიურმსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახელებთან და ისინი ორი პირის კუთვნილ გეოგრაფიულ ადგილს ან ახლოს მდებარე პუნქტებს გამოხატავენ:

გუჩაშა ი ალფშა მურყუამ „გუჩასანი[სა და ალფისანი[ს კოშკი“, ნაკოშკარი, ნახევრად და-
ნგრეული (მესტია, ქაშვეთი, ლენჯერი)

გიორგიშ ი ლემინიშ ნაკრაჟ „გიორგისა და ლემინის ნაკარვალი“, ნაკარვები (მესტია, ტვი-
ბერი, ცხუმარი)

ლაშამბულწარიში ი გოლჰა ქაშან „შამბნარებისა და ციცაბოს ქაშანი“, ბილიკი (სოფ. გული-
და)

ჩუბე ი ჟიბე ცალერ „ქვემო და ზემო ცალერი“ (სოფ. ცალერი)...

წარმოდგენილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ზოგჯერ კომპოზიტი ტოპონიმებში ადრე მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება (რისი მიხედვითაც უნდა მომხდარიყო სახელდება) აღარ შეესაბამება თანამედროვე მდგომარეობას, თუმცა ასეთი ტოპონიმები საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისით, ვინაიდან კონკრეტული ადგილისთვის დამახასიათებელ ინფორმაციას გვაწვდიან.

არსებული და განხილული მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია და სხვადასხვა ნიშნის მიხედვით აფასებს თუ ახასიათებს ამა თუ იმ გეოგრაფიულ ობიექტს. განხილულ ტოპონიმებში, ვინაიდან, მთელი შესიტყვება გვაქვს, მსაზღვრელ-საზღვრულის მეშვეობით კარგად ჩანს, ტერიტორიული მახასიათებელი, დასახლებული თუ აუთვისებელი პუნქტის წარმოშობა, სივრცითი მიმართება ან კუთვნილება ამა თუ იმ საგნისა თუ სუბიექტისადმი.

ანთროპონიმთაგან წარმოებულ გენეტიურმსაზღვრელიან ტოპონიმებში, მსაზღვრელი ძირითადად გამოხატავს სახელდება ობიექტის კუთვნილება-დანიშნულებას, ან ამ ობიექტის აღმომჩენს და კონკრეტულ ობიექტთან რაიმე ნიშნით დაკავშირებულ სუბიექტს, ასევე პირთა ჯგუფს რომელიც ტოპონიმით აღნიშნულ ადგილას ცხოვრობს თუ ცხოვრობდა.

ვინაიდან არ არსებობს რიცხვის მიხედვით დამოკიდებულება გენეტიურ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის, აქედან გამომდინარე მხოლოდ რიცხვში მდგომ მსაზღვრელთან დაკავშირებული საზღვრული შეიძლება მხოლოდით ან მრავლობითში შეგვხვდეს, ასევე შეიძლება მრავლობითში დასმული მსაზღვრელი დაუკავშირდეს მხოლოდით ან მრავლობით რიცხვში მდგომ საზღვრულს. ეს წესი უგამონაკლისოდაა დაცული კომპოზიტი გეოგრაფიულ სახელებშიც და ამისი უამრავი მაგალითი იქნა წარმოდგენილი. ხოლო რაც შეეხება რიცხვში შეთანხმების საკითხს ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში, შეთანხმების იშვიათი შემთხვევა დასტურდება.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი შედარებით მყარია ზემოსვანურ ტოპონიმებში, ხოლო ქვემოსვანურში ძირითადად თანხმოვნითი ნაწილი მოკვეცილია.

სხვა ქართველური ენების მსგავსად, ძალზედ იშვიათია მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული რიგი და ორივე შემთხვევაში, როგორც ატრიბუტულმსაზღვრელიან, ისე მართულმსაზღვრელიან ტოპონიმებში ჭარბობს პრეპოზიციური წყობა.



ლელა გიგლაშვიანი

სვანურ ჰიდრონიმთა აგებულების შესახებ

ჰიდროლექსიკა ენის სიტყვიერი მარაგის ერთ-ერთი უძველესი და საყურადღებო უბანია. ჰიდრონიმები დამოუკიდებელ ან განკერძოებულ ლექსიკურ ფენომენს არ წარმოადგენს. იგი ენის ლექსიკური შემადგენლობის განუყოფელი ნაწილია და ტოპონიმებთან ერთად იმეორებს საკუთარი სახელის ყველა ძირითად თავისებურებას სტრუქტურით, წარმოქმნით, წინადადებაში მოხმარებით ჰიდრონიმი ენის ისეთივე ერთეულია, როგორც ცალკე აღებული საკუთარი სახელი, ბრუნებადი სიტყვა თუ სიტყვათშეერთება [მაღრაძე 2003: 13]

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, ჰიდრონიმებს გარკვეული სპეციფიკური ნიშნებიც ახასიათებს. ისინი ტოპონიმთა უძველეს ფენას წარმოადგენენ (ს. ჯანაშია, ს. კაკაბაძე, ს. მაკალათია...) და, სხვა ტოპონიმებთან შედარებით, მეტი სტაბილურობითაც ხასიათდებიან.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც დაისმის რეგიონურ ტოპონიმოლოგიაში ჰიდრონიმებთან დაკავშირებით, არის წყლის აღმნიშვნელ გეოგრაფიულ ტერმინთა შეფარდებითი პროდუქტიულობა.

ქართულ ტოპონიმიაში გავრცელებულია ჰიდრონიმთა ნომინაციის რამდენიმე სახეა: გაუფორმებელი, ჰიდროფორმანტი წარმოქმნილი, ინდიკატორთა მონაწილეობით ნაწარმოები.

ჩვენი კვლევის ინტერესს ამჯერად წარმოადგენს ძირეულ და წარმოქმნილ ჰიდრონიმთა სტრუქტურული ანალიზი.

წარმოების თვალსაზრისით ჰიდრონიმები დიდად არ განსხვავდება სხვა ტოპონიმებისაგან. განსაკუთრებით საინტერესო სურათს იძლევა ის მიკროჰიდრონიმები, რომელიც დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ა. ჭკადუას ხელნაწერ შრომაში, „სვანეთის ტოპონიმოლოგია“ (ნაშრომი დამუშავებულია კომპიუტერულად და მზადდება გამოსაცემად არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების თანამშრომელთა მიერ – რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით).

ზოგადად ჰიდრონიმული მასალის სიუხვეს განაპირობებს შესწავლილი რეგიონის რელიეფის სპეციფიკა. ლანდშაფტურად მრავალფეროვან სვანეთში, მთა-გორები, დიდი თუ პატარა მდინარეები, შენაკადები, ლელე-ნაკადულები, მჟავე წყლები, მთებში უამრავი პატარ-პატარა ტბები სახელდებულია ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ და მდიდარ მასალას წარმოადგენს ტოპონიმოლოგიური კვლევისათვის.

სვანური ჰიდრონიმები, სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სამ ძირითად ჯგუფად იყოფა:

1. უაფიქსო, მარტივი სახელები;
2. აფიქსებით ნაწარმოები, წარმოქმნილი სახელები (დერივატები);
3. რთული შედგენილობის სიტყვა-შეერთებანი (კომპოზიტები);

ამჯერად განვიხილავთ ძირეულ და წარმოქმნილ ჰიდრონიმულ ტერმინებს.

ძირეული ჰიდრონიმი სვანურში, ისევე როგორც ქართულში, ჩვეულებრივი სახელია, რომლის სტრუქტურული თავისებურება ის არის, რომ სხვა საკუთარ სახელთა მსგავსად მრავლობით რიცხვს ვერ აწარმოებს [მაღრაძე 2004:35]

სვანური ძირეული ჰიდრონიმების შემადგენლობაში ძირითადად შემდეგი აპელატივებია წარმოდგენილი: **ლიც/ნიც** „წყალი“, **ჭალა** „ჭალა, მდინარე, მდინარის პირი“, **ტუბ//ტუბი, ტუბირა** „ღელე, ხევი“, **ტუბა, ჭუბ** „ტბორი, ჭაობი“, **სარაგ** „წყარო“, **სგიმ** „მჟავე წყალი“, **ტობ** „ტბა“, **ღარ** „ღელე“, **ჭყიბ, ჭყებ** „ჭაობი“ **მორელ** „წყარო“ და ა. შ.

ზემოთ ჩამოთვლილი საზოგადო სახელები გარკვეული ობიექტის აღსანიშნავად გამოიყენება. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ მათ საშუალო ადგილი უჭირავთ საზოგადო სახელთა კლასსა და ტოპონიმთა კლასს შორის. „საზოგადო სახელთა კლასიდან გამოსული არიან, მაგრამ ჯერ არ არიან შესულნი საკუთარ სახელთა კლასში“ [ცხადაია 1985: 45]

ძირეული ტოპონიმი ქართველურ ტოპონიმიაში შედარებით მცირე რაოდენობით გვხვდება. ბუნებრივია მათი წილი ჰიდრონიმებშიც მცირეა. აქვე აღვნიშნავთ, რომ წყლის აღმნიშვნელ საზოგადო სახელთა გამოყენება ინდიკატორის ფუნქციით რთულ ჰიდრონიმებში მრავლად გვხვდება.

მარტივფუძიანი ძირეული ტოპონიმები გეოგრაფიული სახელწოდებების ერთ-ერთ უძველეს ფენას განეკუთვნება და მათი უმრავლესობა რელიეფის ამსახველია (ხევი, ქედი, მთა მდინარე, ტბა...)

მარტივი ჰიდრონიმები გვხვდება სხვადასხვა სემანტიკურ ჯგუფებში:

მდინარეები: **მებრა** (ჩოლური, მუწვდი), **მარლი** (მესტია), **ლაშხირ** (ლენტეხი)

ტბები: **მგჰ ტბა** (მესტია, დავბერი), **ლატუბა** ტბა, **მუნყუელ** ტბა (მესტია, ფარი)...

ღელეები: **მედამ** (მესტია, უშგული), **გნი** (მესტია, ეცერი), **მაქელდანი** (მესტია, გვალდერი)...

წყაროები: **გაყუ** (მესტია, ლახამულა), **გუბი** (მესტია, ლახამულა), **ლეშუზ** (სოფ. სიდიანარის დასახლება, **მაჭურჯ** (მესტია, უშგული)...

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ტოპონიმების უძველეს ფენას მარტივფუძიანი სახელები და დიდი მდინარეების სახელწოდებები – ჰიდრონიმები ქმნიან (ვ. გეორგიევი, ვ. ნიკონოვი, ა. დულზონი)

მარტივფუძიან სახელებს სიხშირე-პროდუქტიულობის თვალსაზრისით უპირისპირდება აფიქსური წარმოების გეოგრაფიული სახელები. აფიქსაცია ძლიერ გავრცელებული და პროდუქტიული საშუალებაა. მარტივი ტოპონიმებიდან ვიღებთ როგორც ნაწარმოებ, ასევე თხზულ ტოპონიმებსაც. რაც შეეხება, წარმოქმნილ ჰიდრონიმულ ტერმინებს, მათ ძირითადად სუფიქსური წარმოება ახასიათებთ. ყველაზე ხშირად გვხვდება **-ურ-ა, -ურ-ა, -ულ-ა, -ერ-ა, -გრ-ა** ტოპოფორმანტიით ნაწარმოები მდინარეთა და ღელეთა სახელები (**ხაიშ-ურ-ა, მულხ-ურ-ა, კელდ-ურ-ა, თეკლ-ურ-ა, ლეგურ-ულ-ა, ვედრ-ულ-ა, თეთნაშერა//თეთნაშერა, ლაქვამ-გრ-ა, ჰადრ-გრ-ა** და ა.შ) აღნიშნული სუფიქსები საკმაოდ არის გავრცელებული ქართველურ ტოპონიმიაში.

ჰიდრონიმებში გამოყენებულია სხვა აფიქსებიც:

-იშ, -აშ, -ამ... ფორმანტი: **ჭიბრ-იშ, შდემილ-აშ, შგედილ-აშ, ლაქუბ-აშ, გუგუ-აშ, გოგა-ამ...**

-არ, -ალ ფორმანტი: **ჭყებ-არ, ლაფნ-არ, ლაშხტი-არ, ქუბიშ-ლ-არ, ლაქუენ-არ, ღარ-ალ...**

საყურადღებოა კნინობით-სუფიქსიანი (**-ილდ, -გლდ -ილ, -ილ, -გლ, -ოლ**) ჰიდრონიმები: **ლიც-ილდ, წერნ-გლდ, ნიც-ილ, მეშხ-ილ, ლატუგ-ილ, მაჭუფ-ილ, კირ-ილ, გირგუდ-ილ სარგ-გლ, მეშხ-ოლ...**

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს **სარაგ** „წყაროს“ სიხშირე მიკროჰიდრონიმებში. **სარაგ** ძირეული გაუფორმებელი სახით ძირითადად წყაროს აღნიშნავს, მაგრამ, ამავე დროს, სათიბის, ყანის, სამოვრის, ტყის და სხვა ობიექტების სახელადაც დასტურდება, მაგ: **სარაგ-ალ, სარგ-ალ, სარგ-არ**

„წყაროები“ ეწოდება სხვადასხვა ადგილს, სათიბს ან სამოვარს, მითითებულია, რომ შორიახლო წყაროები ჩამოდის.

სარაგ-აშ, სარგ-აშ „წყაროსი“ აღნიშნავს სახნავ ფართობს, ტყეს, ყანას, სამეფარს

სარაგ-გლ, სარგ-გლ „პატარა წყარო“, გვხვდება ყანის სახეად.

სარგ-გლდ-აშ „პატარა წყაროსი“ სათიბის სახელწდებაა, აღნიშნული ლექსემა განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობს რთულ ჰიდრონიმების წარმოქმნაში. ასეთივე პროდუქტიულობით გამოირჩევა ზოგიერთი ჰიდროაპელატივი.

ბუნებრივია, ჰიდრონიმებში ისევე, როგორც მთლიანად სვანურ ტოპონიმიაში, ნათლად ჩანს სვანეთის რელიეფის თავისებურებანი.



ლელა გიგლაშვიანი

ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა სვანურ ტოპონიმებში

გეოგრაფიულ სახელთა აღნუსხვა, მათი გენეზისი და სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ეხმარება ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებს, არქეოლოგებს ხალხთა ისტორიის, მათი ყოფა-ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევაში. ტოპონიმია, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, „ერთადერთი წყაროა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად, იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობითი გადმოცემის შუქი ვერ სწვდება“ (ჯანაშია 1959, 117-123)

ცნობილია, რომ ზოგადად ტოპონიმური მასალის სიუხვეს განაპირობებს აღნიშნული რეგიონის რელიეფის სპეციფიკა. ლანდშაფტურად მრავალფეროვან სვანეთში, მთა-გორები, დიდი თუ პატარა მდინარეები, შენაკადები, ღელეები, ტბები, მთები, სათიბები... სახელდებულია ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ და მდიდარ მასალას წარმოადგენს ტოპონიმური კვლევისთვის.

სვანურ ტოპონიმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფერთა აღმნიშვნელ ლექსიკას.

ამჯერად ჩვენი საანალიზო მასალა გახლავთ ა. ჭკადუას ხელნაწერი ნაშრომი „სვანეთის ტოპონიმია“ (მასალა დამუშავებულია კომპიუტერულად და მზადდება გამოსაცემად არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში, შ. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით), სწორედ ამ მასალაზე დაყრდნობით შევეცდებით გავაკეთოთ ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის შემცველი სვანური ტოპონიმების სტრუქტურული ანალიზი.

როგორც გარკვეულია, სვანურში, მეგრულისა და ლაზურის მსგავსად, გვაქვს, საკუთრივ სვანური და, აგრეთვე, ნასესხები ფერის ტერმინებიც. თუ ლაზურში ტერმინები ნასესხებია თურქულიდან, სვანურში, ისევე როგორც მეგრულში, ტერმინები ნასესხებია ქართულიდან. საკუთრივ სვანური წარმოშობის ტერმინებია: თ ზეთუნე (თეთრი), მეშხე (შავი), წგრნი (წითელი). სამივე ეს ტერმინი ბაზისურობის კრიტერიუმის ყველა პუნქტს აკმაყოფილებს და უდავოდ ბაზისური ფერის ტერმინებია [სოსელია 2009, 132]. სწორედ ეს ლექსიკური ერთეულები გვხვდება ძირითადად სვანურ ტოპონიმებში.

ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

ა) უაფიქსო, მარტივი სახელები; ბ) აფიქსებით ნაწარმოები, წარმოქმნილი სახელები (დერვიკატივი); გ) კომპოზიტები; დ) რთული შედგენილობის სიტყვა-შეერთებანი.

ა) უაფიქსო მარტივი სახელებიდან ძირითადად გვხვდება, მეშხე (შავი), წგრნი (წითელი).

თჷეთუნე (თეთრი) როგორც მარტივი ტოპონიმი არ შეგხვედრია, ამბაკო ჭკადუას მასალაში.

მეშხე „შავი“ კლდის სახელწოდებად გვხვდება მესტიაში, კერძოდ სოფ. ცალდაში. ეს არის მდინარე წანერგლას მარცხენა კალთის სანადირო კლდე, რომელიც შავი ფერის შთაბეჭდილებას იძლევა.

წერან „წითელი“, როგორც მარტივი ტოპონიმი გვხვდება როგორც მთის, ასევე კლდის სახელწოდებად.

წერან სამოვარი, მთა, სოფ. კიჩხულდაში. ამ ადგილას ტყეც და კლდეც მოწითალოა.

წერან კლდის სახელად გვხვდება სოფ. უსგვირში, ჭალაის მარჯვენა კალთაზე. ეს კლდე კი წითელი ფერისაა.

ბ) რაც შეეხება წარმოქმნილ სახელებს, მათ ძირითადად სუფიქსური წარმოება ახასიათებთ, გვხვდება:

1. ნათესაობითი ბრუნვის -**წმ**, -**ამ**, -**წმ** ფორმანტით ნაწარმოები ტოპონიმები:

თეთნ-წმ „თეთრისა“, სამოვარის სახელია;

მეშნ-წმ „შავისა“, სათიბი, საზაფხულო მთა, შავთიხიანი ადგილია;

მეშნ-წმ „შავის“, სათიბები, ლემსიის მთაში;

წერნ-ამ „წითლის“, სამოვარი, სასაშის სამხრეთით, აქვე მოედინება მყავე წყალი;

წერნი-წმ „წითლის“, კლდე სოფ. ივარის მხარეს, მოწითალო ფერის.

წერანი-ამ „წითლის“, სამოვარი, სოფ. დურაშისა და საყდრის მთაში წყლის მიერ გაწითლებული ადგილია.

2. მრავლობითი რიცხვის -**არ**//**-წრ**, -**ალ** ფორმანტიანი წარმოება:

თეთროლ-წრ „თეთრები“ კლდის სახელწოდება;

მეშნ-არ „შავები“ კლდე სოფ. უსგვირში, სანადირო კლდეებია, შავი ფერის;

მეშნ-წლ კლდე (მესტია, ცალდეში) შავი ფერის კლდე, საჯიხვე.

წერნი-ალ -კლდე „წითლები“ კლდე (სოფ. ტვიბი), ალპურ ზონაში მოწითალო ფერის კლდიანი მხარე;

წერნ-წრ/**წერნი-წრ**/**წერნიწლ** – კლდე, სოფ. მულახი, მოწითალო ფერის კლდე.

3) საყურადღებოა ასევე კნინობით-სუფიქსიანი (-**ილდ**, -**გლდ**, -**ულდ**, -**ილ**, -**ილ**, -**გლ**) სახელები:

თეთნ-ულდ-წმ ზედმიწ. „თეთრუკასი“ სამოვარია ზესხომი;

მეშნ-ილ ზედმიწ. „შავუკა“ ღელე მესტია ყაზაყის ტერიტორიაზე. მდინარე არის შავი ფერის;

მეშნ-ოლ ზედმიწ „შავუკა“ ღელე, სოფ. ხევრა. ღელე და კლდე ორივე შავი ფერისაა;

წერნელდ – ზედმიწ. „წითლუკა“ გზა სოფ. იელიში. აქ თიხა წითელი ფერისაა.

გ) კომპოზიტიური წარმოების მხოლოდ ორი მაგალითი დაფიქსირდა: **თეთრნახშირა** // **თეთნაშგრა** მდინარე, ღელე, მოიპოვება მოთეთრო სალესი ქვა. შესაძლოა მომდინარეობდეს თეთნა+შირა-დან.

თეთრიღალა „ზედმიწ. თეთრიღელე“ ღელე, ლენტეხი, რცხმელური.

დ) რაც შეეხება შესიტყვებებს, ისინი შედგება მსაზღვრელ-საზღვრულისაგან, სადაც მსაზღვრელი სახელი აზუსტებს, მეტ ინფორმაციას გვაწვდის საზღვრული სახელის შესახებ.

აღნიშნულ შესიტყვებებში მსაზღვრელი სახელი ფერთა აღმნიშვნელი (თუთენე „თეთრი“, მეშხე „შავი“, წერნი „წითელი“) სიტყვებია, საზღვრული სახელები კი მრავალფეროვანია, აღნიშნავენ: ჰიდრონიმებს, ორონიმულ ტერმინებს, სხვადასხვა ობიექტის სახელებს, სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ადგილთა სახელებს და ა.შ.

საანალიზო მასალაში კომპოზიტთა ნაწილი ატრიბულტულმსაზღვრელიანია, ნაწილი კი

გენეტიურმსაზღვრელიანი.

ატრიბუტულმსაზღვრელიანი კომპოზიტებია:

თეთნე ტობ „თეთრი ტბა“ ტბა სოფ. ყარში;

თეთნე ფოქ „თეთრი გამოქვაბული“ გამოქვაბული, რომელიც თეთრი ფერისაა, კირიანი ადგილია.

თეთნე ლიც „თეთრი წყალი“ ჭალა, სოფ გულაში;

მეშხე ტუიბ „შავი ტბა“ ღელე, მდინარე მესტიაში. შავი ფერის;

მეშხე ღელა – „შავი ღელე“ ღელე სოფ. ხელედში;

მეშხე ყუმბილ – „შავი კომბალი“ კლდე, მესტია, მულახში. შავი ფერის კლდეებია;

წერნი ტობ „წითელი ტბა“ მუქი ფერის ნიადაგია ამ ადგილას;

წერნი სგიმრლ „წითელი მჟავე წყალი“ სათიბი, სოფ. ნაცულში. მოედინება წყალი, წითელი ფერის;

წერნი ქუან – „წითელი კლდე“ წითელი ჭიუხვი ყანები, წითელი ქვებთ და კლდეებით;

ყუითელ ტობ „ყვითელი ტბა“ ტბა მესტიაში.

რაც შეეხება რიცხვში შეთანხმების საკითხს ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში, როგორც მოსალოდნელი იყო (სხვა ქართველური ენების მსგავსად, სვანურშიც პრეპოზიციური მსაზღვრელი რიცხვში არ ეთანხმება საზღვრულს). მსაზღვრელი მხოლოდითშია, საზღვრული მრავლობითში:

თეთნე კოჯჯარ „თეთრი კლდეები“ კლდე, თეთრი ფერის, კირიანი კლდე.

წერნი კგლგლდარ „წითელი ქვები“ კლდეები, კლდიანი მხარე. ნადირთ ჩასაკეტი (სოფ. ზესხო)

წერნი ლგცარ „წითელი წყლები“ წყაროები, სოფ. ხევრა.

მეშხე კოჯარ „შავი კლდეები“ კლდე (მესტია, სოფ. ფარი);

მეშხე ლგცარ „შავი წყლები“ ყანები. სოფ. გულიდაში მოედინება წყლები, სადაც შავი თიხაა.

ჭერელ შუკუარ „ჭრელი გზები“ გზა, საცალფეხო ბილიკი...

მსაზღვრელ-საზღვრულის პოზიციის მიხედვითაც არ გამოირჩევა სვანური სხვა ქართველური ენებისგან, სიტყვათშეერთებით მიღებულ ტოპონიმებში (სხვა ქართველური ენების მსგავსად) პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი სვანურში მეტად იშვიათია, საანალიზო მასალის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სვანური პრეპოზიციურ წყობას ანიჭებს უპირატესობას (რაც ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებშიც ნათლად ჩანს).

ფერთა აღმნიშვნელი სიტყვები გენეტიურ მსაზღვრელად უხვად გვხვდება კომპოზიტებში:

მეშხოლანშ წესხოლ „შავის ძირი“ კლდის ძირი, სოფ. ხევრაში

მეშხოლანშ სტიკუ „შავის ბილიკი“ ქედი სოფ. ხევრა.

მეშხანში ტუბრა „შავის ტბა“ ღელე, მესტია, ჰადიში.

წერნიანშ გორანგ „წითლის გორა“ სამოვარი სოფ. ეცერში

წერნიანშ ნატყიცუ „წითლის ჩამონაწყვეტი“ ხრამი, მოწითალო ფერის თიხით.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, შედგენილობის მიხედვით მსაზღვრელად გვხვდება მარტივი ან ნაწარმოები სიტყვები, ხოლო კომპოზიტი მსაზღვრელი ძალზე იშვიათია, დავასახელებთ ერთ მაგალითს:

თუენე-მეშე ლალყუარ ქაშან „თეთრ-შავი დასაწოლი ქაშანი“ ბილიკი, ჯიხვების სამყოფ-
დასაწოლი (მესტია)...

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურში საკმაოდ ხშირია ფერთა აღმნიშვნელი სიტყვები ტოპონიმებში. ისინი გხვდება როგორც მარტივი ფუძეების, ისე დერივატების სახით, ასევე ატრიბუტულ და გენეტიურ შესიტყვებებში. არსებული მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია და სხვადასხვა ნიშნის მიხედვით აფასებს ან ახასიათებს ამა თუ იმ გეოგრაფიულ ობიექტს და ამ შეფასებაში ნათლად ჩანს სახელდების განმაპირობებელი თუ გამომწვევი მიზეზი.



მეფა სალიანი

ზოგი სვანური ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის

ჩვენი ადრინდელი ნაშრომები სვანური ტოპონიმების შესახებ ძირითადად აღწერითი ხასიათის გახლდათ (იხ. სალიანი 2013ა:174-180; სალიანი 2013ბ:162-171), ამჯერად კი შეძლებისდაგვარად წარმოვადგენთ ქვემო სვანეთის ერთ-ერთი ულამაზესი ხეობის, ჩოლურისა და მისი სოფლების სახელწოდებათა (ჭველიერის, თეკალის, ლეუშერის, ფანაგის, ქუნიშის, მამის, ჭველფის, საყდრის, დურაშის, ბულეშის, ტვიბის, ზაგალოდის, ედიყის, შტვილის, მურყმელდისა და სხვ.) სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს როგორც ჩვენ მიერ წლების განმავლობაში საველე პირობებში მოპოვებულ მრავალფეროვან მასალაზე, ასევე ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ (ჩოლურული კილო) ლექსიკონზე“ (1998) დაყრდნობით. ცხადია, პუბლიკაციაში არის მცდელობა თითოეული ტოპონიმის ეტიმოლოგიური გააზრებისა და ონომასტიკურ ერთეულთა სახელდებაში ლინგვისტურთან ერთად ექსტრალინგვისტური ფაქტორების წარმოჩენისა.

1. ჩრლირ/ჩრლურ – ხეობა, თემი ქვემო სვანეთში

ხეობის აღმნიშვნელ სვანურ ტოპონიმში – ჩრლ-ირ/ჩრლ-ურ გამოიყოფა ჰიდრონიმების მაწარმოებელი -ირ/-ურ ბოლოსართი, ძირია ჩრლ-, რომელიც უნდა მომდინარეობდეს ჩჷალ „მეწყერი, ზვავი“¹ (შდრ. ზს., ქს. ჩჷალ/ჩჷალ „მეწყერი“) ლექსემისაგან ჷა → რ, შესაბამისად კი ტოპონიმი ქართულად უნდა განიმარტოს როგორც ნამეწყრალი/მეწყერიანი. რაც შეეხება -ირ/-ურ ბოლოსართებს, მათგან პირველადი ჩანს -ურ სუფიქსი, -ირ კი -ურ სუფიქსის ნაუმლაუტარი (ჩრლ-ირ < *ჩჷალ-ჷირ < *ჩჷალ-ურ).

შენიშვნა: სოფელ საყდრის მდინარის სახელწოდება ჩოლშურ[ა]-ც სწორედ ჩჷალ ფორმისაგან უნდა მომდინარეობდეს ჰიდრონიმთა მაწარმოებელი -შურ[ა] სუფიქსით (შდრ.: ცენ-შურ, ცხენ-შურ, დობ-შურ, ხანნ-შურ, აშხა-შურ, ლამანა-შურ და ა. შ. – გაზდელიანი 2011:10), თუმცა, ჩვენი ვარაუდით, -შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისნეული (-იშ) თანხმოვნითი ელემენტი უნდა იყოს (საკითხი საკვლევი!).

მოვიყვანო საილუსტრაციო მასალას

¹ საინტერესოა, რომ ჩჷალ „ზვავი“-ს მნიშვნელობით ჩოლურული მეტყველების გარდა სვანურის არც ერთ დიალექტსა და კილოვანში არ დასტურდება (შდრ. ზს., ლნტ. ჩჷალ, ბქ., ლშხ. ჩჷალ „მეწყერი“). სემანტიკურ გადაწყვეასთან გვაქვს საქმე ჷამ ლექსემის შემთხვევაშიც, რომელიც ჩოლურულ რესპონდენტთა თქმით უმეტესად მეწყერთან ასოცირდება და არა ზვავთან, როგორც სვანურის სხვა დიალექტებში (შდრ. ზს, ჷპპ, ლშხ. ჷამ, ლნტ. ჷპ „ზვავი“).

თეკალ ლას ჩრლირი ლახტრიელ (მივლინ. მასალ., მთქმელი: იზო ბენდელიანი, სოფ. საყდარი, 51 წლისა) „თეკალი იყო მთელი ჩოლურის შესაკრებელი ადგილი (ზედმიწ. – თეკალ-ი იყო ჩოლურ-ის შესაკრებელი)“

ჩრლირი მოსწავლელი მწხრე-მწმტეისა მაგ ითრუდახ ჩრლირი საშუალო კლასისა (მივლინ. მასალ., მთქმელი: იზო ბენდელიანი, სოფ. საყდარი, 51 წლისა) „ჩოლურის მოსწავლეები მეცხრე-მეთექვსმეტეში ყველანი სწავლობდნენ ჩოლურის საშუალო სკოლაში (ზედმიწ. – ჩოლურ-ის მოსწავლე-ებ-ი მე-ცხრ-ე-მე-ათ-ე-ში ყველა სწავლობდნენ ჩოლურ-ის საშუალო კლას-ში)“

ჩრლირს ეკლესია ერ ედინ, ეჩქა სასაფლაოც ქწლიელი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ჟორა ხაბულიანი, სოფ. მუწდი, 85 წლისა) „ჩოლურში ეკლესია რომ წალეკა [მეწყერმა], მაშინ სასაფლაოც წალეკა (ზედმიწ. – ჩოლურ-ს ეკლესია რომ წალეკულ იქნა, მაშინ სასაფლაო-ც წალეკულა)“

თელ ჩრლურს ეშხუ ბელელ ხრგდა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „მთელ ჩოლურს ერთი ბელელი ედგა“

ქოხბინ ლიმშიე ჩოლური კლასისა მათემატიკან მასწავლებელ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნოდარ ბაბლუანი, სოფ. ლეუშერი, 75 წლისა) „მუშაობა დავიწყე ჩოლურის სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად (ზედმიწ. – დავიწყე მუშაობა ჩოლურ-ის კლას-ში მათემატიკ-ის მასწავლებლ-ად)“

მი ხტი გურჯან ჯამბურიძე, მეზგე სოფელ ფანაგას ი ხტამშიე ჩოლური საშუალო კლასისა ბულტალტერდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: გურჯან ჯამბურიძე, სოფ. ფანაგა, 50 წლისა) „მე ვარ გურჯან ჯამბურიძე, მცხოვრები სოფელ ფანაგაში და ვმუშაობ ჩოლურის საშუალო სკოლაში ბულალტერად (ზედმიწ. – მე ვარ გურჯან ჯამბურიძე, მოსახლე სოფელ ფანაგას და ვმუშაობ ჩოლურ-ის საშუალო კლას-ში ბულალტერ-ად)“...

2. ჭოლიერ/ჭტელიერ//ჭტერიერ – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი

თუ ინფორმატორთა მიერ მოწოდებულ ხალხურ ეტიმოლოგიას დავეყრდნობით, ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი უძველესი სოფლის სახელწოდება ჭოლიერ/ჭტელიერ-იც ჩტალ „მეწყერი“ სიტყვისაგან მიღებულ ფორმად უნდა მივიჩნიოთ, თუმცა, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გაცილებით უფრო რთულ ფუძესთან გვაქვს საქმე. ცხადია, უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია ჭოლ-/ჭტელ- ძირის სემანტიკა სვანურში და შემდგომ მისი ქართველური შესატყვისები უნდა დაიდებნოს.

საველე პირობებში მოძიებული მასალების მიხედვით, ჭტელიერ-ის უძველესი სახელწოდება ყოფილა ჩტალიერ-ი (ანუ ნამეწყრალი/მეწყერიანი ადგილი). სოფლის დღევანდელი სახელწოდება კი შედარებით ახალ ფორმადაა მიჩნეული და იგი, თუკი ხალხურ ეტიმოლოგიას დავეყრდნობით, სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გავლით უნდა მიგველო ჩტალ „მეწყერი“ ლექსემისაგან. ასეთ შემთხვევაში კი საანალიზო ტოპონიმის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

*ჩტალ-მერ ← *ჩტელ-მერ ← *ჩოლ-მერ ← ჭოლ-მერ (შდრ. ერთი მხრივ, ხს. ჭკჭკნდ, ლხმ. ჭკჭკნდრა და, მეორე მხრივ, ლშხ. ჩკჭკნდ, ლნტ. ჩიჭკნდ, ჩოლ. ჩიჭინდ „ტირიფი, ძეწნა), რაც

შეეხება **ჭტელიერ** ფორმას, იგი შედარებით ახალი წარმოქმნილი ჩანს **ჭოლიერ**-ისაგან (ო → ტე), თუმცა საანალიზო ფუძის როგორც სემანტიკა, ასევე ფონეტიკური ტრანსფორმაცია ჩვენ სხვაგვარად წარმოგვიდგენია.

სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში დასტურდება ერთი ფრიად საინტერესო ლექსიკური ერთეული **ლინჭტერე** „გაკაფვა/ამოძირკვა/გაწმენდა ქვალორლისგან“, რომელიც არც ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანურ ლექსიკონში“ არ გვხვდება და არც დღემდე ცნობილ არც ერთ სვანურ პუბლიკაციაში. ვფიქრობთ, **ლინჭტერე** ფორმაში ძირად გამოიყოფა **ჭტერ-**, **ლი-** – ე კი მადარის მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსია, რაც შეეხება ნ'ს, იგი ამკარად ფონეტიკური დანართია. ცხადია, სამებნია აღნიშნული ფუძის ქართველური შესატყვისები რის საფუძველზეც საშუალება გვექნება გავარკვიოთ საანალიზო ტოპონიმის – (**ჭოლიერ/ჭტელიერ-**ის) თავდაპირველი სემანტიკა.

ვინაიდან სვანურში ჩვენთვის მეტად საინტერესო არქაული სიტყვა – **ლინჭტერე** გამოვავლინეთ, ვფიქრობთ, ჩვენი ეტიმოლოგიური გააზრება ზემოთ აღნიშნული ტოპონიმისა – **ჭოლიერ/ჭტელიერ** უფრო სარწმუნო და დამაჯერებელი გახდება. და სანამ სიტყვის ლინგვისტურ ანალიზზე გადავალთ, მეტი დამაჯერებლობისთვის, მოვიყვანთ ნაწყვეტს ჩვენ მიერ ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში (1993 წელს) ბალსქვემო სვანეთში, კერძოდ, სოფელ ნაკრაში 59 წლის ვენერა ვიბლიანისაგან ჩაწერილი ერთ-ერთი ტექსტიდან **ნაკრა ი ჭუბერ** „ნაკრა და ჭუბერი“:

ამჟი მასმა ხომოლუხენქა, ერე ეშხუ დრეუქა თათრარ როქ ახშედახ სგა ი ნაკ ი ჭუბერ როქ ჟ'ოხხტიტახ (ერქას ჭუბერს სალ ხაჟხენა ი ნაკს – ფაჟ). თათრარს ლაჭუმძარ მანგ ჩ'ოთხტირახ ნენწელთექა, ამქადიამქად მანშედ ლაშგარ ომჯედ ი თათრარს ჟი ლეჭტენი ხარენახ, მარე ნაკ ი ჭუბერ ჟ'ომხტეტელი და ხანიდრეუთუნდტე ჩ'ოლცხეკელი. ეჯი დრეუქა ცალერს, კიჩხგლდამს, ლამხრამს, თაჟრარს, ჯუხლანის ი ხერხვაშს შტან ხამხენა. ერქანდტე, დაახლოებით მეემდემშუ-მეემდორე საუკუნემსგა ამერჟუ ჩუდდ ოლზიგელიხ. ოხხინახ ნაკრამ ლინჭტერე ი ერქანდტე ზემ-ზემჟი ჩუდდ ოლზიგელიხ ნაკრას. ნაკრამ სოფლარხენ ჭუბერთე ლოხხინახ ლიზი ლალზიგალთე და ერერჟუდ, ცხამ, ლენჭტერე ხარენახ (მივლინების მასალ., ნაკრა, 1993 წ.) „ასე მსმენია უფროსებისგან, რომ ერთ დროს თათრები შემოსევინ და ნაკრა და ჭუბერი ამოწყვეტიათო (მაშინ ჭუბერს სალი რქმევია და ნაკრას – ფაჟ). თათრებს ნენწელამდე ყველა ეკლესია დაუნგრევიათ, ამასობაში დამხმარე („მაშველი“) ლაშქარი მოსულა და თათრები იძულებული გამხდარან, უკან გაბრუნებულიყვენენ, მაგრამ ნაკრა და ჭუბერი ამოწყვეტილა და დროთა განმავლობაში ტყედ ქცეულა („გატყვევებულა“). იმ პერიოდში ცალერს, კიჩხულდამს, ლამხრამს, თავრარს, ჯუხლანის და ხერხვაშს სვანეთი რქმევია. შემდეგ, დაახლოებით მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში აქ ისევ დასახლებულან. დაუწყიათ ნაკრის ათვისება („გაკაფვა/ამოძირკვა/გაწმენდა ქვალორლისგან“) და შემდეგ ნელ-ნელა („ზომა-ზომა-ზე“) ისევ დასახლებულან ნაკრაში. ნაკრის სოფლებიდან ჭუბერში დაუწყიათ გადასვლა სამოსახლოდ და იქაც, რა თქმა უნდა, გასაკაფი/ამოსაძირკვი/გასაწ-მენდი ჰქონიათ ადგილი ქვალორლისგან“.

3. ფენრიხისა და ზ. სარჯველაძის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ (2000:667) ერთმანეთთანაა შეპირისპირებული ქართ. **წუერ- წუერ**-ავ-ს „ძირკვავს“; ამო-**წვერ**-ვ-ა... : მეგრ. **ჭვარ- ჭვარ**-უ-ა/ე-**ჭვარ**-უ-ა „გაწმენდა“; ე-**ჭვარ**-ილ-ი დიხა „გაწმენდილი მიწა“; უ-**ჭვარ**-უ დიხა „გაუწმენდელი მიწა“... : ლაზ. **ნჭვარ**- გო-ბ-**ნჭვარ**-ამ „ვწმენდ (სარეველებისაგან)“; გო-ბ-უ-**ნჭვარ**-ი „გაწმინდ (სარეველებისაგან)“... ფორმები და საერთოქართველური ფუძეების დონეზე აღდგენილია ***წუერ**- არქეტიპი.

ალბათ, საფუძველს მოკლებული არ იქნება სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილ ქართულ-ლაზურ შესაბამის ფუძეებთან სვანური **ნჭუერ**-/**ჭუერ**- ძირის დაკავშირება, რომელიც აღნიშნულ ფორმათა ზუსტი კანონზომიერი ფონეტიკური შესატყვისია, ცხადია, სემანტიკური იგივეობაც ხელშესახებია.

შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ტოპონიმი **ჭუელიერ**-ი მიღებული ჩანს **ჭუერ** „ყვავი“ ფორმისაგან -**იერ** სუფიქსის დართვით (ჭუმბურიძე 2007:31), თუმცა დაბრკოლებას ქმნის **ჭუელიერ** ფორმის პარალელურად **ჭოლ**-**იერ** ფორმის არსებობა, რომელიც უფრო ბუნებრივი ჩანს ჩოლურელი რესპოდენტებისათვის.

საილუსტრაციო მასალა

მი ხტი დაურხან მუკბანიან ჭუელიერხენ, არეშტუი მეტ ხტი, მარე ომა ზაა ღენა, მემიხა (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურხან მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „მე ვარ დაურხან მუკბანიანი ჭველიერიდან, ოთხმოცზე მეტის ვარ, მაგრამ რამდენი წლის, არ ვიცი (ზედმიწ. – მე ვარ დაურხან მუკბანიანი ჭველიერიდან, **რვა-ათ-ზე** მეტი ვარ, მაგრამ რამდენი წლის, რა ვიცი)“

ლექუა ჭუელიერს ეკუთვნის მუყმენდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურხან მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „ქვედა ჭველიერს ეკუთვნის მუყმენდი“

ხატსგუეჯნალ ... ლი ჩიაგ: საყდარს, ჭუელიერს, ლეუშერს, მამს, ტვიბს, მეწდის, ჩინგ ლი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზოია ბაბლუანი, სოფ. ლეუშერი, 57 წლისა) „ხატის გამობრძანების დღესასწაული ყველგანაა: საყდარში, ჭველიერში, ლეუშერში, მამში, ტვიბში, მუწდიში, ყველგან არის (ზედმიწ. – **ხატ**-[ის] გამობრძანება არის ყველგან: **საყდარ**-ში, **ჭველიერ**-ში, **ლეუშერ**-ში, **მამ**-ში, **ტვიბ**-ში, **მუწდი**-ში, ყველგან არის)“

ლექუაუბ ხალხს ხუაყლედ საყდარს ი შტუილს ი ბულეშს, ჭოლიერბ, ლექუაუბ ჭოლიერბ ეჩხაუბ იქუბი (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „ქვედაურელებს ვეძახით საყდარს და შტვილს და ბულეშს, ჭველიერიც, ქვემო ჭველიერიც იქით ითვლება (ზედმიწ. – ქვემოთა **ხალხ**-ს ვეძახით **საყდარ**-ს და **შტვილ**-ს და **ბულეშ**-ს, **ჭველიერ**-ი-ც, ქვემო **ჭველიერ**-ი-ც იქით ითქმის)“

ბელშარ ამხაუბ ხუასდ ნაა, ა, ჭოლიერთე, ჭოლიერხენ ნაზუბ ხუასდ ნაა, ჭოლიერხენ ხუასდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ფაფალა მუკბანიანი, სოფ. ბულეში, 78 წლისა) „ბულეშელები აქეთ ვითვლებოდით, აი, ჭველიერისკენ, ჭველიერიდან გადასულები ვიყავით ჩვენ, ჭველიერიდან ვიყავით (ზედმიწ. – **ბულეშ**-ელ-ებ-ი აქეთ ვიყავით ჩვენ, აი, **ჭველიერ**-[ის]-კენ, **ჭველიერ**-იდან ნავალი ვიყავით ჩვენ, **ჭველიერ**-იდან)“

მა გუაკუზ ნაჲ ჭოღდერთე? ამჟუ ხეკუეს ლესეს ლეჩრლა, აა, ლათორაშჲ, იმჟიჲნა ლას ერქა (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „რა გვინდა ჩვენ ჭველიერში? აქ უნდა იყოს მთელი ჩოლური, აი, ლათორაშში, როგორც მაშინ იყო (ზედმიწ. – რა გვ-ე-ნუკ-ვ-ი-ს ჩვენ ჭველიერ-[ის]-კენ? აქ უნდა იყოს საჩოლურო, აი, ლათორაშში, როგორც იყო მაშინ)“...

3. ლეჲშერ/ლეუშერ/ლეუშერ – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი

საანალიზო ტოპონიმი ერთი შეხედვით პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებისაა – ლე-ჲშ-ერ (შდრ. ტოპონიმები: ლე-ნგ-ერ-ა, ლე-ტტუბ-ერ-ა, ლე-ჟკუ-ერ, ლე-ჩჰუ-ერ, ლე-ქუშ-ერ-ა...), თუმცა, ინფორმატორთა განმარტებით, აღნიშნული ტოპონიმის ისტორია დაკავშირებულია ქვემო სვანეთის ერთ-ერთი ცნობილი თავადის – ლევან გარდაფხადის სახელთან, რომელსაც ეკუთვნოდა სოფლის მიწების უმეტესი ნაწილი, შესაბამისად კი ტოპონიმს ასე განმარტავენ: *სალევანო* (ანუ ლევანის სახელობის მიწა). თუკი ხალხურ ეტიმოლოგიას დავეყრდნობით, მაშინ სოფლის სახელწოდება ლეჲშერ ← ლეჲან-შ-ერ ← ლეჲან-იშ-ერ „ლევანისანი“ ფორმისაგან აუსლაუტისეული მარცვლის (ან) მოკვეციტა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული (ი) ხმოვნის დაკარგვით, რასაც უნდა გამოეწვია -ერ სუფიქსისეული -ე ხმოვნის დაგრძელება. ცხადია, ამ შემთხვევაში ლე- პრეფიქსს ვერ გამოვყოფთ და მას ვერც მატოპონიმებელ სუფიქსად მივიჩნევთ. -შერ ფორმანტი, რომელიც საანალიზო ტოპონიმში გამოიყოფა, როგორც ცნობილია, რთული შედგენილობისაა და შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელების მაწარმოებელი სუფიქსია (ჩანტლაძე 1998:134), -შ კი, როგორც უკვე ითქვა, ნათესაობითისეულია. -შერ ფორმანტიანმა სახელმა თანდათანობით ტოპონიმის სტატუსი დაიმკვიდრა და თავდაპირველი მნიშვნელობაც (ანუ კუთვნილება) თითქოს მიიჩქმალა (შდრ., ასევე, ქვედა ლეუშერის სახელწოდება – ცეჲშერ/ციოჲშერ, რომელიც ← საკუთარი სახელისაგან ციოჲ -შ-ერ ფორმანტის დართვით).

საილუსტრაციო მასალა

ათხე, ამჟუ, ლეჲშერს, აერუ მეზგე გარ ხუარიდ, ფანაგას – აერუ ი იშგენ ქა მეჩდე ლიხ სერ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „ახლა, აქ, ლეუშერში, მხოლოდ ორი ოჯახი ვართ, ფანაგაში – ორი და სხვები გადასულები არიან (ზედმიწ. – ახლა, აქ, ლეუშერ-ს, ორ-ი მოსახლე მხოლოდ ვიმყოფებით, ფანაგა-ს – ორ-ი და სხვა გასული არიან მოკლეთ)“

ლეჲშერს ანჯიდ გუნ მუს, ძღღდ მუს ანჯიდ ი ანსგმდა სიჲილ-კიჲილ ერხენისა, ლეუშერხენისა უკუღეშეთე (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბადუ ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 68 წლისა) „ლეუშერში დიდი თოვლი მოვიდა, დიდი თოვლი მოვიდა და მოისმა წივილ-კივილი იქიდან, ლეუშერიდან უკვლეშში (ზედმიწ. – ლეუშერ-ს მოიტანა მეტისმეტი თოვლი, დიდი თოვლი მოიტანა და მო-ი-სმ-ა/მო-გვ-ე-სმ-ა წივილ-კივილ-ი იქიდან, ლეუშერ-ი-დან-ში უკვლეშ-[ის]-კენ)“

ლეუშერისა იქინჟ ასად მეზგალ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „ლეუშერში აქა-იქ დარჩენენ ოჯახები (ზედმიწ. – ლეუშერ-ში იქ და აქ დარჩა მოსახლეები)“...

ათას ი ჩხარშირისემეტ ზაისა ოხთენენ ლეუშერი სოფელისა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ნოდარ ბაბლუანი, სოფ. ლეუშერი, 75 წლისა) „ათასცხრაასოცდაათ წელს დავიბადე სოფელ ლეუშერში (ზედმიწ. – ათას და ცხრა-ას და სამ-ათ წელში დავიბადე ლეუშერ-ი[ს] სოფელ-ში)“

გუშგუე ლახტარ ლი: ებერნლ, ნესკალახტ, ლელუტშერა, ლადარ, ლაქნირ, ლეცფურას ხტყლედ, ამქისა ხტიჯოგდ ნად, ლეუშერ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურიკო რატიანი, სოფ. ლეუშერი, 58 წლისა) „ჩვენი მთებია: ებერალი, შუამთა, სალევშერო, ლალიარი, ლახნირი, ლეხფურას [რომ] ვეძახით, აქ გვყავს საქონელი ჩვენ, ლეუშერს (ზედმიწ. – ჩვენი მთები არის: ებერალი, შუამთა, სა-ლევშერ-ო, ლალიარი, ლახნირი, ლეხფურას ვეძახით, ამაში ვ-ჯოგ-ობ-თ ჩვენ, ლეუშერ-ი)“...

გუშგუტემოყ ხტიჯორდ, ამე, ლეუშერს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურიკო რატიანი, სოფ. ლეუშერი, 58 წლისა) „ჩვენთან შეშას ვეზიდებით, აქ, ლეუშერში (ზედმიწ. – ჩვენთან ვშემობთ, აქ, ლეუშერ-ს)“

ეჩადთეჟა ლგყლტელიხ ამჩუ, ა, თეკალიშ ი ლეუშერი ნესკა ი ფანაგაშ ი ლეუშერი ნესკა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურიკო რატიანი, სოფ. ლეუშერი, 58 წლისა) „მანამდე კი დაშინებულან აქ, აი, თეკალსა და ლეუშერს შუა და ფანაგასა და ლეუშერს შუაც (ზედმიწ. – მაშინად[ის]კენგა დაშინებულ არიან აქ, აი, თეკალ-ის[ა] და ლეუშერ-ი[ს] შუა და ფანაგა-ს[ა] და ლეუშერ-ი[ს] შუაშიც)“...

4. მშმ – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი

სოფლის ეტიმოლოგია უცნობია, თუმცა, შესაძლოა, იგი დავუკავშიროთ ქართულის გზით დამკვიდრებულ **მამილ** „ვენახი“ ლექსემას. ფუძისეული ხმოვნის სიგრძე უნდა გამოეწვიოთ -**ილ** მარცვლის მოკვეცას (ანუ საქმე გვაქვს საკომპენსაციო სიგრძესთან – **მშმ** ← **მამილ**), რომლის თანხმოვნითი ელემენტი აღდგება **მამლარ** „მამელები“ სიტყვაში.

საილუსტრაციო მასალა

ეკლესიაჲ ლი მშმს გუშგუე ნაგამ, შატრემანალემ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 73 წლისა) „მამის ეკლესია არის ჩვენი აშენებული, შავრეშიანების (ზედმიწ. – ეკლესია არის მამ-ში ჩვენი ნა-გ-ებ-ი, შავრეშიან-ებ-ის)“

ალე ბაჩტშ ოთგახ აღდარს, ა, გუშგუე ხოშნლს, ჯგრანგ, მარე ეჯი ჯგრანგ ლემარქლი მშმს, ...მგდას..., ედიყს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 73 წლისა) „ეს ქვით აუშენებიათ ამათ, აი, ჩვენ ხალხს, წმინდა გიორგი, მაგრამ ის წმინდა გიორგი ყოფილა მამში, ...იქ..., ედიყში (ზედმიწ. – ეს ქვით ა-უ-გ-ი-ა-თ ამეებს, აი, ჩვენ **ხალხ**-ს, წმინდა გიორგი, მაგრამ ის წმინდა გიორგი ყოფილა **მამ**-ში, ...იმას..., ედიყ-ში)“

ეჩანლო ამხენქა, უკლესხენქა, ეერ ფანაგათე აჩად ი ეერ – თეკალთე, ეერ – მშმთე, ეერ – სოხუმთე, თბილისსრ არიხ (მივლინ. მასალ., მთქმელი: დოდო ბაბლუანი, სოფ. თეკალი, 63

წლისა) „შემდეგ აქედან, უკლემიდან, ზოგი ფანაგაში წავიდა და ზოგი – თეკალში, ზოგი – მამში, ზოგი – სოხუმში, თბილისშიც არიან (ზედმიწ. – მაშინს მერე აქედან, უკლემ-იდან, ზოგი ფანაგა-ის]-კენ წავიდა და ზოგი – თეკალ-ის]-კენ, ზოგი – მამ-ის]-კენ, ზოგი – სოხუმ-ის]-კენ, თბილის-ში-ც არიან)“...

5. ქუნრმ/ქუნრმ – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფლის – მამ'ის უბანი

სოფლის სახელწოდება **ქუნრმ/ქუნრმ** გამჭვირვალე ეტიმოლოგიის მქონე ფუძეა, სადაც ძირად გამოიყოფა „სულის“ აღმნიშვნელი სიტყვა **ქუნ-**, **-რმ/-რმ** კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც მატოპონიმებელ სუფიქსად არის ქცეული, შესაბამისად ტოპონიმის სიტყვასიტყვითი თარგმანი იქნება – *სულისა*. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სულის აღმნიშვნელად ჩოლურულში, მსგავსად სვანური ენის სხვა დიალექტებისა და განსხვავებით ლაშხურისაგან, დასტურდება **ქტინ** (შდრ. ზს., ლნტ., ჩოლ. **ქტინ** და ლშხ. **ქუნ**), ტოპონიმის ფუძედ კი **ქუნ-** ძირი ფიქსირდება.

საილუსტრაციო მასალა

ჩიქე თეკალთე ხაკტერ აჩე ი ეჩანტო ოხრზნახი მამ, ქუნრმ ი ამეკა, ლაშხურქა, ფეღია ლი ადურ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „ჯერ თეკალში უნდა წახვიდე და მერე უნდა მოიარო მამი, ქუნრმში და აქ, ლაშხურზე, მთლად ახლოსაა (ზედმიწ. – ჯერ **თეკალ-ის]-კენ** უნდა წახვიდე და მერე მოიარო მამი, **ქუნ-რმ-ი** და ამაზე, **ლაშხურ-ზე**, ახლო არის მთლად)“

ქუნრმს ლემზიგინხ ერქშიშარ დარ ცტირ, მარე მეზგე ლემზიგელი ლეკტასტანისა (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურხან მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „მაშინდელი ქუნრმის მაცხოვრებელთაგან არავინ არის დარჩენილი, მაგრამ ოჯახი ცხოვრობდა თურმე საკვასტიანოში (ზედმიწ. – **ქუნ-რმ-ში** [რომ] *ნასახლებან მაშინდელეები არავინ რჩენილა, მაგრამ მოსახლე *ნასახლება სა-კვასტიან-ო-ში)“...

6. ბელემ – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი

ტოპონიმ **ბელემ**-ში ძირად გამოიყოფა **ბელ-**, **-ემ** კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც გეოგრაფიულ სახელებსაც ხშირად აწარმოებს (შდრ.: **ჰებრემ, გოტრემ, ყტედრემ**...).

წარმოდგენილი ტოპონიმის ეტიმოლოგია დღემდე არ ყოფილა მსჯელობის საგანი. ჩვენი აზრით, ძირად გამოყოფილი **ბელ-** უნდა მომდინარეობდეს „დახევის/დაფხრეწის/გახლეჩის“ აღმნიშვნელი სვანური ლი-ბლ-ე „დახევა/გაფხრეწა/დაგ-ლეჯა/გახლეჩა შუაზე/გადაშლა“, მე-ბლ-ე „დახეული/დაფხრეწილი/გაგლეჯილი/გახლეჩილი შუაზე/გადაშლილი“ და ა. შ. ფორმებისაგან. ნეიტრალურხმოვნიაანი ფორმები გვხვდება როგორც ზმნის პირიან ფორმებში (მაგ.: **ბელე** „ხევის/ფხრეწის/გლეჯს შუაზე“, ასევე იდიომატურ გამოთქმებსა და წყევლის ფორმულებშიც (მაგ.: **ბელაიდ ლიგნე** „დარღვევა/დაფხრეწა/გაგლეჯა შუაზე (ზედმიწ. – ფხრეწად **დგ-მ-ა)**“; **ბალდ/ბაღდ ლეგნე** „დასაგლეჯი/გასახვევი/გასაფხრეწი (ზედმიწ. – ფხრეწად/გლეჯად და-სა-**დგ-ამ-ი)**“ და მისთ.). სოფლის ლანდშაფტიც სწორედ შუაზე

გახლეჩილის/გაპობილის ფორმისაა და ამდენად ჩვენი ეტიმოლოგიური გააზრება საფუძველს მოკლებული არ ჩანს, სიტყვასიტყვით კი შეიძლება განიმარტოს, როგორც – გაპობილისა/გაფხრეწილისა/გაგლეჯილისა/გადაშლილისა. შდრ., აგრეთვე, ჩოლ. **ბალშაი/ბანშაი** „არამალაი, ფართოდ გაშლილი ხე, ან პირუტყვი დიდი აღნაგობის“ და ბქ.

ბილშ/ლგბლიშალე „მკერდგაღელილი/გადადღლეზილი/საკინძეშეხს-ნილი“,

ლიბლიშალ „მკერდგაღელილი/გადადღლეზილი/საკინძეშეხსნილი სიარული“ და ა. შ. ფორმები, რომელთა ამოსავალიც სწორედ **-ბლ-** უნდა იყოს სხვადასხვა განმოვანებით (**-ბილ/-ბელ/-ბალ**), ფუძისეული **-შ** კი, ალბათ, აქაც ბრუნვის ნიშანია, რომელიც თანდათან ფუძეში გაითქვიფა და გაქვავდა.

საილუსტრაციო მასალა

ბელემ ხტრადად ამტეშუ მეზგე (მივლინ. მასალ., მოქმელი: ფაფალა მუკბანიანი, სოფ. ბულემი, 78 წლისა) „ბულემში ვცხოვრობდით თერთმეტი ოჯახი (ზედმიწ. – **ბულემ**-ში ვიმყოფებოდით **ათ**-ერთი მოსახლე)“

საყდარლეჟა ი **ბელემგნლეჟა** ი **ენჭუ**, **ქ**, **ჭტელგნგნ**, **დემ ხითხელის ეშუ ლუმირი ნასახს** (მივლინ. მასალ., მოქმელი: დაურხან მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „საყდარსა და ბულემს ზემოთ და იქამდე, ე, ჭველვამდე, ვერ იპოვი ნაძვის ნასახს (ზედმიწ. – **საყდარ**-[ს] ზემოთ და **ბულემ**-[ს] ზემოთ და იქამდე, ე, **ჭველგ**-[ა]-მდე, ვერ მოძებნი ერთი ნაძვის ხის ნასახს)“

ლექტუტი ხალხს ხტყაყლედ საყდარს, შტვილს ი **ბელემს** (მივლინ. მასალ., მოქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „ქვედაურელებს ვუწოდებთ საყდარს, შტვილს და ბულემს (ზედმიწ. – ქვემოთი[ს] **ხალხ**-ს ვუწოდებთ **საყდარ**-ს, **შტვილ**-ს და **ბულემ**-ს)“...

7. **ტუბ** – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი

ტოპონიმის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა. **ტუბ** სვანურად ნიშნავს *ხეობა*ს, *ხევ*ს და მას შესატყვისები ეძებნება სხვა ქართველურ ენებში.

საილუსტრაციო მასალა

ათხე წელშუ ხტიმნჯე ეჩხენისა ტუბი სგიმს, წელშუ (მივლინ. მასალ., მოქმელი: ზურიკო რატიანი, სოფ. ლეუმერი, 58 წლისა) „ახლა ვირით ვეზიდები იქიდან ტვიბის მჟავე წყალს, ვირით“

დედე ი **მამიდა** **თელდ იმარხულდახ** ი **ეშუ ზურნლ ლას აჯად ერ'ე**, **ტუბის**, **ეჯი მადურდ მაჩნნამდ** (მივლინ. მასალ., მოქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „დედა და მამიდა სულ მარხულობდნენ და ერთი ქალი იყო კიდევ იქ, ე, ტვიბში, ის მთლად ყველაზე უკეთესად (ზედმიწ. – **დედა** და **მამიდა** მთლად **მარხ**-ულ-ობ-დ-ნენ და ერთი ქალი იყო კიდევ იქ, ე, **ტვიბ**-ში, ის სრულად ყველაზე უკეთესად)“

მი მამზა მარკა, ხაბულიან ხუტი, მეთე კლასისა ხუარი, ტუბისა ხუტიზე (მივლინ. მასალ., მთქმელი: მარკა ხაბულიანი, სოფ. ტვიბი, 16 წლისა) „მე მქვია მარკა, ხაბულიანი ვარ, მეთე კლასში ვარ, ტვიბში ვცხოვრობ“...

8. თეკალ/თეკალ/თეკიალ – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი

სოფლის სახელწოდება თეკალ აშკარად მომდინარეობს მცენარის აღმნიშვნელი თეკრა (ზს., ქს.), თეკერ (ლშხ.), თეკინრ (ჩოლ.) „მაღალი მთის ბოკვი; ნეკერჩხალი“ (შდრ. ბქ. ტოპონიმი თეკერ) ფორმისაგან სონორ თანხმოვანთა (რ/ლ) მონაცვლეობითა და ა ხმოვნის მეტათეზისით. იგივე ფუძე დასტურდება ქართულშიც, კერძოდ, რაჭულ დიალექტში – თეკერა „ნეკერჩხლის ტიპის მცენარე, მთის ბოკვი, მთის ნეკერჩხალი“. სტრუქტურულ-სემანტიკური იგივეობა ქართულ-სვანურ ფუძეებს შორის იდენტურია. ერთადერთი რამაც ყურადღება მიიქცია ჩოლურულ მეტყველებაში, ესაა ფუძეში ი ხმოვნის ჩართვა როგორც სოფლის (თეკიალ), ასევე მცენარის (თეკინრ) სახელწოდებაში. როგორც ჩანს, ი ხმოვანი შემდგომ გაჩნდა, რაც ძალზე ხშირია ჩოლურულში (შდრ. ზაგიარ (შდრ. ზს., ლნტ. ზაგარ, ლშხ. ზაგარ „ზეგანი; ქედი; გადასასვლელი; გორაკი, ამაღლებული ადგილი“) „დაბალი მთა“; კიარბ (შდრ. ბქ. კარბ) „ძგიდე, ნაპირი“...), თუმცა ჯერჯერობით მისი ფუნქცია ჩვენთვის გაურკვეველია.

შენიშვნა: ერთი და იმავე მთქმელის (მაგ., ლეუშერელი ალიომა შავრეშიანის) საუბარში ხან უმლაუტო (თეკალ) ფორმა გამოიყენება, ხან უმლაუტიანი (თეკალ).

საილუსტრაციო მასალა

თეკალს არი სგიმ, თელ ლეუშერ ეჩხაჟ ესლრი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურიკო რატიანი, სოფ. ლეუშერი, 58 წლისა) „თეკალში არის მჟავე წყალი, მთელი ლეუშერი იქ დადის (ზედმიწ. – თეკალ-ში არის ვეძა, მთელ-ი ლეუშერ-ი იქით მიდის)“

მამზა დოდო, ქრხთენენ თეკალს ათასიჩხარ'აშირ ი ჟრშთხუემტიიშგუიდს, სემი მარტს (მივლინ. მასალ., მთქმელი: დოდო ბაბლუანი, სოფ. თეკალი, 63 წლისა) „მქვია დოდო, დავიზადე თეკალში ათასცხრაასორმოცდაშვიდში, სამ მარტს (ზედმიწ. – მქვია დოდო, დავიზადე თეკალ-ში ათას-და-ცხრა-ას და ოთხ-ათ-და-შვიდ-ს, სამ მარტ-ს)“

მი ხუტი მინდია ხაბულიან, იემტეშხუ ლგზაჲ ი ხუტიზეგუხუტი თეკალს (მივლინ. მასალ., მთქმელი: მინდია ხაბულიანი, სოფ. თეკალი, 11 წლისა) „მე ვარ მინდია ხაბულიანი, თერთმეტი წლის და ვცხოვრობ თეკალში (ზედმიწ. – მე ვარ მინდია ხაბულიან-ი, ათ-ერთი წლისა და ვსახლობ თეკალ-ში)“...

ლიმშიე ჟოხბინ თეკალი ბეფშორარე ბადისა (მივლინ. მასალ., მთქმელი: დარეჯან გვიდიანი, სოფ. საყდარი, 56 წლისა) „მუშაობა დავიწყე თეკალის საბავშვო ბაღში (ზედმიწ. – მუშა-ობ-ა დავიწყე თეკალ-ის} ბავშვ-უკ-ებ-ის} ბაღ-ში)“

თეკალხენქა ქრთქუთთახ ჟარგალს ჟიბე შუწნთე დინა (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „თეკალიდან გაუტაცებიათ თავადებს გოგო ზემო სვანეთში (ზედმიწ. – თეკალ-ი-დან-გა მოუპარავთ ვარგ-ებ-ს ზემო სვან-ეთ-ის}-კენ გოგო)“

თეკალთე ერ ადგენედ აჯად, დოდრ ლეგუტერ ეშჷ ლი, ჩჷათტრლედ ისგუტეშ (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „თეკალში რომ წახვალთ ისევ, დოდოს წისქვილი იქაა, თქვენ თვითონ დაათვალიერეთ (ზედმიწ. – თეკალ-ის}-კენ რომ წახვალთ კვლავ, დოდო-ის} საფუკვაი იქ არის, დაათვალიერეთ თქვენით)“...

9. საყდარ – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი

ტოპონიმის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა, იგი მომდინარეობს ქართული საყდარ-ი ფორმისაგან სახ. ბრუნვის ნიშნის (-ი) მოკვეციტ. ბრუნვის ნიშნის დაკარგვას, უმლაუტის ცნობილი წესების თანახმად, უნდა გამოეწვია წინამავალი ხმოვნის უმლაუტი, თუმცა ჩოლურული, როგორც ცნობილია, ხშირ შემთხვევაში უუმლაუტო ფორმებს მიმართავს, მსგავსად ლაშხურისა და განასხვავებით ლენტეხურისაგან.

საილუსტრაციო მასალა

ალდარ ეხხენ ლიხ, ბგლეშხენ, საყდარხენ ი ჭტელდერხენ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 73 წლისა) „ესენი იქიდან არიან, ბულეშიდან, საყდრიდან და ჭველიერიდან“

ჟემქედელი ეხხაჷ, ე, საყდართე (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 73 წლისა) „ასულა იქ, ე, საყდარში (ზედმიწ. – ასულა იქით, ე, საყდარ-ის}-კენ)“

მი, დარეჯან ერმილე გეზალ ოხთენენ ჭრშთხუტეტიჩხარაშსა საყდარს (მივლინ. მასალ., მთქმელი: დარეჯან გვიდიანი, სოფ. საყდარი, 56 წლისა) „მე, დარეჯან ერმილეს ასული დავიბადე ორმოცდაცხრაში საყდარში (ზედმიწ. – მე, დარეჯან ერმილე-ს შვილი დავიბადე ოთხ-ათ-და-ცხრა-ში საყდარ-ში)“...

10. დგრაშ/დგრაშ/დრაშ – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი

დგრაშ/დგრაშ/დრაშ ტოპონიმის ეტიმოლოგიური გააზრება წარმოდგენილი აქვს ე. გაზდელიანს ნაშრომში „ქვემო სვანეთის ზოგი ტოპონიმის წარმომავლობისათვის“ (2011:20). იგი ძირად გამოყოფს დგრ-ს და უკავშირებს სვანურ დგრ „კვეთი/დვრიტა“ ლექსემას და ტოპონიმს განმარტავს, როგორც „დვრიტისა“-ს, თუმცა ჩვენ საანალიზო ტოპონიმთან დაკავშირებით სხვა თვალსაზრისი გაგვაჩნია, კერძოდ, იგი შესაძლოა დავუკავშიროთ დრ (ზზ., ლშხ., ჩოლ.), დირ (ბქ., ლნტ.), დგრ (ბქ.) „დირე“ სიტყვას.

საილუსტრაციო მასალა

ხოხრა ლგმარ ჭყინტოლ, მაურენე მუხბე, ეჩე დგრაშ ლოქ ერ ლგმარდხ ი ჟოხხუტტახ მიჩა ლახტბა ი მუჟმაგ, ამშა, არა მუხბე ი მეჩხრე მუ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურაბ ჯამბურდიე, სოფ. ლეუშერი, 38 წლისა) „პატარა ბიჭი ყოფილა, უმცროსი ძმა, დურაშში რომ ცხოვრობდნენ, მაშინ და ამოუწყვეტიათ მისი ძმები და მამაც, ამისი, რვა ძმა და მეცხრე მამა (ზედმიწ. – პატარა ყოფილა ბიჭი, უმცროსი ძმა, იქ, დურაშ-ში რომ *ნამყოფან და ამოუწყვეტიათ მისი ძმები და მამა-ც, ამისი, რვა ძმა და მე-ცხრ-ე მამა)“

ალე დერაშენ ლი, დერაშ იზგე (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბონდო ონიანი, სოფ. ქუნიში, 65 წლისა) „ეს დურაშიდანაა, დურაში ცხოვრობს (ზედმიწ. – ეს დურაში-ი-დან არის, დურაში-ის) სახლობს)“

ეჯი ქაწლიქელი დერაშ, ჭყინტ, მატრენე, ი ეჯის სემი ხაყენა ჭყენტარ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურაბ ჯამბურიძე, სოფ. ლეუშერი, 38 წლისა) „ის დაოჯახებულა დურაში, ბიჭი, უმცროსი, და იმას სამი ბიჭი ჰყოლია (ზედმიწ. – ის გა-სიძ-ებ-ულ-ა დურაში-ში, ბიჭი, უმცროსი, და იმას სამ-ი ჰყოლია ბიჭები)“...

ალდარ ქემჩედხ დრაშთე, დრაშ ლემზიგალინხ ი დრაშენქა ქემტეხელიხ მამთე (მივლინ. მასალ., მთქმელი: ფაფალა მუკბანიანი, სოფ. ბულეში, 78 წლისა) „ესენი გადასულან დურაში, დურაში ცხოვრობდენ თურმე და დურაშიდან დაბრუნებულან მამში (ზედმიწ. – ესენი გასულან დურაში-ის)-კენ, დურაში-ში სახლობდენ თურმე და დურაში-ი-დან გამობრუნებულან მამ-ის)-კენ)“...

11. ზაგალრდ/ზაგალრლ – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი მიტოვებული სოფელი

ტოპონიმი ზაგალ-რდ/ზაგალ-რლ < ჩოლ. ზაგარ (შდრ. ზს., ლნტ. ზაგარ, ლშხ. ზაგარ „ზეგანი; ქედი; გადასასვლელი; გორაკი, ამალღებული ადგილი“) სიტყვისაგან სონორ (რ/ლ) თანხმოვანთა მონაცვლეობითა და ფუძეზე კნინობითობის მაწარმოებელ -რდ/-რლ სუფიქსთა დართვით. სავარაუდოდ, საანალიზო ტოპონიმის ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი თანმიმდევრობით უნდა წარმართულიყო: ზაგალ-რდ < *ზაგარ-რდ < *ზაგარი-ოდ < *ზეგანი-ოდ, შესაბამისად კი სუფიქსისეულ ხმოვანთა სიგრძის გამომწვევი მიზეზიც ნათელია (ი+ო = ო).

შენიშვნა: ა. ლიპარტელიანის „სვანურ-ქართულ ლექსიკონში (ჩოლურული კილო)“ გვხვდება ზაგარ „დაბალი მთა“ ფორმაც, თუმცა თითქმის ყველა ინფორმატორი ზაგარ ფორმას ანიჭებს უპირატესობას.

საილუსტრაციო მასალა

ჩუალზიგელიხ ზაგალრდს შატრეშიანალ, ლექტუნ ლაზგას (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „შავრეშიანები დასახლებულან ზაგალოდში, ქვემო ლაზგაში (ზედმიწ. – დასახლებულან ზაგალოდ-ში შავრეშიან-ებ-ი, ქვემო[ს] სამოსახლოს)“

ლუფხულადელ ლემარ ი გუშეტე ხოშნლ ლემჯანინხ ეჩხენტე, ზაგალრდს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „გაზაფხული ყოფილა და ჩვენი წინაპრები ხნავდენ თურმე იქით, ზაგალოდში (ზედმიწ. – გაზაფხულ-დღე ყოფილა და ჩვენი უხუცესები *ნა-ხნ-ავ-ან იქითკენში, ზაგალოდ-ს)“

სგამ ეჩხენ ნაჯადუ ხიდ მაგ, ე, ზაგალრდხენ, შატრეშიანალ (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „თქვენ იქიდან მოსულები ხართ ყველანი, ე, ზაგალოდიდან, შავრეშიანები (ზედმიწ. – თქვენ იქიდან ნავალი ხართ ყველა, ე, ზაგალოდ-ი-დან, შავრეშიან-ებ-ი)“...

გუმბეტი თემს **ზაგალოდ**ს მამაკაპურ ლამზერ ხუტა ი შატრეშინალ გარ ხტიმზერდ ეშჩუნენ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშინი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „ჩვენ თემს ზაგალოდში მამაკაპური სალოცავი აქვს და მხოლოდ შავრეშინები ვლოცულობთ იქ (ზედმიწ. – ჩვენ თემ-ს ზაგალოდ-ში მამა-კაპურ-ი სალოცავი აქვს და მხოლოდ შავრეშინ-ებ-ი ვლოცულობთ იქ)“

თანაფ ერ ლი, მწრბე მიშლადედ ხტიმზერდ ეჩე, ზაგალოდს (მივლინ. მასალ., მთქმელი: ვიტალი შავრეშინი, სოფ. ლეუშერი, 43 წლისა) „აღდგომა რომ არის, მეორე კვირას ლოცვას აღვავლენთ იქ, ზაგალოდში (ზედმიწ. – თანაფა რომ არის, მზ-ის-დღე-ს} ვლოცულობთ იქ, ზაგალოდ-ში)“

ამე იზგოლხ, ა, ზაგალოდს ხატულის (მივლინ. მასალ., მთქმელი: ცისანა გარდაფხაძე, სოფ. ლეუშერი, 65 წლისა) „აქ ცხოვრობდნენ, აი, ზაგალოდს ეძახიან (ზედმიწ. – აქ სახლობდნენ, აი, ზაგალოდ-ს ეძახიან)“...

12. შტუტილ – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი მიტოვებული სოფელი

სოფლის სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს შტულ „ფიგურიანი სათოფური ციხე-სახლებში“ (შდრ. ზს. შდულ/შდურ „სათოფური კოშკის ზედა სართულის კედლებში“) სიტყვისაგან ფუძისეული უს გაუმლაუტებით.

საილუსტრაციო მასალა

ლექუნტი ხალხს ხტყაყლედ საყდარს, შტუტილს ი ბგლეშ (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „ქვედაურელებს ვეძახით საყდარს, შტვილს და ბულეშს (ზედმიწ. – ქვემოთი{ს} ხალხ-ს ვუწოდებთ საყდარ-ს, შტვილ-ს და ბულეშ-ს)“

მუკბანიანარ იზგებ შტუტილხენისა ლეჟა მეკდე (მივლინ. მასალ., მთქმელი: გაინა ზურაბიანი, სოფ. ტვიბი, 83 წლისა) „მუკბანიანები ცხოვრობენ შტვილიდან ამოსულები (ზედმიწ. – მუკბანიან-ებ-ი სახლობენ შტვილ-ი-დან-ში ზემოთ მოსული)“...

13. ედიყ – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი მიტოვებული სოფელი

ჩოლურელ რესპოდენტთა და, ასევე, ა. ლიპარტელიანის (1998:XXXI) ცნობით, ედიყი ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი მიტოვებული სოფელია, სადაც არის უძველესი ნაეკლესიარი, სავარაუდოდ წმ. გიორგის სახელობისა.

სემანტიკურად ტოპონიმი ედიყ შეიძლება დაფუკავშიროთ სვანურში ფართოდ გავრცელებულ უძველეს და ლამის ტაბუდადებულ ლიდრეყ/ი ფორმას (შდრ., ჩოლ. ლიდრეყ „მოფრთხილება“, ლედრეყ „მოსაფრთხილებელი“, იდრეყი „იფარავს, პატივს სცემს“, ლეიდრეყი ღერბეთ „დაიფარავს, შეიცოდებს ღმერთი“, ლოხდერყა „ღმერთს დაუცვია“ (ლიპარტელიანი 1994:178, 184, 119, 197); ბქ. ლიდრეყი „მოფრთხილება, მოფერება“, ლედრეყი „მოსაფრთხილებელი, მოსაფერებელი, დასაცავი, დალოცვილი“, ლედრეყიაქ სი! „შე დალოცვილო!“ და ა. შ.). ვინაიდან დალოცვის ფორმულებშიც გამოიყენება ეს სიტყვა, ვფიქრობთ, სოფლის სახელწოდების აღნიშნულ ფორმასთან დაკავშირება საფუძველს

მოკლებული არ იქნება, ანუ ტოპონიმი უნდა განიმარტოს როგორც მოსაფრთხილებელი/მოსაფერებელი/მცველი/დალოცვილი/მფარველი და ა. შ. რაც შეეხება სიტყვის სტრუქტურულ შედგენილობას, სავარაუდოდ, ასეთია: **ა-ე-დიყ**, სადაც, ჩვენი აზრით, ძირად გამოიყოფა **-დიყ**, რომელსაც წინ უძღვის უტყვი **-ე** ხმოვანი, რომლის გრამატიკული კლასიფიკაცია, ანლაუტისეულ იოტთან შედარებით, ამ ეტაპზე ვერ ხერხდება. როგორც ცნობილია, ზემოსვანურის ხმოვანთა ფშვინვიერ შემართვას ქვემოსვანურში შესატყვისად უმეტესად იოტირებული და ვიწრო ხმოვნები მოუდის (შდრ., ერთი მხრივ, ბზ., **ჰეშმა**, უშგ. **ჰეშმა** და, მეორე მხრივ, ლშხ.-ჩოლ. **ეშმა**, ლნტ. **ეშმა** და ა. შ. ჟღენტი 1949:125; სალლიანი 2016:349), ცხადია, აქაც სწორედ აღნიშნულ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

საილუსტრაციო მასალა

სზონდიკი ...მგდე... ლი თელდ ეჯი ი ალე ბაჩჷშ მთგახ აღდარს, ა, გუმგუე ხოშნლს, ჯგრნგ, მარე ეჯი ჯგრნგ ლგმრეღლი მშმს, ...მგდას, დედისყ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ფანაგა, 73 წლისა) „სზონდიოს ...ისა... არის მთლიანად ის და ამ ქვით აუშენებიათ ამათ, აი, ჩვენ წინაპრებს, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, მაგრამ ის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ყოფილა მამში, ...იქ..., ედიყში (ზედმიწ. – **სზონდიო**-[ს] ...ისა... არის მთლად ის და ეს ქვით ა-უ-გ-ი-ა-თ ამეებს, აი, ჩვენ დიდებს, წმინდა გიორგი, მაგრამ ის წმინდა გიორგი ყოფილა მამ-ში, ...იმას..., ედიყ-ს)“

ედისყს ლგდა ეკლესიაა, ძრიელ ლამზერ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ოსანა ზურაბიანი, სოფ. მამი, 92 წლისა) „ედიყში იდგა ეკლესია, ძლიერი სალოცავი (ზედმიწ. – **ედიყ-ს ი-დგ-ა ეკლესია, ძლიერ-ი სა-ზორ-ავ-ი**)“

ედისყს იზგახ ჯამზურიძეალ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ფანაგა, 73 წლისა) „ედიყში ცხოვრობდნენ ჯამზურიძეები (ზედმიწ. – **ედიყ-ს სახლობდნენ ჯამზურიძე-ებ-ი**)“

ჩიმეშდ ხოშა ჯუნელ, ჩიმეშდ ხოშა ჯუნელ ლი ედიყი ეკლესია (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბონდო ონიანი, სოფ. ქუნიში, 65 წლისა) „ყველაზე უფრო ძველი, ყველაზე უფრო ძველი არის ედიყის ეკლესია (ზედმიწ. – ყველასად დიდი ძველი, ყველასად დიდი ძველი არის **ედიყ-ი[ს] ეკლესია**)“...

14. **ფანაგა** – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი

ჩოლურელ ინფორმატორთა თქმით, ფანაგას უძველესი სახელი ყოფილა **ხანაგა**, რაც არეულ/აოხრებულ/ნამეწყრალ/ჩახერგილ... ადგილს ნიშნავს; სოფლის ადგილმდებარეობაც სწორედ ამისი ნათელი დასტურია.

ხანაგა ზმნის პირიანი ფორმაა, რომელსაც, ცხადია, ეწარმოება როგორც მასდარული ფორმა – **ლინაგე** 1. „გაოცება ხალხის ხმაურით“, 2. „არეულობა, არევ-დარევა, ჩახერგვა“, ისე მიმდებარე ფორმაც – **ლგნაგე** 1. „გაოცებული ხალხის ხმაურით“, 2. „არეული, არეულ-დარეული, ჩახერგილი“. თუკი ინფორმატორთა მიერ მოწოდებული ზმნის პირიანი ფორმიდან **ხ/ფ** ბგერათა მონაცვლეობით სოფლის სახელწოდების (**ფანაგა**'ს) მიღებას, ანუ ტოპონიმად

ქცევას, დავუშვებთ, მაშინ უნდა ვეძებოთ ქართველურ ენებში მსგავსი წარმოების ტოპონიმები (ანუ ზმნის პირიანი ფორმებიდან ნაწარმოები), ერთ-ერთი – **აგორება** „ვერდობი ადგილი“ სწორედ გ. ბედოშვილს აქვს დაფიქსირებული ლანჩხუთის რაიონის სოფ. სუფსაში (2013:15). შესაძლოა მსგავსი მაგალითები კვლავაც დაიძებნოს, თუმცა ამ ეტაპზე აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისაგან თავს შევიკავებთ.

საანალიზო ტოპონიმის ეტიმოლოგიური კვლევა ჩვენ ადრინდელ ნაშრომში – „რამდენიმე სვანური (ჩოლურული) ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის“, რომელიც დაიბეჭდა 2017 წელს ეტიმოლოგიური ძიებანის მე-14 ტომში, ემყარებოდა მხოლოდ და მხოლოდ ხალხურ ეტიმოლოგიას, ვინაიდან სხვა არგუნეტირებული ეტიმოლოგია არ გაგვაჩნდა. შემდგომ დიდძალი ტოპონიმკური მასალის ანალიზის შედეგად მივაკვლიეთ საკვლევი საკითხისთვის მეტად ყურადსაღებ ტოპონიმებს – **ლეფანგ** (ზზ.) „სამარხილო გზა (ზედმიწ. – საოღროჩოღრო)“ და **ლეფანგ შუკუ** (ზზ.) „გზა (ზზ.) „საოღროჩოღრო[ს] შუკა““. **ლეფანგ** ტოპონიმში ძირად გამოიყოფა -**ფანგ**, **ლე-** კი დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი თავსართია. ზემო სვანურ დიალექტებში ასევე იძებნება ამავე ძირის შემცველი მიმღებობური ფორები – **ლეფანგე** (ზზ.)/**ლეფანგე** (ბქ.) სავარაუდოდ *ოღრო-ჩოღრო/ჩახერგილი* ადგილის მნიშვნელობით. ტოპონიმი **ფანაგაც**, ინფორმატორთა განმარტებით, სწორედ ამგვარი მდებარეობის გამო დარქმევია სოფელს.

საილუსტრაციო მასალა

ლეუშერთე ი ფანაგათე ზაგალოდხენ ლიდ ქა ნაზუ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიომა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „ლეუშერში და ფანაგაში ზაგალოდიდან ვართ გადასულები (ზედმიწ. – **ლეუშერ**-[ის]-კენ და ფანაგ[ის]კენ **ზაგალ**-ოდ-იდან ვართ განასვლელი)“

ფანაგანუნ სიპდად ჭიშხუ ხომა მუსობჟი (მივლინ. მასალ., მთქმელი: ზურიკო რატინი, სოფ. ლეუშერი, 58 წლისა) „დიდთოვლობის დროს ფანაგაში დავდიოდით ფეხით (ზედმიწ. – ფანაგამდე ვტრიალებდით ფეხით დიდ თოვლობაზე)“

ეჩნდო, ლეუშერს ი ფანაგასრმაგ მარო ხუბრდად, ლამზერდ ეჩხუ ოსღურდად ჟრ, ზაგალოდთე (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიომა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „მერეც, ლეუშერში და ფანაგაში ვინც ვიყავით, სალოცავად იქ ავდიოდით, ზაგალოდში (ზედმიწ. – მაშინს მერეც, **ლეუშერ**-ში და ფანაგაშიც ვინც ვიმყოფებოდით, სალოცავად იქით ავდიოდით, **ზაგალ**-ოდ-[ის]-კენ)“

ეჩნდონენ, დერა, ჟენხურიელან ლეუშერ ი ფანაგა ი ჭუქლფ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ფანაგა, 73 წლისა) „შემდეგ შეგროვდა ლეუშერი და ფანაგა და ჭველფი (ზედმიწ. – მაშინს მერე, ხომ, შეგროვდა **ლეუშერ**-ი და ფანაგა და ჭველფი)“...

15. **ჭუქლფ** – ჩოლურის ხეობის ერთ-ერთი სოფელი

ტოპონიმის ეტიმოლოგია უცნობია, თუმცა შესაძლოა იგი დავუკავშიროთ ა. ლიპარტელიანის მიერ დადასტურებულ ფორმას **ჟელჭუფ** „მდელოს ნაჭერი მიწიანად, ბალახის

სახეობა“ (1994:102). ფონეტიკური ტრანსფორმაცია კი შემდეგნაირად წარმოგვიდგენია: **ჭტელფ** ← **ჭტელჭუფ** ფორმისაგან აუსლაუტისეული -უ- ხმოვნის დაკარგვითა და ანლაუტისეული -**ჭტელ**- მარცვლის მეტათეზისით. ცხადია, ჩვენი ეს დაკავშირება უნივერსალური ვერ იქნება, თუმცა ამ ეტაპზე ტოპონიმის სხვა ეტიმოლოგიური გააზრება არ გაგვაჩნია. ვფიქრობთ, საკითხის კვლევა კვლავაც აქტუალურია.

საილუსტრაციო მასალა

საყდარლეჯა ი **ბგლეშენლეჯა** ი **ეჩაჭ, ე, ჭტელფენგ, დემ ხითხელის ეშუ ღუმირი** ნასახს (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურხან მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „საყდარსა და ბულემს ზემოთ და იქამდე, ე, ჭველფამდე, ვერ იპოვი ნაძვის ნასახს (ზედმიწ. – **საყდარ**-[ს] ზემოთ და **ბულემ**-[ს] ზემოთ და იქამდე, ე, **ჭველფ**-[ა]-მდე, ვერ მოძებნი ერთი ნაძვის ხის ნასახს)“

ალე ინდიქტერ ამე ამშიე, ა, ჭტელფს, ბრიგადირდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: უჩა კვასტიანი, სოფ. ჭველფი, 76 წლისა) „ეს ინდიქტერი აქ მუშაობს, აი, ჭველფში, ბრიგადირად“

ამხენ დაშტე ლწრას ხტაყლედ ნად, ეჩე ლწრდად მაგ აღმარ, ფანაგა ი ჭტელფ, ჭტელფ მნდე, ალე, ა, ლეუშერ (მივლინ. მასალ., მთქმელი: ბორის შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 73 წლისა) „აქეთ დათვის სათიბს ვეძახით ჩვენ, იქ ვიყავით ესენი ყველანი, ფანაგა და ჭველფი, ჭველფი კი არა და, ეს, აი, ლეუშერი (ზედმიწ. – აქეთ **დათვ**-ი[ს] სათიბს ვეძახით ჩვენ, იქ ვიმყოფებოდით ყველა ესენი, ფანაგა და ჭველფი, ჭველფი კი არა და, ეს, აი, **ლეუშერ**-ი)“

ეჩა დის ხემშან კატო, ჭტელფს ერ არდა (მივლინ. მასალ., მთქმელი: ალიოშა შავრეშიანი, სოფ. ლეუშერი, 76 წლისა) „იმის დედას ერქვა კატო, ჭველფში რომ იყო (ზედმიწ. – იმის **დე-და**-ს ერქვა **კატო**, ჭველფში რომ იმყოფებოდა)“...

16. **მუყმენდ/მუყტმენდ/მურყმელდ/მურყტმელდ** – ჩოლურის ხეობის, კერძოდ ჭველიერის ქვედა ნაწილი

ტოპონიმი ეტიმოლოგიურადაც და სემანტიკურადაც უნდა უკავშირდებოდეს **მურყტამ/მურყტამ** „კომპი“ სიტყვას, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული სვანურში და უამრავ ტოპონიმსაც უდევს საფუძვლად.

ტოპონიმის სტრუქტურული შედგენილობა ასეთია: **მუყმ-ენდ/მუყტმ-ენდ/მურყმ-ელდ/მურყტმ-ელდ**, სადაც, ძირია **მუყმ-/მურყმ-/მუყტმ-/მურყტმ-**, **-ენდ/-ელდ** კი, როგორც ჩანს, სუფიქსებია. რა ფონეტიკური მოვლენები უნდა განხორციელებულიყო, რომ **მურყტამ/მურყტამ** ფორმიდან აღნიშნული ტოპონიმები მიგვეღო? ფორმათა ცვლათა აშკარად თვალშისაცემია, სრული სურათის წარმოსადგენად კი ცალ-ცალკე განვიხილოთ ჯერ **მუყმ-/მურყმ-/მუყტმ-/მურყტმ-** ძირებში მომხდარი ყველა ფონეტიკური ცვალეზადობა და შემდგომ **-ენდ/-ელდ** სუფიქსთა როგორც ფუნქცია, ასევე წარმომავლობა და ყველა ფონეტიკური გარდაქმნა.

მუყმ ← ***მურყმ** ← ***მურყტმ** ← **მურყტამ**-ისაგან. ჩვენ მიერ აღდგენილი ***მურყმ** და ***მურყტმ** კი, როგორც ვნახეთ, **მუყმ-ენდ** ფორმის პარალელურად არსებულ **მურყმელდ** და **მურყტმელდ** ტოპონიმებში დასტურდება, სადაც, ასევე, დაკარგულია როგორც ფუძისეული მარცვალი, ისე

ფუძისეული ხმოვნითი ელემენტი. ცხადია, დიდ ფონეტიკურ გარდაქმნებთან არ გვაქვს საქმე, თუმცა ასახსნელია მათზე დართული სუფიქსების წარმომავლობა, ფუნქცია და ა. შ.

სვანურში, როგორც ცნობილია, ხშირია კნინობითის მაწარმოებლებით მარკირებული ტოპონიმები (მარგიანი 2013:89; საღლიანი 2016:555, 560...). მიკროტოპონიმიაში განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება სხვადასხვა კნინობითის სუფიქსები: **-ილ**, **-ულ**, **-გლ**, **-იდ**, **-ილდ**, **-ულდ**, **-ალდ**, **-გლდ**, **-წდ**, **-გდ**, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში **-ელდ** სუფიქსიანი ტოპონიმების შესახებ მსჯელობა დღემდე არ ყოფილა. ის, რომ **მურყმ-ელდ** ტოპონიმში ბოლოკიდური **-ელდ** კნინობითის სუფიქსია, ამას ადასტურებს სვანურში დადასტურებული უამრავი მსგავსი **-ელდ** სუფიქსის შემცველი მიკროტოპონიმის არსებობა (შდრ.: **ბეყ-ელდ-ა/ზეყ-ელდ-ა** „ადგილის სახელწოდება ლენტეხის რ-ში, სოფ. ბაბილში“, **ეჩხწ ტაფ-ელდ** „სათიბი, სამოვარი მესტიის რ-ში, სოფ. ლენჯერში (ზედმიწ. – იქითა ტაფობ-უკა)“, **ეჩხე ფარფ-ელდ** „კლდეკარი მესტიის რ-ში, სოფ. ხაიშში (ზედმიწ. – იქითა ფარფლ-უკა)“, **დაბ-ელდ-წრ** „სამოვარი მესტიის რ-ში, სოფ. ლახამულაში (ზედმიწ. – ყან-უკ-ებ-ი)“, **დაბ-ელდ-წრ-იმ სარგელ** „წყარო მესტიის რ-ში, სოფ. ლახამულაში (ზედმიწ. – ყან-უკ-ებ-ი-ს წყარო)“ და ა. შ.). ცნობილია ისიც, რომ სვანურში კნინობითის ძირითად მაწარმოებლად, სავარაუდოდ, მიჩნეულია **-ილდ** სუფიქსი, რომელსაც მოეპოვება მრავალი სხვადასხვა ვარიანტი ხმოვანთა მონაცვლეობისა და თანხმოვანთა კომპლექსის გამარტივების გზით მიღებული; სახელდობრ, ფუძისეულ ბაგისმიერ ბგერებთან ასიმილაციით უნდა მიგველო **-ულდ**, რედუქციით **-გლდ**, დ თანხმოვნის დაკარგვით – **-ილ**, **-ულ**, **-გლ**; **ლ**-ზე დაბოლოებულ სიტყვებში კი დაკარგულად ითვლება სუფიქსისეული **ლ** და კნინობითის მაწარმოებლად გვევლინება **-იდ**, **-გდ**. ცხადია, სხვადასხვა დიალექტში სხვა ხმოვნიანი ვარიანტებიც დასტურდება: **-ოლდ**, **-ოლ(რლ)**, **-ელ**, **-ალ**, **-ად** (ჭუმბურიძე 1977:255). ჩვენი თვალსაზრისის მიხედვით, სწორედ **-ილდ** სუფიქსის ერთ-ერთ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ ტოპონიმებში არსებული **-ელდ**, რომელიც, ასევე, მსგავსად სხვა კნინობითის სუფიქსებისა, მიღებული ჩანს ფუძისეულ ბაგისმიერ ბგერებთან ასიმილაციით. რაც შეეხება **-ენდ** სუფიქსს, რომელიც **მურყმ-ელდ** ტოპონიმის პარალელურ **მურყმ-ენდ** ფორმაში იჩენს თავს, ჩვენი ვარაუდით, საანალიზო **-ელდ** სუფიქსისაგან უნდა მიგველო სონორ (**ლ/წ**) თანხმოვანთა მონაცვლეობით, **-ე** ხმოვნის სიგრძე კი, როგორც ჩანს, გამოწვეულია ინტერვოკალურ პოზიციაში **ჟ** თანხმოვნის დაკარგვითა და არაიდენტურ (**ა+ე**) ხმოვანთა შერწყმით. თუკი ჩვენი ვარაუდი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სწორია, მაშინ მრავალრიცხოვან სვანურ კნინობითის მაწარმოებელ სუფიქსებს **-ელდ** და **-ენდ** სუფიქსებიც უნდა დაემატოს, რაც ჯერჯერობით მხოლოდ მიკროტოპონიმებში დასტურდება.

და მაინც რამ გამოიწვია ამოსავალ ფუძეზე კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსების (**მურყმ-ელდ/მურყმ-ენდ**) დართვა? როგორც ჩანს, სოფლის სახელწოდება შედარებით უფრო გვიანდელია, იმ დროინდელი, როცა უკვე სოფელი და ამ სოფლის ნაგებობანი ნანგრევებად იყო ქცეული. ალბათ, ტოპონიმის ამოსავალი სემანტიკაც ეს არის – *კომუ-უკა*. რომ ყოფილიყო სუფიქსად წარმოდგენილი მხოლოდ **-ელ** და არა **-ელდ**, მაშინ სიტყვას სხვა კლასიფიკაცია მიეცემოდა და განიმარტებოდა როგორც კომპნარი/კომპიანი, თუმცა დაბრკოლებას ქმნის სუფიქსის ბოლოკიდური **-დ** თანხმოვანი.

შენიშვნა: ჩოლურულ მეტყველებაში ჩვენი ყურადღება მიიქცია, აგრეთვე, კნინობითის მაწარმოებელმა -ედ/-ნედ სუფიქსმაც, რომელიც ხშირად დასტურდება როგორც საზოგადო, ასევე საკუთარ სახელებში, ზედსართავებში, რიცხვით სახელებსა და მიმღებობებშიც (მაგ.: **ჯუმლ-ნედ** „მამიკო“, **უდლ-ნედ** „დაიკო“, **კაკლ-ნედ** „მარცვლუკა“, **ჩაფლ-ნედ** „ფეხსაცმელუკა“, **ტაბლ-ნედ** „სალოცავი პურუკა“...), თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული სუფიქსის შესახებ დღემდე არ ყოფილა მსჯელობა. ვფიქრობთ, -ედ/-ნედ მიღებული ჩანს სწორედ -ელდ სუფიქსისაგან **ლ-ს** რედუქციით, -ე/-ნე ხმოვანი კი მიღებული ჩანს სხვა ხმოვნებთან მონაცვლეობით (მაგ., შდრ., ერთი მხრივ, ჩოლ. **ჯუმლ-ნედ** და, მეორე მხრივ, ბქ. **ჯიმლ-ად** „მამიკო“).

საილუსტრაციო მასალა

ჟიხი კუწბჟი მურყუამნ ჩუ ლგდა, მუყმენდ ხაფშან, ლექტნ ჭუელიერს ეკუთუნის მუყმენდ (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურხან მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „ზემთ გორაკზე კოშკიც იდგა, მუყმენდი ერქვა, ქვედა ჭველიერს ეკუთვნის მუყმენდი (ზედმიწ. – ოდნავ ზემოთ გორაკზე კოშკიც ქე ი-დგ-ა, მუყმენდი ერქვა, ქვედა[ს] ჭველიერ-ს ეკუთვნის მუყმენდი)“

ალე ჩი ლადელ ესლრი ლათხტართე, ა, მწრე, ი ამასობანსა ჟ'ობმეკრახ, ერე „ეჩე ლოქ იზგე, მუყმენდ, კუწბჟი, ი აეხუ ი გეზალ ლოქ ხაყა“ (მივლინ. მასალ., მთქმელი: დაურხან მუკბანიანი, სოფ. ჭველიერი, 80 წლისა) „ეს ყოველდღე დადის თურმე სანადიროდ, აი, კაცი, და ამასობაში გაუგიათ, რომ „იქ ცხოვრობსო, მუყმენდში, გორაკზე, და ცოლ-შვილი ჰყავსო (ზედმიწ. – ეს ყოველ-დღე მიდის სა-სა-თხ-ევ-ლ-ო-[ს]-კენ, აი, კაცი, და ამასობა-ში გაუგიათ, რომ „იქ სახლობსო, მუყმენდში, გორაკზე, და ცოლი და შვილიო ჰყავს)“...

ამრიგად, პუბლიკაციაში შეძლებისდაგვარად მოცემულია ჩოლურის ხეობისა და მისი სოფლების სახელწოდებათა სტრუქტურულ-სემანტიკური და ეტიმოლოგიური ანალიზი; ყურადღება ექცევა, აგრეთვე, ხალხურ ეტიმოლოგიასაც.



ელიზავეთა გაგდალიანი

ღვთაებათა სახელები და რელიგიურ რიტუალებთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები სვანურში

ამბაკო ჭკადუას მიერ 50 წლის წინ შედგენილ სვანურ ტოპონიმთა ხელნაწერ ლექსიკონში ხშირია ღვთაებათა სახელებთან და რელიგიურ რიტუალებთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები.

მაცხოვრის გარდა მიკროტოპონიმებში **ქრისტე** ღმერთის სახელიც ფიგურირებს. **ქრისტე** არამარკირებული, მარტივი ფორმით. აღნიშნება ქრისტე ღმერთის სახელობის საყდრები: ს. ჰადიში, ს. ლახირი, ს. ფარი. **ქრისტე ლაჭჭამაშ** – „ლაჭჭამაშის ეკლესია, საყდარი“. ამჟამად ეკლესია არ ჩანს. ქალების სალოცავი ადგილია: **ქრისტე ზურალაშ როქუ სი ლწნემდ** – ქრისტე ქალები-სა, შენ გვიშველე, შეგვეწიე.

ქრისტე ს. ჰადიშის პატარა საყდარია. **ქრისტე** ეწოდება ს. ლახირის ეკლესიასა და მის მიდამოებსაც. ქრისტეს სახელს უკავშირდება ნასაყდრალი სასაფლაოთი ს. ფარში. ამ ადგილს **ქრისტე ლადბაშელ** „ქრისტეს სადიდებელ ადგილსაც“ უწოდებენ. მაისის პირველ შაბათს აქ ქრისტეს სადიდებელი ლოცვები იმართებოდა. სხვადასხვა სოფლებიდან მოდიოდნენ მლოცველები. ქალებს მოჰქონდათ მძივები, ლამაზი ღილები (ოქროსი ან ვერცხლის), ოქროსი და ვერცხლის ფული, კვერცხები. ყველაფერს ამას ნასაყდარში ტოვებდნენ. ამ ეკლესიის მსახურნი ყოფილან ვიბლიანების გვარი. და ის **ქრისტე ვიბლიანწრიშ** – „ქრისტე ვიბლიანების“ სახელითაც არის ცნობილი. ს. უშგულში მიკროტოპონიმია **ქრისტე ღომგინ** – „ქრისტეს უკან“. სათიბ-სადოვარი მთა ლასდილის იქეთა მხარეს. გადმოცემით ქრისტეს ს. უშგულის შემოგარენი მოუვლია და აღნიშნული სათიბ-სადოვარი უკან დარჩენია. ამიტომ უწოდებენ ქრისტეს უკან. **ქრისტე საყდარ ლელბაქაშ** – „დელბაქის ქრისტეს საყდარი“. აღმოჩენილია უძველესი თიხის მილები (წყალსადენი).

ს. იელში სალოცავს **ქრისტე-მაცხოვარი საყდარ** – „ქრისტე-მაცხოვრის საყდარი“ ეწოდება. სოფელ ფარში ქრისტეს ეკლესიის მიდამოებს აღნიშნავენ **-მეყ/-მოყ** „თან“ თანდებულის დართვით **ქრისტე-მეყ/-მოყ** – „ქრისტესთან. **ქრისტეშ დაბ** „ქრისტეს ყანა“ ს. წვირში. აქვეა ეკლესია **ქრისტეშ** – ქრისტესი ნათესაობით ბრუნვაში. მიკროტოპონიმად დასტურდება **ქრისტეშწარ** – „ქრისტესიანები“. –ეშ ნათესაობითი ბრუნვის, ხოლო **-წარ** მრავლობითი რიცხვის ნიშანია. აღნიშნება ეკლესიის მიმდებარე მცხოვრები ოჯახები. **ქრისტანნი** – „ქრისტესი“. სათიბ-სახნავი. ინფორმატორების ცნობით ძალიან ლამაზი ადგილებია. შეიძლება სხვა ვარაუდიც მიკროტოპონიმში უკავშირდებოდეს სვანეთში გავრცელებულ საკუთარ სახელს **ქრისტი**. ს. ლამხერი. ქვემოსვანეთის მიკროტოპონიმებია **ქრისტანწარ** – „ქრისტანები“, **ქრისტე კუაბ** – „ქრისტეს ბორცვი“. საკულტო ადგილია ს. ჭველიერი. სოფელ მაზაში საკულტო ადგილია დიდი ლოდი, რომელსაც ეძახიან **ქრისტეა ჭიშხე ნაგამ** – „ქრისტეს ფეხის ნადგამი“. თითქოს ამ ლოდზე შეინიშნება ქრისტეს ფეხის ნაკვალები.

ამბაკო ჭკადუას მიერ ჩაწერილ სვანეთის მიკროტოპონიმებში ხშირად გვხვდება, ღვთაება-

თა ირარქიაში ერთ-ერთი უდიდესი წმინდანის მარიამ ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები. მარიამ ღვთისმშობელი სვანურ დიალექტებში აღინიშნება შემდეგი ფორმებით: **ლა-მწრია** ბზ., **ლა-მწრია** ბქ., ლნტ. **ლა-მწრია** ლშხ., ჩოლ. ვ. ბარდაველიძის განმარტებით **ლამწრია** სვანურ ღვთაებათა პანთეონში მიწის ნაყოფიერების, შვილიერების, ქალების მფარველი მოწყალე ღვთაება, ქრისტიანულ ნიადაგზე ღვთისმშობელი, წმინდა მარიამი. ღვთისმშობლის, წმინდა მარიამის სვანურ ფორმაში **ლა-მწრია** გამოიყოფა **ლა-** დანიშნულების პრეფიქსი. **ლამწრია** სიტყვასიტყვით ნიშნავს **სამარიოს** – ადგილს, სადაც მარიამის სახელთან დაკავშირებული მიკროტოპონიმებია. სავარაუდოდ ადრე წარმართულ, გამორჩეულ, სალოცავ ადგილს ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ეწოდა **ლა-მწრია**. ფუძეა **მარია** შდრ. ქართული მარიამი. **მწრია** ფორმაში დაკარგულია სახელობითი ბრუნვის -ი ნიშანი. ცნობილია, რომ სვანურში სახელობითი ბრუნვა არ არის მარკირებული და ქართულიდან შესული ან საერთო-ქართველურ ლექსემებს სახელობითი ბრუნვის ნიშანი არ აქვთ. ამ ტერმინში ბოლოკიდური -მ'ც დაკარგულია.

როგორც ზემოთაც ითქვა, ღვთისმშობლის სახელზე ქრისტიანული სალოცავები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მრავლად არის აგებული.

ტოპონიმკურ ლექსიკონში **ლამწრია** – „წმინდა მარიამი“ არამარკირებული მარტივი ფუძით ფიქსირდება ზემოსვანეთის შემდეგ სოფლებში: კაერი, უშგული, იელი, ზეგანი, იენაში, ჰადიში, ლეხთაგი, ბოქრეში, იფხი ლეშუკუტი ქვემოსვანეთში: მიქელშერი, ნაშთქალი, ფაყი, ლესქურა, სასაში, ჩიხარეში.

ზოგჯერ მიკროტოპონიმი **ლამწრიაშ** – „ლამარიასი“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით დასტურდება, სადაც **-შ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც მიღებულია (**-შ** < ა + იშ) ფონეტიკური პროცესის შედეგად: სათიბი ს. ნაკი, საკულტო ადგილი ს. თავრარი, სალოცავი ადგილი ს. თოთელეშში. ამ ფორმით აღინიშნება ნაეკლესიარი, სადაც ლამარიას ევედრებიან საქონლის სიმრავლეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბესარიონ ნიჟარაძის უშგულურ ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში წმინდა მარიამის სახელად **ლამწრია**-ს გვერდით მითითებულია **ღერთამეთუენი** – ღვთისმშობელი, Вогородица.

ეკლესია, სალოცავების გარდა ლამარიას სახელთან დაკავშირებულია სხვა სახის მიკროტოპონიმებიც გვხვდება. **ლამწრია დაბზარ** – „ლამარიას ყანები“ ს. ზეგანი ბზ. ს. ლექსურა ქს. შენიშნულია, რომ განსაკუთრებით კარგ მოსავლიან ყანებს ლამარიას სახელს უკავშირებდნენ. **ლამწრია ლაცხტარ** – „ლამარიას ნაკრძალი“. სათიბი ს. შყალერი. **ლა-ცხატ** ლექსემით აღინიშნება, რომელიმე ღვთაების ან წმინდანის სახელზე შეწირუი ყანა, სათიბი ან ტყე, სადაც აკრძალულია სამეურნეო საქმიანობა, იმ შემთხვევაში თუ ეს საქმიანობა არ უკავშირდება ეკლესიას. **ლამწრია სჭიფ** – „ლამარიას საფიხენო, სასოფლო მოედანი“ ს. ჟაბეში. აქვეა მიკროტოპონიმი **ლამწრია ღარ** – „ლამარიას ხეობა, ხევი“. გამოცხადებულია წმინდა, საკულტო ადგილად, სადაც აკრძალულია ხის მოჭრა.

ლამწრია ცხეკ „ლამარიას (მარიამის) ტყე“. ს. ჟამუში **ლამწრია ძღუი** – „ლამარიას (მარიამის) გალავანი (ზღუდე) შდრ. ქართული ზღუდე. **ლამწრია ლამდხუიარ** – „ლამარიას, წმინდა მარიამის სამარხები, სასაფლაოები. **ლი-მდხუი** „დამარხვა“. მ. იენაში. სასაფლაო ღვთისმშობლის ეკლესიის მიმდებარედ. სასაფლაოები უმეტესად სვანეთში ეკლესიის მიმდებარედ არსებობდა და არსებობს დღესაც. **ლამწრია ლეზგარა** ლამარიას გადასასვლელი, უღელტეხილი. **ლე** – ა და ნიშნულების კონფიქსია. ფუძეა **ზაგარ** „ზეგანი, ქედი, გადასასვლელი“. **ლამწრია ლაწირუელი** –

„ლამარიას საწირველი“, წირვისათვის განკუთვნილი ეკლესია, საყდარი, ადგილი. ფუძეა **წირუა** შდრ. სვან. **წირ** – „წირვა“. ს. ბაიარი. **ლამარიან ნაკ** – „ლამარიას ვაკე“ სამოვარი ს. ახალშენი, ს. ლამფალაში (ქვემოსვანეთი). **ლამარიან ლაკუმი** – „ლამარიას სამადლობელი სალოცავი, ნასაყდრალი. დღესაც მისის თვეში აქ ტარდება ლოცვები. დღესასწაულს ჰქვია **ღუნობ** – „ხბობა“. კლავენ ხმოებს და სწირავენ ლამარიას. **ლამარიან ნამსგოჯუარ** – „ლამარიას, წმინდა მარიამის, დანაბრძანები“. ადგილი, სადაც ბრძანდებოდა ლამარია. ნაეკლესიარი, სათიბი ს. მურყმელი. **ლამარიან იცხ** – „ლამარიას მსხალი“ ს. წვირმი შეიძლება ლამარიას მხალი მარიამობის (სვან. ლიმრე) თვეში მწიფდება. საინტერესოა, რომ აქ დგას დიდი მსხლის ხე. ახლო-მახლო ეკლესია არაა. **ლამარიან ლახუ** – „ლამარიას მთა“, სადაც კარგი სათიბები და სამოვრებია ს. ჰველერ. **ლამარიანამეყ/მოყ** – „ლამარიასთან“ – **მეყ/მოყ** –თან თანდებულია ს. ლეშუკვი. ლამარიას ეკლესიასთან მდებარე სამოვარი. არის შემთხვევები, როცა ლამარიას ნაცვლად ადგილის სახელად **ლამარა** გვხვდება. ამ ფორმაში რ'ს მომდევნო -ი დაკარგულია. ლექსიკონში დასტურდება **ლამარიან სარანგ** – ლამარას (ლამარიას) წყარო ს. ბარში. აქვეა **ლამარიან ჰობ** – ლამარას (ლამარიას) ჰაობი. **ლამარიან შარ** – „ლამარასები (ლამარიას ყანები)“ ამ ყანებში უხვი მოსავალი მოდიოდა. **ლამარიან ლოქუ ადგურნან** – ლამარია, ღვთისმშობელი დაგორდაო (ა. ჰკადუა).

ლამარიას ნაცვლად ლამარა გვხვდება ს. ბარში. ლამარა (საკუთარი სახელი) მთელ საქართველოშია გავრცელებული.

სვანურ მიკროტოპონიმულში მრავლადაა სხვა ღვთაებათა სახელებთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები. აგრეთვე, რელიგიურ რიტუალთა ჩასატარებელი ადგილების სახელწოდებანი. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.



ელიზავთა გაგდელიანი

საპრალური ტერმინები სვანურ
მიკროტოპონიმებში

სვანეთი ისტორიულად ერთ-ერთი ქართველური ტომის, სვანების, უძველესი საცხოვრისი ადგილია, რომელიც დღევანდელი სვანეთის (ზემო და ქვემო სვანეთი) საზღვრებში საუკუნეების მანძილზე არ შეცვლილა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ტერიტორიაზე უცხო ტომთა ცხოვრების კვალი არ შეინიშნება. სვანური ტოპონიმების დიდი ნაწილი აბორიგენი მოსახლეობის, კერძოდ, ქართველური ენობრივი მონაცემებით არის ნაშენები.

ისტორიული წყაროებიდან, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უძველეს, ჩვენგან მრავალი საუკუნით დაშორებულ ეპოქაში, სვანურენოვანი მოსახლეობა შავ ზღვამდე იყო გავრცელებული. „ტოპონიმური სახელები გვამღევენ იმის უტყუარ საბუთს, რომ სვანები ძველად გაცილებით უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ, ვიდრე ახლა ცხოვრობენ. ლეჩხუმსა, რაჭასა და სამეგრელოში მრავალი გეოგრაფიული სახელია სვანური აფიქსებით ნაწარმოები“ (ზურაბიშვილი, 1961, 136). არამხოლოდ აფიქსებია აღნიშნულ ტერიტორიებზე სვანური, არამედ ტოპონიმთა ფუძეებიც ხშირად სვანური ენის კუთვნილება ჩანს.

ტოპონიმის აღნუსხვა, მისი მეცნიერულად შესწავლა საშუალებას იძლევა გარკვეულ იქნეს ამა თუ იმ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხთა ვინაობა. გეოგრაფიულ სახელთა გენეზისი და სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი დაეხმარება ენათმეცნიერებს, ისტორიკოსებს, ეთნოგრაფებს, არქეოლოგებს ხალხთა ისტორიის, მათი ყოფა-ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევაში.

ტოპონიმისა, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, „ერთადერთი წყაროა საქართველოს მოსახლეობის შემადგენლობის გასარკვევად, იმ ხანისათვის, რომელსაც წერილობითი გადმოცემის შუქი ვერ სწვდება“ (ჯანაშია 1959, 117-123).

ნ. ბერძენიშვილი წერს: „ადგილთა სახელები გადაშლილი წიგნია, რომელშიც ჩვენს წინაპრებს თავისი თავგადასავალი ჩაუწერიათ“.

ტოპონიმებს დედამიწის ენასაც უწოდებენ.

აღსანიშნავია, რომ სვანური მიკროტოპონიმისა მეცნიერულად დღესაც ნაკლებად შესწავლილად ითვლება.

საერთოდ, ქართული ტოპონიმისა და, მათ შორის, სვანეთის მიკროტოპონიმების, ადგილის სახელწოდებათა აღნუსხვას და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას იმთავითვე მეტად საშურ საქმედ მიიჩნევენ.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი ქართული ენის კათედრასთან შეიქმნა ტოპონიმისა ლაბორატორია. ამ ლაბორატორიის თანამშრომელს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, სვანეთის მკვიდრს, სვანური ენისა და სვანების ყოფა-ცხოვრების უბადლო მცოდნე ამბაკო ჭკადუას დაევალა ზემო და ქვემო სვანეთის მიკროტოპონიმების შეძლებისდაგვარად სრულად აღნუსხვა. აღნიშნული სამუშაო მან პირნათლად შეასრულა.

ა. ჭკადუამ ფეხდაფეხ თუ ცხენით მთელი სვანეთი შემოიარა, დატოვა ამ მხარის მიკროტოპონიმების უნიკალური მასალა.

უნდა ითქვას, რომ 50 წლის წინ ჩაწერილი მიკროტოპონიმების სახელწოდებების ნაწილი დღეს დაკარგული, დავიწყებული ან შეცვლილია. ცხოვრების მძიმე პირობებმა, მცირემიწიანობამ, დიდი ტრადიციული ოჯახების დაშლამ, უარყოფითმა ბუნებრივმა მოვლენებმა, ეკრომიგრაციამ, რაც ბოლო წლებში მოხდა სვანეთში, ზოგი სოფლის მოსახლეობისაგან ნაწილობრივი ან სრული დაცლა გამოიწვია.

გვინდა ამბავო ჭკადუას მიერ ჩაწერილი მიკროტოპონიმებიდან გამოვყოთ საკრალური ტერმინების შემცველი ზოგი ადგილის გეოგრაფიული სახელები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „თითქმის ყველა ქვეყნის გეოგრაფიულ სახელებში გამოიყოფა ერთი ფენა, რომელიც აერთიანებს ამა თუ იმ ხალხის რელიგიური შეხედულებებისა და წეს-ჩვეულებათა ამსახველ გეოგრაფიულ სახელებს – ე. წ. საკულტო ტოპონიმებს“ (მალრაძე, 2000, 122-127).

მეცნიერთა შორის დიდ ინტერესს იწვევდა და იწვევს სვანეთში შემორჩენილი ადრექრისტიანული, წარმართობის ელფერის მატარებელი რელიგიური, საკრალური ტერმინების შემცველი ტოპონიმები და რიტუალები, რომელთა ჩატარების დროს აუცილებელი იყო, რომელიმე ღვთაებისადმი მიძღვნილი **ლი-მზგრ-ი** „ლოცვა“, სანთელ-საკმეველი, საკლავი, ზედაშე, გამომცხვარი პურების (**ლე-მეზირ-ების** „შესაწირავი კვერების“) შეწირვა. რელიგიური რიტუალების გამართვა და ლოცვა-ვედრება ჩვეულებრივი მოვლენაა მთიელთა ცხოვრებაში, მათ შორის სვანებშიც. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ცხოვრების მძიმე პირობები, მკაცრი ბუნება, ზამთრის ხანგრძლივობა, რომელიც ზოგან რვა თვეს გრძელდება, დიდთოვლობა, ყოველდღიური მოსალოდნელი უარყოფითი ბუნებრივი მოვლენები, ზვავებისა და მეწყერების სიხშირე, საყოფაცხოვრებო ხიფათის არსებობა განაპირობებდა ღვთაებათა და წმინდანთა თაყვანისცემას, მათადმი მიძღვნილ რელიგიური რიტუალების ჩატარებას, როცა ღმერთებს ევედრებოდნენ ოჯახის წევრთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას, საქონლის ზარალისაგან დაცვას, მშვიდობას შინ და გარეთ, უხვი მოსავლისათვის ხელსაყრელ ამინდს, ბარში საშოვარზე წასული მამაკაცების შინ მშვიდობით დაბრუნებას. ოჯახის უფროსი მამაკაცი ან უფროსი დიასახლისი საკრალურ ადგილზე, ეკლესიაში ან ოჯახში – მაჩუბის აღმოსავლეთის კედლის მარჯვენა სარკმელთან, ატარებდა სხვადასხვა რიტუალს და ლოცვა-ვედრებას, იმის მიხედვით, რომელი ღმერთი ან წმინდანი რისი ან ვისი მფარველი იყო.

მიკროტოპონიმები საერთოდ და მათ შორის სვანურიც, ძირითადად შეიცავს: ეკლესია-სალოცავების, სათიბების, სამოვრების, ყანების, სოფლის უბნების, მომცრო მდინარეების, მათი შენაკადების, ღელეების მიმდებარე მიდამოების, ტყეების, მათკენ მიმავალი გზების, ადამიანთა თავშეყრის, ბუნებრივ მოვლენათა, სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ, ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ამა თუ იმ სახეობის გავრცელების ადგილთა სახელწოდებებს, ტოპონიმებს.

როგორც ზემოთ ითქვა, სვანურ მიკროტოპონიმებს შორის დიდი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ ღვთაებათა და წმინდანთა სალოცავ ადგილებს, ასევე მათთან დაკავშირებულ რელიგიურ რიტუალთა და დღეობათა ჩასატარებელ ადგილთა სახელებს.

მაგ.: **ლმ-მზგრ** ზს., **ლა-მზგრ** ლშ. **ლმ-მზგრ** || **ლმ-მეზგრ** ლნტ. „სალოცავი ადგილი“. ამ მიკროტოპონიმში გამოიყოფა **ლა-**, **ლმ-** დანიშნულების მაწარმოებელი პრეფიქსი, რომელიც ამავე

მნიშვნელობის ქართული სა- პრეფიქსის ბადალი ფორმანტია. სვანური **ლწ**- პრეფიქსის ხმოვნის უმლაუტი ბალსზემოურში გამოიწვია ფუძისეული -**ე** ხმოვნის რედუქციამ, ხოლო ბალსქვემოურსა და ლენტეხურში წინამავალი -**ა** ხმოვნის უმლაუტს იწვევს, როგორც რედუცირებული, ისე არარედუცირებული -**ე** ხმოვანი. შდრ. ლნტ. **ლწ-მე-ზერ** „სალოცავი ადგილი“; **ლი-მეზრ-ე** „დალოცვა, ლოცვა“. როგორც ცნობილია, ლენტეხურ დიალექტს სხვა დიალექტებთან შედარებით ხმოვანთა რედუქცია ნაკლებად ახასიათებს, ამოსავალი ფორმები, სრულხმოვნობა ამ დიალექტში ხშირად დაცულია. შდრ. აგრეთვე ამავე ფუძესთან საერთო **მეზირ** – „ოჯახის მფარველი, ბარაქის მომნიჭებელი, ოჯახზე მლოცველი ძალა...“ (ბარდაველიძე, 1939, 134). ხშირად მთაში გადაადგილების დროს, სახიფათო კლდეებისა და ბილიკების გავლის შემდეგ მშვიდობიან, უხიფათო ადგილას ლოცულობენ, მადლობას უხდიან ღვთაებებს: „**მწ როქ შუიდიობდ ოლკადდ** (ს. ლახამულა) „მადლობა, რომ მშვიდობით მოვედითო“. ამ ადგილს **ლწ-მზერ**ს „სალოცავს“ უწოდებენ. შეიძლება ასეთ ადგილზე ეკლესია ან რამე სალოცავი ნიში არ იყოს.

ლწ-მზერ „სალოცავი“ – ამ სახელით აღინიშნება მიკროტოპონიმები მესტიის რაიონის შემდეგ სოფლებში. სათიბი **მაგარდელი**, **ღვებალდი**; სამოვარი **ფხეტრერი**, **ლახამულა**; ლენტეხის რაიონში ს. **ყარიშში**, ს. **მუწდიში** მიკროტოპონიმია **ლა-მზერ ღუმურ** „სალოცავი ნაძვი“; **ლა-მზერ ლე-ცხტმ-ერ** „სალოცავი რცხილნარი“ **ლე** – -ერ კონფიქსია, ფუძეა **ცხტმ**, **ცხტმ** „რცხილა“. რცხილნარი ადგილის აღსანიშნავად გვხვდება **ლე-ცხტმ-წრ** ფორმაც. **ლწმზერ ლაცხტი** „სალოცავი ნაკრძალი“ (მესტია ს. ტობარი). **ლაცხტი** || **ლაცხატ** „ღვთაების თუ წმინდანის სახელზე შეწირული საყანე ადგილი“ (ბარდაველიძე, 1939, 206). ამ შემთხვევაში **ლწმზერ ლაცხტი** კლდეა, აქამდე მწელად გასავლელი ბილიკი ყოფილა და, რადგანაც აქამდე მშვიდობით გამოვალწიეთო, წმინდა გიორგის მიმართავენ. „**ჯგვრწგ, ხოჩა გუყი ანზელალინ ჩიგარ** – „წმინდა გიორგი, კარგ გულზე (გახარებული) გვატარე ყოველთვის“. ნაძვის ტოტს მოტეხდნენ და დებდნენ ერთ ადგილას. ხშირად სალოცავების მიმდებარედ გვხვდება ნაკრძალი ტყეც, სადაც ხის მოჭრა და სხვა რამე სამეურნეო საქმიანობა აკრძალულია. **ლიცხტენი** – ყელში გაჩხირვა, შეჩვენება, დაწყევლა (ლიპარტელიანი, 1994, 195). ამავე ლექსიკონში შეტანილია **ცხატა** ფორმა, გაჩხირება, გაკვებება, ხატზე გადაცემა ნაჭდვეი ჯოხის დასობით“ (ლიპარტელიანი, 1994, 324). იგულისხმება აკრძალვის გამტეხის დაწყევლა, ხატზე გადაცემა.

ლწმზერი ჯიჰრა „სალოცავი მუხა“ (მესტია, ს. ბეჩო) აქ ევედრებიან სალოცავ, წმინდა მუხას რევმატიული დაავადებისაგან დაცვას და იხდიან სხვადასხვა რელიგიურ დღესასწაულებს. **ლწმზერ კაკწრ** „სალოცავი კაკლები“ (კაკლის ხეები)“ (მესტია, ს. ლარილარ); **ლწმზერ ნაკ** „სალოცავი ვაკე“ (მესტია, ს. ვედი); იქვეა **ლწმზერ ლაცტმი** „სალოცავი ეკლესია“. **ლაცტწმ ბზ.**, **ლაცტწმ ლნტ.**, **ლაცტამ ლშზ.**, **ლაცტმი ბქ.** „ეკლესია“. შდრ. **ლიცტწმი ბზ.**, **ლიცტწმი ბქ.**, 1. „მადლობის თქმა“; 2. გადალოცვა სასმისის. **მაცტწმ ბზ.**, **მაცტამ ბქ.** „მადლობა“. **მაცტწმწრ ბზ.**, **მაცტწმწრ ბქ.** „მადლიერი“ (თოფურია, ქალდანი, 2000). **ლაცტწმ**, **ლაცტმი** ეტიმოლოგიურად ნიშნავს ადგილს, სადაც ღმერთებს მადლობას უხდიან, სამადლობელი ადგილი, ეკლესია.

ლწმზერ კოჯ „სალოცავი კლდე“ (მესტია, ს. უშგული). ა. ჭკადუას ცნობით, ადრე ქალების სალოცავი ყოფილა, შესაძლებელია, **ჟწჰ** ზვავის“ საწინააღმდეგოდ ლოცულობდნენო. **ლწმზერ ნენზ** „სალოცავი სოჭი“; **ლწმზერ ნენწრ** „სალოცავი სოჭები“ (მესტია, ზემო მარდი). **ლწმზერ** საკრალური ტერმინი გვხვდება კნინობითი ფორმით **ლწმზერ-გლ{დ}** – „სალოცავი“ – **გლ{დ}** კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსია. ამ ფორმით, როგორც ჩანს, აღინიშნება საკულტო ადგილის მოცულობითი სიმცირე (მესტია, ბოგრეში, დაკარი; ლენტეხი ს. შგედი). შგედის მთაში არის სა-

მოვარი სახელწოდებით **ლამზირ-რლ** „სალოცავი“ -რლ კნინობითის მაწარმოებელი ერთ-ერთი სუფიქსია. **ლამზერგლ-წმ** „სალოცავის“, კნინობით ფორმაზე -წმ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი დართული. ასევე კნინობით ფორმაზეა მრავლობითი რიცხვის -წრ ნიშანი მიკროტოპონიმ **ლამზერგლ-წრ** „სალოცავები, სალოცავი ადგილები“ (მესტია, ს. ბაგვდანარი). დასტურდება სამ და ოთხ კომპონენტის ერთი და იგივე ტოპონიმი: **ლამზერ ჩუბე ნაკვლდწმ ლეცხტმერ** – „სალოცავი ქვემო ნაკვლდამის რცხილნარი“ || **ლამზერ ჩუბე ნაკვლდ** – „სალოცავი ქვემო ვაკობი“ (მესტია, ს. ქვ. ვედი).

სვანურ მიკროტოპონიმებს შორის გამოიყოფა მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული ეკლესიების, სალოცავებისა და სხვადასხვა ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებები.

მაცხოვარი – სიცოცხლის მიმნიჭებელი იესო ქრისტეს ეპითეტი (ქეგლ).

სვანურში დიალექტების მიხედვით გვაქვს შემდეგი ფორმები: **მაცხტწრ** ბზ., **მაცხტწრ** ბქ., **ლნტ.**, **მაცხტწრ** ლმზ. 1. მაცხოვარი 2. მაცხოვრის ეკლესია (თოფურია, ქალდანი, 2000).

მაცხოვარი სვანურში ქართულიდან შესული ტერმინია **მაცხტწრ**, **მაცხტწრ**... ფორმით. როგორც ცნობილია, სვანურში სახელობითი -ი ბრუნვის ნიშანი იკარგება და ფუძისეული ა ხმოვანზე კვალს ტოვებს უმლაუტის სახით.

ა. ჭკადუას მიერ შედგენილ მიკროტოპონიმთა ჩამონათვალში მაცხოვართან დაკავშირებული 40 საკრალური ადგილია დაფიქსირებული.

მაცხტწრ „მაცხოვარი“ პირველადი, არამარკირებული ფორმით, გვხვდება ეკლესია, საყდარი, ნაეკლესიარის სახელწოდებად საზღვრულის გარეშე მითითებულია მესტიის რაიონის შემდეგ სოფლებში: **ლაჰილი**, **ჩვაბიანი**, **ჰადიში**, **ჟაბეში**, **ხალდე**, **ლახუმტი**, **მაცხვარიში**, **ჯოხულდი**... გარდა ამისა, ხშირად გვხვდება საზღვრულთან ერთად: **მაცხტწრი ლამზერ** – „მაცხოვრის სალოცავი“ გზა, ტყე (მესტია, ს. იელი). გზიდან ჩანს წვირმის მაცხოვრის ეკლესია. **მაცხტწრი ლამდხტიწრ** – „მაცხოვრის სასაფლაოები“ (მესტია, ს. მაცხტწარიში); **მაცხტწრი მურყტამ** – „მაცხოვრის კოშკი“ (მესტია, ს. ჟამუში) მაცხოვრის ეკლესიის გვერდით დგას კოშკი; ამავე სახელწოდებით აღინიშნება ნაკოშკარი (მესტია, ს. ჟამუში); **მაცხტწრი სტიფ** – „მაცხოვრის სასოფლო მოედანი, საფიხტნო“; **მაცხტწრი ნაკ** – „მაცხოვრის ვაკე“ სათიბი (ლენტეხი, ს. ლასკადარი); **მაცხტწრი საყდარ** – „მაცხოვრის საყდარი“ (მესტია, ს. ლალამი); **მაცხტწრი ნაკვლდწრ** – „მაცხოვრის სათიბები“ (მესტია, ს. იფხი). ამ მიკროტოპონიმებში ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული -ში დაკარგულია.

დასტურდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის სრული ფორმით დართვის შემთხვევები. **მაცხტწრიში** „მაცხოვრის“ ნაეკლესიარი (მესტია, ს. ლადრერი, ლენტეხი, ს. ხაჩეში), საყდარი (ლენტეხი, ს. ცხუმალდი), სათიბი (ლენტეხი, ს. ზედა ბავარი); **მაცხტწრიში** „მაცხოვრის“ სოფელი მაცხვარიში, სამოვარი (მესტია, ს. ზარდალაში);

მაცხტწრ ლანხტწრიწმ – „მაცხოვარი ლანხვრის“ ნაეკლესიარი (მესტია, ს. ლანხვარი); **მაცხტწრიში ლახტ** – „მაცხოვრის მთა“ სათიბი (მესტია, ს. მაცხვარიში); **მაცხტწრიში სტიკტ** – „მაცხოვრის ბორცვი, გორაკი“ ნაეკლესიარი (ლენტეხი, ს. ხაჩეში); **მაცხტწრიში ლელა** – „მაცხოვრის ლელე“ (ლენტეხი ს. ცხუმალდი); **მაცხტწრიში ზოგ** – „მაცხოვრის ხიდი“ (მესტია, ს. კვანჭიანარი); სამი მიკროტოპონიმი შეგვხვდა კნინობითი ფორმით **მაცხტწრილ** – ტყე, სამოვარი ნაეკლესიარი (მესტია, ს. სოლი).

მაცხოვრის გარდა მიკროტოპონიმებში **ქრისტე** ღმერთის სახელიც ფიგურირებს. **ქრისტე** არამარკირებული, მარტივი ფორმით. აღინიშნება ქრისტე ღმერთის სახელობის საყდრები: ს. ჰადიში, ს. ლახირი, ს. ფარი. **ქრისტე ლაჯტამწმ** – „ლაჯტამამის ეკლესია, საყდარი“. ამჟამად ეკლე-

სია არ ჩანს. ქალების სალოცავი ადგილია: **ქრისდე ზურალაშ როქუ სი ლანემდ** – ქრისტე ქალები-სა, შენ გვიშველე, შეგვეწიე.

ქრისდე ს. ჰადიშის პატარა საყდარია. **ქრისდე** ეწოდება ს. ლახირის ეკლესიასა და მის მიდამოებსაც. ქრისტეს სახელს უკავშირდება ნასაყდრალი სასაფლაოთი ს. ფარში. ამ ადგილს **ქრისდე ლაღბაშელ** „ქრისტეს სადიდებელ ადგილსაც“ უწოდებენ. მაისის პირველ შაბათს აქ ქრისტეს სადიდებელი ლოცვები იმართებოდა. სხვადასხვა სოფლებიდან მოდიოდნენ მლოცველები. ქალებს მოჰქონდათ მძივები, ლამაზი ღილები (ოქროსი ან ვერცხლის), ოქროსი და ვერცხლის ფული, კვერცხები. ყველაფერს ამას ნასაყდარში ტოვებდნენ. ამ ეკლესიის მსახურნი ყოფილან ვიბლიანების გვარი. და ის **ქრისდე ვიბლიანარიშ** – „ქრისტე ვიბლიანების“ სახელითაც არის ცნობილი. ს. უშგულში მიკროტოპონიმია **ქრისდე ლომგინ** – „ქრისტეს უკან“. სათიბ-სამოვარი მთა ლასდილის იქეთა მხარეს. გადმოცემით ქრისტეს ს. უშგულის შემოგარენი მოუვლია და აღნიშნული სათიბ-სამოვარი უკან დარჩენია. ამიტომ უწოდებენ ქრისტეს უკან. **ქრისდე საყდარ ლელბაქაშ** – „დეღბაქის ქრისტეს საყდარი“. აღმოჩენილია უძველესი თიხის მილები (წყალსადენი).

ს. იელში სალოცავს **ქრისდე-მაცხუარი საყდარ** – „ქრისტე-მაცხოვრის საყდარი“ ეწოდება. სოფელ ფარში ქრისტეს ეკლესიის მიდამოებს აღნიშნავენ **-მეყ/-მოყ** „თან“ თანდებულის დართვით **ქრისდე-მეყ/-მოყ** – „ქრისტესთან. **ქრისდეშ დაბ** „ქრისტეს ყანა“ ს. წვირში. აქვეა ეკლესია **ქრისდეშ** – ქრისტესი ნათესაობით ბრუნვაში. მიკროტოპონიმად დასტურდება **ქრისდეშარ** – „ქრისტესიანები“. –ეშ ნათესაობითი ბრუნვის, ხოლო **-არ** მრავლობითი რიცხვის ნიშანია. აღნიშნება ეკლესიის მიმდებარე მცხოვრები ოჯახები. **ქრისტანი** – „ქრისტესი“. სათიბ-სახნავი. ინფორმატორების ცნობით ძალიან ლამაზი ადგილებია. შეიძლება სხვა ვარაუდიც მიკროტოპონიმი უკავშირდებოდეს სვანეთში გავრცელებულ საკუთარ სახელს **ქრისტი**. ს. ლამხერი. ქვემოსვანეთის მიკროტოპონიმებია **ქრისტანარ** – „ქრისტანები“, **ქრისტე კუაბ** – „ქრისტეს ბორცვი“. საკულტო ადგილია ს. ჭველიერი. სოფელ მაზაში საკულტო ადგილია დიდი ლოდი, რომელსაც ეძახიან **ქრისტეა ჭიშხე ნაგამ** – „ქრისტეს ფეხის ნადგამი“. თითქოს ამ ლოდზე შეინიშნება ქრისტეს ფეხის ნაკვალები.

ამბაკო ჭკადუას მიერ ჩაწერილ სვანეთის მიკროტოპონიმებში ხშირად გვხვდება, ღვთაებათა ირარქიაში ერთ-ერთი უდიდესი წმინდანის მარიამ ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები. მარიამ ღვთისმშობელი სვანურ დიალექტებში აღინიშნება შემდეგი ფორმებით: **ლა-მარია** ბზ., **ლა-მარია** ბქ., **ლნ.ტ.** **ლა-მარია** ლშხ., ჩოლ. ვ. ბარდაველიძის განმარტებით **ლამარია** სვანურ ღვთაებათა პანთეონში მიწის ნაყოფიერების, შვილიერების, ქალების მფარველი მოწყალე ღვთაება, ქრისტიანულ ნიადაგზე ღვთისმშობელი, წმინდა მარიამი. ღვთისმშობლის, წმინდა მარიამის სვანურ ფორმაში **ლა-მარია** გამოიყოფა **ლა-** დანიშნულების პრეფიქსი. **ლამარია** სიტყვასიტყვით ნიშნავს **სამარიოს** – ადგილს, სადაც მარიამის სახელთან დაკავშირებული მიკროტოპონიმებია. სავარაუდოდ ადრე წარმართულ, გამორჩეულ, სალოცავ ადგილს ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ეწოდა **ლა-მარია**. ფუძეა **მარია** შდრ. ქართული მარიამი. **მარია** ფორმაში დაკარგულია სახელობითი ბრუნვის **-ი** ნიშანი. ცნობილია, რომ სვანურში სახელობითი ბრუნვა არ არის მარკირებული და ქართულიდან შესული ან საერთო-ქართველურ ლექსემებს სახელობითი ბრუნვის ნიშანი არ აქვთ. ამ ტერმინში ბოლოკიდური **-მ'ც** დაკარგულია.

როგორც ზემოთაც ითქვა, ღვთისმშობლის სახელზე ქრისტიანული სალოცავები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მრავლად არის აგებული.

ტოპონიმიკურ ლექსიკონში **ლამარია** – „წმინდა მარიამი“ არამარკირებული მარტივი ფუძით ფიქსირდება ზემოსვანეთის შემდეგ სოფლებში: კაერი, უშგული, იელი, ზეგანი, იენაში, ჰადიში, ლეხთაგი, ბოქრეში, იფხი ლემუკუტი ქვემოსვანეთში: მიქელშერი, ნაშთქალი, ფაყი, ლესქურა, სასაში, ჩიხარეში.

ზოგჯერ მიკროტოპონიმი **ლამარიშ** – „ლამარიასი“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმით დასტურდება, სადაც **-შ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, რომელიც მიღებულია (**-შ < ა + იშ**) ფონეტიკური პროცესის შედეგად: სათიბი ს. ნაკი, საკულტო ადგილი ს. თავრარი, სალოცავი ადგილი ს. თოთელეშში. ამ ფორმით აღინიშნება ნაეკლესიარი, სადაც ლამარიას ევედრებიან საქონლის სიმრავლეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბესარიონ ნიჟარაძის უშგულურ ქართულ-სვანურ-რუსულ ლექსიკონში წმინდა მარიამის სახელად **ლამარია**-ს გვერდით მითითებულია **ღერთამეთენი** – ღვთისმშობელი, *Ворогодица*.

ეკლესია, სალოცავების გარდა ლამარიას სახელთან დაკავშირებულია სხვა სახის მიკროტოპონიმებიც გვხვდება. **ლამარიშ დაბარ** – „ლამარიას ყანები“ ს. ზეგანი ბზ. ს. ლექსურა ქს. შენიშნულია, რომ განსაკუთრებით კარგ მოსავლიან ყანებს ლამარიას სახელს უკავშირებდნენ. **ლამარიშ ლაცხტარ** – „ლამარიას ნაკრძალი“. სათიბი ს. შყალერი. **ლა-ცხატ** ლექსემით აღინიშნება, რომელიმე ღვთაების ან წმინდანის სახელზე შეწირული ყანა, სათიბი ან ტყე, სადაც აკრძალულია სამეურნეო საქმიანობა, იმ შემთხვევაში თუ ეს საქმიანობა არ უკავშირდება ეკლესიას. **ლამარიშ სტიფ** – „ლამარიას საფიხენო, სასოფლო მოედანი“ ს. ჟაბეში. აქვეა მიკროტოპონიმი **ლამარიშ ღარ** – „ლამარიას ხეობა, ხევი“. გამოცხადებულია წმინდა, საკულტო ადგილად, სადაც აკრძალულია ხის მოჭრა.

ლამარიან ცხეკ „ლამარიას (მარიამის) ტყე“. ს. ჟამუში **ლამაპინ ძღუი** – „ლამარიას (მარიამის) გალავანი (ზღუდე) შდრ. ქართული ზღუდე. **ლამარიშ ლამდხტიარ** – „ლამარიას, წმინდა მარიამის სამარხები, სასაფლაოები. **ლი-შდხტი** „დამარხვა“. მ. იენაში. სასაფლაო ღვთისმშობლის ეკლესიის მიმდებარედ. სასაფლაოები უმეტესად სვანეთში ეკლესიის მიმდებარედ არსებობდა და არსებობს დღესაც. **ლამარიშ ლეზგარა** ლამარიას გადასასვლელი, უღელტეხილი. **ლე** – ა და ნიშნულების კონფიქსია. ფუძეა **ზაგარ** „ზეგანი, ქედი, გადასასვლელი“. **ლამაიშ ლაწირტელი** – „ლამარიას საწირველი“, წირვისათვის განკუთვნილი ეკლესია, საყდარი, ადგილი. ფუძეა **წირტა** შდრ. სვან. **წირ** – „წირვა“. ს. ბაიარი. **ლამარიან ნაკ** – „ლამარიას ვაკე“ სამოვარი ს. ახალშენი, ს. ლამფალაში (ქვემოსვანეთი). **ლამარიშ ლაკტმი** – „ლამარიას სამადლობელი სალოცავი, ნასაყდრალი. დღესაც მაისის თვეში აქ ტარდება ლოცვები. დღესასწაულს ჰქვია **ღუნობ** – „ხბობა“. კლავენ ხმოებს და სწირავენ ლამარიას. **ლამარშ ნამსგოჯტარ** – „ლამარიას, წმინდა მარიამის, დანაბრძანები“. ადგილი, სადაც ბრძანდებოდა ლამარია. ნაეკლესიარი, სათიბი ს. მურყმელი. **ლამაპპ იცხ** – „ლამარიას მსხალი“ ს. წვირმი შეიძლება ლამარიას მხალი მარიამობის (სვან. ლიმრიე) თვეში მწიფდება. საინტერესოა, რომ აქ დგას დიდი მსხლის ხე. ახლო-მახლო ეკლესია არაა. **ლამარიან ლახტ** – „ლამარიას მთა“, სადაც კარგი სათიბები და სამოვრებია ს. ჰველერ. **ლამარიამეც/მოც** – „ლამარიასთან“ – **მეც/მოც** – თან თანდებულია ს. ლემუკვი. ლამარიას ეკლესიასთან მდებარე სამოვარი. არის შემთხვევები, როცა ლამარიას ნაცვლად ადგილის სახელად **ლამარა** გვხვდება. ამ ფორმაში რ'ს მომდევნო -ი დაკარგულია. ლექსიკონში დასტურდება **ლამარშ სარაგ** – ლამარას (ლამარიას) წყარო ს. ბარში. აქვეა **ლამარშ ჰიბ** – ლამარას (ლამარიას) ჰაობი. **ლამარაშარ** – „ლამარასები (ლამარიას ყანები)“ ამ ყანებში უხვი მოსავალი მოდიოდა. **ლამარიან ლოქტ ად**

გურნან – ლამარია, ღვთისმშობელი დაგორდაო (ა. ჭკადუა).

ლამარიას ნაცვლად ლამარა გვხვდება ს. ბარშში. ლამარა (საკუთარი სახელი) მთელ საქართველოშია გავრცელებული.

სვანურ მიკროტოპონიმში მრავლადაა სხვა ღვთაებათა სახელებთან დაკავშირებული მიკროტოპონიმები. აგრეთვე, რელიგიურ რიტუალთა ჩასატარებელი ადგილების სახელწოდებანი. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელება.



ელიზავეთა გაგდელიანი

ქვემო სვანეთის ზოგი ტოპონიმის წარმომავლობისათვის

ქვემოსვანეთის ტოპონიმები მეცნიერული თვალსაზრისით თითქმის შეუსწავლელია. ჩვენი სტატია ამ ხარვეზის შევსების ცდას წარმოადგენს.

მე-XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და XX საუკუნის ორი ათეული წლის მანძილზე, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის გამორჩეული ფიგურის, სვანეთის ბურჯის, როგორც მას აკაკი შანიძემ უწოდა, ბესარიონ ნიჟარაძის წერილები: სვანეთის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, ენისა და სხვა მრავალ სვანეთთან დაკავშირებულ საკითხებზე იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა; განსაკუთრებით ხშირად ივერიასა და დროებაში.

ეს წერილები შეკრიბა, ვრცელი გამოკვლევა დაურთო და ორ ტომად გამოსცა ალექსანდრე რობაქიძემ (ბ. ნიჟარაძე „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“, 1962-64 წწ.). ჩვენთვის საინტერესოა მისი წერილი: „ოთხი დღე მდინარე ენგურის, ცხენისწყლის და რიონის სათავეებში“. ავტორი აღწერს თავის მოგზაურობას მდინარეების – ყორულდის, ზესხურისა და ხიდურის ხეობებში. მოგზაურობის აღწერის დროს, განმარტავს უშგულისა და ქვემოსვანეთის საზღვარზე და, საერთოდ, ცხენისწყლის ხეობაში მდებარე ზოგი ტოპონიმის წარმომავლობას. ეს მოგზაურობა დაიწყო 1885 წლის 24 ივლისს, უშგულიდან რაჭის მიმართულებით, ღები-ჭიორას საზოგადოებაში. მოგზაური ასახელებს ღელე-მდინარეს **ქვიშირ**'ს რომელიც უშგულში უერთდება მდინარე ენგურს. **ქვიშირი** მუდამ შავი და ქვიშიანია, ამის გამო, მიუღია სახელი **ქვიშირ**, ე. ი. „ქვიშიანი“ (ნიჟარაძე, 11). აქვე განმარტავს ერთ-ერთი დიდი საძოვრის სახელწოდებას **ლანქვერ** „საგრილობელი“. ამ ადგილზე მუდამ გრილა, რადგან მზე მხოლოდ შუადღეს ადგებაო, ამიტომაც ჰქვია **ლანქვერ** (სვან. **ლანქუერ**) „საგრილობელი“. მართლაც ამ ტოპონიმში გამოიყოფა დანიშნულების პრეფიქსი **ლა-**, ფუძეა **ქუერ** (შდრ. **ლნტ.** < **ქვეირ**) „ცივი, გრილი“. ასევე განმარტავს სათიბისა და ღელე-მდინარის სახელწოდებას **ლასდილ**, „ეს სახელი იმიტომ დარქმევია, რომ დილით უშგულიდან გამოსული მოგზაური სადილობისას მოაწევს აქ და აქ უსათუოდ ისადილებსო“ (ნიჟარაძე, 16). ბზ. **ლწ-სდილ**, **ლნტ.** **ლწ-სტილ** „სასადილო“. ბალსზემოურ **დ**'ს ლენტეხურში -**ტ**-შეესაბამება. გამოიყოფა **ლა-** დანიშნულების პრეფიქსი, -**სდილ**- ქართ. < **სადილ** ფორმის რედუცირებული ვარიანტია. ერთ-ერთ ცნობილ ხეობას და მდინარეს **ყორულდ**'ს უწოდებს და არა **ყორულდწ**'ს, როგორც მას დღეს სვანები მოიხსენებენ. ბ. ნიჟარაძე ამ ფორმას არ იცნობს, ყოველ შემთხვევაში ამ წერილში არ ასახელებს. არსენ ონიანის ლაშხური დიალექტის ტექსტებში **ყორულდამ** / **ყორილდამ** ფორმები გვხვდება, იშვიათად მათ გვერდით **ყორულდი**'ც დასტურდება. ბზ. **ყორილდამ** / **ყორულდამ**, **ლშხ.** **ყორილდამ** / **ყორულდამ** ტოპონიმში გამოიყოფა ფუძე **ყორ** „კარი“, -**ილდ**, -**ულდ** კნინობითის მაწარმოებელი სუფიქსებია, -**ამ** კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. სვანეთში, განსაკუთრებით ლაშხურში, ხშირად გვხვდება კნინობითის სუფიქსიანი ტოპონიმები. მაგ.: მთა **კალრდარ**, ფუძეა **კალ** „კალო, ეზო“, -**ილდ** კნინობითის სუფიქსი, -**არ** მრავლობითი რიცხვის ნიშანი. **კალ-რდ-არ** „კალოები“. ასეთივე აგებულების ტოპონიმია **ლა-კაჟ-რლ-ალ** „საკაჟოები“, **ლა-** დანიშნულების პრეფიქსია, ფუძეა **კაჟ** „კაჟი“, -**რლ** კნინ. სუფიქსი, -**ალ** (< **არ**)

მრავლობითი რიცხვის ნიშანი. მახე **ლახულ** „ახალი მთა“, **მახე** „ახალი“, **ლახ¹ტ¹** „მთა“, **-ულ** კნინ. სუფიქსი. **მოლნდარ** „მოლები, მინდვრები“, შდრ. ქართ. მოლი, **-რდ** (< **ილდ**) კნინ. სუფიქსი, **-არ** მრავლობითი რიცხვის ნიშანი. ცხენისწყლის ხეობაში კნინობითის სუფიქსის შემცველი ტოპონიმებია: **ნაქალაქ-რლ** „ნაქალაქევი“, **ამ-ულდ** ყანისა, და **კუც-რლ** სოფლის სახელება. ბ. ნიჟარაძე ყორულდის ხეობის შემდეგ ასახელებს **ცანისა** და **ზესხოს** ხეობას. **ცანა** და **ზესხო** ცხენისწყლის სათავეში მდებარე სოფლებია. ამ სოფლებს ჩამოუდის მდინარეები **ცენ-შურ** და **ზესხურა**. როგორც ცნობილია, ჰიდრონიმებში ხშირად დასტურდება იმ სოფლის, თუ ხეობის სახელი, რომლებსაც ეს მდინარეები ჩამოუდით. **ზესხო**, სვან. **ზესხტ¹** სახელისათვის ი. ჩანტლაძემ აღადგინა საერთოქართველური ***ძაცხტ¹** > **ზასხტ¹**+ი > **ზსხტ¹** „ცაცხვი“, რომლისაგან მომდინარეობს **ზესხტ¹** სოფლის და **ზესხურა** მდინარის სახელი, სადაც წარმოდგენილია ქართველურ ჰიდრონიმთა **-ურა** სუფიქსი (ჩანტლაძე, 1998, 249-250).

ცენ-შურ, **ცენ** იგივე **ცანაა**, სოფლის სახელი, ხოლო **-შურ** ჰიდრონიმების მაწარმოებელი სუფიქსი. შეადარეთ ამ არიალში არსებული მცირე მდინარეები, რომლებიც ცხენისწყალს უერთდებიან: **ცხენ-შურ**, **ღობ-შურ** (სოფელ **ღობს** ჩამოუდის), **ხანა-შურ**, **ამხა-შურ**, **მეთხ-შურ**, **სგიმრა-შურ/ლ** (გამოიყოფა ფუძე **სგიმ** „ვეძა, მჭავე წყალი“), **ლამანა-შურ** და სხვა. **-შურო** ქეგლ¹ში ასეა განმარტებული: 1. ტყეში სერებს შუა ჩაღრმავებული ადგილი. 2. მორების და მისთანების თავქვე საცურებლად. სვანეთში ჰიდრონიმებში, როგორც ზემოთ ვნახეთ **-შურ** (< **შურო**), აგრეთვე **-ურ**, **-ურა** ბოლოსართები ხშირად გვხვდება.

როგორც ბ. ნიჟარაძის წერილიდან ირკვევა, მისი მოგზაურობის დროს ამ ხეობებში ხალხი არ ცხოვრობდა. „ადრე აქ ხალხი ცხოვრობდაო, დღესაც ჩანს ნასახლარები, რომელიც შამბს დაუფარავს. ერთ-ერთ მინდორს **ნაშალვარე ლარე** „ნაომარი სათიბი“ ეწოდებაო. ეს იგივე **ლიშიალ** არისო, რაც სვანურად ხელჩართულ ბრძოლას ნიშნავსო. ჩხუბი (ბრძოლა) მომხდარა უშგულის მახვშის **ბაგაშ რატანის** და ლაშხეთის ბატონის ბეჟანა, ზოგგან ყანსავ ყიფანს შორის. ამ მინდორში ყიფიანი ისრით მოუკლავს რატანს და ამიტომ დარქმევია **ნაშალვარ ლარე** „ნაომარი სათიბი“ (ნიჟარაძე, 21). ლენტეხის მახლობლად ერთ-ერთ ადგილს **ნაკლშშიალ** „ვაკე საომარი“ ეწოდება. ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ **ნაშალვარ** უნდა მომდინარეობდეს * < **ნა-შიალ-ტ¹-არ** ფორმიდან, შდრ. ბზ. **ლი-შიალ**, ბქ., **ლნტ. ლი-შიალ**, **ლშხ. ლი-შიალ** „ომი, ჩხუბი“. **ნა-შალ-ტ¹-არ** ფორმაში ა ხმოვანი წესით გრძელი უნდა იყოს. **ნა-** – **-არ** წინავითარების აღმნიშვნელი კონფიქსია. **-ტ¹** გაჩენილი ოდენობა, რომელიც ხშირად ჩნდება სვანური სახელების ბოლოკიდურ პოზიციაში და სხვადასხვა ფუნქციის მქონე **-არ** სუფიქსის წინ.

რაც შეეხება **ლარე** „მინდორი, სათიბი“ ფორმას, ა ხმოვანი აქაც გრძელი უნდა იყოს (ბ. ნიჟარაძე სვანურ სპეციფიკურ ბგერებს გრაფიკულად არ აღნიშნავს), შდრ. გრძელხმოვნიანი დიალექტების **ლარე**. ხმოვნის სიგრძის არსებობა ამ ლექსემაში საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ **ლა-პრეფიქსი**, ფუძეა **-არე**, შდრ. ბზ. **ჰარი** „ცარიელი“; **ლნტ. ლგ-არე** „დაცლილი, ცარიელი“, შდრ. ქართული **არე**. გ. მაჭავარიანი **ლარე** სახელში აღადგენს **ჭ**ს და ვარაუდობს, რომ ეს სიტყვა მიღებულია ***ლაჭრე**დან „საჭრელი, სათიბი“. **ჭ**ს დაკარგვამ განაპირობა წინამავალი ა ხმოვნის დაგრძელება (მაჭავარიანი, 41). ჩვენი ვარაუდით, **ლარე** < ***ლა-არე** < ***ლა-ჰარე** ფორმიდან. **ლარე** შეიძლება ნიშნავდეს ხეების, ბუჩქების და სხვათაგან თავისუფალ, ცარიელ ადგილს.

ბ. ნიჟარაძე აგრძელებს თხრობას: მივალწით მდინარე **ყორულდს**, რომელიც მდინარე **ზესხურის** მარჯვენა შენაკადს შეადგენს და ორივე უერთდება **ხიდურას** (სვანურად **ჰიდურ**, **ჰიდრულაჲ**). ამ მდინარეების მიმდებარე ადგილები მოსახლეობით, სახნავ-სათიბებით, სვანებს სისხლის საფასურად მიუციათ ჯაფარიძეებისათვის. ავტორს ხელთ ჰქონია 1868 წლის ჟურნალ

ცისკრის ოქტომბრის ნომერი (წიგნი), სადაც დაბეჭდილი იყო: „სასისხლე საბუთი სვანთაგან რაჭველი ჯაფარიძეებისადმი...“ გადასაცემ ადგილებს შორის, ზესხურის ხეობაში, დასახელებულიაო სოფელი **ზურია**, სწორედ ამ ადგილებში ჩანს სახლების, ციხე-კოშკების და საყდრების ნანგრევებიო, ნასოფლარს დღეს **ლაზრამ**-ი ეწოდება“ (ნიჟარაძე, 44). თუ **ლაზრამ ზურია** სახელიდან არის მიღებული **ლა**- პრეფიქსისა და **-იმ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის დართვით, მაშინ ამ სახელში ბოლო **ნ** გრძელი და უმლაუტიანი უნდა იყოს **ლა-ზრ-წმ**, რაც დანამდვილებით არ ვიცით. ზემოსვანურის, კერძოდ, უმგულურისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების შედეგად **ლა-ზრ-წმ** ფორმა უნდა გვექონოდა. თუ ეს ასეა, მაშინ **ლა-ზრ-წმ** < ***ლა-ზურია** + **ამ** (<**იმ**) ფორმიდან მივიღეთ. **ლა**- პრეფიქსის დართვამ **ზურია** ფუძიდან **-უ-** ხმოვანი ამოაგდო, ხოლო ფუძის **-ი**სა და ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **ი** ხმოვნის შერწყმამ ა'სთან ა ხმოვანი გააუმლაუტა და დააგრძელა. ბ. ნიჟარაძე ამ მიდამოებში მოიხსენიებს **ლაცლავ დაბ**'ს „საცილობელი ყანა“, იმიტომ დარქმევია, რომ ცენელები და ზესხოელები ერთმანეთს ეცილებოდნენ (ნიჟარაძე, 29). აღნიშნულ ტოპონიმში **ლა**- გამოიყოფა, ძირია **-ცლაჷ** < სვან. **ცილაჷ**, შდრ. ქართული **ცილაობა**.

ცხენისწყლის შენაკადის **კიდრულა**'ს სათავეში იყო ადრე მჭიდროდ დასახლებული, დღეს უკვე დიდი ნასოფლარი და სამოვარი **ლაფურ** „საფურე“. ა. ონიანის ტექსტებში ვკითხულობთ: ლაფურიდან მომდინარე წყალი **კიდურ**, **კიდრულა** და ცენიდან მომდინარე მცირე მდინარე **ცენშურ** ერთდებიან ლაშხეთის თავში და შეერთების ადგილს ეწოდება **ლა-აქმშუ** „საერთო“, რომელშიც **ლა**- დანიშნულების პრეფიქსია, **აქმშუ/უ** „ერთი“ რიცხვითი სახელი. ე. ი. **ლა-აქმშუ** ნიშნავს „შესაერთებელ“, „გასაერთიანებელ“ ადგილს. სწორედ აქედან უწოდებენ ცხენისწყალს ბალსზემოურად **ლაშხურ**, ლაშხურად **ლაშხურ** და ლენტეხურად **ლახურ**, **ლაშხირ** სახელს.

მთას, საიდანაც ცხენისწყლის ერთ-ერთი შენაკადი იღებს სათავეს **მაჩხფ-არ** „ჩანჩქერები“ ეწოდება. **მაჩხფ** „ჩანჩქერი“, **-არ** მრავლობითი რიცხვის ნიშანი.

პირველი საზოგადოება, დიდი ხეობა, რომელსაც ცხენისწყალი ჩამოუდის, ლაშხეთია, სვან. **ლაშხ**. რადგან ხმოვნის სიგრძე მორფემათა მიჯნაზე სვანურში ხშირად ორი ხმოვნის შერწყმის შედეგია, შეიძლება **ლაშხ** ტოპონიმში გამოვყოთ **ლა**- პრეფიქსი, **-აშხ** კი ფუძეა. ამ ფუძის მქონე სხვა ტოპონიმებიც არსებობს ლაშხურის (ცხენისწყლის) ხეობაში. მაგ. **ლელაშხა** „სალაშხეთო“ მთის სახელია, რომელიც შეიძლება ასე დაიშალოს ***ლე-ლა-აშხ-ა**. სოფელ **ჩიხარეშ**ს გვერდზე ჩამოუდის მოზრდილი მდინარე **აშხაშურ** < ***აშხ-ა'შ'-შურ**, აქაც **-აშხ** ძირი გამოიყოფა. **აშხ**-გამოიყოფა ტოპონიმ **აშხ-ან-აშ** „აშხანასი“ ფორმაშიც. არსენ ონიანის ტექსტის ცნობით, ეს ძველი ნასოფლარია, სადაც საცხოვრისის ნანგრევები დღესაც ჩანს.

ლაშხ < ***ლა-აშხ** „ლაშხეთი“, ვფიქრობთ, დასაშვებია დაფუკავშიროთ „მატიანე სვანეთისა კრებისა“-ში ნახსენებ სახელს და გვარს. მატიანეში ორჯერაა დასახელებული საკუთარი სახელი **აშახ-ა**. ბოლო **-ა**ს მ. ქალდანი კნინობითის საერთოქართულ **-ა'**დ მიიჩნევს (ქალდანი, 1969, 130). აქვე დასტურდება ამ სახელისაგან ნაწარმოები გვარის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტები: **აშეხ-იანი** გვხვდება შვიდჯერ, **აშახ-იანი** ექვსჯერ, ხოლო **აშხ-იანი**, ფუძეში ხმოვნის გარეშე, რვაჯერ. სავარაუდოა, **ლაშხ** ტოპონიმი უკავშირდებოდეს ამ გვარს თუ საკუთარ სახელს. **ლაშხ** შეიძლება განვმარტოთ, როგორც **სა-აშხ-იან-ო** ადგილი, სადაც **აშხ-იანები** ცხოვრობდნენ. ან ეს ტოპონიმი მიუთითებდეს მათ მფლობელობაში არსებულ ხეობაზე. **ლაშხ**'ს უნდა უკავშირდებოდეს გვარები **ლაშხი**, **მოლაშხია** და **ლასხი-შვილი**.

საინტერესოა ბ. ნიჟარაძის მოსაზრება **ლაშხურ**'ის ხეობაში ერთ-ერთი დიდი სოფლის **ჩიხარეშის** წარმომავლობის შესახებ. ამ სოფლის მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი ჯანხოთლები

არიან. ჩიხარეში იმიტომ დარქმევია, რომ ახლანდელი **ჯანხოთელი** ადრე **ჩიხლაძე** ყოფილა გვარად (ნიჟარაძე, 30). ე. ი. სვან. **ჩიხრემ** < **ჩიხლაძე-არ-ემ**. საყურადღებოა, რომ -ემ ნათ. ბრუნვის ნიშანი ძირითადად მრავლობითი რიცხვის ფორმებს ერთვის. გვარიდან დაკარგულია -ლაძე- და არა მრ. რიცხვის ნიშნისეული ა.

ცხენისწყლისა და მისი შენაკადების – **ყორულდაშის, ზესხოს, ჯიდურის, ლაფურის** – მცხოვრებლებს და ლაშხელებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ რაჭა-ლეჩხუმთან აქ მდებარე მთებზე იყო გადასასვლელები: ღებთან, ჭიორასთან, სადმელთან, ორბელთან და სხვა სოფლებთან, ხშირი მიმოსვლა და ნაცნობ-მეგობრობა აკავშირებდათ ერთმანეთთან. გადმოცემით, **ლაფურში** მოსახლეობა ქართულად ლაპარაკობდა, **ღებსა** და **ჭიორაში** სვანურად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლეგიონში სვანური ტოპონიმების გვერდით, ხშირად გვხვდება ქართული ტოპონიმებიც. მაგ.: სოფ. **ახლშენ**, შდრ. ქართ. „ახალშენი“, სადაც ნემსაძეები და აბაშიძეები სახლობენ. სოფელი **ნაცულ** (შდრ. ქართ. **ნა-ცვალ-ი**), ბაკურაძეებით არის დასახლებული. სოფ. **ლობ-ი** (შდრ. **ღებ-ი**), აქ გაგნიძეები და კანდელაკები ცხოვრობდნენ. სოფ. **მახაშ-ში** (შდრ. სვან **მახე** „ახალი“ ***მა-ხეაშ** „ახლის“), ძირითადად, ჭელიძეები ცხოვრობენ. ერთ-ერთ მთას **სა-ყიფიანო** ჰქვია. ცნობილია, რომ ლაშხეთის ბატონებად ყიფიანები მოიხსენებიან. ყიფიანები შემდეგ გელოვანებს შეუცვლიათ, გელოვანები კი დადიანს და მთელ ქვემოსვანეთს ლაშხეთის თავიდან მურის ხიდამდე **სადად შვან**ს „სადადიანო სვანეთს“ უწოდებდნენ. რაჭისაკენ ერთ გადასასვლელზე ვიწრო ადგილს, კლდეებს შუა, **ყელიდ** ჰქვია, შდრ. ქართ. **ყელი**, -**იდ** კნინობითის სუფიქსია. ლაფურის თავზე მდებარე მთას **გორა**, ხოლო მის გაგრძელებას **გორიბოლო** ეწოდება. სოფელ ნაცულს ესაზღვრება მთა **სა-ცილ-ო**. ეს ადგილი სვანებს და რაჭველებს შორის ყოფილა **საცილო**. აქვე მთის კალთას **როყალ** ჰქვია, რომელიც დიდ ქვიან-ბალახიანი ადგილია, შდრ. რაჭული **როყნარი** // **ლოყნარი** – „დიდი ლოდების ჩამონაზვავი“ (კობახიძე 1987). ამ მიდამოებში ერთ ადგილს **გიორგიანი** ეწოდება, ნაცულელების (სოფელია) ცნობით, ეს მთა გიორგობიანს ეკუთვნოდა. შდრ. ქართ. **გიორგობიანი** > სვან. **გიორგიანი**. აქვეა ტოპონიმი **ქვასაკუნჭელა ბეჩ**, ამ სახელში ქართულია **ქვა**, ხოლო **ბეჩ** სვან. „ქვა“, **საკუნჭულა** შეიძლება იგივე იყოს, რაც რაჭული **საკუტინჭიალო** – „მოწყობილობა, რითაც ქანაობენ, საქანელა“, შდრ. **კვინჭიალი**, რაჭ. „ქანაობა“ **კვინჭიალობს** „ქანაობს“. საქიანოზე კვინჭილობდით (კობახიძე, იქვე) **ქვა საკუნჭელა** – ქვა საქანელას (ქვა, რომელიც ქანაობს) უნდა ნიშნავდეს. -**ჭი** კომპლექსი ხშირად ლაშხურ დიალექტში, შერწყმის შედეგად -**უ**- ხმოვანს გვაძლევს. სოფელ **მახაშ**ში ყანებს შორის მიმავალ გზას **ორლობ** „ორლობე“ ეწოდება.

ლაშხეთში: ახალშენი, მახაში, ნაცული, ლაშხრაში შარა გზიდან მაღლობზე დასახლებული სოფლებია. გზას, აღმართს ამ სოფლებისაკენ მიმავალს **კაჩ-არ** „აღმართებს“ უწოდებენ. -**არ** მრავლობითი რიცხვის ნიშანია. გამოიყოფა **კაჩ-** „აღმართი“, ზმნს. „ზეზე, ფეხზე ზეზეულად, მაღლა, აღმართ-აღმართ“ (თოფურია, ქალდანი, 2000). **კაჩმერდე** „ფეხზე მდგომი“, გადატ. სუფრის მომსახურე. **ალარ სვა ხეგნის ტაბანგს კაჩუმ** (ბქ. 79) „ესენი ფეხზე (ფეხით) დადგებიან ტაბლასთან“. შდრ. **კაჩ-ა** (ლეჩხ., მოხ., ფშ., მთიულ.) წვივი, კანჭი, ბარძაყი... საქონლის ადამიანის ფეხი (ღლონტი 1984).

სოფელ ნაცულის მხარეს ნასოფლარს ალპიურ ზონაში **იწლაკაჩ** „იწის აღმართი“ ეწოდება, რაჭაშია სოფელი **იწი**. ის შეიძლება დაეუკავშიროთ სვან. **ჭიწ**ს „გორაკი, ბორცვი, მაღლობი“ (**იწ** < **ჭიწ**). **ჭიწყი იზგებ** (ლნტ.) „გორაკზე ცხოვრობენ“. შეიძლება სვანურში -**ჭი**- თავკიდურ პოზიციაში გაჩენილი იყოს.

საინტერესოა ტოპონიმი **ულიშ**, რომელიც მდებარეობს ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს სო-

ფელ მახაში'ს თავზე. აქ დგას უძველესი ეკლესია **ულშა თარგზელ** „ულიშის მთავარანგელოზი“, სადაც იმართება რელიგიური დღესასწაული **ულიშობ** „ულიშობა“. ბ. ნიჟარაძესთან აღნიშნულია, რომ **ჰულიშ**, **ტილიშ** დღესასწაული იციან მესტიის, ლაშხეთის და ლენტეხის საზოგადოებაში. ეს დღე ქართული საეკლესიო კალენდრით ემთხვევა სულთა შაბათს, სულთაობას. მეორე დღეს, კვირას, სულთმოფენობაა. ამასთან დაკავშირებით ბ. ნიჟარაძე მოგვითხრობს ძველი სიმღერის ტექსტის შესახებ. ძალიან ადრე, ენგურის სათავეში მთას მოსწყდა დიდი მყინვარი, რომელსაც ენგური დაუგუბებია. სულთა შაბათს დაგუბებულ წყალს ყინული დაუძრავს, იმდენად დიდი ყინულიან-ქვიანი მეწყერი წამოსულა თავქვე, რომ მთელი ზემოსვანეთის სოფლები წაუღეკავს. ეს მოვლენა აღწერილია მერი გუჯეჯიანის, აკაკი შანიძის და ვარლამ თოფურას მიერ შედგენილ სვანურ პოეზიაში. აქ ორი ვარიანტია შეტანილი, ორივეს ჰქვია **ჰელშა საფტინ** „სულის შაბათი“. ამავე დღეს იხდებიან ამ დღეობას, ლენტეხში სოფელ **ლეჭუდარ-ემ**ში, პატარა ეკლესიაში, რომელსაც **ტილიში ჯგერაგილ** ჰქვია „სულის წმინდა გიორგი“. საინტერესოა, რომ ამ ეკლესიის სიმცირის გამო, წმინდა გიორგის მოიხენიებენ კნინობითი ფორმით **ჯგერაგ-ილ**. იქნებ სულთა შაბათს მართლაც მოხდა აქ აღწერილი საშინელი სტიქია, ამიტომ ამ დღეს გარდაცვლილთა სულების მოხსენიების გარდა ევედრებიან უფალს, წმინდაგიორგის, მთავარანგელოზს, წყალდიდობის, მეწყერისა, მიწისძვრისაგან და საერთოდ სტიქიისაგან დაცვას. რაც შეეხება ბზ. **ჰელიშ**, ლშხ. **ულიშ**, ლტ. **ტილიშ**ს უკავშირდება ქართულ **სულს**, **სულის** ფორმას. ქართ. -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შესატყვისია სვან. -იშ. თავკიდური ს- დაკარგულია მთელ სვანურში. ლაშხურ დიალექტში მივიღეთ **ულიშ**, ლენტეხურში შესაბამისად უმლაუტიანი **ტილიშ**, ხოლო ბალსზემოურში რამდენადმე განსხვავებული **ჰელიშ** ფშვინვიერი შემართვით და უს ნაწილობრივი რედუქციით. შდრ. ქართ. უნაგირი, სვან., ზს. **ჰინგირ/ჰენგირ**, ლშხ. **უნგირ**. **ჰელიშ**, **ულიშ**, **ტილიშ** ნიშნავს „სულის“, ეს ფორმები იქცა, როგორც ეკლესიის, ასევე სულთაობის, მიცვალებულთა ხსენების დღის, სულთა შაბათის აღსანიშნავ ტერმინად. ხოლო **ულშა თარგზელ** ეტიმოლოგიურად იქნება „სულის მთავარანგელოზი“.

სოფელ სასასში საუკეთესო წყაროდ ითვლება **ლეკესარიელ** 'ლიც' „საკეისრო წყალი“. ლენტეხის მახლობლად მდებარეობს მთა, საძოვარი **ტტიბლჷკესარ** „ხეობა საკეისრო“. მთაც და წყაროც ითვლება საუკეთესოდ, იმდენად კარგია, რომ კეისრის საკადრისია, ალბათ ამან განაპირობა ამგვარი სახელების დარქმევა.

დაბა ლენტეხს ჩამოუდის ორი მოზრდილი მდინარე **კელედ-ურა** და **ლასკად-ურა**, ორივე მდინარის სახელში გამოიყოფა ჰიდრონიმების მაწარმოებელი საერთო ქართველური -ურა სუფიქსი. **კელედურის** ზემო დინება ჩამოუდის სოფ. **კელედ**-ს, ამიტომ ეწოდება ამ მდინარეს **კელედურა**.

მდინარე **ლასკად-ურა**-ს ხეობა ძალიან ვიწრო და ციცაბოკლდიანია. აქ სოფლები არ გვხვდება, თუ არ ჩავთვლით ლენტეხთან ახლოს შედარებით ფართო ადგილზე, ამავე სახელმწოდების სოფლის **ლასკადურა**'ს, სვან. **ლასკადარ**'ის არსებობას.

სოფლის და მდინარის სახელწოდების წარმომავლობის დასადგენად არსენ ონიანის ტექსტებში, ვიწრო, კლდოვანი ხეობის აღსანიშნავად, საინტერესო ტერმინია დადასტურებული. ლეჩხუმისა და ქვემოსვანეთის საზღვრის შესახებ ნათქვამია: **გასკად ჰევ ლი ი იერუ კოჯა ნესგა ლშხური ლიც**, **ვედშე ხასკდა**, **ემ ნახეწი ლი** (ონიანი, 1979, 216) „ვიწრო (ძლივს გასატევი) ხევია და ორ კლდეს შორის ლაშხურის (ცხენისწყლის) წყალი, ძლივს ეტევა ისე ვიწროა“. აქვე სოფელ ხოფურთან გადებული ხიდის შესახებ წერს: **მეჭარ გასკად აგიქა ხაზ ბოგ**, **ოდო იშგნაგ ძუირდ გარ ემე ლი ხოჩა ლაზოგ ლშხური ლიცქა** (ონიანი, იქვე, 201). „საკმაოდ ვიწრო (გასატევი) ადგილ-

ზეა გადებული ხიდი, თორემ, სხვაგან იშვიათად (მვირად) არის ხიდის გასადები ადგილი (სახიდ-დე) ლაშხურის (ცხენისწყლის) წყალზე“. ჩვენთვის საინტერესოა **გა-სკად** „ვიწრო, ძლივს გასატევი კლდოვანი ხეობა“.

აღნიშნული ტერმინი **-სკად-** ფუძე უნდა უკავშირდებოდეს სვანურ **ლი-სკვდ** „დატევა“, **ლა-სკვდ** „დასატევი“, **ხ-ა-სკდ-ა** „ეტევა“ ფორმებში არსებულ რედუცირებულ (**სკვდ** ← **სკად**) ფუძეს. საინტერესოა ლაშხელ მონადირეებთან დადასტურებული ტერმინი, **სკვდგრალ** (< **სკვდ-გრ-ალ**) „ვიწრო კლდოვანი ხეობები“. **ნათხტარელ არის სკვდგრალისა** (ლშხ.) „ნანადირეები (არჩვი, ჯიხვი) არიან ვიწრო, კლდოვან ხეობებში“. საკითხავია, რატომ არ მოხდა **რედუქცია** ჰიდრონიმ **ლა-სკად-ურა**სა და სოფლის **ლა-სკად-არ** სახელში? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ როცა ეს ტოპონიმები შეიქმნა, რედუქცია ამ პოზიციაში არ ხდებოდა. ლაშხური დიალექტის **გა-სკად** ტერმინშიც რედუქცია არ მომხდარა. „ზოგად ენათმეცნიერული დებულების მიხედვით, ურედუქციობა, სრულხმოვნისანობა პირველადი და ამოსავალი ვითარების ამსახველი ჩანს ქართველურ ენებში, ხოლო რედუცირებული ფორმები – მეორეულისა“ (ქალდანი, 1969, 130).

როგორც ვნახეთ, ქვემოსვანურ ტოპონიმებში ხშირად დასტურდება **ლა-**, **ლე-**, **ნა-** პრეფიქსები, რომელთაც ზოგჯერ სუფიქსიც ერთვით.

ლა- დანიშნულების მაწარმოებელი პრეფიქსია, რომელსაც შეიძლება -ა სუფიქსიც ახლდეს. მაგ.: ტოპონიმები **ლა-ფურ** – „სა-ფურ-ე“, **ლა-ხილ** „სა-ხილ-ე; **ლა-სლაჲ** სა-სილ-ე“; **ლა-გტირკ-ა** „სა-კვირკ-ო“ (მთაა, სადაც წმინდა კვირიკეს სახელობის ეკლესია დგას); **ლა-კა-ჲ** „სა-ფიქალ-ე“ (ადგილი, სადაც **ფიქალი ქვა** მოიპოვება).

ლა-ლიჲ-არ „სადუცი“; **ლა-** – **არ** დანიშნულების კონფიქსი, ფუძეა **ლე/ლეჲ** „დუცი“; **ლა-ტფ-არ**, ფუძეა **ტაფ-**, შდრ. ქართ. **ტაფობი** „სატაფოები, ტაფობიანი მთა“. **ლალცბრიალ**, ფუძეა **ლე-ცბრ-ი** „გასაფცქენელი“; **ლი-ცბრ-ე** „გაფცქენა“. **ლევბრი** ერთგვარი ბალახია, რომელიც გაფცქენის შემდეგ იჭმევა. **ალ ბალახს აცბრებ ი იზბიხ** (ონიანი, 1979, 12) „ამ ბალახს ფცქენიან და ჭამენ“.

სოფელ სასაშთან ახლოს მდებარეობს ადგილი **ლა-წყალ-იერი**, გამოიყოფა **ლა-იერ** კონფიქსი და **-წყალ-** ფუძე, რომელიც იგივეა, რაც **ოყალ** „ყალო (მიწა)“. **ლა-** პრეფიქსის დართვით **ო** ხმოვანმა ნაწილობრივი რედუქცია განიცადა **ო>ტ**დ. **ლა-წყალ-იერ** „საყალო“ (ადგილი). სასაშლებს თონეებისათვის საჭირო აყალო მიწა აქედან მიაქვთ.

აღნიშნული ლეგიონის, ე. ი. მთელი ცხენისწყლის (ლაშხურის) ხეობის 77 ტოპონიმი აქვს თავმოყრილი არსენ ონიანს. ამ ტოპონიმების სახელწოდებები ცალ-ცალკე შევიდა, თავისი ადგილ-მდებარეობის აღწერით, საზღვრებით, ვიზუალური დახასიათებით, სვანური პროზაული ტექსტების (ლაშხური დიალექტი) IV ტომში. აქ ჩამოთვლილ ტოპონიმებში დომინირებს ნაგენიტივარი ფორმები. გვხვდება სვანურის ნათესაობითი ბრუნვის ყველა ალომორფი: **-აშ**, **-იშ**, **-ემ**. მაგ.: **წგრნ-აშ** „წითლისა“ შდრ. **წგრნი** „წითელი“; **დეტ-აშ** „დევისა“, **დადი-აშ** „დადიანისა“, **ჭვედ-აშ** „კედლისა“, შეიძლება გამოიყოს **ჭვედ** „კედელი“; **ლა-ღარტ-აშ** „სა-ღარო-სი“ შდრ. ძირი **ღარტ** „ღარი“; **ლა-ცტ-აშ** ტოპონიმს არსენ ონიანი უკავშირებს **ლა-ცუნლ-აშ** „საჩხუბარი ადგილი“. სათიბს, რომელიც **კიდრულაჲ-ს** მარცხენა ნაპირზე მდებარეობს ეწოდება **მეწერი-აშ**, რომლის შესახებ არსენ ონიანი წერს, აქ არის წიწვოვანი ტყე და ბევრი სამეწყრე ადგილი (ონიანი, იქვე, 221). **მეწერი-აშ** შესაძლებელია მოდიოდეს ***მეწყერი-აშ** „მეწყერისა“ ფორმიდან.

სოფელ ჟაჭუნდერში ერთ წყაროს წყალს **ლალულ-აშ**ს უწოდებენ. გამოიყოფა **-ლულ-** ფუძე, **ლა-** პრეფიქსია, **-დ** ← **-ულდ** კნინობითის სუფიქსის ნაწილი, **-აშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი. **ლულ** გრძელხმოვნისანი ფუძე უკავშირდება ქართულ **ღმუილ-ს**. მს დაკარგვამ და **უ+ი** ხმოვანთა შერწყმამ განაპირობა **ლ** ხმოვნის დაგრძელება. **ლა-ლულ-დ-აშ** „ღმუილაშ“ უნდა ნიშნავ-

დეს. ხშირად სვანურში ხმოვანობის გადმომცემი ზმნები საერთოა ქართულთან. მაგ.: კივილი > სვან. ლი-კრლ-ი; ბღავილი > სვან. ლი-ბღულ-ი; ჭყავილი > სვან. ლი-ჭყელ-ი და სხვა. სამეცნიერო ლიტერატურაში სოფლის სახელი **ჟახუნდერი**, სვან. **ჟაკუნდერ**, სახელში გამოყოფილია **ჟაკუ** „არყის ხე“, -**უნდ** კნინობითის სუფიქსია. -**ერ** ქართული -**იან** სუფიქსის შესატყვისია. **ჟახუნდერი**, სვან. **ჟაკუნდერ** ნიშნავს ნორჩ (პატარა) არყნარს“ (ჭუმბურიძე, 2007, 31).

სოფლის სახელია **დგრ-ამ**, რომელშიც გამოიყოფა ფუძე **დგრ-** „დვრიტა, კვეთი“. აღსანიშნავია, რომ ეს სოფელი ცნობილია ნაყოფიერი სახნავ-სათესით, გამოირჩევა უხვმოსავლიანობით და კარგი სათიბებით. შეიძლება ამან განაპირობა მისი სახელი **დგრ-ამ** „დვრიტისა“. **გტიმბრალ-ამ** სახელით იხსენიებს ა. ონიანი ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელს. გამოიყოფა **გტიმბრ** „გვიმრა“, -**ალ** მრ. რიცხვის ნიშანია დისიმილაციით -**არ**’ისაგან მიღებული, დღეს ამ სოფლის სახელს ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ჩამოცილებული აქვს და **გტიმბრ-ალ** „გვიმბრები“ ფორმით დასტურდება. **ლა-წლანდ-ამ**, ლშხ. **ლა-წლანდ-ამ**, ლნტ. დღევანდელი მურის ხიდის მიდამოების ძველი სახელია. გამოიყოფა **ლა-** დანიშნულების პრეფიქსი, -**ამ/-ამ** ნათესაობით ბრუნვის ნიშანია. ფუძეა **-წლანდ**, მისი მნიშვნელობა ჩვენთვის ბუნდოვანია.

როგორც ვნახეთ, გამორჩეულად ხშირად გვხვდება -**ამ/-ამ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნიანი ტოპონიმები. ზოგი მათგანი გზადაგზა განვიხილეთ. შეიძლება დამატებით დავასახელოთ: **ქალნად-ამ**, **გორუ-ამ**, **ლწალდ-ამ**, **კვედრ-ამ**, **ფხაჭ-ამ**, **დერგ-ამ**, **მუ-ამ**, **ბეყენდ-ამ**, **სას-ამ**, **ლამ-ფალ-ამ**, **დადი-ამ**, **ჭური-ამ**, **ლწრ-ამ**, **ლაცუ-ამ**... -**იმ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნიანები: **მარგუ-იმ**, **ულ-იმ**, **ყარ-იმ**, **ჯუდ-იმ**, **ქუ-იმ**, **დნბ-იმ**, **კარკ-იმ**, **სტარუნ-იმ**, **ნალ-იმ**, **ლაცბელდ-იმ**, **ქუნ-იმ**... -**ემ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნიანი: **ჩიხრ-ემ**, **ლევტუდარ-ემ**, **ყვედრ-ემ**, **ბგლ-ემ**, **უკუ-ემ**, **ჭარ-ემ**...



გამოყენებული ლიტერატურა:

- ბარდაველიძე, 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1939.
- ბარდაველიძე, 1939 – ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1939.
- ბედოშვილი 2013 – გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, II, თბილისი
- გაზდელიანი 2011 – ე. გაზდელიანი, ქვემო სვანეთის ზოგი ტოპონიმის წარმომავლობისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, VIII, თბილისი.
- გაზდელიანი 2011 – ე. გაზდელიანი, ქვემო სვანეთის ზოგი ტოპონიმის წარმომავლობისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, VIII, თბილისი
- ზურაბიშვილი, 1961 – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961.
- ზურაბიშვილი, 1961 – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1961, II.
- ზურაბიშვილი, 1961 – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბ., 1961, II.
- თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი „სვანური ლექსიკონი“, თბილისი, 2000 წ.
- თოფურია, ქალდანი, 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.
- თოფურია, ქალდანი, 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.
- კობახიძე 1987 – ა. კობახიძე, „რაჭული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1987 წ.
- ლიპარტელიანი 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი
- ლიპარტელიანი, 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბ., 1994.
- ლიპარტელიანი, 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბ., 1994.
- მაკალათია 1976 – ფ. მაკალათია, არაგვის ხეობის ფშავის ტოპონიმისა, ტოპონიმისა I, თბილისი.
- მარგიანი 2010 – ქ. მარგიანი, სვანეთის ტოპონიმთა ვახუშტი ბაგრატიონის რუკებისა და „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს მიხედვით, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, თბილისი.
- მარგიანი 2011 – ქ. მარგიანი, სვანეთის მიკროტოპონიმის ლექსიკური ანალიზი, ქართველური ონომასტიკა, V, თბილისი.
- მარგიანი 2013 – ქ. მარგიანი, სოფელ ძალცუნესგას ონომასტიკონი, ონომასტიკური კრებული, ახალციხე
- მალრაძე, 2006 – ვ. მალრაძე, ქართველური ტოპონიმების და გვარების წარმოება და ურთიერთმიმართება, თბ., 2006.
- მალრაძე, 2006 – ვ. მალრაძე, ქართველური ტოპონიმების და გვარების წარმოება და ურთიერთმიმართება, თბ., 2006.
- მაჭავარიანი 1965 – გ. მაჭავარიანი „საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა“, თბილისი, 1965 წ.
- მიბჩუანი 1989 – თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზისის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბილისი.
- ნიჟარაძე 1964 – ბ. ნიჟარაძე, „ისტორიული ეთნოგრაფიული წერილები II, თბილისი, 1964 წ.
- ნიჟარაძე, 2007 – ბესარიონ ნიჟარაძე, ქართულ-სვანური-რუსული ლექსიკონი, თბ., 2007.
- ნიჟარაძე, 2007 – ბესარიონ ნიჟარაძე, ქართულ-სვანური-რუსული ლექსიკონი, თბ., 2007.
- ონიანი 1979 – ა. ონიანი „ლაშხური კილო“, თბილისი, 1979 წ.
- ჟღენტი 1949 – ს. ჟღენტი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბილისი
- საღლიანი 2013ა – მ. საღლიანი, მასალები სვანური ტოპონიმის ლექსიკონისათვის. I. სოფელ

- ცხუმარის ტოპონიმია, საენათმეცნიერო ძიებანი, XXXV, თბილისი
- საღლიანი 2013ბ** – მ. საღლიანი, მასალები სვანური ტოპონიმოლოგიური ლექსიკონისათვის. II. სოფელ ფარის ტოპონიმია, ონომასტიკური კრებული, ახალციხე
- საღლიანი 2016** – მ. საღლიანი, მასალები სვანური ტოპონიმოლოგიური ლექსიკონისათვის, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი.
- საღლიანი 2016** – მ. საღლიანი, სვანური ენის სტრუქტურის საკითხები, თბილისი
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, თბილისი
- ქაღდანა 1963** – მ. ქაღდანა, ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ(//-შ) სუფიქსის საკითხისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, თბილისი.
- ქაღდანა 1969** – მ. ქაღდანა, „სვანური ენის ფონეტიკა, თბილისი, 1969 წ.
- ქაჯაია, 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი II, თბ., 2002.
- ქაჯაია, 2002** – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი II, თბ., 2002.
- ღლონტი 1984** – ა. ღლონტი, „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1984 წ.
- ჩანტლაძე 1998** – ი. ჩანტლაძე, „ქართველოლოგიური ძიებანი“, 1998.
- ჩანტლაძე 1998** – ი. ჩანტლაძე, ზესხო და ჭითხარო/ჭუთხარო, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.
- ჩანტლაძე 1998** – ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი
- ჩიქობავა 1942** – არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.
- ცხადაია 1985** – პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბილისი.
- ცხადაია 1985** – პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბილისი.
- ჭკადუა 1976** – ა. ჭკადუა, შიშგილ-ისა („დანძილი“) და ფიშდელ-ის („წივანა“) შემცველი ტოპონიმების ისტორია-ეტიმოლოგიისათვის, ტოპონიმოლოგია I, თბილისი.
- ჭკადუა 1987** – ა. ჭკადუა, ტოპონიმოლოგიური შესიტყვებათა ძირითადი პრინციპები (ქართვ. ტოპონიმთა მონაცემების მიხედვით), ონომასტიკა, ტ. I, თბილისი.
- ჭუმბურიძე 1977** – ზ. ჭუმბურიძე, კნინობითი სახელები სვანურში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, თბილისი
- ჭუმბურიძე 2007** – ზ. ჭუმბურიძე, სვანური ტოპონიმია, სვანური ენა, თბილისი.
- ჭუმბურიძე 2007** – ზ. ჭუმბურიძე, სვანური ენა (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი.
- ჭუმბურიძე, ნიჟარაძე, ქურდაძე 2007** – ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე, „სვანური ენა“, თბილისი, 2007.
- ჯანაშია, 1959** – ს. ჯანაშია, შრომები III, თბ., 1959.
- ჯანაშია, 1959** – ს. ჯანაშია, შრომები III, თბ., 1959.
- ჯორბენაძე 1993** – ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბილისი.

ფოტომატიანე













გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიბაგოვსაძის №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com